პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

კვირა, 14 აპრილი 1929 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 84 (2430)

დღიური

— გერმანიის კომპარტიის ცეკას მოწოდება.
— ბერლინის პოლიცია ემზადება 1-ლი მაისისათვის.
— მემარცხენე რევოლ. ფრთის ახალი გამარჯვებანი.
— პრუსიის ეკონომიური დელეგაცია ამხ. მიქოიანთან.
— „მეჟრაბპომფილმ"-ის ხელშეკრულება ინგლისის ფირმასთან.
— გერმანიის სამხედრო ვალი განსაზღვრულია 50 მილიარდი ოქროს მარკით.
— ლატვიის ელჩი მოსკოვში ო. ზოლსი განთავისუფლებულია თანამდებობიდან.

ა/კ. მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და წითელფლოტელთა დეპუტატების

საბჭოთა მე-V ყრილობა

დანიშნულია

1929 წლის 3 მაისისათვის ქალ. თბილისში

დღის წესრიგშია შემდეგი საკითხები:

1) ამიერ-კავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობის ანგარიში. მომხსენებელი ამხ. შ. ელიავა.
2) ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის შესახებ. მომხსენებელი—ამხ. ს. ამბარცუმიანი.
3) ღონისძიებანი ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის გასავითარებლად. მომხსენებელი—ამხ. მ. დ. გუსეინოვი. თანამომხსენებელნი:—ამხ. ბუნიატ-ზადე, ხ. ჯუღელი და ა. ერზინკიანი.
4) ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის დარაიონების შესახებ. მომხსენებელი—ამხ. ფ. მახარაძე.
5) ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის მთავრობის მიერ ა.-კ. საბჭოთა მე-IV და მე-V ყრილობებს შუა მიღებული დეკრეტებისა და დადგენილებების დამტკიცების შესახებ. მომხსენებელი—ამხ. ა. შავერდოვი.
6) საკონსტიტუციო საკითხები. მომხსენებელი—ამხ. ა. დოლიძე.
7) ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის არჩევა.
8) საბჭოთა მე-V სრულიად საკავშირო ყრილობაზე გასაგზავნი დელეგატ. არჩევა.

ამიერ-კავკასიის ცაკის მდივანი ა. შავერდოვი.

მორიგი ლაყბობა განიარაღებაზე

15 აპრილს ჟენევაში უნდა გაიხსნას განიარაღების მომამზადებელი კომისიის მორიგი (მეექვსე) სესია. მისი უკანასკნელი სესია, როგორც ვიცით, შესდგა 1928 წ. მარტში. ამ სესიის „მუშაობა" იმაში გამოიხატა, რომ მან უარყო საყოველთაო და სრული განიარაღების საბჭოთა პროექტი. რაც შეეხება ნაწილობრივი განიარაღების პროექტს, რომელიც ამის შემდეგ წარადგინა ჩვენმა დელეგაციამ, მის განსახილველად სესიას „დრო არ აღმოაჩნდა".

თუ წინედაც ცხადი იყო განიარაღებასა და მშვიდობიანობაზე იმპერიალისტების ლაყბობის თვალთმაქცური ხასიათი, განიარაღების კომისიის მეხუთე სესიაზე ეს უფრო ნათელი შეიქნა ფართე მასებისათვის. საბჭოთა დელეგაციის გამოსვლამ, რომელმაც კაცობრიობას მიუთითა მშვიდობიანობის ნამდვილ პირობაზე—განიარაღებაზე, და კაპიტალისტურ სახელმწიფოთა წარმომადგენლების მთლიანმა ფრონტმა ჩვენი წინადადების წინააღმდეგ ნიღაბი ჩამოაფხრიწა იმპერიალისტებს და გააშიშვლა მათი მტაცებლური ბუნება, თუ ეს კიდევ ვინმესთვის საჭირო იყო.

აგრეთვე მეტად საგულისხმოა ყოველივე ის, რაც მეხუთე სესიის შემდეგ მოხდა. პირველ ყოვლისა აღსანიშნავია, რომ ყოველნაირად ცდილობდნენ მისი შემდგომი სესიის მოწვევის გაჭიანურებას. ამხ. ლიტვინოვს მოუხდა რამოდენიმეჯერ მიემართა კომისიის თავმჯდომარე ლოუდენისათვის მოთხოვნით, რომ სესია დაჩქარებით ყოფილიყო მოწვეული და მის დღის წესრიგში დასმული ნაწილობრივი განიარაღების საბჭოთა პროექტი. ბოლოს, წელიწადზე მეტი დროის გასვლის შემდეგ ჟენეველი მშვიდობის-მოყვარულნი იძულებული ხდებიან კვლავ შეიკრიბონ.

შეიძლება მდგომარეობა არ მოითხოვდა აჩქარებას და ახალ მსოფლიო ომის საფრთხე ჩვენი გამოგონილი იყოს? ბევრი განმარტება არ უნდა, რომ სწორედ უკანასკნელ წელიწადს, როცა განიარაღების კომისიას სალათას ძილით ეძინა, ძალზე გამწვავდა სახელმწიფოთა შორის ურთიერთობა და მომზადდა ნიადაგი შეიარაღებული შეხლა-შემოხლისათვის. ინგლის-ამერიკის მეტოქეობა სწრაფად ვითარდება. ამერიკა შეუდგა გრანდიოზულ საზღვაო მშენებლობას (ახალ 15 კრეისერის აგებას). ამის საპასუხოდ ინგლისიც ადიდებს თავის საზღვაო ძლიერებას. სამხედრო მზადების მხრით დანარჩენი ბურჟუაზიული სახელმწიფოები მათ მისდევენ. ამავე დროს გრძელდება ერთიანი ანტისაბჭოთა ფრონტის ცდა. და ყოველივე ეს ხდება კელოგის პაქტისა და ჟენევის „სამშვიდობო" ინსტიტუტების არსებობის გვერდით. ესენი თავისთვის, ხოლო შეიარაღების ზრდა კიდევ თავისი წესით!

ასეთ პირობებში იკრიბება განიარაღების კომისიის მეექვსე სესია. კომისიის თავმჯდომარე ლოუდენი სესიის გადადებას, სხვათა შორის, იმით ასაბუთებდა, რომ საჭიროა დაუცადოთ ცალკე სახელმწიფოთა მოლაპარაკებას განიარაღების შესახებ, რომ სესიის მუშაობა უფრო ნაყოფიერი იქნესო. ამ მოლაპარაკებამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ვერავითარ შედეგს ვერ მიაღწია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ინგლის-საფრანგეთის საზღვაო კომპრომისს. მაგრამ ეს კომპრომისი, ჯერ ერთი, ნიშნავს ამ ქვეყნების განუსაზღვრელ შეიარაღებას და არა მის შემცირებას; შემდეგ მან გაუგონარად გაამწვავა ინგლის-ამერიკის წინააღმდეგობა.

ამგვარად, არავითარი ნიშანი, რომ კომისია გაყინულ წერტილიდან დასძრავს განიარაღების საქმეს, არ არის. ჯერჯერობით იმპერიალისტებს არ მიუღწევიათ რაიმე, თუნდაც მოჩვენებითი შეთანხმებისათვის, რომელიც მათთვის საჭიროა მასებისათვის თვალის ასახვევად. სესიის დღის წესრიგიც არ არის გამორკვეული. მოსალოდნელია, რომ სესია არ განიხილავს თავის პროექტსაც შეიარაღების შემცირების შესახებ, რომელიც კომისიამ დიდი ვაივაგლახით უკვე 1927 წ. გამოიმუშავა, თუმცა ეს პროექტი მეტად ბუნდოვანია და რამე გარკვეულ ვალდებულებებს არავის აკისრებს.

ერთში კი უეჭველად შეთანხმდებიან იმპერიალისტები, სახელდობრ საბჭოთა პროექტის უარყოფაში. ისინი დიდი ხანია თავს იმტვრევენ იმის გარშემო, თუ როგორ გაატარონ ეს ისე, რომ „უმანკოებაც" შეინარჩუნონ, მშვიდობიანობის დამცველთა როლი გაითამაშონ. მაგრამ როგორი დახელოვნებული და გაიძვერა არ იყვნენ ისინი მასების გაბიაბრუებაში, აშკარაა, ვერაფერს გახდებიან. პირდაპირ უკუაგდებენ ჩვენს წინადადებას, თუ რაიმე საბაბით ისევ გადასდებენ მის განხილვას, სულერთია: იმპერიალისტები თავის ბნელ ზრახვებს ვერ დაფარავენ, ვერ მიჩქმალავენ იმ ნათელ გარემოებას, რომ ისინი ბოროტ საბოტაჟს ეწევიან განიარაღების საქმეში და სულ უფრო იარაღდებიან კაცობრიობისათვის ახალ უბედურების დასატეხად. საბჭოთა დელეგაცია, რამდენადაც მას ამის შესაძლებლობა მიეცემა, ერთხელ კიდევ ამხელს საქვეყნოდ მშვიდობიანობაზე იმპერიალისტების თვალთმაქცური ლაპარაკის ნამდვილ ღირებულებას და მასებს მიუთითებს იმ საფრთხეზე, რომელსაც ისინი მშვიდობიანობას უმზადებენ.

ინგლისის მრეწველთა დელეგაციის განცხადება

დელეგაცია საჭიროდ სთვლის ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენას საბჭ. კავშირთან

გადადგა პოლონეთის მთავრობა.—ახალი მთავრობის შედგენა მიენდო კაზიმირ სვიტალსკის

ინგლისის მრეწველთა დელეგაცია

ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ

მოსკოვი, 13 აპრილი. ინგლისელ მრეწველთა დელეგაციის კომიტეტმა პრესას გადასცა შემდეგი განცხადება:

„სახელმწიფო ბანკში მომხდარი პირველი შეხვედრის შემდეგ შესდგა მეორე შეხვედრა, რომლის დროსაც ადგილი ჰქონდა აზრთა წინასწარ გაცვლა-გამოცვლას ეკონომიური მდგომარეობის შესახებ.

რემნატმა პასუხი გასცა პიატაკოვის პირველ სიტყვაზე, რომელშიაც პიატაკოვმა აღნიშნა, რომ თუმცა საბჭოთა მთავრობას ძალიან სურს ურთიერთობის განვითარება ინგლისთან, მაგრამ ეს შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ პირობით, თუ განახლდება დიპლომატიური ურთიერთობაო. ხშირად აღნიშნავდნენ, რომ ინგლის-საბჭოთა ვაჭრობა შეიძლება განვითარდეს დიპლომატიური ურთიერთობის გარეშე, მაგრამ ჩვენი კომიტეტი ამას ყოველთვის უარჰყოფდა. **ლონდონის ფინანსიური წრეების აზრი ის არის, რომ ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობის გარეშე შეუძლებელია მნიშვნელოვანი ფინანსიური თანამშრომლობა ორივე ქვეყნის შორის.** სავსებით მართალია, რომ ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებთან სწარმოებს მცირე ვაჭრობა დიპლომატიური ცნობის გარეშე. შეზღუდული რაოდენობით ვაჭრობა სწარმოებს ინგლისთანაც, მაგრამ უგუნურება იქნება იმის ფიქრი, რომ ეს ვაჭრობა თვალსაჩინოდ აკმაყოფილებს საბჭოთა კავშირის საჭიროებებს, ან იმის ფიქრი, რომ იგი ჯანსაღ საფუძვლებზე ემყარება. ის ფაქტი, რომ ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობა წარმოადგენს აუცილებელ წინასწარ პირობას სავაჭრო ურთიერთობის განვითარებისათვის, არ უარჰყოფს იმ აშკარა ფაქტს, რომ ასეთი ურთიერთობა შეიძლება დამყარდეს მხოლოდ ორივე მხარის დამაკმაყოფილებელ საფუძვლებზე. **ჩვენი მოსკოვში ყოფნის შემდეგ დასტურდება ჩვენი თვალსაზრისი, რომ ასეთი, ორივე მხარის დამაკმაყოფილებელი, ბაზისის გამონახვა შესაძლებელია**".

ამ კვირის ბოლოს დაახლოვებით 50 დელეგატი ინგლისში დაბრუნდება. (ადს).

ინგლისის დელეგაციის წევრის განცხადება

ლონდონი, 12 აპრილი. ვარინ გიუნ ხუპერმა, რომელიც ინგლისის დელეგაციის წევრთაგან პირველი დაბრუნდა საბჭოთა კავშირიდან, „დეილი ექსპრეს"-ის თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა:

„ჩვენ მოგველის უდიდესი დაკვეთები, თუ აღდგენილი იქნება დიპლომატიური ურთიერთობა და მოგვარდება გრძელვადიანი კრედიტების საკითხი".

პოლონეთის მთავრობის გადადგომა

ვარშავა, 13 აპრილი. პოლონეთის დეპეშათა სააგენტო იტყობინება: „რესპუბლიკის პრეზიდენტმა მიიღო ბარტელის კაბინეტის განცხადება გადადგომის შესახებ და ახალი კაბინეტის შედგენა დაავალა დოქტორ კაზიმირ სვიტალსკის (კაზიმირ სვიტალსკის ბარტელის კაბინეტში ეჭირა განათლების მინისტრის პოსტი). (დას).

საბჭოთა კავშირი და გერმანია

კონვენცია ძალაში შევიდა

ბერლინი, 12 აპრილი. ვოლფის სააგენტო იუწყება: საგარეო სამინისტროში შტრეზემანმა და კრესტინსკიმ ერთმანეთს სიგელები გადასცეს მოსკოვში დადებული იმ კონვენციის რატიფიკაციისათვის, რომელიც შეეხება საქმეების შეთანხმებით გარჩევას. ამგვარად, კონვენცია ძალაში შევიდა. (ადს).

გერმანიის კომპარტიის ცეკას მოწოდება

ბერლინი, 12 აპრილი. გერმანიის კომპარტიის ც. კ.-მა 1 მაისის გამო გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიაც ნათქვამია: სოციალ-დემოკრატების ნაქადაგევმა „დემოკრატიულმა გზამ" გამოიწვია რევოლიუციის დროს დაპყრობილ პროლეტარულ მონაპოვართა მოსპობა, რვა საათის სამუშაო დღის გაუქმება და კაპიტალის ბატონობის გამწვავება. მოწოდება ახასიათებს სოციალ-დემოკრატიის საერთო როლს და ამბობს:

„ბურჟუაზიული დემოკრატიის გზას მივყევართ ფაშიზმისა და ომისაკენ. სოც.-დემოკრატია არის მუშათა კლასის მთავარი მტერი, გერმანიის ბურჟუაზიის საუკეთესო დამცველი ჯარი და მკვეთრი იარაღი ფაშიზმისა და იმპერიალიზმის ხელში. საბჭოთა კავშირი და მისი წითელი არმია მშვიდობიანობის ერთად-ერთი ყავარჯენია".

დასასრულ, მოწოდება მიმართავს მუშებს, რომ, მიუხედავად დემონსტრაციის აკრძალვისა, 1 მაისს მოახდინონ დემონსტრაცია კომპარტიის ლოზუნგებით. (ადს).

უნიტარული პროფკავშირების დევნა რუმინეთში

ვენა, 13 აპრილი. ბუქარესტიდან გადმოცემული ცნობების თანახმად, უნიტარული პროფკავშირებისა და მუშურ-გლეხური ბლოკის სადგომების დაბეჭდვა მთელს რუმინეთში უნიტარულ პროფმოძრაობაზე ფართოდ შეტევის დაწყებას წარმოადგენს. შინაგან საქმეთა მინისტრმა ვაიდა ვოევოდმა წინადადება მისცა სასამართლოს ორგანოებს—დახურონ ყველგან უნიტარული პროფკავშირები და მოახდინონ მათი სადგომის კონფისკაცია, რადგან „უნიტარული პროფკავშირები ანტისახელმწიფოებრივ მუშაობას ანვითარებენ".

ხელისუფლების ორგანოებმა მიიღეს საგანგებო ზომები მუშურ-გლეხური ბლოკისა და უნიტარული პროფკავშირების იმ გადაწყვეტილების გამო, რომელიც შეეხება 14 აპრილს მასიურ საპროტესტო დემონსტრაციის მოწყობას.

ტემეშვარში ფაქტიურად საალყო წესებია განხორციელებული, რადგან ბევრ ქარხანაში გაფიცვებია გამოცხადებული, ამ ქარხნებს სამხედრო ნაწილები იცავენ. ქალაქში მოძრაობა ადრე წყდება. ქუჩებს გაძლიერებული პატრულები იცავენ (ადს).

ვენა, 13 აპრილი. სემგრადის გაზეთების ცნობით, რუმინეთის უნიტარულ (რევოლიუციონურ) პროფკავშირთა საბჭომ გამოაქვეყნა პროტესტი იმის წინააღმდეგ, რომ 7 აპრილს ტემეშვარში სროლა აუტეხეს პროფკავშირების სახლს, აგრეთვე იმ განკარგულების წინააღმდეგ, რომელიც შეეხება უნიტარულ პროფკავშირების დახურვას. მოწოდება ამხელს ოფიციოზური ცნობების სიყალბეს, ვითომ პირველად მუშებმა ასტეხეს სროლა, და აღნიშნავს, რომ ჯარისკაცები სროლის დროს თვით ჯარმა დასჭრაო. ჯარისკაცებმა გაანადგურეს სახლის მთელი მოწყობილობა. დაპატიმრებულებს ძალზე სცემეს. (ადს).

მოწოდება ნაციონალური თავდაცვის გვარდიის მოსაწყობად

ვენა, 12 აპრილი. რუმინულმა ლიბერალურმა პრესამ გააძლიერა იერიში კომუნისტური მოძრაობის წინააღმდეგ. ამავე დროს იგი თავს ესხმის მთავრობას. გაზეთები „ვიტორულ"-ი და „უნივერსულ"-ი ბრალსა სდებენ მთავრობას, რომ მან დაუშვა კომუნისტური მოძრაობის გაზრდა, თუმცა „იცოდა, რომ ამ მოძრაობას ხელს უწყობდნენ მოსკოვიდან". გაზეთები უსაყვედურებენ ხელისუფლების წარმომადგენლებს იმისათვის, რომ ტემეშვარში დაუდევრობა გამოიჩინეს. გაზეთების სიტყვით უნიტარული პროფკავშირების ყრილობა უნდა დაეხურათ მაშინვე, როგორც კი გამოირკვა, რომ სხდომის დარბაზი მორთული იყო წითელი დროშებით და ლენინის სურათით. გაზეთები მოუწოდებენ მთავრობას—ერთხელ და სამუდამოდ მოუღოს ბოლო კომუნისტებს.

გაზეთი „უნივერსულ"-ი (წერილში—„რუმინელებო, გამოიღვიძეთ") მოუწოდებს ნაციონალისტურ ბურჟუაზიულ მოსახლეობას—მოაწყოს ნაციონალური თავდაცვის სამოქალაქო გვარდია.

უნგრეთიდან მიღებული ცნობების თანახმად ლიბერალების ამ მოწოდებას მთავრობაც გამოეხმაურა. მთავრობა მოუწოდებს ნაციონალურ-გლეხური და მთავრობის პარტიების ორგანიზაციებს მოაწყონ სამოქალაქო გვარდიები. (ადს).

რუმინეთის მთავრობა მასიურ პროცესს ამზადებს

ვენა, 12 აპრილი. როგორც ბუქარესტის გაზეთები იუწყებიან, მარტო სამხედრო საპატიმროში ტემეშვარში ამჟამად იმყოფება 7 აპრილს დაპატიმრებული 43 მუშა. ამათში არიან უნიტარული პროფკავშირის ახალი საბჭოს და მუშურ-გლეხური ბლოკის წევრები, არიან უნიტარულ პროფკავშირების პროვინციალური ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკებიც.

რუმინეთის მთავრობა ამზადებს მასიურ პროცესს. **დაპატიმრებულთ აბრალებენ ანტი-სახელმწიფოებრივ მუშაობას, ამბოხებას და ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევას. 15 დაპატიმრებულს ბრალდება ჯარისკაცებისა და ჟანდარმების მკვლელობა. დაპატიმრებულებმა შიმშილობა გამოაცხადეს.**

უნიტარული პროფკავშირების საბჭოს ახალი თავმჯდომარე გროფუ მუცელში დასჭრეს. მიუხედავად ამისა, მას ძალზე სცემეს. უნგრეთის გაზეთების ცნობით, გროფუ გარდაიცვალა (ადს).

ხელშეკრულება ინგლისის ფირმასთან

სურათების საერთო დადგმისა და გაქირავების შესახებ

მოსკოვი 13 აპრილი. „მეჟრაბპომფილმ"-ისა და სააქციო საზოგადოების „პრომეთეუს"-ის გამგეობებმა ინგლისურ ფირმა „ბრიტიშ ფოტო-ტონ"-თან დასდეს ხელშეკრულება სხვადასხვა სურათების საერთო დადგმისა და გაქირავების შესახებ, აგრეთვე მოსკოვისა და ლენინგრადის კინო-თეატრებისათვის ხმისგამომცემი ფილმების აპარატების მიწოდების შესახებ. „მეჟრაბპომფილმ"-ი და „პრომეთეუს"-ი უკვე შეუდგნენ იმ დადგმების მომზადებას, რომლებსაც მოსკოვში და ლენინგრადში მოელიან მაისის შუა რიცხვებში. ფირმა „ბრიტიშ ფოტო-ტონ"-მა „ფრანსკ ფოტოტონ"-თან (პარიზი) ერთად მოაწყო ევროპის სინდიკატი ხმისგამომცემი ფილმების გამოსაშვებად. სინდიკატის კაპიტალი 300 მილიონ მარკას უდრის. „ბრიტიშ ფოტოტონ"-ი საერთო დადგმების დროს ვალიუტით შეიტანს სურათის ღირებულების ნახევარს და თავის სასარგებლოდ ღებულობს ინგლისში და კოლონიებში გაქირავებული სურათების შემოსავალს. საბჭოთა კავშირში და გერმანიაში გაქირავებული სურათების შემოსავალი ეკუთვნის „მეჟრაბპომფილმ"-ს და „პრომეთეუს"-ს. დანარჩენ ქვეყნებში გაქირავებული სურათების შემოსავალი შუაზე გაიყოფა. განზრახულ დადგმებისთვის „ბრიტიშ ფოტო-ტონ"-ი შეიტანს 250.000 დოლარს. (ადს).

პოლიცია „ემზადება" 1-ლი მაისისათვის

ბერლინი, 12 აპრილი. ბერლინის პოლიცეი-პრეზიდენტმა ცერგიბელმა პრუსიის შინაგან საქმეთა მინისტრთან, სოციალ-დემოკრატ გრჟეზინსკისთან ერთად შეიმუშავა გეგმა პირველ მაისის დემონსტრაციების წინააღმდეგ.

„როტე ფანე"-ს ცნობებით, ბერლინის პოლიცია ძლიერდება სხვა ადგილების პოლიციელთა რაზმებით. რაზმები სდგება ჩამორჩენილი სოფლების მცხოვრებთაგან, რომლებიც „უფრო საიმედონი" არიან. ქალაქის თავზე იფრენენ აეროპლანები, რომლებიც რადიოთი შეატყობინებენ სათანადო ორგანოებს ყოველგვარი „თავმოყრის" ამბებს. ამგვარად, ცერგიბელის გეგმით, ბერლინი 1 მაისს გადაიქცევა სამხედრო მოქმედებათა სარბიელად. (ადს).

ინგლისის იმპერიალიზმის თარეში ინდოეთში

„მორნინგ პოსტი"-ს რჩევა

ლონდონი, 12 აპრილი. რეაქციონური „მორნინგ პოსტ"-ი ეხება ინდოეთში არსებულ მდგომარეობას და მოითხოვს, რომ ინგლისმა „მოსპოს ორმთავრობა ინდოეთში და შეუდგეს იმ მოვალეობათა ასრულებას, რომლებსაც ინგლისს აკისრებს მისი საპასუხისმგებლო მდგომარეობა ინდოეთში". (ადს)

ინგლისის მეფის ეპისტოლე

ლონდონი, 12 აპრილი. რეიტერის სააგენტო იუწყება:

„ნიუ-დელში მიღებულ იქნა მიმართვა ინგლისის მეფისა, რომელიც აღშფოთებას გამოსთქვამს საკანონმდებლო კრების დარბაზში ყუმბარის გადაგდების გამო და თანაგრძნობას უცხადებს დაზარალებულებს. (ადს)

ბრძანება „საჭირო ცვლილებების" შესატანად რეგლამენტში

ლონდონი, 12 აპრილი. რეიტერის სააგენტო დელიდან იუწყება:

„ინდოეთის მეფის ნაცვალმა სიტყვა წარმოსთქვა ინდოეთის საკანონმდებლო კრებასა და სახელმწიფო საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე. მეფის ნაცვალმა განაცხადა: რადგან საკანონმდებლო კრების თავმჯდომარემ პატელმა დღის წესრიგიდან მოხსნა კანონპროექტი საზოგადოებრივი უშიშროების შესახებ, მე გამოვცემ ბრძანებას, რომელიც რეგლამენტში შეიტანს საჭირო ცვლილებებს. ეს ცვლილებანი მომავალში უზრუნველჰყოფენ იმას, რომ საქმიანი მუშაობა აღარ ჩაიშალოს". (ადს)

ინგლისის კომპარტიის პროტესტი

ლონდონი, 12 აპრილი. ინგლისის კომპარტიამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც იგი პროტესტს აცხადებს რეაქციონური პრესის კამპანიის გამო. ეს პრესა სცდილობს ინდოეთის კომპარტიის მომხრეებს დააკისროს პასუხისმგებლობა ყუმბარის გადაგდებისთვის ინდოეთის საკანონმდებლო კრებაში. ინგლისის კომპარტია აღნიშნავს—კომინტერნმა არა ერთხელ გამოაცხადა, რომ იგი უარყოფით უყურებს ინდივიდუალური ტერორის მეთოდებს. ცილისწამების კამპანია, რომელიც რეაქციონურმა პრესამ დაიწყო კომპარტიის წინააღმდეგ, ორგვარ მიზანს ისახავს: შექმნას ხელსაყრელი ატმოსფერა მირუტში (ინდოეთი) მომხდარი შეთქმულების მომავალი პროცესისათვის, გამოიწვიოს მძულვარება საბჭოთა კავშირის მიმართ და ამით გაადვილოს იმპერიალისტური ომის მომზადება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. (ადს)

რეპარაციების საკითხი

გერმანიის სამხედრო ვალის საბოლოო თანხა

პარიზი, 12 აპრილი. „ჟურნალ"-ის ცნობით, კრედიტორ-სახელმწიფოების ექსპერტებმა განსაზღვრეს გერმანიის სამხედრო ვალის საბოლოო თანხა. ეს თანხა უდრის 50 მილიარდ ოქროს მარკას (ადს).

სარეპარაციო გადასახადების თანხა

პარიზი, 12 აპრილი. გაზეთების ცნობით, მოკავშირეები შეთანხმდნენ სარეპარაციო თანხის რაოდენობის შესახებ. ეს შეთანხმება მოიწონა სარეპარაციო საკითხის ექსპერტთა კონფერენციის თავმჯდომარემ ოუენ იუნგმა.

სარეპარაციო თანხის შეთანხმება განისაზღვრება 38 მილიარდი მარკის რაოდენობით; აქედან 12 მილიარდი მოხდება სარეპარაციო პრეტენზიების დაკმაყოფილებას, ხოლო 26 მილიარდი მოკავშირეთა შორის ანგარიშების გასწორებას. 38 მილიარდი მარკა გადახდილ უნდა იქნას 59 წლის განმავლობაში. ამბობენ, რომ პირველი წლიური გადასახადი უდრის 1.750.000.000 მარკას

უკანასკნელი ცნობები

ცვლილებები გერმანიის მთავრობაში

ბერლინი, 13 აპრილი. ვოლფის სააგენტო იუწყება: „რესპუბლიკის პრეზიდენტმა მიიღო იუსტიციის მინისტრის დემოკრატ კოხის განცხადება გადადგომის შესახებ და მის მაგიერ დანიშნა ფონ-გერარდი (ცენტრის პარტიიდან). გზათა მინისტრად დანიშნულია შტეგერვალდი, დაპყრობილ ოლქების მინისტრად—ვირტი (ორივე ცენტრის პარტიიდან)". (ადს).

საბჭოთა დელეგაცია ჩავიდა ჟენევაში

ჟენევა, 13 აპრილი. განიარაღების კონფერენციის მომამზადებელი კომისიის საბჭოთა დელეგაცია მთელი შემადგენლობით, ლუნაჩარსკის გამოკლებით, ჩამოვიდა ჟენევაში. ლუნაჩარსკი ჟენევაში ჩამოვა ორი დღის შემდეგ. (ადს).

გრაფ გოტოს სიკვდილი

ტოკიო, 13 აპრილი. სიმბუნ რენგოს სააგენტო იტყობინება, რომ გრაფი გოტო გარდაიცვალა 13 აპრილს. პრესა აღნიშნავს განსვენებულის დიდ სახელმწიფოებრივ დამსახურებას და განსაკუთრებით მის დამსახურებას იაპონია-საბჭოთა ურთიერთობის დარგში. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა იაპონიაში — ტროიანოვსკიმ განსვენებულის ოჯახობას სამძიმარი გამოუცხადა. (ადს).

მეზღვაურების დაღუპვა

ბაქო, 13 აპრილი. ბარკასმა „ვიდრამ", რომელიც გასულ იიყო ზღვაში ქარიშხალის მიერ გატაცებულ მეთევზეთა საძებრად, ღია ზღვაში იპოვა ნავი ექვსი მკვდარი მეზღვაურით. დანარჩენების ბედი გამოურკვეველია. ზღვაში გატაცებულ მენავეთ, როგორც ეტყობა, მოუხერხებიათ ღუზის დამაგრება, მაგრამ ნავი გავსებულა წყალით. აზერბეიჯანის შრომის სახ. კომისარიატი იკვლევს მეთევზეთათვის დახმარების აღმოჩენის დაგვიანების მიზეზს (ადს).

საბჭოთა გემი „დონ-" არ დაღუპულა

მოსკოვი, 13 აპრილი. როგორც საბჭოთა სავაჭრო ფლოტი იუწყება, საბჭოთა გემი „დონ"-ი, რომლის შესახებაც იტალიის გაზეთები გადმოგვცემდნენ — ადრიატიკის ზღვაში დაიღუპაო, განაგრძობს თავის ჩვეულებრივ რეისს შავ და ადრიატიკის ზღვებს შუა. ადრიატიკის ზღვაში დაიღუპა სამხრეთ-სლავიის იალქნიანი ნავი (ადს).

მოითხოვენ ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის გამოშვებას

ჟიტომირი, 13 აპრილი. „სილმაშ"-ის ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა დაადგინეს—სთხოვონ მთავრობას ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის სასწრაფოდ გამოშვება (ადს).

მდგომარეობა ჩინეთში

თათბირი მუკდენში

ხარბინი, 12 აპრილი. მუკდენში სწარმოებს ჩრდილოეთ-აღმოსავლეთი პროვინციების ხელისუფალთა თათბირი აღმოსავლეთის სამი პროვინციის განსაკუთრებული რაიონის წარმომადგენელთა მონაწილეობით.

თათბირი მხარს უჭერს ნეიტრალიტეტის დაცვას, თუ სამოქალაქო ომი ასტყდა. ჩრდილოეთ-აღმოსავლეთი პროვინციების ტერიტორიის მთლიანობის დასაცავად, თუ ვინიცობაა მათ საზღვარს მიადგებიან სხვა პროვინციების ჯარები, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის ძალებმა შესაფერი ზომები უნდა მიიღონ.

თათბირმა დაადგინა: მუკდენის არსენალმა იარაღი არ უნდა მიაწოდოს არც ერთ ჯგუფს. **თათბირის დადგენილებანი აშკარა გათიშვას ჰქმნიან ნანკინთან.** (ადს).

დივიზიების გადაჯგუფება

პეიპინი, 12 აპრილი. იაპონიის დეპეშათა სააგენტოს „ნიპონ დემპო"-ს ცნობით, გენერალ ლიუ-ჩენ-ჟუას (ფინ იუი-სიანის მომხრეა) მე-19 და მე-20 დივიზიები, რომელნიც ხუბეის პროვინციის სამხრეთ ნაწილში იყვნენ დაბანაკებულნი, შანდუნის პროვინციისაკენ გაემართნენ.

გენერალ ფან-ჩო-ნუს (ნაციონალური მთავრობის მიერ დანიშნულია ძინანის გარნიზონის უფროსად) მე-44 დივიზიამ, გენერალ ზაო გა-ნას მეთაურობით, ტიანძინზე გაიარა. დივიზია დეჯოუში მიემგზავრება (მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტია ხუბეისა და შანდუნის საზღვარზე). (ადს).

ბრძოლა ცინდაოსათვის

პეიპინი, 12 აპრილი. შანდუნის პროვინციალურმა მთავრობამ, რომელიც ტაი-ანოში იმყოფება, წინადადება მისცა ფინ იუი-სიანის მომხრე ლიუ ჩი-ლუნს—მიიღოს ცინდაოს მერის თანამდებობა. ლიუ ჩი-ლუნი ძინანში ჩავიდა.

ამავე დროს იაპონიის ხელისუფლების წარმომადგენლებისაგან შანდუნის პროვინციის მიმღებმა ჩინელთა კომისიამ დეპეშა მიიღო ჩენ ჩუნ-ფუსაგან. დეპეშაში ჩენ ჩუნ-ფუ იუწყება, რომ ნაციონალურმა მთავრობამ უბრძანა მას—მიიღოს ცინდაო თავის გამგებლობაში.

ინგლისური ორგანო „პეკინ ენდ ტიანძინ ტაიმს"-ი სინანულს გამოსთქვამს ამ გარემოების გამო, მით უმეტეს, რომ ნაციონალური მთავრობის წარმომადგენელი უკვე ჩავიდა ცინდაოში. მისი მიზანი იყო ფინ იუი-სიანის მიერ დანიშნულ ლიუ ჩი-ლუნზე ადრე ჩასულიყო. პასუხისმგებლობის დანაწილება ასეთ კრიტიკულ მომენტში, გაზეთის აზრით, ჰქმნის შანდუნში ისეთს პირობებს, რომლებსაც შეიძლება მძიმე შედეგები მოჰყვეს. (ადს).

საყვედურის გამოცხადება საქ. სამთამადნო მუშათა კავშირის ცენტ. გამგეობისათვის

მოსკოვი, 13 აპრილი. სამთამადნო მუშათა პროფესიონალური კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა საყვედური გამოუცხადა საქართველოს სამთამადნო მუშათა კავშირის ცენტრალურ გამგეობას, რომელმაც დაარღვია ფინანსიური დისციპლინა (აძლევდა წევრებს ფულად ავანსებს და სესხებს). ცენტრალურ გამგეობას წინადადება მიეცა მთელი დავალიანება დაფაროს სამი თვის განმავლობაში და მოსპოს ავანსებისა და სესხების გაცემა როგორც თანამშრომლებზე, ისე სხვა პირებზედაც. ამ განკარგულების შეუსრულებლობაში დამნაშავენი პასუხს აგებენ პირადი ქონებით. (ადს).

პრუსიის ეკონომიური დელეგაცია ამხ. მიქოიანთან

მოსკოვი, 13 აპრილი. აღმოსავლეთ პრუსიის ეკონომიური დელეგაცია მიიღო **ამხ. მიქოიანმა**. დელეგაციის მეთაურმა **ზირმა** მადლობა უძღვნა ამხ. მიქოიანს იმ მიღებისათვის, რომელიც აღმოუჩინეს დელეგაციას საბჭოთა კავშირის სამეურნეო ორგანიზაციებმა. ამხ. მიქოიანმა აღნიშნა, რომ სათანადო პირობებში და, თუ ადგილი ექნება ორივე მხარის სურვილს, აღმოსავლეთ პრუსია შესძლებს თვალსაჩინო ადგილი დაიჭიროს გერმანია-საბჭოთა კავშირის ვაჭრობაში (ადს).

მოსკოვი, 13 აპრილი. აღმოსავლეთ პრუსიის ეკონომიური დელეგაცია ეწვია საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატს. დელეგაცია მიიღეს კოლეგიის წევრმა შლეიფერმა და კომისარიატის მუშაკებმა. განხილულ იქნა საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ პრუსიას შორის ეკონომიური ურთიერთობის საკითხები. ამხ. შლეიფერმა უპასუხა ყველა კითხვაზე და აღნიშნა, რომ დელეგაციის მიერ წამოყენებული საკითხების კონკრეტიზაცია უნდა მოხდეს აღმოსავლეთ პრუსიისა და ბერლინის სავაჭრო წარმომადგენლებს შორის აზრთა გაცვლა-გამოცვლის ნიადაგზე (ადს).

სომხეთის ცაკის პირველი სესია

ერევანი, 13 აპრილი. შესდგა მეექვსე მოწვევის ახლად არჩეული ცაკის პირველი სესია. სესიის დღის წესრიგში სდგას მთავრობის არჩევნები. სესიამ ერთხმად აირჩია ცაკის პრეზიდიუმი 15 კაცის შემადგენლობით. პრეზიდიუმში შედიან: ამხ. კასიანი (ცაკის თავმჯდომარე), აზატიანი (ცაკის თავმჯდომარის მოადგილე), დაშტოიანი (მდივანი), კოსტანიანი ჰაიკაზი, ხანჯიანი, მანდალიანი, ანესოვლიანი, მრავიანი, აივაზიანი, ტარახჩიანი, ალი ტაგი-ზადე, ოვსეპიანი არმენაკი, არუთინიანი, კარაპეტიანი, გრიგორიანი და სამი კანდიდატი: ამხ. ავაქიანი, ჩალიანი მუშეგი და გალოიანი.

სახალხო კომისართა საბჭოში შევიდნენ: ამხ. **ტერ-გაბრიელიანი**—სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე, **მრავიანი**—სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და განათლების სახალხო კომისარი, **საკიანი**—სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე, **სარქისიანი**—მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარი, **ერზინკიანი**—მიწათმოქმედების სახალხო კომისარი, **ჩალიანი მიქაელ**—ფინანსთა სახალხო კომისარი, **ყარდაშიანი**—ჯანმრთელობის სახალხო კომისარი, **ოვსეპიანი არმენაკი**—იუსტიც. სახ. კომისარი, **ვართანიანი**—შრომის სახალხო კომისარი, **ალი ტაგი-ზადე**—სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარი, **მარქარიანი**—შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი და სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს უფროსი, **ოვსეპიანი ვაჰანი**— სტატისტიკის ცენტრალური სამმართველოს უფროსი, **მელქუმიანი**—ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებული, **ოვანესიანი**—ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის რწმუნებული. (ადს)

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

რატომ არ არის დღემდე დასრულებული საკავშირო ბიუჯეტის შედგენა

მოსკოვი, 14 აპრ. გაზეთი „ეკონომიჩესკაია ჟიზნ"-ის დღევანდელ ნომერში მოთავსებულია წერილი ასეთი სათაურით: „რატომ არ არის დღემდე დაბეჭდილი 1928—29 წლის საკავშირო ბიუჯეტი?" გაზეთი აღნიშნავს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის გამოშვების შეფერხება გამოწვეულია უმთავრესად ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის დაუდევრობით.

მიუხედავად იმისა, —სწერს გაზეთი, —რომ საკავშირო ფინანსთა სახალხო კომისარიატმა არა ერთხელ მიმართა თხოვნით ამიერ-კავკასიის ფინსახკომს, რომ ამ უკანასკნელს დაეჩქარებინა ცნობების მიწოდება ბიუჯეტის შესახებ, ეს თხოვნა დღემდეც არ არის დაკმაყოფილებული. გარდა ასეთი სპეციალური ღონისძიებებისა, საკავშირო ფინანსთა სახალხო კომისარიატმა ჯერ კიდევ წარსული წლის 15 დეკემბერს დაუგზავნა მიწერილობა ყველა მოკავშირე რესპუბლიკების და მათ შორის, რა თქმა უნდა, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის ფინსახკომსაც იმის შესახებ, რომ გადმოეგზავნათ 15 იანვრამდე ბიუჯეტის შედგენისათვის საჭირო ცნობები. ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატი შეჰპირდა საკავშირო ფინსახკომს ცნობების მიწოდებას 1 მარტისათვის. ამ ვადას გადასცილდა ერთი კვირა, დაპირება კი შესრულებული არ იქნა. საკავშირო ფინსახკომმა 8 მარტს გაუგზავნა ახალი შეკითხვა ამიერ-კავკასიის ფინსახკომს. პასუხად მიღებულ იქნა შემდეგი: ცნობებს გადმოგიგზავნით უახლოესი დღეების განმავლობაშიო. მიუხედავად ამისა, 1 აპრილს ამიერ-კავკასიის ფინსახკომის დაპირება მაინც არ იყო შესრულებული. საკავშირო ფინსახკომი ამის გამო მესამედ შეეკითხა პირადად ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარს,—რა ზომებს ღებულობთ საბიუჯეტო ცნობების მოსაწოდებლადო. მაგრამ 10 აპრილამდე საკავშირო ფინსახკომს ამ შეკითხვაზე პასუხი არ მიუღია.

ქართველ მესპირტეთა პროცესი

მოსკოვი, 14 აპრ. ამ დღეებში აქ ჩატარდა საყურადღებო პროცესი. მოსკოვის საგუბერნიო სასამართლომ ელექტრო-სადგურის („მოგეს") მუშა-მოსამსახურეთა კლუბის დიდ დარბაზში, საჯაროთ გაარჩია ქართველ მესპირტეთა და მექრთამე ელექტრო-მანტიორის საქმე. პროცესს აუარება ხალხი ესწრებოდა.

საქმის შინაარსი ასეთია: სასადილო „პომორ"-ის მეპატრონე სალუქვაძემ შეაძლია ქრთამი ელექტრო-მანტიორ სიჩოვს, რომელიც მივიდა მის სასადილოში დახარჯული ელექტრო-ენერგიის აღსარიცხავათ. ელექტრო-მანტიორმა აიღო ქრთამი და განზრახ დააზიანა ელექტრო-ენერგიის აღმრიცხავი. გარდა ამისა სიჩოვი, ყოველთვის აღნიშნავდა სასადილოს საანგარიშო წიგნაკში გაცილებით იმაზე ნაკლები რაოდენობის ენერგიას, რამდენიც ნამდვილად იყო დახარჯული.

სალუქვაძის მაგალითს წაბაძეს სასადილო „ლუნა"-ს და სასადილო „სკალა"-ს მეპატრონეებმაც გიორგობიანმა, და გიორგაძემ. რესტორატორი მესპირტენი ქრთამად აძლევდნენ სიჩოვს არაყს და ფულს. ეს ბოროტმოქმედება გრძელდებოდა შეუმჩნევლად ოთხი წლის განმავლობაში, რითაც ელექტრო-სადგურმა იზარალა 13.000 მანეთი.

სასამართლომ სიჩოვს მიუსაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით, სალუქვაძეს ხუთი წლით, გიორგობიანს და გიორგაძეს ორ-ორი წლით თავისუფლების აღკვეთა.

პარტია და საბჭოები ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში

გამოქვეყნდა ამხ. იაკოვლევის მოხსენების („ბიუროკრატიზმთან ბრძოლის შედეგები და უახლოესი ამოცანები") თეზისები მე-16 საკავშირო პარტკონფერენციისათვის. ამ თეზისებს უდიდესი პოლიტიკური და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს პარტიისა და საბჭოების მთელი მუშაობისათვის ისეთ მნიშვნელოვან საქმეში, როგორიც არის ბრძოლა სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებისათვის და ამ აპარატში ბიუროკრატიზმის აღმოფხვრისათვის.

ამ თეზისების მნიშვნელობა გვავალებს, რომ ისინი გულდასმით შეისწავლოს პარტიის ყოველმა წევრმა, საბჭოების ყოველმა მუშაკმა, ყოველმა მუშამ და მშრომელმა გლეხმა.

მე-16 პარტკონფერენციაზე განხილვისა და დამტკიცების შემდეგ ეს თეზისები პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებისათვის უნდა გადაიქცნენ მკაფიო კატეგორიულ დირექტივად მთელი იმ მუშაობის გაძლიერებისა და გაუმჯობესებისათვის, რომელიც სწარმოებს სახელმწიფო აპარატის გადასაკეთებლად, მის გასამარტივებლად და გასაიაფებლად, და ამ მუშაობაში მუშათა და გლეხთა ფართო მასების ჩაბმისათვის.

ბიუროკრატიზმთან ბრძოლის საკითხებს ამ უკანასკნელ დროს პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს. კერძოთ, ასეთი ყურადღება ამ საკითხებს დაეთმო პარტიის მე-15 ყრილობისა და ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებში. ეს არც არის შემთხვევითი. შემთხვევითი არ არის არც ის, რომ ბიუროკრატიზმთან ბრძოლის საკითხები მთელი სიგრძე-სიგანით დასმულია პარტიის მიერ მომავალ მე-16 პარტკონფერენციაზე. ამ საკითხების დასმა მთლიანად გამომდინარეობს იმ როლიდან, რომლის შესრულებაც შეადგენს ჩვენი აპარატის დანიშნულებას იმ ამოცანების გადაწყვეტის საქმეში, რომელნიც დაკავშირებულნი არიან მთელი სახალხო მეურნეობის სოციალისტურ რეკონსტრუქციასთან.

„ის უდიდესი ამოცანები, რომლებიც დასახულია სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმით როგორც ჩვენი ინდუსტრიის შემდგომი განვითარებისა და ახალ ტეხნიკურ ბაზისზე გადაყვანის, ისე სოფლის მეურნეობის განვითარების დაჩქარებისა და მისი სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში, არ შეიძლება გადაიჭრან იმის გარეშე, თუ ნამდვილად არ გაუმჯობესდა სახელმწიფო აპარატი, თუ არ გამარტივდა და არ გაიაფდა იგი, თუ სახელმწიფო აპარატის ყოველმა საფეხურმა მკაფიოდ არ გაიაზრა მის წინაშე მდგომი ამოცანები, თუ გადაჭრით აღმოფხვრილი არ იქნება აპარატის მოუხეშაობა, საქმის გაჭიანურება, ბიუროკრატიული შევიწროვება, ძმა-ბიჭური ურთიერთ-გამოსარჩლება, უყურადღებობა მშრომელთა საჭიროებებისადმი, თუ გადაჭრით არ განიდევნენ აპარატიდან ჩინოვნიკები, რომელნიც კაპიტალისტურ და კულაკურ ელემენტებს უკავშირდებიან, ან მოკლებულნი არიან იმის უნარს, რომ წინააღმდეგობა გაუწიონ პროლეტარიატის წინააღმდეგ მიმართული კულაკურ ნეპმანური შემოტევის ცდებს, თუ აღმოფხვრილი არ იქნება მმართველობის ისეთი დრომოჭმული ფორმები, რომლებიც საბჭოთა ქვეყნის მოთხოვნილებებს ვერ აკმაყოფილებენ". ყოველივე ამით აიხსნება ის, რომ ბრძოლა ბიუროკრატიზმთან, ბრძოლა აპარატის გამარტივებისა და გაიაფებისათვის და მის მასებთან დაახლოვებისათვის თეზისებში განსაზღვრულია, როგორც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ამოცანა.

ამ საქმეში ახალი ამოცანების დასახვა ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დავეყრდნობით იმ მიღწევათა ანალიზს, რომლებიც უკვე გვაქვს. ეს იმისათვის არის საჭირო, რომ შევამოწმოთ იმ მეთოდების სისწორე, რომლების საშუალებითაც ვაწარმოებთ ბრძოლას ბიუროკრატიზმთან და სახელმწიფო აპარატის გასაუმჯობესებლად. ამ მხრივ ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ უეჭველად დიდი მიღწევები, რომელნიც გამოხატულებას პოულობენ გაშლილ თვითკრიტიკაში, საწარმოო თათბირების და საბჭოების სექციების მუშაობის გაუმჯობესებაში, მუშათა და გლეხთა ინსპექციის მასიური მუშაობის განვითარებაში, თვალსაჩინო ეკონომიის მიღებაში ადმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯების შემცირებისა და აპარატის შემოკლების გამო და სხვ. ყველა ეს წარმატება მოწმობს იმას, რომ პარტია სწორი მეთოდებით, ლენინურად, არა სიტყვით, არამედ საქმით აწარმოებს ბრძოლას ბიუროკრატიზმთან. ამასთან ერთად ეს მიღწევები განხილულ უნდა იქნან, როგორც მხოლოდ დასაწყისი იმ უდიდესი მუშაობისა, რომელიც კიდევ უნდა ჩავატაროთ სახელმწიფო აპარატის გასაუმჯობესებლად.

უმნიშვნელოვანეს ამოცანად თეზისები პირველ რიგში სავსებით სწორად სახავენ პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ყველა დირექტივის ფაქტიური შესრულების შემოწმების საკითხებს. სახელმწიფო აპარატის მუშაობის ამ მხარესთან გაცნობა ცხადჰყოფს, რომ დირექტივებისა და დადგენილებების ფაქტიური შესრულების საქმე წარმოადგენს ჩვენი სახელმწიფო აპარატის ერთ-ერთ ყველაზე უფრო სუსტ ადგილს. ხშირად ხდება, რომ საუკეთესო გადაწყვეტილებანი, რეზოლიუციები და დადგენილებები მხოლოდ ქაღალდზე რჩებიან. მეორეს მხრივ, ხშირად ხდება ისიც, რომ პარტიული და საბჭოთა დირექტივების განხორციელების დროს ამ დირექტივებს ისე ამახინჯებენ, რომ მიღებული შედეგი სრულებით ეწინააღმდეგება იმას, რაც მათში იყო დასახული. მაგალითისათვის შეიძლება დასახელებულ იქნას თუნდაც კანონი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ. ყველამ იცის, თუ რა როლს თამაშობს ეს კანონი მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცებისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის სტიმულის მიცემის საქმეში. ყველამ იცის აგრეთვე ის, რომ ამ მხრივ განსაკუთრებით დიდ როლს თამაშობს ახალი კანონი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ, განსაკუთრებით ამჟამად, როდესაც სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და მისი რეკონსტრუქციის პრობლემა დაისახა ჩვენს წინაშე, როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა. ამავე დროს კი ამ კანონის განხორციელების პრაქტიკაში უხვად აქვს ადგილი ისეთ დამახინჯებებს, რომ თუ ეხლავე არ მიექცა ყურადღება ახალი კანონის სწორად გაგებასა და გატარებას, წინდაწინვე შეგვიძლია გავითვალისწინოთ ის დამახინჯებანი, რომლებსაც ადგილი ექნება ამ კანონის განხორციელების დროს. ამით ჩაშლის საფრთხის წინაშე დადგება ახალი კანონის ძირითადი იდეა—მუშათა კლასისა და ღარიბი გლეხობის კავშირის განმტკიცება საშუალო გლეხობასთან საშუალო გლეხის საგადასახადო ტვირთის შემსუბუქების ნიადაგზე, ინდივიდუალურ მეურნეობათა განვითარებისა და მათი კოლექტივიზაციის ყოველნაირად წახალისების მიზნით, და ამავე დროს კულაკური ელემენტების უფრო ძლიერ დაბეგვრა.

თავის თავად იგულისხმება, რომ სახელმწიფო აპარატის მკაფიო შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფა, პარტიულ და საბჭოთა დირექტივების თავის დროზე და სწორად განხორციელების უზრუნველყოფა შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ სახელმწიფო აპარატის პირადი შემადგენლობა მის წინაშე მდგომი ამოცანების შესაფერი იქნება. ამიტომაც სახელმწიფო აპარატის პირადი შემადგენლობის გაუმჯობესების ამოცანა თეზისებში დასახულია უმნიშვნელოვანეს მორიგ ამოცანად. აქ უმთავრესად ყურადღება უეჭველად ექცევა საბჭოთა აპარატის გაწმენდას „იმ გახრწნილ ელემენტებისაგან, რომელნიც ამახინჯებენ საბჭოთა კანონებს, უკავშირდებიან კულაკსა და ნეპმანს, ხელს უშლიან საქმის გაჭიანურებასთან ბრძოლას და მფარველობას უწევენ საქმის გაჭიანურებას, მედიდურად, ჩინოვნიკურად, და ბიუროკრატიულად ეპყრობიან მშრომელთა საარსებო საჭიროებებს; აპარატის გაწმენდას მფლანგველებისა, მექრთამეებისა, საბოტაჟის გამწევებისა, მავნებლებისა და ზარმაცებისაგან". ამასთანავე საჭიროა აღინიშნოს, რომ წმენდის ჩატარება განზრახულია ამა თუ იმ მუშაკის მუშაობის ხარისხის და არა მხოლოდ კლასობრივი შთამომავლობის ნიშნების მიხედვით, ვინაიდან, როგორც თეზისები აღნიშნავენ, პარტია და საბჭოთა ხელისუფლება ძალიან აფასებს და ახალისებს ყოველ პატიოსან და კეთილსინდისიერ მუშაკს. საჭიროა აგრეთვე აღინიშნოს, რომ როგორც თეზისები ითვალისწინებენ, გადაჭრით უნდა აიკრძალოს ისეთი პირების სხვა თანამდებობაზე და სხვა დაწესებულებაში მიღება, რომელნიც დათხოვნილნი იქნებიან სახელმწიფო აპარატში მუშაობის უფლების აღკვეთით (განსაზღვრული ვადით, ან, განსაკუთრებით ბოროტი ელემენტები, სამუდამოთაც), რასაც ხელი უნდა შეუწყოს ასეთ პირთა სიების გამოქვეყნებამ საყოველთაო ცნობისათვის პრესაში.

მაგრამ სახელმწიფო აპარატის პირადი შემადგენლობის გაუმჯობესების პრობლემა მარტო წმენდით არ გადასწყდება. დათხოვნილთა ადგილები უნდა დაიჭირონ ახალმა კადრებმა, რომელნიც აღიზარდნენ ფაბრიკებსა და ქარხნებში, აგრეთვე ქვედა საფეხურის საბჭოთა მუშაობაში. ამიტომ მეორე, განსაკუთრებით მნიშვნელოვან ამოცანად თეზისები სახავენ დაწინაურების პრაქტიკის გაუმჯობესებას. საყოველთაოდ ცნობილია, რომ, მიუხედავათ პარტიის მრავალი დირექტივისა ამ საკითხზე, დაწინაურების საქმე ბევრ ადგილას მეტად ცუდად არის დაყენებული. ამიტომაც განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ის ღონისძიებანი, რომლებიც დასახულია თეზისებში დაწინაურების პრაქტიკის ნაკლთა აღმოფხვრის მიზნით, კერძოდ: დაწესებულებათა ხელმძღვანელებზე პირადი პასუხისმგებლობის დაკისრება იმისათვის, რომ მათთვის დაქვემდებარებულ აპარატში შექმნან ხელსაყრელი პირობები დაწინაურებულთა სამუშაოდ, საბჭოთა დაწესებულებების ადგილკომებს დაეკისროთ ვალდებულება—სისტემატიურად ადევნონ თვალყური დაწინაურებულთა მიღებას და შემდგომ მუშაობას, ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინონ მათ და გადამჭრელი წინააღმდეგობა გაუწიონ აპარატის ბიუროკრატიულ ელემენტებს, რომელნიც წინააღმდეგობას უწევენ დაწინაურებას, ჩრდილავენ დაწინაურებულთ და სხვ. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე იმ მითითებას, რომელიც ეძლევა სამრეწველო ოლქების პარტიულ ორგანოებს—გააძლიერონ სასოფლო-სამეურნეო ოლქებისათვის საორგანიზაციო და პოლიტიკური დახმარების გაწევა მათთვის დაწინაურებულთა კადრების მომზადებისა და მუდმივ და დროებით სამუშაოზე მუშაკების გაგზავნის საშუალებით. ამ ამოცანის გადაწყვეტა ხელს შეუწყობს სასოფლო-სამეურნეო ოლქების მიმართ პროლეტარული ხელმძღვანელობის გაძლიერებას და ოლქების მიერ მათ წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტის დაჩქარებას, განსაკუთრებით ისეთი ამოცანების გადაწყვეტას, როგორიც არის სოფლის მეურნეობის განვითარება, პურის დამზადების გაძლიერება და სხვ.

უდიდესი მნიშვნელობა აქვთ თეზისებში დასახულ იმ ღონისძიებებს, რომელთა დანიშნულებასაც შეადგენს მართვა-გამგეობის სისტემის შეფარდება ჩვენი მეურნეობის სისტემასა და სოციალისტური მშენებლობის მოთხოვნილებებთან. ისეთ ღონისძიებათა განხორციელებამ, როგორიცაა სახალხო კომისარიატებისა და სხვადასხვა ორგანიზაციების მუშაობის, მათი ურთიერთობის სისტემის გადათვალიერება, სახალხო მეურნეობისათვის ფინანსებისა და კრედიტების მიწოდების სისტემის გაუმჯობესება, მართვა-გამგეობის ტეხნიკის საქმეში ყველა მიღწევის შეთვისება აპარატის მიერ და სხვა, ყოველმხრივ უნდა შეუწყოს ხელი იმას, რომ ჩვენი აპარატი, რომელიც ამჟამად ხშირად მოუხეშავი და უმოძრავოა, მოქნილი და მოძრავი გახდეს, რის საჭიროებასაც გვიკარნახებენ ჩვენი ქვეყნის სოციალისტური რეკონსტრუქციის ამოცანები.

დასასრულ, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ბრძოლა სახელმწიფო აპარატის შემდგომი გაიაფებისათვის და აპარატში სასტიკი მომჭირნეობის რეჟიმის განხორციელებისათვის. მართალია, მთელ რიგ ღონისძიებათა გატარებით ჩვენ მოვახერხეთ 300 მილიონი მანეთით მაინც შეგვემცირებია ადმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯები, მაგრამ ეს იმის მხოლოდ მცირე ნაწილია, რის განხორციელებაც შეიძლება ამ მხრივ. მედგარი მუშაობით ადმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯების შემდგომში შემცირებისათვის, საქონლის გამტარი ქსელის შემდგომი რაციონალიზაციისათვის და სხვა შეიძლება და უნდა მიღებულ იქნას კიდევ არა ერთი ასი მილიონი მანეთის ეკონომია, ხოლო ეს დაზოგვილი თანხები მოხმარდება ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას და სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციას.

ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ ყველა ამ ამოცანის ცოტად თუ ბევრად წარმატებით გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ მთელ იმ მუშაობაში, რომელსაც აწარმოებენ პარტია და საბჭოები სახელმწიფო აპარატის გასაუმჯობესებლად და ამ აპარატში ბიუროკრატიზმის აღმოსაფხვრელად, ჩაბმულნი იქნებიან მუშათა, მშრომელ გლეხთა და საბჭოთა მოსამსახურეების ახალი მილიონიანი მასები და ამავე დროს განხორციელდება მასიური კონტროლი სახელმწიფო აპარატის მუშაობაზე.

თეზისებში დასახული ღონისძიებანი არა თუ არ უარჰყოფენ, არამედ პირდაპირ გულისხმობენ (ეს თეზისებში განსაკუთრებით ხაზგასმულია) მუშათა ინიციატივისა და თვითმოქმედების სხვადასხვა ფორმების პრაქტიკულად გამოყენებას და წახალისებას, როგორც მშენებლობისა და წარმოების გაუმჯობესების და თვითღირებულების შემცირებას, ისე მართვა-გამგეობის სისტემისა და სტრუქტურის გაუმჯობესებისა და გამარტივების საქმეში. თვითმოქმედების ისეთი ფორმები, როგორიცაა: სოციალისტური შეჯიბრების მოწყობა, კონკურსები, გამოძახებანი, მუშათა ბრიგადების გაგზავნა სოფლად და სხვა — ყოველმხრივ გამოყენებულ უნდა იქნან თეზისების მიერ წამოყენებული ამოცანების უფრო წარმატებით გადასაჭრელად.

განსაკუთრებით დიდი მოვალეობა ამ ამოცანების გადაჭრის საქმეში ეკისრება საბჭოებს და მათ სექციებს. სექციების მუშაობას გაძლიერებითა და გაუმჯობესებით და მათ მუშაობაში მშრომელთა ახალი მილიონების ჩაბმით არა თუ უნდა განვამტკიცოთ ამ მასების ის აქტივობა, რომელიც მათ საბჭოების არჩევნების პერიოდში გამოიჩინეს, არამედ ხელახლა უნდა დავრაზმოთ და საქმიანად გამოვიყენოთ იგი პარტიისა და საბჭოების ყოველდღიურ მუშაობაში ბიუროკრატიზმთან ბრძოლისა და სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესების საქმეში.

უმნიშვნელოვანეს პირობას, რომელსაც შეუძლია უზრუნველჰყოს ბიუროკრატიზმთან შემდგომი ბრძოლის ამოცანების წარმატებით გადაჭრა, წარმოადგენს „გადამჭრელი, დაუნდობელი და მტკიცე ბრძოლა ბიუროკრატიზმის ელემენტებთან თვით პარტიის შიგნით და პარტიული აპარატის შიგნით, ბიუროკრატიზმის ელემენტებთან, რომელთა წარმოშობასაც იწვევს პარტიული და საბჭოთა აპარატების გადახლართვა, პარტიის წევრთა უდიდესი რაოდენობის გადაყვანა ადმინისტრატიულ სამუშაოზე, აგრეთვე ის, რომ სახელმწიფო აპარატში მომუშავე კომუნისტების საშუალებით პარტიაზე გავლენას ახდენენ ბურჟუაზიული ინტელიგენციის და ჩინოვნიკური ელემენტები". ამ მიმართულებით დასახული ღონისძიებანი (თვითკრიტიკის შემდგომი გაშლა, შინაპარტიული დემოკრატია, პარტიული ორგანოების მხრივ საბჭოთა და სხვა ორგანიზაციების მიმართ ხელმძღვანელობის გაუმჯობესება და სხვა) წარმოადგენენ საუკეთესო პასუხს მემარჯვენე უკლონისტების მიმართ, რომელნიც ამ მხრივ, სავსებით იმეორებენ ტროცკისტების ბრალდებებს და უსაყვედურებენ პარტიას ბიუროკრატიულ გადაგვარებას, შევიწროვებას და სხვ. არა ჯგუფებისა და ფრაქციების შექმნა, არა დაუსრულებელი მერყეობა და გადახრა პარტიის ლენინური ხაზიდან, არამედ პარტიის რკინისებური დისციპლინა და ლენინური მთლიანობა მტკიცე, მკაფიო გენერალური ხაზის საფუძველზე უზრუნველჰყოფს პარტიის წინაშე დასახული ამოცანების, კერძოდ, ბიუროკრატიზმთან ბრძოლისა და სახელმწიფო აპარატის გადაკეთების უმნიშვნელოვანესი ამოცანის განხორციელებას.

„იზვესტია", 13 აპრილი.

საქართველოს
ეროვნული

სრულიად საქართველოს საბჭოთა მეხუთე ყრილობა

მრეწველობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა

ამხ. ბ. ჩიჩინაძის მოხსენება

12 აპრილის საღამოს სხდომაზე ამხ. ბ. ჩიჩინაძემ გააკეთა მოხსენება საქ. მრეწველობის განვითარების 5 წლიანი გეგმის შესახებ.



კაპიტალური დაბანდებანი

ამხანაგებო, ჩემს მოხსენებაში არ შევჩერდები მრეწველობის განვლილ პერიოდის განხილვაზე, ვინაიდან მრეწველობის საერთო მუშაობა, მრეწველობის საერთო მიღწევები დაწვრილებით იყო განხილული სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოხსენებაში. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ, თუ საერთოდ საბჭოთა ხელისუფლების მუშაობა საკავშირო მასშტაბით წარმოადგენს დიად აღმშენებლობას, საქართველოში იგი წარმოადგენს სრულ გარდატეხას ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაში. არ დავიწყებ აგრეთვე მოხსენებაში ციფრეულ ცნობების დაწვრილებით მოყვანას, ჩვენ საკმარისად მიგვაჩნია, თუ გავეცნობით მარტო ძირითად ციფრებს, რომლებიც გვიჩვენებენ: როგორია ჩვენი მდგომარეობა და როგორია განსხვავება პირველი წლის და 5 წლედის უკანასკნელ წლებს შორის, რა მიმართულება ეძლევა მთავარ კაპიტალურ დაბანდებებს, რა საშუალებები გვეძლევა მრეწველობის აღმშენებლობის დარგში, რა მიმართულებას ვაძლევთ მათ. მე მგონია, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა გავეცნოთ საერთო ციფრებს, თუ როგორი თანხა იქნება დახარჯული ამ 5 წლის განმავლობაში სახელმწიფო მრეწველობისათვის. როგორც ახალი ფაბრიკა-ქარხნების ასაგებად, ისე არსებულ ფაბრიკა-ქარხნების შესაკეთებლად, მათი რეკონსტრუქციისათვის. სულ საქართველოს და ავტონომიურ რესპუბლიკების სამრეწველო აღმშენებლობაზე უნდა დაიხარჯოს, საქართველოს ს. მ. უ. ს.-ის ხაზით, 93.350.000 მანეთი. აი ეს თანხა უნდა იქნეს ჩადებული მრეწველობაში. ამ თანხიდან დიდი ნაწილი იქნება დახარჯული ახალ ფაბ.-ქარხნების აგებაზე, სახელდობრ: 75.700.000 მან. (ხმა: შავი ზღვის რკ. გზა შედის შიგ?) რასაკვირველია არა, ვინაიდან შავი ზღვის რკ. გზის სამუშაოები ეკუთვნის გზათა კომისარიატს. ამ 75 მილიონს გარდა 13 მილიონი მან. დაიხარჯება არსებულ ქარხნების გაფართოებაზე, მათ რეკონსტრუქციაზე, აგრეთვე შედარებით მცირე ნაწილი ამ თანხისა დაიხარჯება არსებულ ქარხნების შეკეთებაზე და სამეცნიერო გამოკვლევებზე, როგორიც არის გეოლოგიური გამოკვლევა და სხვა ტეხნიკურ-ეკონომიური გამოკვლევანი, რომლებიც უნდა ვაწარმოოთ, რომ მეცნიერული საფუძველი ედვას ჩვენს მომავალ საამშენებლო მუშაობას. ასე, რომ მთავარი ნაწილი დაბანდებებისა, ე. ი. 81 პროც. მოხმარდება ახალ ფაბრიკა-ქარხნების აგებას. შემდეგ საინტერესოა გავიგოთ, რომელ მთავარ დარგებზე დაიხარჯება ეს ფული. ამისათვის მთელი მრეწველობა იყოფა ჯგუფებად; პირველი ჯგუფი — „ა“ არის ჯგუფი იმ მრეწველობისა, რომელიც ამზადებს საწარმოო საშუალებებს. საერთო საკავშირო დირექტივა გვიკარნახებს, რომ ამ ჯგუფზეა დამოკიდებული ჩვენი ეკონომიური ცხოვრების განვითარების შესაძლებლობა. ამიტომ ეს ჯგუფი იქნება მძლავრი და მის განსავითარებლად გადადებული იქნება 73 პროც. მთელი თანხისა. დანარჩენ მრეწველობას კი მიეცემა 27 პროც. ამრიგად დამოკიდებულება „ა“ და „ბ“ ჯგუფებს შორის ეთანხმება დირექტივას, რომელიც საკავშირო მასშტაბით მოცემულია მრეწველობის განვითარებისათვის, მაგრამ დაბანდებათა ასეთი განაწილება არ გვაძლევს საქართველოში ამავე ხუთწლედში იმ შედეგებს, რომელიც საჭიროა მივიღოთ აღმშენებლობის შედეგებით, ე. ი. მრეწველობის პროდუქციით, ნაწარმოების მიღებით. რადგან ამ ხუთწლამდე ჩვენ ძალიან ცოტა გვქონდა ისეთი ქარხანა-ფაბრიკები, რომლებიც წარმოადგენდნენ იმ მთავარ ჯგუფებს, რომლებზედაც ჩვენ უნდა შევაჩეროთ ჩვენი ყურადღება, ე. ი. ისეთი ქარხანა-ფაბრიკები, რომელნიც საწარმოო საშუალებებს ამზადებდნენ, ამიტომ ამ ხუთწლედში, რომელიც უნდა გავიაროთ ჩვენ, არ გვექნება პროდუქციის თვალსაზრისით ისეთი დამოკიდებულება „ა“ და „ბ“ ჯგუფებ შორის, რომელიც ახასიათებს კაპიტალურ დაბანდებათა განაწილებას. კაპიტალური დაბანდებათა პირველ ჯგუფში არის 73 პროც. „ა“ და 27 პროც. მეორე ჯგუფისათვის „ბ“. ამავე დროს პროდუქცია იმის გამო, რომ წინათ არ გვქონდა მრეწველობა განვითარებული, თითქმის თანასწორი რჩება 5 წლის განმავლობაში.

მრეწველობის პროდუქციის ზრდა

ორიოდე სიტყვა პროდუქციის რაოდენობაზე. თუ ავიღებთ სახალხო მეურნეობის საბჭოს გამგებლობაში არსებულ მრეწველობას, დავინახავთ, რომ 27—28 წელში ნაწარმოების მთელი ღირებულება, ნაანგარიშევი 26—27 წლის უცვლელ ფასებში, იყო 38.256.000 მან. უკვე 28—29 წელში ეს პროდუქცია იზრდება — 68.000.000 მანეთამდე და თანდათან აღწევს 5 წლის შემდეგ 215 მილიონ მანეთს. ამრიგად, ჩვენ გვაქვს პროდუქციის საერთო ზრდა; თუ შევადარებთ 27—28 წელს, იგი იზრდება მნიშვნელოვნად, იგი იზრდება 464 პროცენტით. მაგრამ ამ პროდუქციის ზრდაზე, სამწუხაროდ, გავლენას ახდენს წარსული ისტორია. ჩვენ გვაქვს დამოკიდებულება 2 მთავარ ჯგუფებს შორის შემდეგი. ჯგუფი „ა“ იძლევა იმავე რაოდენობის პროდუქციას, როგორც ჯგუფი „ბ“, ე. ი. ის მრეწველობა, რომელიც საწარმოო საშუალებებს ამზადებს, არის ისეთივე წონისა, როგორიც არის მრეწველობა, რომელიც ამზადებს მოხმარებითი საშუალებებს. 28—29 წელში ორივე ჯგუფში არის დაახლოებით 19.000.000 მ. უკანასკნელ წ., ე. ი. 32—33 წელში დამოკიდებულება არის ასეთი: „ა“ ჯგუფის პროდუქცია უდრის 109 მილიონ მანეთს, „ბ“ ჯგუფისა კი 106 მილიონს. ამრიგად, თუმცა ოდნავად მოიმატებს „ა“ ჯგუფის პროდუქცია, მაგრამ იგი არ არის საკმარისი. მიზეზი, როგორც მოგახსენებთ, არის ის, რომ წინა პერიოდში სრულებით არ იყო განვითარებული ჩვენში ასეთი ხასიათის მრეწველობა. რაც შეეხება შემდეგ 5 წლედს, რა თქმა უნდა,—რადგან ახალი ქარხანა-ფაბრიკების აშენების დროს ჩვენ გვაქვს დამოკიდებულება ჯგუფი „ა“-ს სასარგებლოდ, პროდუქციის შეფარდებაც იქნება უფრო სწორი იმ ეკონომიური ხაზის მიხედვით, რომელიც აღებული უნდა იქნეს სახელმწიფო მრეწველობის განვითარებისათვის.

მუშა ხელი

ახლა მე უნდა შევჩერდე მუშა-ხელის რაოდენობაზე. მუდმივი მუშების რაოდენობა, ე. ი. იმ მუშა-ხელის, რომელიც მუდმივად მიმაგრებულია ქარხანა-ფაბრიკებზე და არა სეზონური მუშა-ხელი, რომელიც დროგამოშვებით მუშაობს ამ ქარხნაში — ეს რაოდენობა შემდეგნაირად იზრდება: 27—28 წელში მუშა-ხელის რიცხვი იყო 10.293 კაცი, 28-29 წელში უკვე 15.129, და ამ რიგად იზრდება და ხუთი წლის ბოლოში აღწევს 24.820 კაცს. ამნაირად, მუშათა რაოდენობა გაიზრდება 141 პროც., ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ იზრდება გამომუშავებაც, ე. ი. პროდუქცია თვითეულ მუშაზე; იმ დროს, როდესაც თვითეულ მუშაზე 27-28 წელში გვქონდა პროდუქციის ღირებულება 309 მან., ხუთი წლის ბოლოს თითო მუშა მოგვცემს 725 მან., მაშასადამე გამომუშავება იზრდება თვითეულ მუშაზე 135 პროც. რაც შეეხება ხელფასის ზრდას, იგი უკანასკნელი შემდეგი ციფრებით ხასიათდება: თუ ავიღებთ საშუალო ციფრებს ყველა მუშებისათვის, რომლებიც მუშაობენ სმუს-ის გამგებლობაში არსებულ მრეწველობაში, საქართველოში და მის ავტონომიურ ნაწილებში, თვითეულ მუშას 27-28 წელში საშუალოდ ეძლეოდა 60 მანეთი, 28-29 წ. 62 ერთი მეოთხ. მან., ხოლო ხუთი წლის ბოლოში მიეცემა 76 ერთი მეოთხ. მან. ამრიგად, მუშის ხელფასი გაიზრდება დაახლოვებით 27 პროცენტით. ჩვენ ვხედავთ, რომ გამომუშავება იზრდება საგრძნობლად; თითქოს არსებობს შეუთანხმებლობა გამომუშავების და ხელფასის ზრდის შორის. მართალია ასეთი შეუთანხმებლობა არსებობდა ზოგიერთ დარგში, განსაკუთრებით სამთო მრეწველობის დარგში, კერძოდ კი ტყიბულის მაღაროებში. ეს აღნიშნულია სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებებში, როდესაც ხუთწლიანი გეგმა იყო განხილული. მას შემდეგ ჩვენ აქ ერთგვარი შესწორება შევიტანეთ, მაგრამ საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ეს შეუთანხმებლობა უფრო მოჩვენებითია, ვინაიდან აქ ამ საშუალო ხელფასის გამოანგარიშების დროს დიდი გავლენა აქვს იმ ფაბრიკა-ქარხნების მუშების ხელფასის ფონდს, რომლებიც ხუთწლედის დასაწყისში არ მუშაობენ, არამედ იწყებენ მუშაობას ხუთწლედის შუა წლებში. აი, ეს მუშები, რომლებიც მიემატნენ შუა წლებში, ახდენენ გავლენას და ამახინჯებენ იმ საშუალო ხელფასის ზრდას, რომელიც არის გამოანგარიშებული როგორც საშუალო ხელფასი. თუ გსურთ სწორი წარმოდგენა იქონიოთ ამ საკითხზე უნდა გამოვყოთ მთავარი დარგები, რომელნიც მუშაობენ ამ ხუთი წლის განმავლობაში და ავიღოთ საშუალო ხელფასი ამ დარგებში. ჩვენ გამოვყოფთ ათ მთავარ დარგს; პირველი არის ქვა-ნახშირი, მეორე ლითონი, მესამე მარგანეცი, მეოთხე აბრეშუმი, შემდეგ ტყავი, ფეხსაცმელი, თამბაქო, ჭრა-კერვა და სხვა. ეს მთავარი დარგები გვაძლევს 75 პროცენტს მუშათა მთელ რაოდენობისას და თუ მთელ ამ მთავარ დარგებს ავიღებთ, გაცილებით მეტად იზრდება მათში ხელფასი, ეს ზრდა გამოიხატება 34 პროც. აქ უნდა აღინიშნოს, რომ სამთო მრეწველობაში და კერძოდ ტყიბულის მრეწველობაში ხელფასის ზრდა ნავარაუდევი იყო ჯერ 38 პროც. მაგრამ შემდეგ ამ ნაწილში, როგორც უფრო ჩამორჩენილში, შეტანილია შესწორება და ხელფასის ზრდა უდრის 45 პროც.

ხარჯების განაწილება

როგორი არის მთავარი მიმდინარეობა ხარჯებისა? მთავარი მიმართულება ორ ჯგუფად არის დაყოფილი. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ორი მთავარი ჯგუფი. მაგრამ ეს არ არის საკმაო, დამახასიათებელი. საჭირო არის კერძოდ აღინიშნოს, რომელი მრეწველობის ობიექტები არის უმთავრესი და რომელ დარგზე უფრო მეტი იხარჯება. 75 მილ. მანეთიდან, რომელიც დახარჯული იქნება ახალი ფაბრიკა-ქარხნების აშენებაზე უმთავრესი ნაწილი დანიშნულია საამშენებლო მასალის წარმოებისათვის, როგორიც არის ცემენტი, აგური, კირი, კრამიტი, სატყეო მასალა და სხვა. სულ ამ ობიექტებზე დაიხარჯება 21.900 ათ. მანეთი. შემდეგი დარგი, რომელშიაც დაბანდებული იქნება საკმაოდ დიდი თანხა, არის მარგანეცის მრეწველობა, ე. ი. მარგანეცის გადამუშავება, გარეცხა და ტრანსპორტი. გარდა ამისა, არის გათვალისწინებული ფერო - მარგანეცის ქარხნის აგება. სულ მარგანეცის მრეწველობაზე დანიშნული არის 25 მილ. მანეთი. ამრიგად ჩვენ ვხედავთ, რომ იმ პირველ „ა“ ჯგუფში, რომელიც წარმოადგენს მრეწველობის მთავარ ჯგუფს, მთავარი მიმართულება მიცემული გვაქვს საამშენებლო მასალის და მარგანეცის მრეწველობისათვის. რაც შეეხება მეორე „ბ“ ჯგუფს, აქ ხარჯების მიმართულება ასეთია: საფეიქრო მრეწველობაზე დაიხარჯება დაახლოებით 5 მილ. 690 ათასი მანეთი და ქაღალდის მრეწველობაზე 10 მილ. 200 ათასი მანეთი. აქ უნდა აღინიშნოს, რომ ყველა იმ ციფრებში, რომლებიც მე აქ მოვიყვანე, გათვალისწინებული არის აღმშენებლობის გაიაფება, რომელიც სავალდებულოა არსებული დირექტივით.

ახალი ფაბრიკა-ქარხნები

ეხლა უნდა გავეცნოთ იმას, თუ სად რა და რა დროს იქნება აშენებული. ამისათვის მოკლედ გადავათვალიეროთ ის საერთო სია, ახალი აღმშენებლობისა, რომელიც გათვალისწინებულია 5 წლის განმავლობაში, და წამოწყებანი სხვადასხვა დარგებში. რა არის აქ გათვალისწინებული? გათვალისწინებულია: ქვა - ნახშირის მრეწველობაში: ბრიკეტის ქარხანა ტყიბულში, რომელიც 29-ს დაიწყება და 30-ში დამთავრდება. სამთომადნო მრეწველობაში: ბარიტის ქარხანა ქუთაისში, ფლორიდინის ქარხანა, რომელიც დაიწყება ქუთაისში მომავალ წელს და დამთავრდება 30 წელში. შემდეგ, ლითონის მრეწველობა — ლითონის ქარხანა (ტფილისში), რომელიც დაიწყება 29 წელში და დამთავრდება 31 წელში. საამშენებლო მასალის მრეწველობა:—ამ დარგში შედის ცემენტის ქარხანა, რომელიც ამ ჟამად შენდება და დამთავრდება 30 წ. შემდეგ — ხაშურის აგურის ქარხანა დაიწყება 29 წელში და დამთავრდება 30 წელში. გორის ასეთივე ქარხანა დაიწყება 30 წელში, დამთავრდება 31 წ. ქობულეთის ქარხანა აჭარისტანში — დაიწყება 30 წელში, დამთავრდება 31 წ. ქუთაისის აგურის ქარხანა — დაიწყება 31 წ., დამთავრდება 32 წ., ახალციხის აგურის ქარხანა—დაიწყება 31 წ., დამთავრდება 32 წ., ოზურგეთის აგურის ქარხანა — დაიწყება 31 წ., დამთავრდება 32 წ., ახალქალაქის აგურის ქარხანა—დაიწყება 32 წ., დამთავრდება 5 წ. ბოლო წელიწადში. აკეთის აგურის ქარხანა აშენდება იმავე წელში. ნოსირის აგურის ქარხანა წელს გაშვებული იქნება მუშაობაში, აგრეთვე ტევრის აგურის ქარხანა. კახეთის აგურის ქარხანა დაიწყო 29 წ., დამთავრდება 30 წ., სოხუმის ქარხანა — დაიწყო 29 წ., დამთავრდება 30 წ. ალის კირის ქარხანა გორის მაზრაში — დაიწყება 30 წ., დამთავრდება 31 წ., ახალ სენაკის კირის ქარხანა—დაიწყება 30 წ., დამთავრდება 31 წ., ცხინვალის კირის ქარხანა — დაიწყება 30 წ., დამთავრდება 31 წ., ბათუმის საწარმოო ქარხანა—დაიწყება 29-30 წ. დამთავრდება 31 წ., ასფალტის ქარხანა—დაიწყება იმავე წელში. მინის ანუ შუშის ქარხანა—დაიწყება 32-33 წ. (ხმა: სად?) განზრახულია შორაპნის მაზრაში, სოფ. ლაშესთან. ფოთის ხე-ტყის ქარხანა დაიწყება 29-30 წ., დამთავრდება 31-32 წ., ოზურგეთის სატკეჩე ქარხანა — დაიწყება 29-30 წ., დამთავრდება 31-32 წ. ბაღდადის სატყეო კომბინატი—დაიწყება 30-31 წ., დამთავრდება 32-33 წ. ახმეტის ასეთივე კომბინატი, შენდება იმავე დროს. კოდორის და ბზიბის კომბინატები, აგრეთვე სატყეო; უკანასკნელი დაწყებულია უკვე და დამთავრებულ უნდა იქნას 31-32 წ. სამხრეთ-ოსეთში (ცხინვალი) სატყეო კომბინატი უკვე დაწყებულია, დამთავრდება 29-30 წ. აქვე საბორბლე ცეხი—დაიწყება 31 წელს, დამთავრდება იმავე წელს, აქვე ავეჯის ქარხანა, გაფართოება იმავე კომბინატისა, 32 წელში. აჭარისტანის სატყეო კომბინატი, — იმავე ხასიათის, როგორც განმარტებული იყო, დაწყებულია წელს, დამთავრდება 30-31 წ. გარდა ამისა, აქვე განზრახულია ფეხსაცმელის ქარხანა, რომელიც მომავალ წელს დამთავრებული იქნება.

ეხლა ქიმიური დარგი: ლიტაპონის ანუ თეთრი საღებავის ქარხანა ქუთაისში—უნდა დაიწყოს მომავალ წელს, დამთავრდება 2 წლის განმავლობაში. საღებავი ქარხანა ბორჯომში ულტრამარინისა — დამთავრდება 5 წლედის ბოლო წელში. შემდეგ სინტეტიური აზოტის ქარხანა განზრახულია დაიწყოს 31 წელს, დამთავრდება 32 წელს (ხმა ადგილიდან: სად?) საბოლოოდ ადგილი ამ ქარხნისათვის არ არის ამორჩეული, ვინაიდან მისი მდებარეობა დამოკიდებულია იმაზე, თუ საიდან მიიღებს ქარხანა ელექტრონის ენერგიას. ყოველ შემთხვევაში ის უნდა იყოს მოთავსებული ისე, რომ ადვილად ღებულობდეს ენერგიას ან რიონჰესიდან ან ზაჰესიდან. ქარხანა მოთავსდება რიონჰეს-ზაჰესის ხაზზე, იმ ადგილას, სადაც ეს უფრო მოსახერხებელი იქნება საბოლოოდ პროექტის შედგენის დროს. სატყეო-ქიმიური ქარხანა ბორჯომში — დაიწყება 30 წელს, დამთავრდება 31 წელს.

აბრეშუმის ქარხნები. აბრეშუმის ქარხანა ქუთაისში დამთავრებულია და ამუშავდა კიდეც. ზუგდიდში განზრახულია 30-31 წელს. ამით მთავრდება აბრეშუმის ქარხნების აღმშენებლობა, თუ მხედველობაში მივიღებთ გრეჟის დამზადებას, ე. ი. პარკის პირველ დამუშავებას, ხოლო შემდეგ არის გათვალისწინებული აბრეშუმის დარგის უფრო კვალიფიციური, უფრო სრული დამუშავება, ე. წ. ტრიკოტაჟი, ანუ ნაქსოვი ნივთების დამზადება და საფეიქრო მრეწველობა, რომელიც დაამუშავებს აბრეშუმის ქსოვილებს. ეს ქარხანა დაიწყო წელს, უნდა დამთავრდეს წელსვე.

შემდეგ ფეხსაცმელის დიდი ქარხანა თბილისში. დაიწყება მომავალ წელს და ამავე წელს დამთავრდება. ქაღალდის ქარხანა ზუგდიდის მაზრაში ენგურზე—დაიწყება მომავალ წელს, დამთავრდება 31 წელს. საკონსერვო ქარხანა ქუთაისში, ბოსტნეულობის დამამუშავებელი, დაიწყება მომავალ წელს და დამთავრდება 31 წელს. ასეთივე ქარხანა გორის მაზრაში ხილისათვის—წელს დაწყებულია უკვე, წელსავე უნდა დამთავრდეს.

აი ეს არის ძირითადი ობიექტები. მე არ შევჩერდები ზოგიერთ წვრილმანზე, რომელიც საქართველოს სმუს ხაზით შენდება, მისი უშუალო განკარგულებით და ზედამხედველობით. (ხმა: შაქარი?) აქ არ შედის, რასაკვირველია, ზოგიერთი ის წარმოება, რომელიც ადგილობრივ მრეწველობის ხაზით ტარდება. ამაზე შემდეგ გვექნება ლაპარაკი. აქ არ შედის აგრეთვე ის განსაკუთრებით მსხვილი და საკავშირო მნიშვნელობის წარმოებანი, რომელნიც აშენდება საქართველოს სმუს-ის გარეშე, ე. ი. აშენდება საკავშირო ორგანოების უშუალო განკარგულებით. ასეთი არის ტყვარჩელის მაღაროები, სადაც განზრახულია 34.000.000 მან. დახარჯვა და აგრეთვე შაქრის ქარხანა, რომელზედაც უნდა დაიხარჯოს 5 მილ. ნახევარი მანეთი. ორივე ეს წარმოება იქნება გამართული საკავშირო სმუს-ის განკარგულებით, ვინაიდან მათ აქვთ განსაკუთრებით საკავშირო მნიშვნელობა და კერძოდ შაქრის ქარხანა საკავშირო შაქრის ტრესტის განკარგულებით იქნება აშენებული. ამიტომ ამ ორი დიდი წარმოების ხარჯთაღრიცხვა უშუალოდ გატარდება საკავშირო ბიუჯეტით და არა საქართველოს სმუს-ის ბიუჯეტით. შაქრის ქარხანა განზრახულია გორის მაზრაში, სადგ. აგარასთან, დამუშავებული იქნება ყოველწლიურად 800.000 ფ. შაქარი. რაც შეეხება ტყვარჩელის მაღაროებს, დაბანდებანი მათზე შემდეგნაირად განაწილდება: თვითონ მაღაროებზე უნდა დაიხარჯოს 18.400.000 მან., რკ. გზის შტოზე, რომელმაც მაღაროები შავი ზღვის რკინის გზასთან უნდა შეაერთოს, 10 მილ., სოხუმის ნავთსადგურზე 5.800.000 მან. სულ ნავარაუდევია 34 მილიონი მან. პირველ წელს განზრახულია 50 მილ. ფ. ქვა-ნახშირის ამოღება, 5 წლედის ბოლოში კი 100 მილ. ფუთის.

ექსპორტი და იმპორტი

ეხლა საყურადღებოა, რა შედეგს მოგვცემს მრეწველობის განვითარება არა მარტო პროდუქციის მხრივ, არამედ განსაკუთრებით საყურადღებო არის, რა გავლენას მოახდენს ექსპორტისა და იმპორტის მდგომარეობაზე, რა განსხვავებას შეიტანს ამ მხრივ დღევანდელ ჩვენს მდგომარეობაში, როდესაც მოწყობილობის შემოსატანად ჩვენ გვეხარჯება დიდძალი ვალიუტა. 5 წლიანი გეგმა გვიჩვენებს, რომ ექსპორტისა და იმპორტის შორის არსებობს დიდი განსხვავება ექსპორტის სასარგებლოდ. ამ ხუთი წლის განმავლობაში შემოზიდული იქნება 11.232.000 მან. მანქანები და მოწყობილობა, გაზიდული კი 29.267.000 მანეთის ნაწარმოები. ამრიგად ექსპორტი სჭარბობს იმპორტს 18.400.000 მანეთით. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ციფრები არ ასურათებს ჩვენს ნამდვილ მდგომარეობას, ვინაიდან აქ არ მონაწილეობს მარგანეცის ექსპორტი იმიტომ, რომ ჩვენი ტრესტი მხოლოდ ამზადებს მარგანეცს გასატანად და რეალიზაცია საქციო საზოგად. „ექსპორტ მარგანეც“-ის ხელშია. თუ მივიღებთ მხედველობაში, მარგანეცის ექსპორტი ამ ხნის განმავლობაში აღემატება 80.000.000 მან., ვნახავთ: ექსპორტი დიდად გადააჭარბებს იმპორტს.

სულ შემოზიდული მასალისა და მოწყობილობის ფასი, რომ გავითვალისწინოთ მარგანეცის მრეწველობის იმპორტიც, საერთოდ მთელი ჩვენი მრეწველობის იმპორტი იქნება 22.000.000 მან., ექსპორტი კი აღწევს 109.000.000 მან. ამრიგად, განსხვავება ექსპორტსა და იმპორტს შორის უდრის 87.000.000 მან. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ეს შედეგი მეტად მნიშვნელოვანია.

პროდუქციის გაიაფება

არ არის სავსებით დამაკმაყოფილებელი ციფრები მრეწველობის პროდუქციის გაიაფებისა, თუ შევადარებთ მათ საკავშირო მრეწველობის საერთო ციფრებს. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ რუსეთისა და უკრაინის მრეწველობა უკვე მოდერნიზებული და ძლიერია, რომ მათ აქვთ გიგანტური ქარხნები, სადაც ათასობით და ათიათასობით მუშაობენ მუშები, სადაც კონცენტრაციაა როგორც მუშა-ხელისა, ისე საწარმოო მოწყობილობისა, რასაკვირველია, დავინახავთ, რომ ნაწარმოების გაიაფება იქ უფრო ადვილია. ჩვენს მრეწველობაში კი ადგილი აქვს წვრილ წარმოებას და ამიტომ გაიაფების საჭირო ზომით გატარება ძნელია, მაგრამ მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ ამ გაიაფებას მაინც ვახერხებთ საშუალოდ 29,7 პროც. ასეთი იქნება შემცირება თვითღირებულებისა საშუალოდ. მაგრამ ზოგიერთ დარგისათვის ეს გაიაფება იქნება მეტი, ზოგისათვის კი ნაკლები.

მაგალითად, დახერხილ ხე-ტყის მასალის ღირებულება შემცირებულ იქნება 40 პროც-ით. ტყავის მრეწველობის თვითღირებულება კი შემცირებულ იქნება მხოლოდ 20 პროც-ით.

უნდა დავახასიათოთ აგრეთვე, თუ რა არის გათვალისწინებული საბინაო მშენებლობის დარგში. 5 წლის განმავლობაში 200 პროც-ით გადიდდება საბინაო ფართობი. 26-27 წელს საბინაო ფართობი გვქონდა 17.816 კვადრ. მეტრი, 27-28 წლის ბოლოს გვაქვს 18.769 კვ. მ. და 32-33 წლის ბოლოს 52.966 კვ. მ., ამრიგად 200 პროც-ით მოიმატებს ჩვენი საბინაო ფართობი.

რაც შეეხება 7 საათის სამუშაო დღის შემოღებას, განზრახულია სავსებით დაცული იქნას 5 წლის გეგმაში არსებული დირექტივა. მრეწველობის სხვადასხვა წარმოებანი გადაყვანილი იქნება შემდეგნაირად: 28-29 წელს 7 წარმოება იქნება გადაყვანილი. 29-30 წელს 16 წარმოება, 30-31 წელს 22 წარმოება, 31-32 წელს 21 წარმოება, 32-33 წ. 8 წარმოება; სულ 74 წარმოება იქნება გადაყვანილი 7 საათის სამუშაოზე.

სამეცნიერო გამოკვლევები

ეხლა რამდენიმე სიტყვით უნდა შევეხო აგრეთვე სამეცნიერო გამოკვლევებს, ე. ი. ყველა იმ ობიექტების გამოკვლევას, რომლებიც უნდა აშენდეს მომავალ წლებში. 5 წლედში ამ სამეცნიერო კვლევაზე განზრახულია 819.000 მან. დახარჯვა. აქედან „ა“ ჯგუფზე დაიხარჯება 555.000 მან. და „ბ“-ზე 264.000 მან. აქაც ვხედავთ, რომ მთავარი მიმართულება გამოკვლევისა არის „ა“ ჯგუფისაკენ გადახრილი, რომ ის რაც შეიძლება სწრაფად განვითარდეს. უმეტეს ნაწილად გამოკვლევა შეეხება სატყეო მრეწველობას, სამთოს, საამშენებლოს მასალის მრეწველობას. დიდი ნაწილი აქვს დათმობილი 5 წლიან გეგმაში სამთო - გეოლოგიურ კვლევას. ამისათვის განზრახულია 3.740.000 მან. მე დროის შემცირებისათვის არ შევეხები ცალ-ცალკე ყველა ობიექტების გამოკვლევას. დიდი ნაწილი აქვს დათმობილი იმ სხვადასხვა ძვირფას მადნეულობის, საამშენებლო მასალების კვლევას, რომლებიც უხვად მოიპოვება საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში. მათთვის გადადებულია 3.740.000 მან.; ავტონომიურ ნაწილებში დაიხარჯება 1.253.000 მან. და საქართველოს დანარჩენ ნაწილებში 2.527.000 მან. რაც შეეხება გეოლოგიურ გამოკვლევებს, ისინი მოითხოვს საკმაოდ დიდ კადრების შექმნას კვლევა-ძიებისათვის. ზოგიერთი დარგების, როგორიც არის, მაგალითად, ტყვარჩელის მაღაროები ან სპილენძის მადნების გამოკვლევა და სხვა რამდენიმე ასეთი მთავარი სამუშაო იქნება გატარებული უმთავრესად საკავშირო გეოლოგიური კომიტეტის მიერ. რაც შეეხება წვრილ გეოლოგიურ კვლევა - ძიებებს, რომლებიც გაფანტულია სხვადასხვა ადგილებში და რომლებიც მოითხოვს სულ ათეულ გეოლოგების და ინჟინერების ჩაბმას სამუშაოში, ესენი გატარდებიან ადგილობრივ ძალთა დახმარებით.

გეგმის ნაკლოვანებანი

რა შენიშვნა შეგვიძლიან მივცეთ ჩვენ ცენზიან ანუ მსხვილ მრეწველობის 5 წლიან გეგმას? არსებობს რამდენიმე მხარე, რომელიც შეიძლება აღვნიშნოთ როგორც ნაკლი ჩვენ 5 წლიან გეგმაში, მაგრამ ისეთი ნაკლი, რომელიც შეუძლებელია ეხლავე გამოსწორდეს ობიექტიური პირობებისა გამო. პირველი ნაკლი უკვე აღვნიშნე, როდესაც ვლაპარაკობდი იმაზე, თუ როგორია განაწილება მრეწველობისა ორ მთავარ „ა“. და „ბ“. ჯგუფებ შორის. ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ პროდუქციის რაოდენობა ამ ორ ჯგუფს შორის არის თითქმის თანასწორი 5 წლის განმავლობაში. მისი გამოსწორება ამავე 5 წლედში შეუძლებელია, ვინაიდან, იგი არის ნაანდერძევი წინა 5 წლედიდან, როდესაც არ გვქონდა განვითარებული მრეწველობა.

მეორე ნაკლი მდგომარეობს იმაში, რომ 5 წლის ბოლო წლებში, 31—32 და 32—33 წლეებში, ჩვენ კაპიტალური დაბანდება გვაქვს ნაკლები, ვინემ 5 წლედის პირველ წლებში. ეს იმას გვიჩვენებს, რომ ჩვენ არა გვაქვს შემუშავებული საკმაო რაოდენობა ახალი ობიექტებისა იმისათვის, რომ 5 წლედის ორ ბოლო წელიწადში მოვათავსოთ ეს ობიექტები და ამრიგად მივიღოთ საკმაო რაოდენობა კაპიტალურ დაბანდებისა, რომელსაც გვიკარნახებს სამრეწველო აღმშენებლობის ინტენსიური ზრდა. მაგრამ ეს შეიძლება გამოსწორდეს მხოლოდ თანდათანობით. მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ მთელი ყურადღება ჩვენი ორგანოებისა იყო მიქცეული 5 წლედის პირველ წლებში ასაშენებელ ობიექტების დამუშავებაზე; ვინაიდან წინათ არ არსებობდა არავითარი წინასწარი გეგმა ფაბრიკა-ქარხნების ასაშენებლად,— ამიტომ მთელი ის მუშაობა, რომელიც გატარებული იყო ბოლო წლების განმავლობაში, მოხმარდა 5 წლედის პირველ წლების ობიექტების დამუშავებას და გამოკვლევებს, რომლებიც საჭირო იყო მათ ასაშენებლად. ამიტომ შემცირება კაპიტალურ დაბანდებისა, რომელიც ემჩნევა 5 წლედის უკანასკნელ 2 წელს, არის იმის შედეგი, რომ საკმარისად არ არის დამუშავებული ამ წლების აღმშენებლობა. თანდათანობით ობიექტების შესწავლის კვალობაზე, რასაკვირველია, ეს 2 წელიწადი მიიღებს შემდეგში დამატებით ობიექტებს.

გარდა ამისა, უეჭველად ნაკლს წარმოადგენს, რომ ქიმიურ მრეწველობას გეგმაში ნაკლები ადგილი აქვს დათმობილი: მაშინ, როდესაც მთელი მრეწველობა გამოიხატება 93.000.000 მან., ქიმიურ მრეწველობას აქვს 3 ნახ. მილიონ მან. ეს ძალიან მცირეა, მაგრამ აქაც ერთად-ერთი მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ არა გვაქვს სათანადო მასალა გამოკვლეული და შესწავლილი წინასწარ იმისათვის, რომ სრულიად სანდოთ შევიტანოთ 5 წლიან გეგმაში ქიმიურ მრეწველობის ის დარგები, რომლებიც მოითხოვენ სათანადო წინასწარ გამოკვლევას. ქიმიური მრეწველობა საკავშირო მასშტაბითაც არის დაგვიანებული. ჩვენში ჯერჯერობით რამოდენიმე წვრილი ქარხნების გარდა, და, მხოლოდ ერთი დიდი აზოტის სასუქის ქარხნის გარდა, არ შეგვიძლიან შევიტანოთ რაიმე მნიშვნელოვანი ობიექტები. ამ ნაკლის გამოსწორება შემდეგში შეიძლება საკითხების თანდათანობითი შესწავლით და დამუშავებით. ამისათვის არის დანიშნული გეოლოგიური კვლევა-ძიება და სამეცნიერო გამოკვლევათა თანხები, რომლებიც აღნიშნულია 5 წლიან გეგმაში.

ადგილობრივი მრეწველობა

ამის შემდეგ უნდა გადავიდეთ ადგილობრივ მრეწველობის მდგომარეობაზე. ადგილობრივი მრეწველობის განვითარება დაიწყო ფაქტიურად მხოლოდ 1926—27 წლიდან. მანამდე არ არსებობდა რაიმე წყაროები, რომლებიდანაც შეიძლებოდა მიგვეღო საჭირო სახსარი, რომ ესა თუ ის ადგილობრივ მრეწველობის ხასიათის აღმშენებლობა გვეწარმოებინა 26 — 27 წლ. მას შემდეგ, რაც საკავშირო სახკომსაბჭომ გამოიტანა თავისი დადგენილება ადგილობრივ მრეწველობის ფონდის შექმნის შესახებ, დაიწყო უკვე ჩამოყალიბება ე. წ. ადგილობრივ მრეწველობისა. უნდა აღვნიშნოთ, რომ 26—27 წლ. დაწყებული 28— 29 წლამდე, სულ გაღებულია სხვადასხვა წყაროებიდან 5.301.400 მან. აქედან 54 პროც. არის ადგილობრივი მრეწველობის ფონდის ხარჯი, რომელიც საქ. სახკომსაბჭოს განკარგულებაში იყო, და, რომელიც განაწილებული იყო სხვადასხვა ადგილობრივი მრეწველობის ხასიათის წარმოების შესაქმნელად. საკავშირო ბიუჯეტს ეკუთვნის 24 პროც. ამ ხუთი მილიონ 300 ათას მანეთიდან, 71 პროც. დახარჯულია ახალი აღმშენებლობისათვის. 28 პროც. დაიხარჯა გაფართოებაზე და შეკეთებაზე. ადგილობრივ მნიშვნელობის მრეწველობისათვის გადადებულია სულ 11.490.000 მ. აქ მთავარი ნაწილი 4 მილ. 800 მან. გაღებული იქნება საკავშირო ბიუჯეტიდან. საკავშირო ბიუჯეტით, უნდა ვთქვათ, შეიძლება ადგილობრივ მრეწველობის სახით გადადებული იქნეს ხარჯები მხოლოდ საამშენებლო მასალის და საექსპორტო მრეწველობაზე. დანარჩენი ობიექტები ადგილობრივ მრეწველობისა უნდა იქნეს აშენებული სხვა წყაროებიდან. ამ 11 მილ. მანეთში საამშენებლო მასალისათვის განზრახული არის 6 მილ. მან., 3.511.700 მან. საკვებ პროდუქტების წარმოებაზე და დანარჩენი კი—უფრო წვრილმანი ხარჯები. ამრიგად ჩვენ ვხედავთ, რომ ამ ხუთწლიან გეგმაში ადგილობრივი მრეწველობისათვის საკმაოდ დიდი თანხა არის განზრახული და ეს თანხა მოგვცემს საშუალებას განვახორციელოთ სხვადასხვაგვარი წამოწყებანი. ეს წარმოებანი შედარებით ცენზიანი მრეწველობაა. არის წვრილმანი, მაგრამ მათი მნიშვნელობა მაინც დიდია. ეს ხარჯები შეიტანს უეჭველად გაუმჯობესებას როგორც ადგილობრივ ბიუჯეტში, ისე მისცემს საშუალებას ადგილებს გამოიყენონ მუშა-ხელი ადგილობრივი.

კერძოდ შევეხები თბილისს, სადაც მთავარი დაბანდება მოდის საამშენებლო მასალაზე და ხე-ტყის წარმოების მრეწველობაზე. სულ მთელი ხარჯი თბილისის აღმასკომს 5 წლის განმავლობაში ნავარაუდევი აქვს 4.719.000. აქედან 58 პროც. საამშენებლო მასალისა და ხე-ტყის წარმოების მრეწველობაზე, ხოლო საკვებ პროდუქტების მრეწველობაზე 17 პროც.

აი, ასეთი არის საერთო დახასიათება ადგილობრივ მრეწველობისა.

ქვეყნის ელექტროფიკაცია

ორიოდე სიტყვა ელექტროფიკაციის შესახებ. ძირითადი დებულება ელექტროფიკაციის 5 წ. გეგმის შემუშავების დროს მდგომარეობდა იმაში, რომ ელექტრო-სადგურების აღმშენებლობის ტემპი სავსებით შეთანხმებული ყოფილიყო მრეწველობის განვითარების ტემპთან. მეორე, დებულება, კერძოდ, საქართველოსათვის მდგომარეობს იმაში, რომ უმთავრესად და ფართოდ გამოყენებულ იქნას წყლის ენერგია. ორივე ეს დებულება სავსებით დაცულია 5 წლიან გეგმაში. უნდა აღინიშნოთ, რომ მაშინ, როდესაც 28—29 წელში საქართველოს ყველა ფაბრიკა-ქარხნებზე დადგმულია 2.820 კილოვატი სიმძლავრის მექანიკური მამოძრავებელი, ესე იგი ისეთები, რომლებიც ელექტრონით არ მუშაობენ, და ელექტრონის მატორებით დადგმულია 4.200.000 კილოვ. სიმძლავრის, ესე იგი მექანიკური მამოძრავებელი შეადგენს 36 პროც., ელექტრომამოძრავებელი კი 64 პროც. სრულიად სხვა სურათი გვაქვს 5 წლის ბოლო წელიწადს. აქ უკვე არა თუ მნიშვნელოვნად იზრდება თვითონ მამოძრავებლების სიმძლავრე შედარებით იმასთან, რაც გვაქვს 28— 29 წელს, არამედ, თუ ავიღებთ ყველა მატორების ჯამს, მივიღებთ 32—33 წელში 21.710 კილოვატს, მაშასადამე, საერთოდ ზრდა სიმძლავრის უდრის 310 პროც.

მაგრამ აქ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია არა მარტო ის, რომ გაიზარდა საერთოდ მრეწველობისათვის საჭირო მამოძრავებელი სიმძლავრე, ვინაიდან ეს უშუალოდ გამომდინარეობს ახალი ფაბრიკა-ქარხნების აშენებიდან, არამედ საყურადღებოა ის, რომ 32-33 წელს ელექტრო-მატორებს ექნება დაჭერილი 94 პროც. და მხოლოდ 6 პროცენტამდე იქნება უშუალოდ მამოძრავებელი მექანიკური. რაც შეეხება ენერგიის მოხმარებას, 1928 — 29 წელში ყველა ჩვენი ფაბრიკა-ქარხნებში, თუ არ მივიღებთ მხედველობაში რკ. გზის სახელოსნოებს და სხვა ასეთ გარეშე წარმოებებს, ე. ი. თუ განვიხილავთ მხოლოდ საქართველოს სმუს-ის განკარგულებაში არსებულ წარმოებებს, დაიხარჯება 12.500.000 კილ. საათი, მაშინ, როდესაც 5 წლედის ბოლოს, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ფერო-მარგანეცის და აზოტის ქარხნებს, დაიხარჯება 77.900.000 მილ. კილ. საათი. მაგრამ მხედველობაში თუ მივიღებთ ფერო-მარგანეცის და აზოტის ქარხნებს, მაშინ საერთო ენერგიის ხარჯი იქნება 245.000.000 კილ. როგორც ხედავთ, ფერო-მარგანეცის და აზოტის ქარხნების აგება იძლევა ძირითად გარდატეხას საქართველოს ელექტროფიკაციის ტემპში და დიდ დატვირთვას აძლევს ელსადგურებს, რაც შედეგად იწვევს ელექტროფიკაციის უფრო ფართოდ განვითარებას.

ორიოდე სიტყვა კომუნალური ელექტროფიკაციაზე. კერძოდ ტფილისში 27-28 წელს თვითეულ მოსახლეზე დახარჯულია 27,9 კილ. საათი. 5 წლის ბოლოს განზრახულია თვითეულ მოსახლეზე 54,5 კილოვატი საათი. მაშასადამე, ზრდა უდრის 88 პროცენტს. ეს ციფრი მაინც და მაინც დიდი არ არის, ვინაიდან მოსკოვში წელს უკვე ამაზე მეტი იხარჯება, რაც ჩვენ გვექნება 5 წლის ბოლოს. რაც შეეხება საქართველოს დანარჩენ ქალაქებს, 5 წლედის ბოლოში ყველა ჩვენი ქალაქები გვექნება ელექტროფიკაციაქმნილი. საერთო ენერგიის ხარჯვა, რომელიც ეხლა შეადგენს 13,7 კილ. საათს სულზე, 5 წლედის ბოლოში იქნება 26,2 კილ. სულზე, ე. ი. ზრდა გვექნება 91 პროცენტით.

რაც შეეხება სოფლის ელექტროფიკაციას, აქ ჩვენ უნდა მივიღოთ სხვა ხაზი, ვინემ მრეწველობაში. სოფლის ელექტროფიკაციისათვის ყველა ადგილას ცალკე ელექტრონის სადგურის აგება სრულიად მიუღებელია. ჩვენ უნდა მივმართოთ სხვა გზას. მხოლოდ იმ ადგილებში, სადაც ელექტროგადაცემათა გაყვანა არსებულ ელექტროსადგურებიდან შეუძლებელი არის, მისაღებია სასოფლო მნიშვნელობის ცალკე ელექტროსადგურების აგება. რაც შეეხება დანარჩენ რაიონებს, სადაც ელექტროგადაცემის გაყვანა შესაძლებელია, ან არსებული სადგურებიდან, ან 5 წლიანი გეგმით გათვალისწინებული სადგურებიდან, — ყველა ასეთ ადგილას უნდა გავუყვანოთ ელექტროგადაცემები და ამრიგად დავაკმაყოფილოთ სოფლის მოთხოვნილება. ახალი სადგურების აგება არის გათვალისწინებული მხოლოდ სვანეთში, ლეჩხუმში, ოზურგეთში და ყაზბეგში. დანარჩენი რაიონები სავსებით დაკმაყოფილებული იქნებიან ან ზაჰესის, ან რიონჰესის, ან აბაშის სადგურებიდან, ან გალიზგის და გუმისთის სადგურებით აფხაზეთში, ან ალაზნის სადგურით კახეთში.

როგორი აღმშენებლობა არის გათვალისწინებული ამ 5 წლედის განმავლობაში? ჯერ ერთი, რასაკვირველია, რიონჰესის დამთავრება. აქ არ შევეხები დაწვრილებით რიონჰესის სადგურს, ვიტყვი მხოლოდ, რომ მისი სიმძლავრე გათვალისწინებულია 30.000 ათასი ცხენის ძალა, რომელიც შემდეგ გაძლიერდება 60.000 ცხენის ძალამდე. მისი დამთავრება გათვალისწინებულია 31 წლის დასაწყისისათვის. გარდა ამისა, გათვალისწინებულია გაფართოება ზაჰესისა, დამატებითი ტურბინების დადგმით. ამისათვის 5 წლედის განმავლობაში გაღებულ უნდა იქნას დამატებითი თანხა 4.200.000 მან. 5 წლედის უკანასკნელ ორ წელში დაიწყება აღმშენებლობა დიდი სარაიონო ცენტრალის, რომელიც დააკმაყოფილებს მრეწველობის საჭიროებას ელექტროენერგიაზე.

ასეთი სარეგულიაციო ცენტრალი განზრახულია ახალქალაქის რაიონში — თოფარავანის ანუ ფარავანის ელექტრო - სადგური, რომლის სიმძლავრე იქნება ასი ათასი ცხენის ძალა.

გვაქვს აგრეთვე ვარიანტები მდ. ხრამზე, რიცეულზე, ტყიბულაზე, სამგორის არხზე და სხვა.

ან კიდევ შეიძლება ნახშირით მომუშავე თბო-სადგური იქნეს გაშენებული ტყიბულის ნახშირზე.

აჭარისწყალის სადგურის აშენება დაგვიანდება სხვადასხვა ტეხნიკურ დაბრკოლებათა გამო. ამაზე აქ მე დაწვრილებით აღარ შევჩერდები, ვინაიდან ყველა იცნობს ამ საკითხს. სრული ღირებულება ამ სადგურისა იქნება 14 მილიონი მან. ა.-წ. 1-ლ იანვრისათვის უკვე დახარჯული იყო 6.500.000 მანეთი, მაგრამ ვინაიდან წინდაწინვე არ იყო ნაწარმოები გეოლოგიური გამოკვლევა და ეს კვლევა მხოლოდ ეხლა სწარმოებს, სადგურის აღმშენებლობა დროებით შეჩერებულია გამოკვლევის და პროექტის გადაკეთების დამთავრებამდე. მიმდინარე წელში ამ სადგურის აღმშენებლობაზე გაღებული იქნება მილიონ ნახევარი მანეთი, შემდეგ წელში განზრახულია 3.000.000 მან., 30-31 წ. 3.500.000 მან.

აბჰესი მუშაობს უკვე. 1.503.000 მან. დაჯდა სულ მისი აშენება. აქ შედის 75 კილომეტრის სიგრძის გადაცემა ფოთისათვის. აგრეთვე დამთავრებულია ხაზი, რომელიც აერთებს მას ქუთაისთან და მისცემს ელექტრო - ენერგიას ქუთაისს, ვიდრე რიონჰესი არ იქნება დასრულებული. ეხლა შენდება კიდევ ხაზი ხონიდან სამტრედიამდე.

განზრახულია წრეულსავე კიდევ გუმისთის ელექტრო - სადგურის აგება აფხაზეთში. ამ სადგურისათვის პროექტის 2 ვარიანტია წარმოდგენილი, ერთი უარყოფილია უკვე, როგორც ეკონომიურად მიუღებელი, მეორე ვარიანტი კი შესწორებულ უნდა იქნეს და შემდეგ შეძლება გვექნება დავიწყოთ აშენება.

აშენდება მომავალი წლიდან ელექტრო-სადგური მდ. ღალიძგაზე ტყვარჩელის მაღაროებისათვის.

ბოლოს უნდა მოვიხსენიოთ ალაზნის ელექტრო - სადგური, რომლის სიმძლავრე იქნება 6.500.000 ცხ. ძ. უნდა ვთქვათ, რომ ვინაიდან ჰიდრო - ტეხნიკური ნაწილი მნიშვნელოვან ზომით უკვე აშენებულია ალაზნის სარწყავ არხისათვის, ამ სადგურზე დაიხარჯება მხოლოდ 2.200.000 მანეთი. ალაზნის სადგური შეუერთდება შემდეგში საგარეჯოსთან ზაჰესის ელექტრო-ხაზს.

აგრეთვე უნდა აღვნიშნოთ ელექტრო-ენერგიის საერთო მოხმარების ციფრები.

სულ მთელს საქართველოში ყველა ელექტრო - სადგურებიდან მოხმარებულ იქნება ხუთ წლედის ბოლოში 400.000.000 კილოვატ საათი. ასე, რომ, 5 წლედის ბოლოში ენერგიის მოხმარება ათჯერ მეტი იქნება, ვიდრე დღეს გვაქვს. ეს არის უშუალო შედეგი იმ სამრეწველო გეგმისა, რომელზედაც დღეს მოგახსენეთ. ამრიგად, უნდა აღინიშნოს, რომ ხუთ წლედის ბოლოში არსებობს სარაიონო სარეგულიაციო სადგურის მოწყობის მწვავე მოთხოვნილება. რომ მომავალ 5 წლედში საჭირო სამსახური შესძლოს მან. ამ მომავალი მუშაობისათვის საჭიროა ახალი მძლავრ ელექტრო-სადგურის აშენება. ამხანაგებო, თუმცა არ შეიძლება ითქვას, რომ არის სრული სურათი იმისა, რაც შეიძლებოდა გაგვეკეთებინა ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრის მიხედვით, და, რომ ეს არ არის სრული და ამომწურავი გეგმა, ეს იქიდანაც სჩანს, რომ არ გვქონია ტეხნიკური შესაძლებლობა სავსებით დაგვეტვირთა ხუთწლედის უკანასკნელი ორი წელი, მაგრამ საერთოდ წარმოდგენილი გეგმა სავსებით ეთანხმება ინდუსტრიალიზაციის მიღებულ და უმაღლეს ორგანოების მიერ ნაკარნახევ ხაზს. საქართ. სახ. კომისართა საბჭომ, როცა მოისმინა ეს 5 წლიანი გეგმა, თავისი სპეციალური დადგენილება გამოიტანა მის შესახებ (იხ. „კომუნისტი“ № 83). გეგმის შეფასებას, რომელიც ამ დადგენილებაში მოცემულია, უკვე იცნობთ. დადებითი მომენტების აღნიშვნასთან ერთად, იქ არის გაკეთებული რამდენიმე შენიშვნა, რომლებზედაც უკვე მოგახსენეთ და რომელთა მიხედვით მოგვიხდება მუშაობა მომავალში.

აი, ამხანაგებო, საერთო ხაზები და მიმართულება ჩვენი მრეწველობის და ელექტროფიკაციის განვითარებისა მიმდინარე 5-წლედის განმავლობაში. (ტაში).

კამათი ამხ. ბ. ჩიჩინაძის მოხსენების გარშემო

13 აპრილის დილის სხდომაზე დაიწყო კამათი საქართველოს მრეწველობის განვითარების ხუთ წლიანი გეგმის გარშემო.

ამხ. მაისურაძე

(წნორის წყალი)

ზოგიერთი ჩვენი საწარმოს ადმინისტრაცია სათანადო გულისყურით არ ეკიდება საქმის ინტერესებს, მაგალითად, წნორის წყალის ხე-ტყის ქარხანაში ადმინისტრაციის უყურადღებობის გამო წარმოებამ იზარალა 18.000 მორი და 80.000 ცალი მუხის პარკეტი, რომელიც გამოუდეგარი გამოდგა, რადგან ზომაზე არ იყო დაჭრილი და დამუშავებული, ამავე ქარხანაში ადმინისტრაცია არ იცავდა შრომის კანონმდებლობას, მან უკანონოდ მოხსნა 12 მუშა, რომელიც აღადგინა სასამართლომ და რომელთაც მიეცათ ერთი წლის განაცდენი 12.000 მანეთი. ყურადღება უნდა მივაქციოთ არა მარტო ახალ საწარმოების აგებას, არამედ ამჟამად არსებული ქარხნების უზრუნველყოფას კვალიფიციური მუშა ხელით, სპეციალისტებით და საჭირო თანხებით.

ამხ. დავითიანი

(სვანეთი)

სვანეთში დიდი ყურადღება ექცევა ტყეებს, რომლის სივრცე 155.000 ჰექტარს უდრის, პირველად სვანეთის ტყეების ექსპლოატაცია დაიწყო სვანეთის აღმასკომმა 1925 წლ. ეს საქმე იკისრა ს. მ. უ. ს. სატყეო ტრესტმა, რომელმაც აღმასკომიდან შეიძინა ნაგებობანი და ამასთან ერთად აღმასკომს დაჰპირდა ყოველ წლიურად 50.000 მანეთის მიცემა, პირველ წელიწადს მან პირობა შეასრულა, ხოლო შემდეგ ხელშეკრულება დაარღვია, ჩვენ მისაღებ თანხას კონტრიბუცია დაარქვა და მისი გადახდისაგან თავი განთავისუფლა, ხელშეკრულების გასაჩივრებით აღმასკომს შეუძლია აიღოს ტრესტისაგან—100.000 მანეთის ჯარიმა, ტრესტი რაციონალურად ვერ მუშაობს, ყავს დიდი შტატი, რაც ხე-ტყის ღირებულებას ძალიან აძვირებს.

ხუთწლიან გეგმაში სვანეთს არ ექცევა იმდენი ყურადღება, როგორც ამას მისი ბუნებრივი სიმდიდრე მოითხოვს, ისტორიულად ცნობილია, რომ სვანეთში არის ოქრო, ალაგ-ალაგ თემებში ჰპოულობენ ოქროს ნაჭრებს, ამ ნაჭრებში უახლოესი არის ოქროზე გამოკვეთილი ალექსანდრე მაკედონელის სურათი, სვანეთში არის ოქრო, ვერცხლი, ტყვია, აზბესტი, ქვანახშირი, მარმარილო, სპილენძის კოლჩედანი, რკინა, ბარიტი და სხვა, 100-ზე მეტი მინერალური წყარო, შეუდარებელი საკურორტო ადგილები, დიდი პოტენციალური საელსადგურო ძალა, საჭიროა ს. მ. უ. ს.-მა გამოჰყოს კომისია ამ მადნების აღსარიცხავად და გამოსაკვლევად, ს. მ. უ. ს.-მა უნდა აგოს აგრეთვე საამშენებლო ქარხანა სვანეთის მოსახლეობის საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

ამხ. იმედაძე

(ქ. ფოთი)

ს. მ. უ. ს.-ი ყურადღებას არ აქცევს მრეწველობის განვითარებას ფოთში. ფოთს საამისო შესაძლებლობანი აქვს. ჯერ კუსტარული საშუალებითაც ფოთში იმდენი თევზის დაჭერა შეიძლება, რომ იგი დააკმაყოფილებს დასავლეთ საქართველოს და ნაწილობრივ თბილისსაც, მეთევზეობას შეიძლება მიეცეს საექსპორტო ხასიათი (მაგ. კეფალი), მაგრამ ეს საკითხი არ არის დამუშავებული, ს. მ. უ. ს.-მა ამ საკითხს ყურადღება უნდა მიაქციოს, ს. მ. უ. ს. დაუხმარებლად ფოთმა დაიწყო დელფინის ქონის ქარხნის აგება, რომელიც დაუმთავრებელია, რადგან დაგვაკლდა 15.000 მანეთი.

ხე-ტყის მრეწველობის განვითარება ფოთის რაიონში შეტანილია ხუთწლიან გეგმაში, მაგრამ საჭიროა კომბინატის მოწყობა დაჩქარდეს, რომ ბოლო მოეღოს ტყეების უსისტემო და ბარბაროსულ ექსპლოატაციას.

ყურადღება უნდა მიექცეს შრომის დისციპლინის განმტკიცებას საწარმოებში, სადაც ამჟამად სოფლიდან ჩამოსული გლეხობა იყრის თავს, რომელიც შეჩვეული არ არის ქარხნის წესებს. შრომის დისციპლინისა და ნაყოფიერების გადიდებაში ერთი-მეორეს უნდა დაეხმარონ ადმინისტრაცია და პროფორგანიზაციები.

ამხ. ხუცია

(ქ. გორი)

მრეწველობის ხუთწლიანი გეგმა უნდა შეუთანხმდეს სამაზრო აღმასკომების გეგმებს. გორის სამაზრო აღმასკომის გეგმა ს. მ. უ. ს. მიერ დღემდე არ არის დამტკიცებული, თუ ამას დროზე არ მიექცა ყურადღება, აღმასკომს უგეგმოთ მოუხდება მუშაობა. ვიდრე ქარხნის აგება დაიწყებოდეს უნდა გავარკვიოთ უზრუნველყოფილია თუ არა იგი მასალით, იმ მიზნით, რომ არ განმეორდეს მარელისის და ბორჯომის ფაბრიკის შეცდომები. საქმის წინასწარ შეუსწავლელობას ჰქონდა ადგილი გორში, საკონსერვო ქარხნის შენება უგეგმოთ აღმოჩნდა, იგი ჭაობიან ადგილში აუშენებიათ, რის გამოც საჭირო გახდა მისი გადატანა. უთვალყურეოდ და უზედამხედველოდ შენდება ქარხანა მეორე ადგილზე. დღემდე არ გამოურკვევიათ თუ როგორ მიმდინარეობს მუშაობა, საამშენებლო მასალას ეს ქარხანა უცხო ქვეყნიდან ღებულობს, როცა შეიძლებოდა ადგილობრივი მასალის გამოყენება. შუშის ქარხანა უნდა აშენდეს არა ლაშეში, არამედ გორის მაზრაში, რომელსაც აუარებელი მარაგი აქვს ამ წარმოების განსავითარებლად. აუცილებლად ყურადღება უნდა მიექცეს კვალიფიციური მუშა-ხელის მომზადებას, ჩვეულებრივ ასე ხდება: ავაგებთ ახალ ქარხანას და შემდეგ დავიწყებთ კვალიფიციურ მუშების ძებნას, ქარხნის აგების დაწყებისთანავე რუსეთში და საბჭოთა კავშირის სხვა რაიონებში სასწავლებლად გაგზავნილი უნდა იქნენ მუშები.

საამშენებლო მასალის ქარხანა უნდა აშენდეს გორში, რომელმაც სტიქიური ნგრევა განიცადა.

ამხ. სოროკინი

(თბილისის თემქას ქარხანა)

მუშათა მასა, მისი მოწინავე ნაწილი უნდა დაეხმაროს მთავრობას მავნებლებთან, ბედოვლათებთან, ბიუროკრატებთან, მფლანგველებთან და საქმის გამჭიანურებლებთან ბრძოლაში, რომლებიც შეეცდებიან შეაფერხონ ჩვენი სოციალისტური მშენებლობა.

ინჟ. მელიქ-ფაშაევი

(რიონჰესი)

ჩვენი მრეწველობის განვითარების ხუთწლიან გეგმას საფუძვლად უდევს, უპირველესად ყოვლისა, ენერგეტიული ბაზა — ელექტროფიკაცია, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისათვის, რომელსაც საკმაოდ არ მოეპოვება მარაგი, ელექტრომშენებლობამ ჩვენში წინ გაუსწრო ჩვენ წინანდელ გეგმებს, როდესაც ჩვენ რიონჰესის სამუშაოებს შეუდექით, გადაწყვეტილი იყო, რომ 1931 წლისათვის რიონჰესის დატვირთვა ყოფილიყო 65.627 ათასი კილ. საათი, ხოლო 1935 წელს 110.000.000, 40 წელს 156.670 მილ. საათი, საუღელტეხილო უბნის ელექტროფიკაციის გამო ამჟამად შენდება ელექტრო გადაცემის მაგისტრალური ხაზი, დატვირთვა იზრდება 35 წლისათვის 109.000.000 კილ. საათი, 40 წელს 170.000.000. სულ შეჯამებული დატვირთვა 31 წლისათვის იქნება 118 კილ. მილ. საათი, 35 წლისათვის 219 მილ., 40 წლისათვის 240 მილ., ე. ი. რაც ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია 40 წლისათვის, დღეს ჩვენს წინაშე სდგას, როგორც რეალური ამოცანა, 31-32 წელს ჩვენ რვა წლით უსწრებთ იმ გეგმას, რომელიც საფუძვლად დაედო რიონჰესის და ზაჰესის აგებას. დატვირთვის ასეთ ზრდასთან ერთად დგება საკითხი მრეწველობის ელექტრო-ენერგიით უზრუნველყოფის შესახებ. ის, რაც უნდა გაგვეკეთებინა 35 წლისათვის, უნდა გავაკეთოთ ამ უახლოეს სამი წლის განმავლობაში. ჩვენ უკვე გვჭირდება 200 მილ. კილ., ეს აყენებს საკითხს იმის შესახებ, თუ რითი ავინაზღაუროთ ენერგიის ის დანაკლისი, რომელსაც ადგილი ექნება ზაჰესის და რიონჰესის სისტემაში წყლის ნაკლებობის პერიოდში, აუცილებელი ხდება სამარქაფო ჰიდრო-სადგურის აგება, რომელიც უნდა დაიწყოს პირველი ხუთწლედის დამლევს.

ერთ საკითხს მინდა მივაქციო კიდევ ყურადღება. დღემდე ჩვენ პროექტებს ვადგენდით რამდენიმე თვის განმავლობაში, ხოლო ვაგებდით ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში, ე. ი. ვიქცეოდით წინააღმდეგ საზღვარგარეთის პრაქტიკისა, სადაც პროექტებს ადგენენ ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში, ხოლო აგებენ ერთ ან ნახევარ წელიწადში. ჩვენც მუშაობის ასეთი სისტემა უნდა ავირჩიოთ.

ამხ. გაბუნია

(ზუგდიდი)

ხუთწლიან გეგმას აქვს დეფექტები, საწარმოო საშუალებათა მრეწველობის ხვედრითი წონა მეტი უნდა იყოს, ვიდრე პირველ საჭიროების საგანთა წარმოება. მე მგონია, ეს უნდა შესწორდეს. ნაკლები ადგილი უჭირავს აგრეთვე გეგმაში ქიმიურ მრეწველობას. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს გეოლოგიურ გამოკვლევებს, რომ არ განმეორდეს ქარხნების აგება გამოუკვლევ ადგილებში. ქარხანა უნდა შენდებოდეს იქ, სადაც ნედლი მასალის საკმაო რაოდენობაა.

აგურ-კრამიტის ქარხნის აგება ყველგან არის გათვალისწინებული, გარდა ზუგდიდის მაზრისა, სადაც წინათ იყო ასეთი ქარხანა. ზუგდიდს უკვე აქვს სათანადო მანქანები, სათბობი მასალის მარაგი, ქარხანა აქაც უნდა აშენდეს. ბეკონის ქარხანაც ზუგდიდში უნდა იყოს, რადგან არც ერთი რაიონი არ არის ისე უზრუნველყოფილი ღორებით, როგორც ზუგდიდის რაიონი.

ამხ. მატინიანი

(ფეიქართა კავშირი)

ჩვენ მოვითხოვეთ საფეიქრო მრეწველობის გაფართოება ხუთწლიან გეგმაში, მაგრამ ჩვენი შესწორება უყურადღებოთ დასტოვეს იმ მოსაზრებით, რომ თითქოს არ იყოს საკმაო ნედლეული. ნამდვილად კი ქუთაისის მაუდის ფაბრიკა მხოლოდ 67 პროცენტით არის დატვირთული, ხოლო თბილისის ბამბის საქსოვი ფაბრიკა ხარჯავს მხოლოდ ნედლი ბამბის 20 პროცენტს, ე. ი. შეიძლებოდა ნედლეულით საფეიქრო მრეწველობის უზრუნველყოფა. გეგმის ნაკლია ის, რომ ის არ ითვალისწინებს საბინაო მშენებლობას ჩვენი საფეიქრო წარმოებისათვის.

ქარხნებთან უნდა იქნეს სახლები, რომ მუშებს სამი-ხუთი ვერსიდან არ დასჭირდეთ სიარული. მუშა-ხელის მოსამზადებლად გათვალისწინებული თანხები მცირეა, იგი უნდა გადიდდეს.

ამხ. სალდაძე

(სატყეო ტრესტი)

მოგვარებული არ არის შეთანხმებული მუშაობა საქართველოსა და ავტონომიური რესპუბლიკების სატყეო ტრესტებ შორის. ჩვენი ხე-ტყის ქარხნები სავსებით არ არიან დატვირთულნი, სამ რიგი მუშაობის შემოღებით შეიძლებოდა გაგვედიდებია ჩვენი ტყეების უტილიზაცია. სათანადოთ არ მცირდება აგრეთვე ჩვენი ხე-ტყის ნაწარმოების თვითღირებულება, რომელიც ხუთი წლის დამლევს მეტი იქნება, ვიდრე საბჭოთა კავშირში. მუშა-ხელის კვალიფიკაციის ამაღლებას დროზე უნდა მოვკიდოთ ხელი და არა მაშინ, როცა საქმე მუშა-ხელის დაქირავებაზე მიდგება.

ამხ. ზანდარია

(აფხაზეთი)

აფხაზეთს, როგორც მრეწველობით ჩამორჩენილ ქვეყანას, უფრო მეტი დაბრკოლება გადაეღობა წინ, ვიდრე სხვა რომელიმე რესპუბლიკას. აფხაზეთში შესწავლილი არ არის რაიონები და ის ობიექტები, რომლებიც ხუთწლიან გეგმას უნდა დაედებოდა საფუძვლად. არ იყო შეთანხმება გეგმის შემუშავების დროს. საქ. ს.მ.უ.ს. ხელმძღვანელობას წერილობითი ფორმით გვიწევდა, ქაღალდით ხელმძღვანელობა კი ხუთწლიანი გეგმის შედგენის დროს საკმარისი არ არის. ხუთწლიანი გეგმა მოითხოვდა კვალიფიციურ ძალას და საშუალებებს, ჩვენ კი არც ასეთი ძალა გვყავდა და არც საშუალება მოგვეპოვებოდა. საორიენტირო გეგმა მაინც შევადგინეთ, სამი ვარიანტი გამოუგზავნეთ საქართველოს ს. მ. უ. ს., მაგრამ დღემდე განუხილავია აფხაზეთში ხარჯთაღრიცხვის პროექტების შედგენას ახასიათებდა მოუფიქრებლობა, ამა თუ იმ რაიონში ობიექტების არა სერიოზული შესწავლა, რაც შემდეგში მშენებლობას აძვირებდა ნედლეული ბაზის უქონლობის გამო, ყოველ წარმოების დაწყებისათვის საჭიროა საკითხის დაწვრილებით შესწავლა, დამუშავება, მაგრამ აუცილებელია, რომ უკიდურესობაშიც არ გადავარდეთ, ზედმეტ ფორმალიზმს არ წავეჩხოთ, ამ უკანასკნელ მოვლენას ჰქონდა ადგილი, ფორმალურ მოსაზრებებით პროექტების დამტკიცებას დიდხანს აგვიანდებოდა. მაგ., ბზიბის კომბინატის აგების საკითხი დიდი ხანია აღიძრა, მაგრამ პროექტების დამტკიცებას აქამდის არაფერი ეშველა, მოწყობილობა უკვე გამოწერილია, დახარჯულია ვალიუტა, პროექტი კი დამტკიცებული არ არის, პროექტების დამტკიცებას აგვიანდება ყველა ინსტანციებში, დაწყებული თბილისიდან დამთავრებული მოსკოვით. ეს შეუწყნარებელი მოვლენაა, რადგან ამას თან სდევს კაპიტალის არა რაციონალური დაბანდება.

ორატორი საჭიროდ სცნობს, რომ ტყვარჩელის მაღაროების ექსპლოატაციასთან დაკავშირებით მიღებულ იქნეს ზომები მეტალურგიო მრეწველობის განვითარებისათვის აფხაზეთში.

ამხ. კუპატაძე

(ქ. ჭიათურა)

ჭიათურის შავი ქვის მრეწველობაში ყურადღება უნდა მიექცეს მუდმივ მუშათა კადრის შექმნას, რადგან სეზონური მუშები წარმოებისათვის ხელსაყრელი არ არის, მუდმივ მუშათა კადრი ხელს შეუწყობს შრომის დისციპლინის განმტკიცებას და ნაყოფიერების გადიდებას, უნდა გაძლიერდეს აგრეთვე საწარმოო თათბირების მუშაობა.

ამხ. აკოპოვი

(ქიმიკოსთა კავშირი)

ქიმიური მრეწველობა, რომელიც აუცილებელ პირობას წარმოადგენს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის და, რომელიც აგრეთვე დიდ როლს თამაშობს ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საქმეში, მოითხოვს ჩვენს უდიდეს ყურადღებას. მიუხედავად ამისა, საქართველოს მრეწველობის ხუთწლიანი გეგმა ამ თვალსაზრისით რეალურს ხელშესახებს არაფერს იძლევა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთ შუშის ქარხანას, რომელიც გეგმით ძალიან გვიან უნდა აშენდეს, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ საქართველო ამჟამად განიცდის შუშის ჭურჭლეულობის დიდ დეფიციტს, შუშის ქარხნის აგების გადადება შემდეგი წლებისათვის მიზანშეუწონლად უნდა ჩაითვალოს. ქარხანა აუცილებლად უახლოეს წლებში უნდა აშენდეს.

საერთოდ, მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ქიმიურ მრეწველობას, რისთვისაც საკავშირო მთავრობის მზგავსად ს. მ. უ. ს.-თან უნდა მოეწყოს ქიმიური მრეწველობის განყოფილება, რომელმაც პირველ რიგში უნდა შეისწავლოს ქიმიური მრეწველობის ნედლეული და ობიექტები.

ამხ. კალანდაძე

ჩვენ უნდა ვიზრუნოთ არა მარტო იმისთვის, რომ გავაძლიეროთ ადგილობრივი მრეწველობა, არამედ იმისთვისაც, რომ ეს მრეწველობა უზრუნველვყოთ საბრუნავი თანხებით, საჭიროა მაზრებიდან თავის დროზე შემოვიდეს განცხადება, თუ ვის რამდენი საბრუნავი თანხა სჭირდება, რომ ადგილი არ ექნეს გაუგებრობას. ჩვენი რესპუბლიკის დარაიონება ერთი მხრივ გააძლიერებს ადგილობრივ ბიუჯეტს და მეორე მხრივ ხელს შეუწყობს ადგილობრივ მრეწველობის დარგობრივ ჩამოყალიბებას, მაგალითად, ქუთაისის ოლქში შეიქმნება საამშენებლო მასალის ტრესტი, როგორც ერთი მთლიანი დარგი, გორის მაზრაში გემოკვების წარმოების ტრესტი, თბილისის და ბორჩალოს რაიონებში მერძევეთა და საამშენებლო მასალის კომბინატები. ადგილებმა ეს საკითხი უნდა დაამუშაონ, რადგან ახლო მომავალში იგი დღის წესრიგში დაისმება.

კომუნალურ აღმშენებლობას ორატორები აქ არ შეეხებიან. ამ დარგზე დიდი თანხები იხარჯება, ყურადღება კი ნაკლები ექცევა, რის გამოც იგი მოუწესრიგებელია. საჭიროა ახალი აპარატის შექმნა კომმეურნეობის მშენებლობაზე ხელმძღვანელობის გასაწევად. მეტ ყურადღებას მოითხოვს აგრეთვე შინა-მრეწველობა, რომელშიაც 70.000 მშრომელია ჩაბმული და რომლის პროდუქციის ღირებულება 55.000.000 მანეთს უდრის წლიურად, შინა-მრეწველობის კოოპერაციამ ფეხი მოიკიდა და გამაგრდა, მაგრამ საჭიროა მან თავის მუშაობა სოფლადაც გადაიტანოს.

ყრილობის დღიური

13 აპრილს დილით დამთავრდა კამათი ამხ. ბ. ჩიჩინაძის მოხსენების გარშემო.

საღამოს სხდომაზე ყრილობამ მოისმინა ამხ. გ. მგალობლიშვილის მოხსენება საქართველოს დარაიონების შესახებ და დამთავრდა კამათი ამ საკითხის გარშემო (დაწვრილებითი ანგარიშს მოვათავსებთ ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში).

კამათის დამთავრების შემდეგ ყრილობამ დაადგინა: პროექტი საბოლოო დამუშავებისა და დამტკიცებისათვის გადაეცეს საქართველოს მეხუთე მოწვევის ცაკს, იმ ანგარიშით, რომ 1929 წლის 1-ლ ოქტომბრიდან საქართველოს დარაიონება გატარებული იქნეს. ყრილობა წინადადებას აძლევს ავტონომიურ რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრ. კომიტეტებს ამ პროექტის საფუძველზე და შეიმუშაონ აფხაზეთის, აჭარისტანის და სამხრეთ-ოსეთის დარაიონების გეგმა.

დღეს ყრილობის სხდომა არ შესდგება, დელეგატების ნაწილი მიემგზავრება ზაჰესში და ნატახტარში.

ხვალ, 15 აპრილს შესდგება ყრილობის უკანასკნელი სხდომა, რომელზედაც მიღებული იქნება რეზოლიუციები და არჩეული იქნება საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

გუშინ საღამოს სხდომაზე დამცველთა კოლეგიის სახელით ყრილობას მიესალმა შ. მესხიშვილი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მეხუთე ყრილობა

ამხ. ზ. ჭიჭინაძის საბოლოო სიტყვა

ამხანაგებო, ჯერ შეკითხვებზე ვუპასუხებ.

შეკითხვა: რატომ კეთდება ენგურზე ქაღალდის ქარხანა და არა სხვაგან, სადაც უფრო შესაფერისი ადგილია?

სპეციალურმა ექსპედიციამ ეს საკითხი შეისწავლა, ყოველმხრივ გაეცნო მდგომარეობას და ქაღალდის ქარხანა შენდება, სადაც უფრო მიზანშეწონილია.

შეკითხვა: ამა თუ იმ ფაბრიკისა და ქარხნის აგების დამთავრებისათვის ვნიშნავთ განსაზღვრულ დროსა და ვადას. რაა იმის მიზეზი, რომ არ ყოფილა შემთხვევა ესა თუ ის ქარხანა აღნიშნულ დროზე დასრულებულიყო?

ეს აიხსნება იმით, რომ ჩვენ მუშაობას ვიწყებდით არა წინასწარი გეგმით, არამედ მოსაზრებით, მოსაზრებები ყოველთვის ვერ სრულდებოდა დროზე, ზოგ შემთხვევაში კი ხელს გვიშლიდა ფინანსიური მდგომარეობაც.

შეკითხვა: როდის დაიწყება ქაღალდის ქარხნის აგება?

პასუხი: მომავალი წლიდან დავიწყებთ მუშაობას.

შეკითხვა: როდის დაიწყება ქაღალდის ქარხნის აგება?

მე მგონია ყრილობაზე ეს საკითხი საკმაოდ იყო გაშუქებული, ყოველ შემთხვევაში გავიმეორებ, რომ ამ სადგურისათვის გეოლოგიური მუშაობა თავის დროზე არ იყო ნაწარმოები, საჭიროდ მიგვაჩნია ეხლა მაინც შესრულდეს ეს სამუშაოები და ამის მიხედვით განვაგრძოთ ელსადგურის მშენებლობა.

შეკითხვა: რამ გამოიწვია საჭილაოს ხე-ტყის ქარხანაში რამოდენიმე სახერხი ქარხნის შეჩერება.

საჭილაოს ქარხანა რკინის გზის სამმართველოს ეკუთვნის. ამის შესახებ დაწვრილებითი ცნობები არ შემიძლია მოგაწოდოთ, როგორც ეტყობა, ვერ მოახერხეს ქარხნის უზრუნველყოფა ნედლეულით. ხუთწლიანი საპერსპექტივო გეგმით საჭილაოს სახერხი ქარხანა უნდა გადაეცეს ს.მ.უ.ს., რომელიც შესძლებს ქარხნის დატვირთვას.

შეკითხვა: საქართველოში ბევრნაირი ყურძენი მოდის, რატომ არ არის ჩვენში ქიშმიშის ქარხანა, ან სახმობი, რათ შემოგვაქვს ქიშმიში სპარსეთიდან?

მართალია, საქართველოში ბევრნაირი ყურძენია, მაგრამ ე. წ. ქიშმიშის ყურძენი ჩვენში არ მოდის, იგი შემოგვაქვს. გარდა ამისა, მე მგონია, დიდი ნაკლი არ იქნება თუ ხუთწლიან საპერსპექტივო გეგმით ქიშმიშის მრეწველობას არ მივაქცევთ დიდ ყურადღებას.

შეკითხვა: წარსულ წლებში რაჭა-ლეჩხუმში მდ. რიცეულზე დაწყებული იყო ჰიდროელსადგურის აგება. რატომ არის დღეს მუშაობა შეჩერებული, არის თუ არა განზრახული ამ სადგურის საამშენებლო მუშაობის განახლება?

ამხანაგებო, ამ სადგურის აგება სრულიად უგეგმოთ დაიწყეს. შემთხვევით იშოვეს რაღაც ტურბინა და მოსძებნეს ადგილი, რომელიც ტურბინისათვის გამოდგებოდა. მუშაობის დაწყება ასე არ ვარგა, ჯერ უნდა შესდგეს სადგურის გეგმა; გამოირკვეს მის მომხმარებელთა რიცხვი, მისი დატვირთვა, შემდეგ დამუშავდეს პროექტი და დასასრულ შეკვეთილ იქნეს ტურბინა. მაგრამ ეს სადგური უგეგმოთ დაიწყო და ასევე დამთავრდა. ამჟამად ჩვენ გვაქვს რიცეულის სადგურის ნამდვილი გეგმა. როდესაც ფერო-მარგანეცის საკითხი მუშავდებოდა, პროფ. ლიუდინის ხელმძღვანელობით შედგენილ იქნა ეს გეგმა, რომელიც წარმოადგენს ვარიანტს იმ სარეგულაციო ცენტრალისა, რომელზედაც ლაპარაკი მქონდა მოხსენებაში. შეიძლება ეს დიდი საქმე მოკლე ხანში განხორციელდეს.

შეკითხვა: რაჭა-ლეჩხუმის მაზრაში სახერხი ქარხნის გარდა, არაფერი ახალი აღმშენებლობა არ არის განზრახული. ნუ თუ ამით შეიძლება წინ წაიწიოს მაზრა, ან ეკონომიურად, ან კულტურულად?

მე აღვნიშნე, რაც არის განზრახული რაჭა-ლეჩხუმის მაზრაში. როგორც ცენზიანი, ისე ადგილობრივი მრეწველობა უნდა ეყრდნობოდეს ან ნედლეულობის ბაზას, ან მოხმარებას, ან რაიმე გარკვეულ ეკონომიურ ფაქტორს. ასეთი მძლავრი ეკონომიური ფაქტორი ჯერ-ჯერობით ამ რაიონში არ არის. ამიტომ მსხვილი მრეწ. ამჟამად იქ არ იწყება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ აქ მრეწველობის განვითარება არ შეიძლებოდეს. ჯერ-ჯერობით იქ არის ხე-ტყის მრეწველობა. გარდა ამისა რაჭაში აშენდა ორი ელექტრო-სადგური შამშოვსა და ონში.

შეკითხვა: სად არის განზრახული ნავთსადგურის აგება ტყვარჩელის ქვანახშირის გასატანად და სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით სად არის მისი აგება მიზანშეწონილი?

ეს საკითხი გადაწყვეტილია მთელ რიგ ორგანოების მიერ. სადგურის აგება განზრახულია სოხუმში, მთელ რიგ გამოკვლევით დადასტურდა, რომ ეს ადგილი ყველაზე უფრო მიზანშეწონილია.

შეკითხვა: ითვალისწინებს თუ არა ხუთწლიანი გეგმა ტყვიის მადნების ექსპლოატაციას სამხრეთ-ოსეთში?

ამ მადნების ექსპლოატაციას ხუთწლიანი გეგმა არ ითვალისწინებს, რადგან მადნების გამოკვლევა ჯერ დამთავრებული არ არის. გამოკვლევაზე, რომელიც გაგრძელდება — 29—30—32 წლების განმავლობაში, გადადებულია ხუთწლიან გეგმით 250 ათასი მანეთი. ეს ფრიად მნიშვნელოვანი საქმეა და ექსპლოატაციას ვერ დავიწყებთ, სანამ მადნებს სათანადოთ არ გამოვიკვლევთ.

შეკითხვა: რატომ არაფერი სთქვით შინამრეწველობაზე?

დროის განუსაზღვრელობის გამო ჩემს მოხსენებაში ვერ შევეხე ყველა დარგებს და მათ შორის შინამრეწველობასაც. მეტად მძიმე საქმეა შინა-მრეწველობის განვითარების დახასიათება მოკლედ. ამის შესახებ შემიძლია ვსთქვა, რომ ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მოეწყო შინა-მრეწველობის ხელმძღვანელი ორგანო, ბევრი რამ არის გაკეთებული. აღდგენილი და ამუშავებულ იქნა მთელი რიგი წვრილი საწარმოები, რომელიც წინად გაუქმებული იყო და რომელიც ამჟამად ჩამოყალიბებულია სხვადასხვა არტელებათ და მუშაობს შინა-სამრეწველო კოოპერაციის ხელმძღვანელობით.

შეკითხვა: რას ფიქრობთ თქვენ ისეთ ქარხნებზე, როგორიც არის ტყავტრესტის, საპონ-ზეთის ქარხნები და სხვა, რომლებიც ამჟამად ნედლეულობის უქონლობის გამო მხოლოდ 50 პროცენტით არიან დატვირთულნი. საქმის ვითარება ამ შეკითხვაში სწორად არ არის გადმოცემული. საპონ-ზეთის ქარხნები მუშაობენ სრული დატვირთვით. ტყავტრესტის ქარხნები სავსებით დატვირთულნი არიან. ჩვენი ხუთწლიანი გეგმაც ითვალისწინებს ტყავის მრეწველობის სრული 100 პროცენტით დატვირთვა.

შეკითხვა: შესძლებს თუ არა საკუთარი სამეცნიერო ტეხნიკური ძალები ხუთწლიანი გეგმის შესრულებას. არის თუ არა ამის გარანტია, რომ ეს გეგმები სისწორით არის შედგენილი. ხომ არ განმეორდება აჭ. ჰიდრო ელსადგურის, მარელისის ფაბრიკის, მცხეთის ხე-ტყის ქარხნის ისტორია?

თუ საკუთარ სამეცნიერო ძალებათ ვიგულისხმებთ იმ პირებს, რომელიც ქუთაისში, თბილისში, ან სოხუმში იმყოფებიან, რასაკვირველია მხოლოდ ამ ძალებით გეგმის შესრულება ძალიან გაგვიჭირდება. მაგრამ თუ საკუთარ სამეცნიერო ძალებათ ვიგულისხმებთ მთელი საბჭოთა კავშირის გაერთიანებულ ტეხნიკურ ძალებს (რომლებსაც ჩვენ მივმართავთ იმ შემთხვევაში, როცა ჩვენ სათანადო კვალიფიკაციის სპეციალისტები არ აღმოგვაჩნდება), მაშინ ჩვენ შევსძლებთ ამ ხუთწლიანი გეგმის საკუთარი ძალებით შესრულებას. რასაკვირველია დიდი სიფრთხილე დაგვჭირდება, რომ არ გავიმეოროთ წინანდელი შეცდომები. შეიძლება ადგილი ექნეს ზედმეტის დახარჯვას, მაგრამ ის შეცდომები, როგორიც აჭარის წყლის სადგურის, მარელისის ფაბრიკის აგების საქმეში, არ განმეორდება, რადგან ეხლა ჩვენ არაფერს არ ვიწყებთ საქმის წინასწარი შესწავლის გარეშე. არ ვიწყებთ არაფერს თუ საქმე წინდაწინ აწონ-დაწონილი არ იქნა კომპეტენტურ ორგანოების მიერ, თუ დასაწყები საქმის ეკონომიური და ტეხნიკური მხარეები წინდაწინ დამუშავებული არ იქნა კომპეტენტური სპეციალისტებისა და უმაღლეს ორგანოების მიერ. სხვადასხვა მოულოდნელი მიზეზების გამო შეიძლება ამა თუ იმ მშენებლობაში მოგვივიდეს შეცდომა, მაგრამ დიდ შეცდომებს ადგილი არ ექნება.

კერძოდ ზაჰესზე უნდა განვაცხადო, რომ ზოგიერთ ამხანაგს შემცდარი შეხედულება აქვთ, თითქოს ზაჰესი ნავარაუდევზე მეტი დაჯდა. ზაჰესის პირველი საესკიზო პროექტი ჯდებოდა 4.200 ათასი მანეთი ომის წინდროინდელი კურსით. ნამდვილად ზაჰესი ქვე-სადგურებითა და გადამცემი ქსელით დაჯდა 13.900 ათასი მანეთი. (ჩერვონცები). ამხანაგებო, საამშენებლო კოეფიციენტით, რომელიც ჩვენა გვაქვს დღეს, ზედმეტის დახარჯვა ამ საქმეზე 20-22 პროცენტს არ აღემატება. ასეთ დიდ მშენებლობაზე ეს თანხა მაინც და მაინც დიდი არ არის.

შეკითხვა: რას ფიქრობთ თქვენ ამ ჟამად არსებულ ფაბრიკებზე და მანქანებზე, ჩააბამთ თუ არა ამ ფაბრიკების მუშაობაში შინამრეწველებს და ხელოსნებს?

რასაკვირველია, ყველა პატარა ქარხანა და ფაბრიკები, სახელოსნოები და წვრილი საწარმოები, თუ კი სხვადასხვა სამეურნეო მიზეზების გამო მიზანშეწონილი არ იქნება მათი ს.მ.უ.ს ორგანოებისათვის დაქვემდებარება და თუ კი ეს ხელსაყრელი იქნება შინა-მრეწველობისათვის, — ეს საწარმოები გადაეცემა შინა-მრეწველთა კოოპერატივებს. კონკრეტიულად მე ამაზე არ შევჩერდები, ვიტყვი მხოლოდ, რომ ს.მ.უ.ს. პოლიტიკაა ხელი შეუწყოს შინამრეწველობას და გაანვითაროს ყველა ასეთი წარმოებანი თუ კი ეს შესაძლებელია.

შეკითხვა: ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს თუ არა რკინის გზის გაყვანას სამხრეთ-ოსეთში?

ამ შეკითხვაზე ს.მ.უ.ს.-გან საბოლოო პასუხს ვერ მიიღებთ. ეს არის გზათა კომისარიატის საქმე, მაგრამ რამდენადაც ვიცით, ხუთწლიან გეგმაში ამ გზის გაყვანა არ არის გათვალისწინებული. ეს შეკითხვა გადაეგზავნება სათანადო ორგანოს, რომელიც მოგვცემს პასუხს.

შეკითხვა: სად აშენდება შუშის ქარხანა, ლაშეში თუ სურამში?

ეს საკითხი საბოლოოდ არ არის გამორკვეული, ნედლეულის გამოკვლევა გვიჩვენებს, რომ ამ ქარხნისათვის სურამზე უფრო მიხაღება ლაშე. ქარხნის პროექტის შედგენის დაწყებისას მოწვეული იქნება ცნობილი საკავშირო ორგანიზაცია „სტეკლოსტროი“, რომელიც შეისწავლის და საბოლოოდ გადასწყვეტს, თუ სად უნდა იქნეს აგებული ქარხანა.

შეკითხვა: რა იყო მიზეზი, რომ ცემენტის ქარხნის ასაგები თანხის ნაწილი რიონჰესს მოახმარეს?

ამხანაგებო, გადაჭრით ვაცხადებ, რომ ცემენტის ქარხნის ასაგები თანხიდან არც ერთი კაპიკი რიონჰესის მშენებლობას არ მოხმარებია. არ ვიცით საიდან შეთხზეს ეს ცნობა.

შეკითხვა: გორის საკონსერვო ქარხანა გაკეთდება წელს, თუ იმის თანხებიც სხვაგან გადაისროლეთ?

მე განგებ ხაზს უსვამ ამ ასოს „ც“ და ვფიქრობ ასეთ შეკითხვებს ადგილი არ უნდა ქონდეს საბჭოთა ყრილობაზე. რას გვეუბნება ეს „ც“? ეს გვეუბნება იმას, თითქოს არსებობს რაღაც მიმართულება ს.მ.უ.ს-ში რომელიც ცდილობს გორის მაზრას წაართვას რამე და სხვას გადასცეს. გადაჭრით ვაცხადებ, საკონსერვო ქარხანა დაწყებულია გორის მაზრაში და იქვე აშენდება.

შეკითხვა: ნუთუ მიზანშეწონილი არ იქნებოდა ავტონომიური რესპუბლიკების და საქართველოს სატყეო ტრესტების ერთ ორგანიზაციად გაერთიანება?

რა თქმა უნდა ასეთი სამეურნეო გაერთიანება, მთლიანი საოპერაციო გეგმის შედგენა აუცილებელია, რომ ჩვენ სწორედ იმ მიმართულებით უნდა ვაწარმოოთ მუშაობა, რომ ერთი მეორეს დაუკავშიროთ ცალკე სატყეო ორგანოების საქმიანობა ისე, რომ არ დაირღვეს სათანადო დირექტივები ადგილობრივ ინიციატივის შესახებ.

შეკითხვა: რა მდგომარეობაშია ნავთის კვლევა-ძიება გურიასა და შირაქში?

კარგი ნიშნები სჩანს შირაქის რაიონში. გურიის რაიონში ჯერ-ჯერობით გაკეთებულია მხოლოდ ერთი ბურღილი. საბოლოო დასკვნის გამოტანა არ შეიძლება, ყოველ შემთხვევაში ზოგიერთ ადგილზე მიღებული შედეგები იმედს გვაძლევს, რომ ერთ რომელიმე რაიონში აღმოჩენილი იქნება სამრეწველო მნიშვნელობის ნავთი.

* * *

ეხლა შევეხები იმ საკითხს, რომელიც კამათის დროს აღძრეს დელეგატებმა.

სვანეთის წარმომადგენელმა გვისაყვედურა, რათ არ არის გადადებული ფული სვანეთის ოქროს მადნების საძებნად. არავითარი სერიოზული საბუთი არა გვაქვს იმისათვის, რომ ეხლა გავიღოთ ფული და დავიწყოთ სვანეთში ოქროს ძებნა. მართალია სვანეთის დელეგატმა განაცხადა, რომ ალექსანდრე მაკედონელის დროს იყო ოქროს ნიშნებიო, მაგრამ ასეთი ლეგენდების მიხედვით არ შეგვიძლია გეოლოგიური კვლევა-ძიების გეგმა შევადგინოთ. ოდესღაც საქართველოში ოქროს ვერძით მოსულა იაზონი და რიონის კალაპოტში უძებნია ოქრო, ამიტომ ჩვენ დღეს რიონის კალაპოტში ვერ დავიწყებთ ოქროების ძებნას. რისი გაკეთებაც შეიძლება სვანეთში, ჩვენ ვაკეთებთ, მაგ. ცინკისა და ტყვიის მადნების გამოსაკვლევათ გადადებული გვაქვს თანხა.

იმავე ორატორმა განაცხადა სვანეთის აღმასკომს არავითარი „კონტრიბუცია“ სატყეო ტრესტზე არ დაუდვია, მასთან დადებული ქონდა 40.000 მანეთის ხელშეკრულება. პირობის დარღვევისათვის დამნაშავეს უნდა გადაეხადა 100.000 მანეთის ჯარიმა. ასეთი ხელშეკრულება არ უნდა დაედო არც ერთს, ამიტომ ასეთ საქციელს სხვა სახელის გარდა არ შეიძლება უწოდოთ, თუ არა „კონტრიბუცია“, სადაც მთელი ჯამი ხელშეკრულებისა უდრის 40.000 მანეთს, დარღვევისათვის კი 100.000 მანეთი ჯარიმაა დაწესებული.

გორის მაზრის დელეგატების შესახებ უნდა მოგახსენოთ, რომ ზოგიერთის მათგანის გამოსვლა ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს პირადათ ჩემზე, ვითომ მათ უნდათ მთელი ხუთი წლის გეგმა ასრულდეს ერთ წელიწადში და ერთ მაზრაში. გორის მაზრაში განზრახულია აშენდეს შემდეგი ქარხნები: შაქრის, ცემენტის. შაქრის ქარხანა უკვე შენდება. შემდეგ წელში აშენდება კონსერვის ქარხანა. გორის მაზრაზე გაივლის აგრეთვე ზაჰესის ელექტრო-ენერგია. იმის თქმა, რომ გორის მაზრას არავითარი ყურადღება არა აქვს მიქცეული,—არ არის სწორი. ცენზიან მრეწველობის გარდა შენდება ადგილობრივი მნიშვნელობის საწარმოები. შევეხები კონსერვის ქარხანას, რომლის შესახებ ამხანაგებმა ს.მ.უ.ს. უსაყვედურეს, რათ დაგვჭირდათ ამ ქარხნის საამშენებლო მუშაობის ერთი ადგილიდან რამოდენიმეჯერ მეორეზე გადატანაო. ეს მოხდა მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ვერას გზით ს.მ.უ.ს ვერ მოახერხა დაერწმუნებია გორის აღმასკომი ამ ქარხნის დიდ მნიშვნელობაში და მისთვის შესაფერი ადგილის გამონახვის საჭიროებაში. აღმასკომის მიერ ისეთი ადგილი იყო მოცემული, რომ იქ ქარხნის აგება არ შეიძლებოდა. როდესაც ს.მ.უ.ს-მა ამ ქარხნის ასაგებად გადასდო ფული, მხოლოდ ამის შემდეგ ავირჩიეთ ქარხნისათვის შესაფერი ადგილი. თუ ამხანაგებს სურდათ საბჭოთა ყრილობაზე ამაზე ელაპარაკათ, მათ საკითხი კარგად უნდა გაეშუქებიათ ან სრულიად გაჩუმებულიყვნენ.

ამხ. გაბუნიას გამოსვლა და მისი აზრი აგურ-კრამიტის ქარხნის აგების შესახებ ნოსირში შემცდარია. ნოსირში აგურ-კრამიტის ქარხნის აგება ყოველ მხრივ მიზან-შეწონილია, რადგან ეს ადგილი პირდაპირ რკინის გზასთან მდებარეობს და ქარხანა უზრუნველყოფილი იქნება საუკეთესო ხარისხის ნედლი მასალით. ის გარემოება, რომ სხვა რაიონები საჭიროებენ აგურ-კრამიტის ქარხნის აგებას, არ გვაძლევს საფუძველს იმისათვის, რომ ნოსირში არ ავაგოთ ასეთი ქარხანა. არავის არაფერი ექნება საწინააღმდეგო, რომ ზუგდიდშიც აშენდეს აგურ-კრამიტის ქარხანა, რომელსაც იგი აუცილებლად საჭიროებს, ვინაიდან რამოდენიმე კილომეტრზე აგურის ზიდვა მოუხერხებელია, მაგრამ ნოსირს უპირატესობა მივეცით, იმიტომ, რომ იქ უფრო დიდი მოთხოვნილებაა.

რაც შეეხება ელექტრო-სადგურის აგებას ენგურზე, ვერავინ მისაყვედურებს, რომ მე ელექტრო-სადგურების აგების მომხრე არ ვიყო, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია ვისმეს მოვსთხოვოთ ის თანხა, დაახლოებით, 50.000.000 მანეთი, რომელიც ენგურის ელექტრო-სადგურის აგებას დასჭირდება. ფუჭია ასეთი დიდი თანხის გამოთხოვის ცდა, ვინაიდან ეს ხარჯი ათი წლის განმავლობაში არ იქნება ანაზღაურებული. იმ დროს, როდესაც ჩვენ გვეუბნებიან ზაჰესი არ გაქვთ დატვირთული 60 პროცენტითო, ვინ მოგვცემს ჩვენ საშუალებას ხუთასი ათასი ცხენის ძალიანი ელექტრო-სადგური ავაშენოთ. (გაბუნია: აშენებაზე კი არა, გამოკვლევაზე ვილაპარაკე). ეს სულ სხვა არის. ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს არა მარტო ენგურის, არამედ სხვა მდინარეების გამოკვლევასაც.

ამხ. სალდაძემ აქ გააკეთა რამოდენიმე განცხადება, რომელსაც ს. მ. უ. ს.-ი ვერ მიიღებს სახელმძღვანელოდ. მე არ ვგულისხმობ სატყეო ტრესტის მუშაობის დეფექტებს, ადმინისტრატიული პერსონალის და ცალკე მუშაკების დეფექტებს, ამჟამად სატყეო ტრესტის მუშაობა საკმარისად გაჯანსაღებულია, მაგრამ შეცდომებს აქვთ ადგილი და შემდეგშიაც ექნება, რადგან სატყეო ტრესტის მუშაობა ვრცელდება დიდ რაიონებზე, სწარმოებს ხშირად ისეთ მიუვალ ადგილებში, რომელიც ადვილად არ ექვემდებარება კონტროლს, ასეთ პირობებში შეცდომები, რასაკვირველია, შესაძლებელია, მაგრამ ობიექტიურმა მეთვალყურემ უნდა აღნიშნოს, რომ შეცდომების რიცხვმა იკლო და ამ მხრივ ამხ. სალდაძესთან სადაო არაფერი მაქვს. მაინც არ შემიძლია დავეთანხმო ამხ. სალდაძეს იმაში, თითქოს ხუთწლიანი გეგმა სატყეო მრეწველობაში არ ითვალისწინებდეს საკმარისად ნედლეულის გამოყენებას. პირიქით, ჩვენ მეტის-მეტად დავტვირთეთ ჩვენი ტყეები და ამ ტყეების ექსპლოატაცია უკიდურესობამდე მივიყვანეთ. მართლაც ჩვენ მოვახდინეთ ბაღდადის, ახმეტის, ბორჯომის და დანარჩენ სატყეო აგარაკების უტილიზაცია. ჩვენ მივწვდით თითქმის ყველა სატყეო მასივებს, ენგურის სატყეო აგარაკის მასალით ჩვენ ვამუშავებთ შამგონის ხე-ტყის ქარხანასა და ქაღალდის ფაბრიკას.

ამხ. კალანდაძემ აქ სამართლიანად შენიშნა, რომ წამდაუწუმ მარელისის და ბორჯომის ქარხნების გახსენება არავითარ სარგებლობას არ იძლევა. ამ ქარხნების დეფექტები, რომლის შესახებ ამ ყრილობაზე იყო ლაპარაკი, დაწვრილებითი იქნა გამოაშკარავებული ჯერ კიდევ 1926 წელს თვით ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმის მიერ, რომელმაც ამავე დროს მიიღო სათანადო ზომები. შეცდომების გამოსწორებისთანავე ეს ყველაფერი ემცნო ფართო მასებს იმიტომ, რომ ჩვენ არავის არაფერს არ ვუმალავთ. ამჟამად ისეთი მნიშვნელოვანი დეფექტები, რომელსაც გამოსწორება სჭიროდეს არც მარელისის და არც ბორჯომის ქარხანას არა აქვს, ამიტომ საჭირო არ არის ამ გამოსწორებული შეცდომის შესახებ გამუდმებით ლაპარაკი, ამას არავითარი სარგებლობა არ მოაქვს ჩვენი მრეწველობისათვის.

აქ, სხვათა შორის, სთქვეს თითქოს ს. მ. უ. ს. 1926 წელს მისცეს ბაღდადის ქარხნის ასაგებად 200.000 მანეთი, თითქოს ს. მ. უ. ს.-მა ამ ქარხნის აგება გააჭიანურა, ამავე დროს მიგვითითებენ იმ დიდ შეცდომებზე, რომლებიც ზოგიერთი ქარხნის აგების დროს იქნა დაშვებული. ამხანაგო სალდაძე, თქვენ მონაწილეობა არ მიგიღიათ ბაღდადის ქარხნის ხარჯთაღრიცხვის შედგენაში, როცა სამისოდ 200.000 მანეთი მოგვცეს, მაგრამ როგორც კი გაეცნენ ამ ხარჯთაღრიცხვას ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმის წევრები, ჩვენ მივედით დასკვნამდე, რომ ამ თანხით ქარხნის აგება შეუძლებელია. 200.000 მანეთით არავითარი კომბინატების აგება არ შეიძლება, რასაც ამტკიცებს ის გარემოება, რომ ხუთწლიანი გეგმით ამ კომბინატზე უნდა დაიხარჯოს 2.000.000 მანეთი, მაშინ ჩვენ ამ კრედიტების გამოყენებაზე უარი განვაცხადეთ და ვაცნობეთ ცენტრს, რომ ამ კრედიტებს მოვახმართ იმ სამუშავრებს, რომელიც უკვე დაწყებულია-თქო. ასეთი იყო ს. მ. უ. ს. ხაზი.

ჩვენ გვისაყვედურებენ, აგრეთვე იმას, რომ ჩვენ ვერ ვზოულობთ სპეციალისტებს. ამ საყვედურით უმჯობესია მიმართონ ხეზე მომუშავეთა კავშირს, მათ ადგილობრივ ორგანიზაციებს. ჩვენ ძლივს - ძლივობით ვზოულობთ სპეციალისტებს, ჩამოგვყავს ისინი სხვადასხვა ადგილებიდან. მე სამარცხვინოთ არ მიმაჩნია ეს, როცა საკუთარი სპეციალისტები არა გვყავს (ამხ. ცხაკაია: სწორია), მოვაწყობთ თუ არა რომელიმე სპეციალისტს ფაბრიკასა და ქარხანაში, რამოდენიმე კვირის შემდეგ ჩვენ გვიხდება კომისიების გაგზავნა ამ სპეციალისტებისა და ადგილობრივ მუშაკების ურთიერთობის და მათ შორის აღძრულ კონფლიქტის მოსაწესრიგებლად. ჩვენ ვერ მოვახერხეთ წლინახევრის განმავლობაში მარელისის ფაბრიკაში კარგი სპეციალისტის მოწყობა სწორედ ასეთი წინააღმდეგობის გამო; ბორჯომის ქარხანაში ჩვენ გავგზავნეთ სპეციალისტი, რომელმაც შესძლო ხარჯებისა და სამუშაო დროის გაცდენის შემცირება, ორი კვირის შემდეგ ადგილობრივმა ხელისუფლებამ მოინდომა მისი მოხსნა. როცა ჩვენ სპეციალისტების მომზადებაზე ვლაპარაკობთ, საკითხის ეს მხარე არ უნდა დავივიწყოთ.

ნება მიბოძეთ შევჩერდე ამხ. ზანთარიას გამოსვლაზე.

მან განაცხადა, რომ საქ. ს. მ. უ. ს. ფორმალიზში აგვიანებს პროექტების განხილვას. მე მონაწილე ვარ ყველა იმ თათბირების, რომელიც ამ საკითხს შეეხებოდა. ამხ. ზანთარია მაშინ არ მუშაობდა აფხაზეთის ს. მ. უ. ს.-ში და ამიტომ ალბათ ცდება. ბზიბის საწარმოებზე უნდა განვაცხადო, რომ ჩვენ ამ ქარხნის პროექტი გადავეცით „დრევსტროის“ ორგანიზაციას, რომელიც ამ მხრივ კომპეტენტური წარმოებაა და პროექტი არაფერს წააგებდა, თუ ეს ორგანიზაცია განიხილავდა, ჩვენ არა ერთხელ გადაგვიცია ამ ორგანიზაციისათვის რთული და დიდი პროექტები. რამდენი დრო დასჭირდა ამ პროექტის განხილვას, რომელიც 6.000000 მანეთს მოითხოვდა? მოსკოვიდან მიღებისთანავე ეს პროექტი განვიხილეთ სპეციალურ ტეხნიკურ თათბირზე და ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმში. რასაც რვა დღე დასჭირდა. განა ამაზე ნაკლები ვადა შეიძლება იმ პროექტის განხილვისათვის, რომელიც 6.000.000 მანეთს საჭიროებს?

ეხლა იმის შესახებ, თუ რა გამოხატულებას პოულობს აფხაზეთის მრეწველობის განვითარება ხუთწლიან გეგმაში.

ათი მილიონი იხარჯება ადგილობრივ მრეწველობის მშენებლობაში, 3.000.000 მანეთი ცენზიან მრეწველობაში, 3.000.000 მან. გუმისტის სამუშევრებზე, 6.000.000 მანეთი ბზიბის სამუშევრებზე და მრავალი სხვა. მე არ ვლაპარაკობ სოხუმის ნავთსადგურზე, რომელსაც აგებს გზათა სახალხო კომისარიატი, არც ტყვარჩელის მაღაროებზე, რომელზედაც რამოდენიმე ათეული მილიონი უნდა დაიხარჯოს.

ვიტყვი მხოლოდ, რომ აფხაზეთის ისტორიას არ ახსოვს განვითარების და კაპიტალურ დაბანდებათა ასეთი მასშტაბი. ყოველ შემთხვევაში ასეთი პერსპექტივები აფხაზეთის მრეწველობის განვითარებისა ჩვენთვის არავის წარმოუდგენია, და მათ შორის არც ამხ. ზანთარიას გასულ წელს (ხმა: მართალია).

დასასრულ მე შევჩერდები კვალიფიციურ მუშა-ხელის მომზადების საკითხზე. მართლაც ჩემი მოხსენების ნაკლია ის, რომ მე არ მქონდა საშუალება შევჩერებულიყავი მთელ რიგ სერიოზულ საკითხებზე. გასაკვირი არ არის თუ ადგილებიდან გამოსული ამხანაგები დიდ დროს ანდომებენ ამ საკითხს. უნდა მოგახსენოთ, რომ ხუთწლიან გეგმაში კვალიფიციურ მუშა-ხელის მომზადების საკითხმა სერიოზული გამოხატულება ჰპოვა. 5 წლიანი გეგმით განზრახულია 5.300 კვალიფიციური მუშის მომზადება, აქედან 3.000 მომ გეგმით განზრახულია 5.300 კვალიფიციური მუშა-ხელის მომზადება, აქედან 3.000 მომზადდება ს. მ. უ. ს. ხარჯზე, ამგვარად ჩვენი ხაზით კვალიფიციურ მუშა-ხელს ემატება კიდევ 3.000 კაცი. ამიტომ არ შეიძლება ვსთქვათ, რომ ეს გამორჩა ჩვენ ხუთწლიან გეგმას, ეს საკითხი თვით მე გამომრჩა ჩემს მოხსენებაში.

რაც შეეხება ინჟინერ - ტეხნიკურ ძალების მომზადებას, უნდა ვსთქვა, რომ ჩვენი გეგმა ითვალისწინებს 126 ინჟინერის მომზადებას ახალ წარმოებებთან შეფარდებით, რომელიც ჩვენ უნდა ავამუშაოთ ამ ხუთი წლის განმავლობაში, გარდა ამისა მომზადდება 320 ტეხნიკოსი,

რაც შეეხება ქიმიურ მრეწველობას, მე უკვე აღვნიშნე, რომ იგი ვერ პოულობს სათანადო გამოხატულებას გეგმაში, იმის გამო, რომ ჩვენ არ მოგვეპოვება დამუშავებული მასალები ამ დარგის შესახებ. ქიმიურ მრეწველობის შესახებ მითითებანი ჩვენ მივიღეთ უმაღლეს ორგანოებისაგან ჯერ კიდევ ამ ყრილობამდე, ეს საკითხი და აგრეთვე საკითხი „ა“ ჯგუფის მონაწილეობის გაძლიერების შესახებ ხუთწლიან გეგმაში საბჭოთა ყრილობამ უნდა დასახოს მთავარ დირექტივად, რომელიც საფუძვლად დაედება ს. მ. უ. ს. შემდეგ მუშაობას.

ყრილობის რეზოლუცია

ამხ. ზ. ჭიჭინაძის მოხსენების გამო

მოისმინა რა ამხ. ზ. ჭიჭინაძის მოხსენება მრეწველობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესახებ, სრულიად საქართველოს საბჭოთა მეხუთე ყრილობა წარმოდგენილ გეგმას საერთოდ იწონებს და წინადადებას აძლევს საქ. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ეს გეგმა საფუძვლად დაუდვას თავის საქმიანობას. გეგმის საბოლოოდ განხილვა და პრაქტიკულ ღონისძიებათა გამომუშავება უახლოეს წლებისათვის ყრილობაზე გამოთქმულ მოსაზრებების მიხედვით დაევალოს საქ. მეხუთე მოწვევის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს.

პარტიაში

გენერალური წმენდა კიდევ უფრო გააჯანსაღებს და განამტკიცებს ბოლშევიკური პარტიის რიგებს

როგორ უნდა ვემზადოთ

(ც. საკ. კ. რწმუნებულთა თათბირზე)

„ცენტრიდან დირექტივების მიღებისთანავე,— იწყებს საქ. კ. პ. (ბ) ც. საკ. კომისიის რწმუნებული აფხაზეთში,— ჩვენ შევუდექით პარტიის გენერალური წმენდისათვის სამზადისს: მოვიწვიეთ სამაზრო კომიტეტების მდივანთა თათბირი, რომელმაც განიხილა საკითხი წმენდისთვის მოსამზადებელი მუშაობის ჩატარების შესახებ, შემდეგ ჩატარდა სათანადო მოხსენებები პარტიული აქტივის კრებებზე (ქალაქად დღემდე 3-ჯერ), ამჟამად ასეთივე მოხსენებები ტარდება სოფლის ორგანიზაციებში.

პარტუჯრედთა ბიუროები შეუდგენ კომუნისტების დახასიათებათა შედგენას. დახასიათებები სდგება როგორც უჯრედის და პარტკომის განკარგულებაში მყოფ მასალების საფუძველზე, ისე პარტიის ცალკე წევრთა დაკითხვის გზით“.

როგორც სამხრეთ-ოსეთის რწმუნებულის სიტყვიდან სჩანს, იქ მოსამზადებელი მუშაობა თუმცა დაწყებულია, მაგრამ ჯერ-ჯერობით სათანადო ტემპით არ არის გაშლილი. „ჩავატარეთ ორი მოხსენება ქალაქის ორგანიზაციაში, — ამბობს ამხანაგი,— გადაწყვეტილი გვაქვს დავგზავნოთ სოფლად პასუხისმგებელი კომუნისტები, რომლებიც სოფლის უჯრედთა ღია კრებებზე დაამუშავებენ წმენდის საკითხს“.

გორის ორგანიზაციაში მოსამზადებელი მუშაობა გაცილებით უკეთ მიმდინარეობს, „ჩვენ— აცნობს თათბირს ც. კ. საკ. კომისიის რწმუნებული გორის მაზრაში,— დაუგზავნეთ მითითებანი ადგილებს იმის შესახებ, რომ შესდგომოდნენ მოხსენებების ჩატარებას წმენდის საკითხზე, აგრეთვე დაეწყოთ მასალების შეგროვება პარტიის ცალკე წევრებზე.

გორის სამაზრო კომიტეტის პლენუმმა უკვე გაარჩია საკითხი წმენდის ჩატარების შესახებ. ადგილებს მივამაგრეთ 13 პასუხისმგებელი კომუნისტი, რომლებიც მოხსენებების ჩატარების გარდა, ხელმძღვანელობას გაუწევენ დახასიათების შედგენის საქმესაც.

დღემდე მთელს ორგანიზაციაში ჩატარდა 30-მდე პარტიული კრება სპეციალურად წმენდის საკითხის განსახილველად. დახასიათებების შედგენაში აღებული გვაქვს ასეთი ხაზი: პირველ რიგში უნდა შეფასდეს უჯრედის მთელი მუშაობა, შემდეგ კი— პარტიის ცალკე წევრების საქმიანობა“.

კახეთის სამაზრო კომიტეტსაც განუხილავს თავის პლენუმზე წმენდის საკითხი, მაგრამ ამ ორგანიზაციაში წმენდისათვის მოსამზადებელ მუშაობის დარგში პრაქტიკულად ჯერ ბევრი არაფერი გაკეთებულა.

როგორ უნდა სწარმოებდეს მოსამზადებელი მუშაობა?— ამ კითხვის პასუხს წარმოადგენდა ამხ. **გოლდბაუმის** (ც. საკ. კომისიის და მ.-გ. ინსპექციის საორგ. განყ. გამგე), სიტყვა, რომელშიაც მან ჯამი გაუკეთა ადგილების წარმომადგენელთა ინფორმაციას.

„მიუხედავად იმისა, რომ ცენტრ. საკ. კომისიის (ბ) დირექტივები წმენდის საკითხზე სავსებით ნათელია — ამბობს ამხ. გოლდბაუმი,— ზოგიერთ ადგილებში მაინც აქვს ადგილი მცირე გაუგებრობას. არ არის, მაგალითად, სწორი, როდესაც აფხაზეთის ორგანიზაციაში პარტუჯრედთა ბიუროები აგროვებენ მასალებს ცალკე კომუნისტებზე პარტიის წევრების დაკითხვის გზით. ასეთი ნაბიჯი მოსამზადებელი მუშაობის დროს ნაადრევია.

პირველ ყოვლისა, აუცილებელია ადგილობრივ პარტორგანიზაციებმა დასვან წმენდის საკითხი პარტიული კომიტეტების პლენუმებზე, შემდეგ საკითხის განხილვა უნდა გადატანილ იქნეს პარტ-აქტივის კრებებზე და, ბოლოს, უჯრედების ღია სხდომებზე. ამასთანავე უნდა ვეცადოთ, რომ საკითხის განხილვის დროს შემოსული წინადადებები სრულიად და ზუსტად იქნეს შეტანილი ოქმებში, რომლებიც შემდეგ საკონტროლო კომისიას უნდა გადმოეგზავნოს.

დახასიათებების შედგენა არ უნდა ატარებდეს წმენდის ნაადრევად ჩატარების ხასიათს. პარტიის წმენდის ამოცანაა არა მარტო არაკომუნისტური ელემენტების ჩამოშორება, არამედ იმის გამორკვევა, თუ როგორ მუშაობს ძირითადი პარტიული ორგანიზაცია. ამიტომაც პარტიულმა კომიტეტებმა, მათ ხელთ არსებულ მასალების მიხედვით, უნდა შეადგინონ ქვედა საფეხურების პარტორგანოთა მუშაობის დახასიათებანი.

პარტიული უჯრედი ახსნა-განმარტებითი მუშაობის წარმოებასთან ერთად აგროვებს მასალას თავის წევრებზე. რასაკვირველია, მასალის შეგროვება არ უნდა გადაიქცეს წვრილმან ჩხირკედელაობათ, არ არის საჭირო კომუნისტის ოჯახური ცხოვრების უარყოფით მხარეებით ზედმეტი გატაცება, დაუშვებელია სპეციალური კომისიების გამოყოფა ან მეზობლების დაკითხვა ამ საკითხების გამოსარკვევად.

სოფლის პარტორგანიზაციების გაწმენდის დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პარტიის წევრთა ქონებრივი მდგომარეობის დახასიათებას. ამიტომაც სოფლის უჯრედებმა, წმენდისათვის მოსამზადებელი მუშაობის გასწვრივ, უდიდესი ყურადღება უნდა მიაქციონ თავის წევრთა ქონებრივი მდგომარეობის გამორკვევას. მთავარი კრიტერიუმი, რომელიც გამოგვადგება ამ საქმეში, არის სას.-სამ. გადასახადი და დაქირავებული შრომით სარგებლობა. რასაკვირველია, თვითეული კომუნისტის ქონებრივი მდგომარეობის განსაზღვრის დროს უნდა გამოვდიოდეთ ადგილობრივი პირობებიდან.

ცენტრალურ საკონტროლო კომისიის რწმუნებულები უშუალოდ უნდა ხელმძღვანელობდნენ წმენდისათვის მზადებას. რწმუნებულებს უნდა ახსოვდეთ, რომ წმენდის შედეგებისათვის ყველაზე მეტი პასუხისმგებლობა მათ აწევსთ“.

ქუთაისის ორგანიზაცია წმენდის შესახებ

8 აპრილიდან, ქალაქ ქუთაისში მოეწყო ქუთაისის პარტორგანიზაციის უჯრედთა ჯგუფური კრებები, რომელზედაც მოსმენილ იქნა მოხსენებები პარტიის გენერალური წმენდის მნიშვნელობის და მისი ჩატარების ფორმების შესახებ.

გაერთიანებული კრებები აღფრთოვანებით შეხვდნენ საქ. კ. პ. (ბ) ცკკს პლენუმის გადაწყვეტილებას პარტიული რიგების სოციალურად უცხო, მიტმასნილ, გაბიუროკრატებულ და გახრწნილ ელემენტებისაგან გაწმენდის შესახებ.

კრებებზე გამოსული ამხანაგები გამოსთქვამდენ იმ აზრს, რომ სოციალისტური მშენებლობის უდიდესი ამოცანების გადაწყვეტასთან დაკავშირებით, წარმოშობილ სიძნელეთა პირობებში პარტიის ზოგიერთი წევრები განიცდიან წვრილ-ბურჟუაზიულ მერყეობას, რაც გამოწვეულია სოფლის კულაკებისა და ქალაქის ახალი ბურჟუაზიის გავლენით.

ყოველივე ეს მოითხოვს, პარტიის შემადგენლობაში დაზგის მუშების ხვედრითი წონის გაძლიერებასთან ერთად, გადამჭრელი ზომების მიღებას პარტიის რიგების გასაწმენდათ ისეთი პირებისაგან, რომელთაც არ შეუძლიანთ გაატარონ მკაფიო ბოლშევიკური ხაზი.

ს. მ—ხი.

ცრუმორწმუნე კომუნისტი

(დ. ძირულა)

ძირულაში არსებობს ქარხანა „შრომა“, ერთხანს ამ ქარხნის დირექტორათ ითვლებოდა კომპარტიის წევრი 1924 წლიდან ნიკალა წასიძე. ამჟამად წასიძე ირიცხება ქარხნის უფროს მუშად. წასიძე სრულებით არ განირჩევა იმ ხალხისაგან, რომელიც ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულა ცრუმორწმუნეობისაგან. აი მაგალითიც: წასიძე 1924 წლიდან 2 წლის განმავლობაში კისერზე რაღაც მსხვილ ჯაჭვს ატარებდა. თუ ვინმე ჰკითხავდა: „რისთვის არის საჭირო კისრით ჯაჭვის ტარებაო?“ — წასიძე ასეთ პასუხს იძლეოდა: „ამას იმიტომ ვატარებ, რომ შეპირებული ვარ ღმერთზე ეგებ ავადმყოფობისაგან დამიფაროსო“.

ამას წინად წასიძეს ავად გაუხდა შვილი — კომკავშირის წევრი. აქაც, რა თქმა უნდა, იგი არ დასჯერდა ნამდვილ ექიმებს და მოიყვანა სახელ განთქმული ექიმბაში. (ნიქაბაძის ქალი), რომელმაც შეულოცა ავადმყოფს, და დაალევინა სხვადასხვა ქვების ნალესი.

კომკავშირის ძირულის ორგანიზაციამ წასიძის ვაჟი აკაკი სათანადოთ გაასამართლა ამ საქმის გამო და, როგორც ცრუმორწმუნეობის შემსრულებელი, გარიცხა კომკავშირის რიგებიდან. ჩვენ ვფიქრობთ, თუ შვილმა მიიღო სათანადო სასჯელი ცრუმორწმუნეობის შესრულებისათვის, მამამაც მეტი სასჯელი უნდა მიიღოს.

ძირულელი.

ქართ. დივიზიის ა. ლ. კ. კ. კონფერენციისათვის

ხვალ, საღამოს, თბილისის წითელარმიის სახლში გაიხსნება მე-2 ქართულ დივიზიის კომკავშირის ორგანიზაციის მე-3 კონფერენცია. კონფერენციის დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები:

1. საბჭოთა კავშირის საგარეო და საშინაო მდგომარეობა;
2. დივიზიის პოლიტიკურ განყოფილების მოხსენება პარტპოლიტიკურ მუშაობის და კომკავშირის მორიგ ამოცანების შესახებ;
3. დივიზიის სარდლობის თანამოხსენება საბრძოლო მომზადების და კომკავშირის ამოცანების შესახებ;
4. საქართველოს ლენ. კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტის მოხსენება.

კონფერენცია იწვევა ისეთ დროს, როდესაც კომკავშირის როლი წითელარმიის ნაწილების ბრძოლის უნარიანობის განმტკიცების საქმეში მეტად გაიზარდა. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ კომკავშირლების რიცხვი უდრის ერთ-მესამედს დივიზიის მთელ შემადგენლობაში. კომკავშირის ორგანიზაციები ჯარში, ე.წ. პარტიის დამხმარე ჯგუფები, ჩამოყალიბებულია დივიზიის ნაწილების ყველა დანაყოფებში, სადაც კი არსებობს პარტიის უჯრედები.

კომკავშირის საშუალებით და დახმარებით ატარებს დღეს ჯარში პარტია თავის გავლენას უპარტიო წითელარმიელთა ფართე მასებს შორის.

კონფერენცია შეაჯამებს გასულ საზამთრო მუშაობას სამხედრო აღმშენებლობის დარგში. შეამოწმებს აგრეთვე დივიზიის კომკავშირის ორგანიზაციის იდეოლოგიურ მდგომარეობას, რასაც ამჟამად უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ი. რ.

საერთაშორისო მიმოხილვა

(კვირიდან—კვირამდე)

განიარაღების საკითხი და სოციალ-დემოკრატია.—გერმანელ მენშევიკების შემდგომი კაპიტულიაცია ბურჟუაზიის წინაშე.—ინგლისელ იმპერიალისტების პროვოკაცია ინდოეთში.—ჩემბერლენის და მუსოლინისშეხვედრა.

იმპერიალისტებთან ერთად განიარაღების ბოროტ საბოტაჟს აწარმოებენ მათი აგენტები მუშათა კლასში, სოც.-დემოკრატები. რა თქმა უნდა, შეცდომაში ვერავის შეიყვანს, მაგ. ინგლისის ე. წ. დამოუკიდებელ მუშათა პარტიის კონფერენციის დადგენილება, რომელიც მან მიიღო ხმების შედარებითი უმრავლესობით. ამ დადგენილების თანახმად, ხსენებულ პარტიის წევრ დეპუტატებმა ყოველგვარ სამხედრო კრედიტების წინააღმდეგ უნდა მისცენ ხმა. ამ გადაწყვეტილებას, რომელიც უბრალო „მემარცხენე“ ჟესტია, არავითარი პრაქტიკული ფასი არა აქვს. ერთ ერთმა დელეგატმა, შენუელმა გულახდილად განაცხადა, რომ იგი ამ კონფერენციის რეზოლიუციას ანგარიშს არ გაუწევს. „თვით“ მექსტონმა (დამოუკიდებელ მუშათა პარტიის თავმჯდომარეა) „დაამშვიდა“ შენუელი და განმარტა, რომ მიღებულ გადაწყვეტილების გატარება შექმნილ „სიტუაციაზე“ იქნება დამოკიდებული, ე. ი. დამოუკიდებელი მუშათა პარტია, როცა საჭიროდ დაინახავს, მზად არის სამხედრო კრედიტებს დაუჭიროს მხარიო. ამნაირად, აღნიშნული რეზოლიუცია არსებითად სავსებით იქნა გაბათილებული.

მუშათა პარტიის ორგანო „დეილი ჰერალდ“ ამითაც უკმაყოფილოა. მუშათა პარტიას არასოდეს არ უთქვამს უარი სამხედრო მიზნებისათვის კრედიტების გაღებაზე და დამოუკიდებელ მუშათა პარტიისათვის, რომელიც მის ნაწილს შეადგენს, ასეთი პოლიტიკა სავალდებულოა. ბოლოს და ბოლოს რეფორმისტულ მოძრაობის ამ ორ ფრთას შორის ნამდვილად არავითარ განსხვავებას არა აქვს ადგილი. მიუხედავად თავისი „მემარცხენეობისა“, დამოუკიდებელი მუშათა პარტიაც, ისე როგორც თვით მუშათა პარტია, ინგლისის იმპერიალიზმის ერთგული მსახურია. მხოლოდ თავისი „მემარცხენეობით“ დამოუკიდებელ მუშათა პარტიას მეტი ზიანი შეუძლია მოუტანოს მუშათა კლასს, ვიდრე ნიღაბახდილ რეფორმისტებს. აქედან მექსტონების შეუბრალებელ მხილებას კომპარტია, ცხადია, განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს.

აგრეთვე ნათლად უნდა იქნეს გამოაშკარავებული მასების წინაშე მეორე ინტერნაციონალის მანევრი განიარაღების საკითხთან დაკავშირებით. ჟენევაში იმპერიალისტურ სახელმწიფოთა წარმომადგენლებთან ერთად, ზავიდა ამ ინტერნაციონალის დელეგაცია განიარაღების კომისიის სესიაზე ვითომდა გავლენის მოსახდენად. ყვითელმა ინტერნაციონალმა ამ მიზნით ამას წინად ჩაატარა მთელი „კამპანია“, რაც გამოიხატა პეტიციების (თხოვნების) შეგროვებაში. იგი მოუწოდებდა თავის „მრევლს“ კრებებზე გამოეტანათ რეზოლიუციები, რომ კაპიტალისტური მთავრობები შესდგომოდნენ განიარაღებას და რომ ამ მხრივ მათ დავალებები მიეცათ თავისი წარმომადგენლებისათვის განიარაღების კომისიის სესიაზე. როგორც ვხედავთ, საერთაშორისო სოციალ-დემოკრატია განიარაღებისათვის და ომის წინააღმდეგ „იბრძვის“ პეტიციებით, ის მუხლმოდრეკით ევედრება იმპერიალისტებს, რომ განიარაღდნენ. გათახსირების და გაიძვერობის ნიმუში თუ გინდათ, სწორედ ეს არის.

აბა როდის ყოფილა, რომ „უმოწყალეს თხოვნას“ მოელბოს მსოფლიო ყაჩაღების გული და აიძულებინოს ისინი მშვიდობიანი პოლიტიკის გატარებაზე. მაგრამ გამცემლების ანგარიშში ეს არც შედის. ისინი თავიანთ ბურჟუაზიულ მთავრობებს ყოველნაირად უჭერენ მხარს შეიარაღების საქმეში. მათი ზრახვები ამ შემთხვევაში სულ სხვაა. პირველ ყოვლისა ისინი ცდილობენ მასებში შექმნან მავნე ილუზია, თითქო ერთა ლიგის და მისი დაწესებულებების საშუალებით შეიძლებოდეს განიარაღების საკითხის გადაჭრა, თითქო ბურჟუაზია ბოლოს და ბოლოს ანგარიშს გაუწევდეს მასების „შუამდგომლობას“ და სამშვიდობო პოლიტიკას გაატარებდეს, ე. ი. უარს იტყოდეს თავის ბუნებაზე. ესაა პროლეტარიატის კლასობრივი შეგნების დაბნელების, მისი რევოლიუციონური სიფხიზლის და ნებისყოფის მოდუნების ცდა და პირდაპირ ხელის შეწყობა იმპერიალისტების საომარი მზადებისათვის. ამავე დროს რეფორმისტული ინტერნაციონალი თავისი „საპეტიციო“ კამპანიით ცდილობს პოლიტიკურ კაპიტალის მოხვეჭას, მასების მოტყუილებას, თითქო იგი ბრძოლას აწარმოებდეს განიარაღების განსახორციელებლად.

აღსანიშნავია, რომ რეფორმისტები ლამობენ ამ მოღალატურ საქმეში საბჭოთა კავშირიც ჩააბან. მეორე ინტერნაციონალის ბიურომ საერთაშორისო კოოპერატიულ ალიანსს მიმართა წინადადებით, რომ მასთან ერთად მიიღოს მონაწილეობა „განიარაღების“ კამპანიაში, ალიანსმა კი საბჭოთა კავშირის სამომხმარებლო კოოპერაციის ცენტრს მისცა ასეთივე წინადადება. ჩვენ აქ გვაინტერესებს ალიანსის მოქმედება. იგი ყოველთვის აცხადებდა, რომ ნეიტრალობას იცავს პოლიტიკაში და არ ემხრობა მუშათა არც ერთ საერთაშორისო პოლიტიკურ გაერთიანებას. ნამდვილად კი ჩვენ ვიცით ამ „ნეიტრალობის“ ფასი: ალიანსი, რომელიც საბჭოთა კოოპერაციის წარმომადგენელთა გამოკლებით, რეფორმისტებისაგან შესდგება, სულ მუდამ მოქმედებდა მეორე ინტერნაციონალის კარნახით და მის გავლენას ემორჩილებოდა. ასეა ეხლაც: ალიანსი ხდება ჰენდერსონების და ადლერების პოლიტიკის იარაღად. ის ცდილობს, რომ ჩვენმა კოოპერაციამ გამცემელთა საქმე აკეთოს. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ საბჭ. კოოპერაცია ამ მახეში ვერ გაებმება. ის არამც თუ თვითონ არ მიიღებს მონაწილეობას მუშების მოსატყუებლად და მოწყობილ კამპანიაში, არამედ გადაჭრით წინააღმდეგია, რომ ალიანსმა მხარი დაუჭიროს მეორე ინტერნაციონალის მანევრს.

ჩვენ ვიცით, რომ ამის გამო რეფორმისტები ასტეხენ განგაშს: კომუნისტები ხელს გვიშლიან იმპერიალიზმთან ბრძოლაშიო. ძნელი არ იქნება ამ ცილისწამების მზის სინათლეზე გამოტანა. სოციალ-გამცემლების ამ „წამოწყების“ შეუბრალებელი მხილება უეჭველად შეუწყობს ხელს მათ გარიყვას მუშათა მასებისაგან და უკანასკნელთა კლასობრივ გამოფხიზლებას. მუშათა მასები დარწმუნდებიან, რომ განიარაღების და მშვიდობიანობის მიღწევა შეიძლება არა პეტიციებით, არამედ რევოლიუციონური ბრძოლით, რასაც ასე გაურბიან სოციალ-დემოკრატები, რომელნიც, პირიქით, ყოველგვარ ზომას ხმარობენ მუშათა მასების დასამონებლად და კაპიტალიზმის განსამტკიცებლად.

* * *

გერმანიის სოციალ - დემოკრატია სულ უფრო სთმობს თავის პოზიციებს თავის მოკავშირე ბურჟუაზიულ პარტიების წინაშე, და ამჟამად არსებითად უკვე არაფერია დარჩენილი მისი ისედაც ზომიერზე ზომიერ პლატფორმიდან, რომელიც გერმანელმა მენშევიკებმა რეიხსტაგის გასულ წლის არჩევნების დროს წამოაყენეს. მთავრობის კრიზისის დამუქრებით (დიდი კოალიციის საკითხის გართულება) ბურჟუაზიამ ფეხზე წამოაჩოქა რეფორმისტები. მათი მისწრაფებაა რაც არ უნდა დაჯდეს შეინარჩუნონ სამინისტრო პორტფელები. ეს კი შეუძლიათ მხოლოდ მორჩილების გამოცხადებით ბურჟუაზიისათვის და მისი ნებისყოფის ასრულებით. ახალ საპარლამენტო არჩევნების მოთხოვნას ისინი ვერ გაბედავენ, რადგან მასებში თანდათან კარგავენ გავლენას. სხვათა შორის, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების ეხლახან ჩატარებულ არჩევნებში კომუნისტების გამარჯვება მათთვის ამ მხრით დიდი გამაფრთხილებელი გაკვეთილია. სოციალ-დემოკრატებს საფუძვლიანად ეშინიათ, რომ რეიხსტაგის ახალ არჩევნებს მოყვება მათი მიმდევართა და მანდატების რიცხვის მეტად საგრძნობი შემცირება. საერთოდ, არჩევნები პოლიტიკურ ბრძოლის ასპარეზზე გამოიყვანენ პროლეტართა მილიონებს, რაც, რა თქმა უნდა, სოციალ-მოღალატეთათვის სრულიადაც არ არის ხელსაყრელი.

პირიქით, მთელი მათი მეცადინეობა მიმართულია მშრომელ მასების რევოლიუციონურ აქტივობის ჩახშობისაკენ. ამით ისინი ცდილობენ ბურჟუაზიის ნდობის დამსახურებას და თავის მდგომარეობის განმტკიცებას. ძველი ამბავია, რომ რეფორმისტებმა თავისი ბედი სამუდამოდ დაუკავშირეს კაპიტალისტურ წესწყობილებას. მისი გადარჩენა შეადგენს მათი უსახელო არსებობს მთავარ დანიშნულებას, საყოველთაოდ ცნობილია მათი გამცემლური როლი იმ უდიდეს საგაფიცვო ბრძოლებში, რომლებსაც გერმანიის პროლეტარიატი აწარმოებს. ისინი მეთაურობენ ბურჟუაზიის შეტევას მუშათა კლასის წინააღმდეგ. პრუსიის შინაგან საქმეთა მინისტრი ს.-დ. გრჟეზინსკი და ბერლინის პოლიციის უფროსი, აგრეთვე ს.-დ. ცერგიბელი „რკინის კანცლერ“ ბისმარკის როლს ჩემულობენ და, სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ხელმძღვანელ ორგანოების კარნახით, „ჯვაროსნულ ომს“ უცხადებენ მუშათა მოძრაობას; ისინი კრძალავენ პროლეტარიატის დემონსტრაციებს, სხვათა შორის, საპირველმაისო დემონსტრაციებს და „წესრიგის“ დამრღვევთ შათრახით და ხიშტებით ემუქრებიან, ხოლო კომპარტიას და სხვა რევოლიუციონურ ორგანიზაციებს დაშლით და კანონს გარეშე გამოცხადებით.

უკანასკნელად ჩვენ გერმანელ მენშევიკების კიდევ ახალი გამცემლობის მოწმენი ვართ. მხედველობაში გვაქვს მათი და ბურჟუაზიული პარტიების შეთანხმება ბიუჯეტის საკითხის გარშემო. ბურჟუაზიის მოთხოვნით ჰილფერდინგის მიერ წარდგენილი ფინანსიური კანონპროექტი არსებითად შეიცვალა. იგი უამისოდაც ბურჟუაზიის ინტერესებს გამოხატავდა, მაგრამ მენშევიკების ეხლანდელი კაპიტულიაციის შემდეგ ეს მომენტი უფრო თვალსაჩინო შეიქნა და ყველას თვალში ეცემა. ჰილფერდინგმა უარი განაცხადა მემკვიდრეობაზე გადასახადის ნორმების და საშემოსავლო გადასახადის გადიდებაზე. ამავე დროს—შემცირებულია და სრულებითაც გაუქმებული ბიუჯეტის მრავალი ისეთი საგასავლო მუხლი, რომლებიც უმეტესად მასების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას უნდა მოხმარებოდა. ასე, მაგ., შრომის კომისარიატის ხარჯთ-აღრიცხვიდან მთლად მოხსნილია 48 ნახ. მილ. მარკა, რომელიც დანიშნული იყო უმუშევართათვის საწარმოო დახმარების აღმოსაჩენად. უმუშევრობა გერმანიაში გრანდიოზულ ხასიათს ღებულობს; უმუშევართა რიცხვი 3 მილ. კაცს აღემატება, მაგრამ მათთვის სრულიად უმნიშვნელო თანხის გაღება შურთ. ამავე დროს მთელი დაწყებული და განზრახული საზღვაო მშენებლობა, მათ შორის ჯავშნოსანის აგება, უნდა გაგრძელდეს, ამაზე ბიუჯეტით, ცხადია, დიდძალ საშუალებების გაღებაცაა ნაგულისხმევი.

ასეთია საბოლოო ანგარიშით ს.-დემოკრატ ჰილფერდინგის ე. ი. მსხვილი ბურჟუაზიის ბიუჯეტი. მენშევიკები კაპიტალისტების ყველა მოთხოვნაზე წავიდნენ. ამის შემდეგ გასაგებია, რომ შესაძლებლად მიაჩნიათ დიდი კოალიციის მთავრობის შედგენა. მენშევიკების ასეთ სამარცხვინო კაპიტულიაციის შემდეგ, მიულერის კაბინეტი აცხადებს, რომ გერმანიის როგორც შინაპოლიტიკური მდგომარეობა, ისე განსაკუთრებით მოლაპარაკება რეპარაციების გარშემო მოითხოვენ „მომქმედი მთავრობის შენარჩუნებას“, მიღწეულ შეთანხმების საფუძველზე ეს შესაძლებელია და დიდი კოალიციის მომხრე პარტიებმა აღუთქვეს მთავრობას მხარის დაჭერაო. ამნაირად, ფართე კოალიცია, უნდა ვიფიქროთ, მალე იქნება შედგენილი, ბურჟუაზიის მიერ წამოყენებულ პირობების მიღებით. განა მტკიცება უნდა, რომ სოციალ-დემოკრატები ამ მთავრობაში მეტად, ვიდრე დღემდე, ითამაშებენ გერმანიის მსხვილი კაპიტალის და იმპერიალიზმის ბრმა იარაღის როლს. „მომქმედი მთავრობა“ გერმანიის ბურჟუაზიას ესაჭიროება კლასობრივ ბრძოლის გზაზე დამდგარ პროლეტარიატის ასალაგმავად და მისგან ორმაგი ტყავის ასაძრობად, რომ თავისი ჯიბე გაასქელოს და აუარებელი რეპარაციები გადაიხადოს. თვალთმაქცობაა ლაპარაკი, რომ გერმანიის ბურჟუაზიას „მომქმედი მთავრობა“ ესაჭიროებოდეს რეპარაციების საკითხის თავის ქვეყნის სასარგებლოდ გადასაჭრელად. როგორც პარიზში მიმდინარე მოლაპარაკებიდან სჩანს, გერმანია რაიმე სერიოზულ წინააღმდეგობას ვერ უწევს და შემდეგშიაც ვერ გაუწევს მადააშლილ კრედიტორებს. მას იმედი აქვს, რომ „თავის“ მუშათა კლასის ზურგიდან ამოქაჩავს რეპარაციებს, როგორც ეს აქამდეც ხდებოდა.

მაგრამ გერმანიის მშრომელ მასების მოთმინებას საზღვარი აქვს. მასში ძლიერდება კლასობრივი შეგნება და ბრძოლის წყურვილი როგორც შინაურ, ისე გარეშე მტრების მონობის უღლის დასამსხვრევად. ამ რევოლიუციონურ ნებისყოფას ვერ გასტეხენ სოციალ-დემოკრატები, რომლებმაც გაიშიშვლეს თავი, როგორც კაპიტალის მსახურებმა.

* * *

ინგლისის იმპერიალისტები განაგრძობენ პროვოკაციულ მუშაობას ინდოეთში. ჯერ იყო და მათ იქ აღმოაჩინეს „კომუნისტური შეთქმულება“, ამასთან დაკავშირებით მოახდინეს რევოლიუციონურ ორგანიზაციების დარბევა და ინდოეთის მუშათა მოძრაობის თვალსაჩინო მუშაკების მასიური დაპატიმრება. ამას მოყვა ყუმბარების აფეთქება ინდოეთის საკანონმდებლო კრებაში, რაც უეჭველად ლონდონის აგენტების პროვოკაციული საქმეა.

სამ ამოცანას ისახავენ შუბლმაგარნი თავისი ასეთი „მოღვაწეობით“. პირველი ინდოეთის დამონება. ინგლისის ამ უზარმაზარ კოლონიაში ძლიერდება მშრომელთა მოძრაობა როგორც „მშობლიურ“ ექსპლოატატორების, ისე გარეშე მოძალადეების წინააღმდეგ. ინდოეთის ბურჟუაზია უკვე დაადგა კოლონიზატორების მიმართ კაპიტულიაციის გზას, მაგრამ მასების შიშით ის ჯერ კიდევ ყოყმანობს; ამასთან, იგი მოწადინებულია თავისი კლასობრივი ინტერესების დასაკმაყოფილებლად ცოტა რამ უფლებები მოიპოვოს ქვეყანაში. და აი, ჩვენ ვხედავთ, რომ ინგლისელი შუბლმაგარნი ინდოეთის ნაციონალისტებს აშინებენ რევოლიუციონური აჯანყების შიშით, რომ მას საბოლოოდ და სავსებით დააყრევინონ იარაღი. ამას ამავე დროს უნდა მოყვეს რევოლიუციონურ მოძრაობის განადგურება ინდოეთში.

ასეთია ხსენებულ პროვოკაციულ გამოსვლების პირველი მიზანი.

მეორე მიზანია გავლენის მოხდენა ინგლისის ამომრჩევლებზე.—ინდოეთი საფრთხეშია, იგი უნდათ ინგლისს ჩამოაშორონ, ეს ერთ-ერთი მთავარი ლოზუნგია, რომელსაც კონსერვატორები აყენებენ მოსახლეობის დასაფრთხობათ.

აქედან დასკვნა: კონსერვატორები უნდა დარჩენ ძალა-უფლების სათავეში, ვინაიდან მხოლოდ ისინი შესძლებენ თავისი მაგარი ხელით ინდოეთის შენარჩუნებასო. ამ გზით შუბლმაგართ იმედი აქვთ, რომ ამომრჩეველთა „ობივატელურ“ მასას მიიმხრობენ.

ხაზგასასმელია აგრეთვე, რომ შუბლმაგარნი ინდოეთის ამბებს იყენებენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ინდოეთში მოსკოვის ხელი ტრიალებსო—აცხადებენ ისინი. ამნაირად, მათ სწადიათ თავისი ანტისაბჭოთა პოლიტიკის გამართლება და იმ მოძრაობის ჩაშლა, რომელიც ეხლა ინგლისში ვითარდება ჩვენთან ურთიერთობის აღდგენის სასარგებლოდ.

მაგრამ ჩემბერლენების პროვოკაცია თანდათან სულ უფრო აშკარავდება და არა გვგონია, რომ მათ ამ გზით გამარჯვებას მიაღწიონ. ამის დამამტკიცებელი ნიშნები საკმაოა. კონსერვატორების გაშავება დამატებითი არჩევნების დროს და ინგლისელ მრეწველთა დელეგაციის ჩამოსვლა საბჭოთა კავშირში ამ მხრივ ბევრ რამეს მეტყველებს, რაც შეეხება კერძოდ ინდოეთს, შუბლმაგარნი გადაჭარბებულად აზვიადებენ რევოლიუციონურ მოძრაობას იქ—მისი ჩაკვლის მიზნით, მაგრამ ახლო მომავალში ჩვენ მართლა უნდა მოველოდეთ ინდოეთში განმათავისუფლებელ—კლასობრივ ბრძოლის უფრო მძლავრად გაშლას; ინდოეთის მასების შეგნების ზრდა და მათი აუტანელი მდგომარეობა ამას აუცილებელს ხდის, ეს კი იქნება ბრიტანეთის იმპერიის დანგრევის მაჩვენებელი.

* * *

ინგლისის იმპერიალიზმი ბევრ სხვა მიმართულებითაც ანვითარებს აქტიურ პოლიტიკას. აქ გვინდა შევეხოთ ჩემბერლენის და მუსოლინის შეხვედრას, რომელიც, რა თქმა უნდა, ერთი მეორის უბრალო ნახვის სურვილით არ ყოფილა გამოწვეული.

ინგლის-იტალიის დამოკიდებულება უკანასკნელ ხანებში საკმაოდ გართულებულია. ამას ხელი შეუწყო ლონდონ-პარიზის შეთანხმებამ. ცნობილია, რომ იტალიის და საფრანგეთის ინტერესები ერთმანეთს ძირეულად ეწინააღმდეგებიან როგორც ბალკანეთში, ისე ხმელთა შუა ზღვაზე და აფრიკაში. იტალია აქ ცდილობს გაფართოვდეს საფრანგეთის ხარჯზე. მაგრამ ხსენებულმა შეთანხმებამ, რომელმაც საფრანგეთი გააძლიერა, იტალიის იმპერიალიზმის მადა შეკვეცა. ამით აიხსნება მისი მტრობის გაღრმავება საფრანგეთისადმი და უნდობლობა მის მოკავშირის—ინგლისის მიმართ.

ინგლისის ეხლანდელ საერთაშორისო მდგომარეობის დროს უეჭველად საგრძნობ ზიანს მოუტანს მას იტალიის გადაკიდება. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ იგი ადვილად შეიძლება გახდეს და უკვე ხდება ამერიკის იარაღად ინგლისის წინააღმდეგ ბრძოლაში. ჩემბერლენის შეხვედრას მუსოლინთან, ცხადია, მიზნად ჰქონდა ნიადაგის გასინჯვა, თუ რამდენად შეიძლება იტალიის გადმობირება. მაგრამ ეს ძნელი ამოცანაა: იტალიის „გულისმოგება“ უმთავრესად შეიძლება მოხდეს საფრანგეთის ხარჯზე. ამ მიმართულებით ალბად ვაჭრობა სწარმოებს უკანასკნელთან, რომ მან რაიმე დაუთმოს იტალიის იმპერიალიზმს. ჩემბერლენი და მუსოლინი ალბად შეეხენ აგრეთვე რეპარაციების საკითხს: იტალია მოითხოვს თავისთავის სარეპარაციო გადასახადის წილის გადიდებას. მაგრამ ამაზე კიდეც რომ დასთანხმდენ საფრანგეთი და ინგლისი, ეს მაინც ვერ დააკმაყოფილებს იტალიას, რომელიც, როგორც ზევით აღვნიშნეთ, უფრო ფართე პრეტენზიებს აყენებს.

სხვათა შორის, საგულისხმოა ჩემბერლენის განცხადება ამ შეხვედრასთან დაკავშირებით. როცა კორესპონდენტმა მიუთითა მას, რომ იტალიის უმაღლეს წრეებში ნერვიულობას აქვს ადგილი ინგლის-საფრანგეთის თანამშრომლობის გამოვ, ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრმა უპასუხა:

„შესაძლებლობა იმისა, რომ ორ ერს შორის კეთილგანწყობილება მიჩნეულ იქნას საფრთხედ მესამე ერის ინტერესებისათვის, ეწინააღმდეგება ჩემს წარმოდგენას საერთაშორისო პოლიტიკის შესახებ“-ო. ჩემბერლენს ისე გულუბრყვილოდ მოაქვს თავი, თითქოს მას არ ესმოდეს, რას ეკითხებიან. ლაპარაკი არის არა ორი ერის „კეთილგანწყობილებაზე“ საერთოდ, არამედ იმაზე, რომ ინგლის - საფრანგეთის კავშირი მიმართულია სხვა ქვეყნების წინააღმდეგ, მათ შორის იტალიის წინააღმდეგ.

შემდეგ ჩემბერლენმა აღნიშნა, რომ „ინგლის-საფრანგეთის შეთანხმება წარმოადგენდა იმ საძირკველს, რომელზედაც აგებული იქნება საერთო შერიგება გერმანიასთან“. თუ რაში იხატება ეს „საერთო შერიგება“, ეს ვიცით: ესაა გერმანიისათვის თავისი ნებისყოფის მოხვევის ცდა ინგლის-საფრანგეთის კავშირის მხრით, მისი დამონების ცდა. აქ ნათლად აშკარავდება, თუ როგორ შეიძლება ორი ერის „კეთილგანწყობილება“ მესამის წინააღმდეგ იქნეს მიმართული.

ჩემბერლენის და მუსოლინის შეხვედრა წარმოადგენს ინგლისის დიპლომატიის მრავალთაგან ერთ-ერთ ცდას გააფართოვოს თავის მომხრე სახელმწიფოთა ბლოკი, რომელიც პირველ ყოვლისა, მიმართულია საბჭოთა კავშირის და ამერიკის წინააღმდეგ. საეჭვოა ამ ცდას რაიმე თვალსაჩინო შედეგი მოყვეს, მიტომ რომ, ვიმეორებთ, საფრანგეთის და იტალიის ინტერესები შეურიგებელი არიან. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ამერიკას, რომელიც ეკონომიურად ძალზე შეჭრილია იტალიის ცხოვრებაში და რომელსაც ამასთან ძალა შესწევს, რომ არ დაუშვას ინგლისის ახალი კომბინაცია. ყოველ შემთხვევაში, ხდება იმპერიალისტურ სახელმწიფოთა გადაჯგუფება, რაც ომის საფრთხის ზრდის მაჩვენებელია.

ბ. კ—ლი.

მე-16 საკავშირო პარტკონფერენციისათვის

ბიუროკრატიზმთან ბრძოლის შედეგები და უახლოესი ამოცანები

(ამხ. იაკოვლევის მოხსენების თეზისები, მოწონებული საკ. კ. პ. (ბ) ცეკას პოლიტბიუროს მიერ)

1. ბრძოლა ბიუროკრატიზმთან, აპარატის გამარტივებისა და გაიაფებისათვის და მისი მასებთან დაახლოვებისათვის ეხლანდელ პირობებში წარმოადგენს პარტიის განსაკუთრებით მნიშვნელოვან ამოცანას. რადგან:

ა) ინდუსტრიალიზაციის დაჩქარებული ტემპის გატარება და სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის საქმის დაწყება ახალ მოთხოვნებს უდგენენ მთელი სახელმწიფო აპარატის მუშაობის ხარისხს;

ბ) მთელ რიგ შემთხვევებში, სახელმწიფო აპარატის ბიუროკრატიული გადამახინჯებანი, ჩვენს ქვეყანაში კლასობრივი ბრძოლის გაძლიერებასთან დაკავშირებით, წარმოადგენენ მუშათა კლასზე კულაკების, ქალაქის ბურჟუაზიისა და ბურჟუაზიული ინტელიგენციის შემოტევის გამოხატულებას. პარტიისა და საბჭოების ბრძოლა სახელმწიფო აპარატის ბიუროკრატიულ დამახინჯებებთან, რომელნიც ხშირად მშრომელთა ფართო მასების თვალში პროლეტარულ სახელმწიფოს ნამდვილ ბუნებას ჩრდილავენ, იქცევა კლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს ფორმად.

ის უდიდესი ამოცანები, რომლებიც დასახულია სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმით როგორც ჩვენი ინდუსტრიის შემდგომი განვითარებისა და ახალ ტეხნიკურ ბაზისზე გადაყვანის, ისე სოფლის მეურნეობის განვითარების დაჩქარებისა და მისი სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში, არ შეიძლება გადაიჭრას იმის გარეშე, თუ ნამდვილად არ გუმჯობესდა სახელმწიფო აპარატი, თუ არ გამარტივდა და არ გაიაფდა იგი, თუ სახელმწიფო აპარატის ყოველმა საფეხურმა მკაფიოდ არ გადასჭრა მის წინაშე მდგომი ამოცანები, თუ გადაჭრით აღმოფხვრილ არ იქნა აპარატის მოუხეშაობა, საქმის გაჭიანურება, ბიუროკრატიული შევიწროვება, ძმა-ბიჭური ურთიერთ გამოსარჩლება, უყურადღებობა მშრომელთა საჭიროებებისადმი, თუ გადაჭრით არ განიდევნენ აპარატიდან ჩინოვნიკები, რომელნიც კაპიტალისტურ და კულაკურ ელემენტებს უკავშირდებიან, ან მოკლებულნი არიან იმის უნარს, რომ წინააღმდეგობა გაუწიონ პროლეტარიატის წინააღმდეგ მიმართული კულაკურ-ნეპმანური შემოტევის ცდებს, თუ აღმოფხვრილი არ იქნა მმართველობის ისეთი დრომოჭმული ფორმები, რომლებიც საბჭოთა ქვეყნის მოთხოვნილებებს ვეღარ აკმაყოფილებენ.

ამ უკანასკნელ წლებში ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ გაშლილმა ბრძოლამ და სახელმწიფო აპარატის გასაუმჯობესებლად წარმოებულმა მუშაობამ უთუოდ მიაღწია ერთგვარ წარმატებას.

თვითკრიტიკა, მიუხედავად იმისა, რომ მის განვითარებაში გადადგმულია მხოლოდ პირველი ნაბიჯები, იქცევა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საშუალებად იმისათვის, რომ სახელმწიფო აპარატის დეფექტების აღმოფხვრის საქმეში ჩაბმულ იქნან პარტიულ და უპარტიო მუშათა და გლეხთა ფართო მასები.

2. საწარმოო თათბირების მუშაობის გაუმჯობესებამ, დროებითი საქარხნო საკონტროლო კომისიების შექმნამ, ეკონომიური თათბირების მუშაობამ, საბჭოების სექციების მუშაობამ — ყოველივე ამან, ქარხნების სამეურნეო ინიციატივის გაფართოებასთან და, საბჭოთა ორგანოების მუშაობაზე ცენტრალურ საკონტროლო კომისიებისა და მუშგლეხინების კონტროლის გაძლიერებასთან დაკავშირებით, ხელი შეუწყო არა თუ მუშაობის გაძლიერებას გამომჟღავნებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, არამედ იმ მუშების რიცხვის გადიდებასაც, რომელნიც, შეგნებულად იღებენ მონაწილეობას ამ ნაკლოვანებათა გამოსწორებაში.

მომჭირნეობის რეჟიმისათვის ბრძოლამ და საბჭოთა აპარატის რაციონალიზაციისათვის წარმოებულმა მუშაობამ (ანგარიშგების შემცირება, ზედმეტ დაწესებულებათა ლიკვიდაცია, მთელ რიგ დაწესებულებათა სტრუქტურისა და ფუნქციების გამარტივება, ქვედა საფეხურის ორგანოების უფლებათა გაფართოება) ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში თვალსაჩინო პრაქტიკული შედეგები გამოიღო: ადმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯები შემცირებულია 300 მილიონი მანეთით მაინც, ადმინისტრატიულ-სამმართველო აპარატი შემოკლებულია 100.000 კაცზე მეტით.

დაგეგმვის სისტემის ერთგვარმა გაუმჯობესებამ ცენტრალური დაწესებულებების მთელ რიგ წვრილმან საქმეებისგან განტვირთვასთან ერთად შესაძლებელი გახადა სახალხო-სამეურნეო გეგმების შემუშავებისა და დამტკიცების ვადების თვალსაჩინოდ მიახლოვება სამეურნეო წლის დასაწყისთან.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობაში ჩაბმულია მრავალი ასი ათასი მუშა და მოსამსახურე.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის, მუშგლეხინის საჩივართა ბიუროებთან მომუშავე მუშა მსაჯულების და სასამართლოს მიერ იმ პირთა პასუხისგებაში მიცემის გაძლიერება, რომელნიც შენიშნული არიან უყაირათობასა, ბიუროკრატიზმსა და საქმის გაჭიანურებაში და ამ პირების სათანადოდ დასჯა არღვევს იმ ფართოდ გავრცელებულ აზრს, თითქოს ბიუროკრატიზმში დამნაშავენი პასუხს არ აგებენ და დაუსჯელნი რჩებიან. ეს გარემოება აიძულებს საბჭოთა აპარატის როგორც პასუხისმგებელ მუშაკებს, ისე უბრალო მოსამსახურეთ მეტი ყურადღებით მოეპყრან თავიანთ მოვალეობას. პარტიის ცენტრალურ ორგანოში და პარტიული კომიტეტების თითქმის ყველა ორგანოში შემოღებული მუშათა და გლეხთა ინსპექციის ფურცლები იქცევიან ერთ-ერთ საშუალებად ბიუროკრატების გამოსამჟღავნებლად, და მათთან საბრძოლველად, ერთ-ერთ მეთოდად მუშათა კლასის დასარაზმავად ბიუროკრატიულ დამახინჯებათა წინააღმდეგ.

3. მაგრამ იმ ამოცანებთან შედარებით, რომლებიც დგას პარტიის წინაშე ბიუროკრატიზმთან ბრძოლის საქმეში, ეს მიღწევები წარმოადგენენ მხოლოდ პირველ და ისიც ჯერ კიდევ არასაკმაო მიდგომას სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესების საქმისადმი. სახელმწიფო აპარატი არა თუ ისევ საშინლად მოუხეშავი, ძვირი და ბიუროკრატიული რჩება, არამედ იგი „ძალიან ხშირად ჩვენს წინააღმდეგაც მუშაობს“ (ლენინი, ტომი 18, ნაწილი 2, გვ. 90).

ამასთან დაკავშირებით სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებისა და ბიუროკრატიზმთან ბრძოლის საქმეში მთავარია პარტიის შემდეგი ძირითადი ამოცანები: ა) შესრულების შემოწმება, ბ) სახელმწიფო აპარატის პირადი შემადგენლობის გაუმჯობესება, გ) მართვა-გამგეობის სისტემის შეფარდება ჩვენი სახალხო მეურნეობის სისტემასთან და იმ მოთხოვნებთან, რომლებსაც ჩვენი სამეურნეო განვითარება უდგენს სახელმწიფო აპარატს.

I. შესრულების შემოწმება

ფაქტიური შესრულების შემოწმება იქცევა მთელი იმ მუშაობის უმნიშვნელოვანეს ნაწილად, რომელიც სწარმოებს სახელმწიფო აპარატის გასაუმჯობესებლად. ამასთან შეფარდებით, კონფერენცია ადგენს:

1. საბჭოთა აპარატის ძირითად უმნიშვნელოვანეს ნაკლს წარმოადგენს ის, რომ დღემდე პარტიული დირექტივები და საბჭოთა დადგენილებანი ცუდად სრულდება და ხშირად მახინჯდება კიდეც. ცენტრალური საკონტროლო კომისიებისა და მუშგლეხინების მუშაობის გამოცდილებამ მთლიანად დაამტკიცა იმის სისწორე, რომ სისტემატიური კონტროლი მთავრობის კანონებისა და განკარგულებებისა და პარტიული დირექტივების შესრულებაზე წარმოადგენს ბიუროკრატიზმთან და საქმის გაჭიანურებასთან ბრძოლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საშუალებას. სისტემატიური შემოწმება იმის, თუ რამდენად სრულდება და დაცულია რევოლიუციონური კანონიერება, უნდა გადაიქცეს ყველა პარტიულ და საბჭოთა ორგანოს უმნიშვნელოვანეს ამოცანად. ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ და მუშგლეხინმა, როგორც ეს გათვალისწინებულია მუშაობის გეგმით, შესრულების შემოწმება თანდათან უფრო უნდა გადააქციოს თავისი მუშაობის ცენტრად, რათა ამრიგად უზრუნველჰყონ არა თუ პარტიული დირექტივებისა და მთავრობის დადგენილებების სწრაფი და სწორი შესრულება და იმ მიზეზების აღმოფხვრა, რომელნიც იწვევენ დირექტივების შეუსრულებლობას, არამედ პრაქტიკული გამოცდილების მიხედვით თვით დირექტივების სისწორის შემოწმებაც.

ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები ვალდებულნი არიან განუხრელად შეასრულონ პარტიისა და მთავრობის დირექტივები და განკარგულებები, ამავე დროს ისინი ცენტრალური ორგანოების წინაშე უნდა აყენებდნენ საკითხს იმ ცვლილებათა შესახებ, რომელთა საჭიროებაც ირკვევა ადგილობრივი გამოცდილებით. მხოლოდ ასეთი ურთი-ერთ კონტროლი—ადგილების პრაქტიკის კონტროლი ცენტრის განკარგულებებზე და ცენტრის ხელმძღვანელობის კონტროლი ადგილების პრაქტიკაზე — არა თუ შესაძლებელს გახდის იმას, რომ განხორციელდეს ცენტრალური დაწესებულებების წინადადებათა და დადგენილებათა განუხრელად შესრულება, არამედ საჭირო შესწორებებსაც შეიტანს ამ წინადადებებსა და დადგენილებებში, ადგილობრივი გამოცდილების მიხედვით.

მთელ ამ მუშაობაში უნდა ვემყარებოდეთ ლენინის შემდეგ მითითებას: „ადამიანების შემოწმება და საქმის ფაქტიური შესრულების შემოწმება — ერთხელ კიდევ ეს და მხოლოდ ეს არის ეხლა მთელი მუშაობის, მთელი პოლიტიკის მთავარი ამოცანა“ (მელითონეთა 1922 წლის საკავშირო ყრილობის კომუნისტური ფრაქციის სხდომაზე წარმოთქმული სიტყვა, ტომი 18, ნაწილი 2, გვ. 17). შესრულების შემოწმების გამოცდილება და ადგილობრივი გამოცდილება უნდა წარმოადგენენ საფუძველს მთელი სახელმწიფო და სამეურნეო აპარატის სისტემატიური გარდაქმნისა და გაუმჯობესებისათვის.

2. შემსრულებელთა შორის სამუშაოს სწორი განაწილებისა და ყოველ ორგანოს, ყოველ საბჭოთა თანამდებობაზე მყოფი პირის პასუხისმგებლობის დაწესება განსაზღვრულ დავალებათა და პრაქტიკულ სამუშაოთა შესრულებისათვის წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას აპარატის მუშაობის გაუმჯობესებისათვის და შესრულების შემოწმების ნამდვილი შესაძლებლობის უზრუნველყოფისათვის.

გადაჭრით უნდა მოეღოს ბოლო დღემდე ფართოდ გავრცელებულ იმ მდგომარეობას, რომ იმის ნაცვლად, რომ სათანადო ორგანოებმა, ხოლო ამ ორგანოების შიგნით პასუხისმგებელმა შემსრულებლებმა, საკითხები გადასჭრან თავიანთ უფლებათა და მოვალეობათა ფარგლებში, — ამ საკითხებს სწყვეტენ მრავალრიცხოვანი უპასუხისმგებლო, როგორც საუწყებათაშორისო, ისე შინასაუწყებო კომისიები. მართვა-გამგეობის საკითხების გადაჭრის ასეთი მეთოდი არა თუ არ წარმოადგენს მუშათა ფართო მასების მართვა-გამგეობაში ჩაბმის საშუალებას, არამედ კიდევაც აბრკოლებს ამას, რადგან სახელმწიფო აპარატის მუშაკთა ურთიერთ დაზღვევის საშუალებით ხელს უწყობს მათ სრულ უპასუხისმგებლობას, შეუძლებელს ხდის აპარატზე ფართო მასების კონტროლის განხორციელებას და შესრულების რაიმე ნამდვილ შემოწმებას. საჭიროა „ულმობელი ბრძოლა გაურკვევლობისა და ბუნდოვანობის წინააღმდეგ იმ საკითხში, თუ ვის რა აქვს დავალებული, საჭიროა ბრძოლა აქედან გამომდინარე სრულ უპასუხისმგებლობასთან“. (ლენინი, დადგენილება მოადგილეთა მუშაობის შესახებ, — კრებული „სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესების შესახებ“, გვ. 78).

3. მუშათა ფართო მასების ჩაბმა შესრულების შემოწმების საქმეში და, ამრიგად მუშათა და გლეხთა ახალი ფენებისათვის სახელმწიფო მართვა-გამგეობის საქმის შესწავლა წარმოადგენს იმის პირობას, რომ შესრულების შემოწმება თანდათან უფრო გადაიქცეს საბჭოთა აპარატის გაუმჯობესების ნამდვილ მეთოდად. ამიტომ საჭიროა:

ა) საწარმოებში არსებული დროებითი საკონტროლო კომისიების მაგალითის მიხედვით, რომელთა გამოცდილებამ სავსებით გაამართლა მათი დანიშნულება, დაიწყოს დროებითი საკონტროლო კომისიების მოწყობა დაწესებულებებში და დაჩქარდეს პროფკავშირთა მე-8 ყრილობის იმ დადგენილების განხორციელება, რომელიც ეხება მუშათა დროებითი საკონტროლო კომისიების შექმნას ტრესტებში. კომისიებს უშუალოდ უნდა ირჩევდნენ საფაბრიკო-საქარხნო საწარმოებში და სათანადო ქალაქების საბჭოები. კომისიების მთავარ ამოცანებს უნდა წარმოადგენდეს საბჭოთა კანონებისა და პარტიული დირექტივების შესრულების შემოწმება, ამასთან დაკავშირებით, ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურების კონკრეტული შემთხვევების გამომჟღავნება და იმ ზომების შემუშავება, რომელნიც უზრუნველჰყოფენ აპარატის მუშაობის გაუმჯობესებას, განსაკუთრებით მშრომელთა ფართო მასების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საქმეში.

ბ) ყურადღება მიექცეს იმას, რომ ნამდვილად ხორციელდებოდეს ამომრჩეველთა კრებების მიერ ყოველი ისეთი ამორჩეული პირის უკან გამოწვევის უფლება, რომლის მუშაობის შემოწმებამაც გამოარკვია, რომ იგი გამოუსადეგარია იმ მუშაობისათვის, რომელიც მას ამომრჩევლებმა დააკისრეს. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი მუშაკი ამორჩეული პირი არ არის, საჭიროა რაც შეიძლება ფართოდ და ყოველნაირად შეეწყოს ხელი მუშებისა და მშრომელი გლეხების ინიციატივას, რომელნიც უმაღლესი ორგანოების წინაშე აძრავენ საკითხს ასეთი პირის უკან გამოწვევისა, გადაყენებისა და ჩამოქვეითების შესახებ.

II. სახელმწიფო აპარატის პირადი შემადგენლობის გაუმჯობესება

1. სახელმწიფო აპარატის პირადი შემადგენლობის გაუმჯობესების მიზნით, კონფერენცია წინადადებას აძლევს მუშათა და გლეხთა ინსპექციას, პროფკავშირების დახმარებით და მუშათა, გლეხთა და მოსამსახურეთა ფართო მასების კონტროლით ჩაატაროს საბჭოთა აპარატის გაწმენდა იმ გახრწნილ ელემენტებისაგან, რომელნიც ამახინჯებენ საბჭოთა კანონებს, უკავშირდებიან კულაკსა და ნეპმანს, ხელს უშლიან საქმის გაჭიანურებასთან ბრძოლას და მფარველობას უწევენ საქმის გაჭიანურებას, მედიდურად, ჩინოვნიკურად და ბიუროკრატიულად ეპყრობიან მშრომელთა საარსებო საჭიროებებს; ჩაატაროს აპარატის გაწმენდა მფლანგველებისა, მექრთამეებისა, საბოტაჟის გამწევებისა, მავნებლების და ზარმაცებისაგან. ვინაიდან პარტია და საბჭოთა ხელისუფლება უაღრესად აფასებენ და ახალისებენ ყოველ პატიოსან და კეთილსინდისიერ მუშაკს, წმენდა, უწინარეს ყოვლისა და უმთავრესად, უნდა ხდებოდეს მუშაობის ხარისხის შეფასების და არა მხოლოდ კლასობრივი შთამომავლობის ნიშნების მიხედვით. პროლეტარული შთამომავლობა და პარტიის წევრობა არავითარ შემთხვევაში არ უნდა გადაიქცეს წმენდისაგან დაზღვევად. 1929 წლის განმავლობაში პირველ რიგში უნდა მოხდეს იმ დაწესებულებათა წმენდა, რომელნიც უშუალოდ დაკავშირებულნი არიან მშრომელ მასებთან (საადგილ-მამულო და სამოსამართლო ორგანოები, ფინსახკომისა და შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოები).

ის პირები, რომელნიც, წმენდის ჩამტარებელი კომისიის აზრით, შეიძლება გამოსწორდნენ, გადაყვანილ უნდა იქნან უფრო დაბალ თანამდებობაზე. გადაჭრით უნდა აიკრძალოს სხვა თანამდებობაზე და სხვა დაწესებულებაში მიღება ისეთი პირებისა, რომელნიც დათხოვნილნი იქნებიან სახელმწიფო აპარატში მუშაობის უფლების აღკვეთით (განსაზღვრული ვადით ან, განსაკუთრებით ბოროტი ელემენტები, სამუდამოდ); ასეთ პირთა სიები საყოველთაო ცნობისათვის უნდა გამოქვეყნდეს პრესაში.

2. კონფერენცია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფო აპარატიდან დათხოვნილთა შეცვლა ახალი კადრებით, რომელნიც აღიზარდნენ ფაბრიკებსა და ქარხნებში და ქვედა საფეხურის საბჭოთა მუშაობაში. რამდენადაც ამ უკანასკნელ წლებში დაწინაურების საქმის არა დამაკმაყოფილებლად და არასაკმაოდ გატარების ძირითად მიზეზებს მრავალ შემთხვევაში წარმოადგენს ის, რომ აპარატი წინააღმდეგობას უწევს დაწინაურების საქმეს და პარტიული და საბჭოთა ორგანოები ყურადღებას არ აქცევენ დაწინაურებულთა მომზადებას, დაწესებულებათა ხელმძღვანელნი საკმაო დახმარებას არ უწევენ დაწინაურებულთ, არა დამაკმაყოფილებლად, ხოლო ხშირად შემთხვევით ხდება, დაწინაურებულთა შერჩევა, დაწინაურებულნი ზოგჯერ არ შეეფერებიან სახელმწიფო მართვა-გამგეობის მუშაობისათვის წარდგენილ მოთხოვნებს და მთელი რიგი ჩამორჩენილი რაიონები განიცდიან დასაწინაურებელი კადრების ნაკლებობას — ყოველივე ამის მიხედვით, კონფერენცია ადგენს:

ა) დაევალოს საბჭოთა დაწესებულებების კომუნისტურ უჯრედებსა და ადგილკომებს, — დააწესონ სისტემატიური მეთვალყურეობა დაწინაურებულთა მიღებასა და შემდგომ მუშაობაზე, აღმოუჩინონ მათ ყოველნაირი დახმარება და, გადამჭრელი წინააღმდეგობა გაუწიონ აპარატის ბიუროკრატიულ ელემენტებს, რომელნიც აბრკოლებენ დაწინაურებას და ჩრდილავენ დაწინაურებულთ.

ბ) წინადადება მიეცეს საბჭოთა, პარტიულ, სამეურნეო და პროკავშირთა ორგანოებს — მოაწყონ ყველგან დაწინაურებულთა მომზადება (თუ შესაძლებელია, წინასწარი) და მეცადინეობა მათთვის დაკისრებულ მუშაობასთან შეფარდებით, ამასთან ერთად, უზრუნველჰყონ იმის შესაძლებლობა, რომ მომუშავე დაწინაურებულმა მუშებმა შესძლონ მათი თეორიული და პრაქტიკული კვალიფიკაციის შემდგომი აწევა.

გ) დაეკისროს დაწესებულებათა ხელმძღვანელებს პირადი პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ მათთვის დაქვემდებარებულ აპარატში შეიქმნას ხელსაყრელი პირობები დაწინაურებულთა სამუშაოდ.

დაევალოს პარტიულ, საბჭოთა და პროფკავშირთა ორგანოებს — განსაკუთრებული ყურადღებით მოეპყრან დაწინაურებულთა შერჩევას, რათა საბჭოთა აპარატში სამუშაოდ დაწინაურებულ იქნან ისეთი მუშები, რომელნიც ნამდვილად მომზადებულნი არიან ბიუროკრატიზმთან საბრძოლველად და აქვთ ამ ბრძოლის უნარი. ამ შერჩევაში, მათ უაღრესად აქტიური მონაწილეობა უნდა მიაღებინონ მუშათა ფართო მასებს (დასაწინაურებელ კანდიდატთა დასახელება მუშათა კრებებზე); დაწინაურებულნი შერჩეულ უნდა იქნან არა „საერთოდ მუშაობისათვის“, არამედ კონკრეტული, წინასწარ განსაზღვრული მუშაობისათვის, ამასთან, საბოლოოდ გადაწყვეტა იმ საკითხისა, თუ რამდენად მისაღებია ესა თუ ის დაწინაურებული ამა თუ იმ დაწესებულებაში სამუშაოდ, შედის დაწესებულების ან საწარმოს ხელმძღვანელის კომპეტენციაში.

დაევალოს სამრეწველო ოლქების პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს — გააძლიერონ საორგანიზაციო და პოლიტიკური დახმარების გაწევა სასოფლო-სამეურნეო ოლქებისათვის, მოამზადონ მათთვის დაწინაურებულთა კადრები და გაგზავნონ მუშაკები მუდმივ და დროებით სამუშაოზე. ასეთ დახმარებას საფუძვლად უნდა ედოს სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანოებისა და მუშათა ცენტრების მონაწილეობა სხვა რაიონების სოფლის მეურნეობის განვითარებაში, მაგალითად, მუშათა კოოპერაციის მონაწილეობა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მუშაობაში, როგორც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების, ისე სოფლის მეურნეობის სათანადო დარგების განვითარების საქმეში, ხელის მრეწველობის მონაწილეობა ხელის მეურნეობის რაიონების განვითარებაში და სხვა.

ვინაიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საბჭოთა უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებული ახალგაზრდობის სწორად და სრულად გამოყენებას, შეიცვალოს ამ ახალგაზრდობის განაწილების წესი: იმის ნაცვლად, რომ ასეთი ახალგაზრდების განაწილება ხდებოდეს შრომის ბირჟების მეშვეობით, დაწესდეს მათი განაწილება შრომის სახალხო კომისარიატის საერთო მეთვალყურეობითა და ხელმძღვანელობით სათანადო საუწყებო ორგანოების მიერ, რომელთა განკარგულებაშიაც უმაღლესი სასწავლებლების დამთავრებისათანავე უნდა გადავიდეს მთელი ახალგაზრდობა და, რომლებსაც უნდა დაევალოს ახალგაზრდობის გეგმიანი განაწილება სამეურნეო-კულტურული ფრონტის მოთხოვნილებებთან შეფარდებით.

გამოცდილება ცხადჰყოფს, რომ ის კომუნისტები, რომელნიც არ სწავლობენ და არ ცდილობენ სერიოზულად ისწავლონ მართვა-გამგეობის საქმე და მუშაობენ ზერელედ, მათთვის დაკისრებული მუშაობის რაობის შეუთვისებლად, მთელ რიგ შემთხვევებში იქცევიან ჭკვიან მავნებელთა და საბოტაჟის გამწევთა მფარველ ნიღაბად ასეთ კომუნისტებს ჰგონიათ, ვითომ საქმეს ხელმძღვანელობენ და მართავენ, ნამდვილად კი ისინი მხოლოდ სხვის აზრებსა და წინადადებებს ადასტურებენ. ისინი არიან ყალბი კომუნისტები, რომელნიც უდიდეს ზიანს აყენებენ სოციალისტური მშენებლობის საქმეს. უმნიშვნელოვანეს მორიგ ამოცანას წარმოადგენს იმის შემოწმება, თუ როგორ იზრდებიან სამეურნეო კადრები და რამდენად იქცევიან კომუნისტები მათთვის ჩაბარებული საქმის ნამდვილ ხელმძღვანელებად და ნამდვილ მმართველებად, რომელთაც შეუძლიათ მუშაკთა შერჩევა და მათი მუშაობის შემოწმება, რომელნიც იძენენ სპეციალურ ცოდნას და გამოცდილებას სათანადო საწარმოო დარგში და ამაღლებენ თავიანთ საწარმოო-ტეხნიკურ კვალიფიკაციას, იმის შემოწმება, თუ რამდენად სრულდება ცეკას გადაწყვეტილებები, ისეთი პირობების შექმნის შესახებ, რომელნიც ხელს უნდა უწყობდნენ სამეურნეო მუშაკთა კომუნისტური კადრების ზრდას და ყოველმხრივი დახმარების აღმოჩენას მათი კვალიფიკაციის აწევისათვის ყოველდღიურ მუშაობაში (გადამზადება, ტეხნიკური ლიტერატურის მიწოდება, უცხოეთში მივლინება, სპეციალიზაციის მიზნით მიმდინარე მუშაობიდან 1—2 თვით პერიოდულად განთავისუფლება, სამეურნეო მუშაკთა ძირითადი ხელმძღვანელი შემადგენლობის ხშირი ცვალებადობის მოსპობა).

ასეთი შემოწმება გაადვილებს იმას, რომ ნამდვილად შერჩეულ იქნენ ისეთი კომუნისტი სამეურნეო მუშაკები და ადმინისტრატორები, რომლებსაც შეუძლიათ იმუშაონ და პასუხი აგონ თავიანთ საქმეზე.

რაც შეეხება ისეთ კომუნისტებს, რომელთა მუშაობის შემოწმებამაც გამოარკვია, რომ ისინი გამოუსადეგარნი არიან სახელმწიფო მართვა-გამგეობის საქმისათვის საჭიროა გადაჭრით უკუგდებულ იქნან ასეთი მუშაკების გადაყვან-გადმოყვანა ერთი დაწესებულებიდან მეორეში, ერთი რაიონიდან მეორეში, რასაც ამჟამად ფართოდ აქვს ადგილი და რაც მხოლოდ საბოლოოდ ღუპავს მათ, ამავე დროს ხელს უშლის აპარატის მუშაობის გაუმჯობესებას. ასეთი კომუნისტები აუცილებლად დაბრუნებულ უნდა იქნან სამუშაოზე თავიანთი სპეციალობის მიხედვით.

III. მმართველობის სისტემის შეფარდება ჩვენი მეურნეობის სისტემასთან და სოციალისტური მშენებლობის მოთხოვნებთან

იმ ამოცანების შესრულება, რომლებიც საბჭოთა ქვეყნის წინაშე დგანან ინდუსტრიალიზაციის დაჩქარებული ტემპის გატარების და სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში, მოითხოვს სახელმწიფო მმართველობის მთელი აპარატის სისტემატიურად გარდაქმნას იმგვარად, რომ იგი შეუფარდდეს ჩვენი მეურნეობის სისტემას და სოციალისტური მშენებლობის ამოცანებს, ამის გამო კონფერენცია ადგენს:

1. პრაქტიკული მუშაობით შემოწმებული კადრების უეჭველი ზრდა უკანასკნელ წლებში, ჩვენი ქვეყნის დარაიონება, რომელიც ეხლა თავდება, სახალხო მეურნეობის მმართველობის დარგში დაგროვილი გამოცდილება, სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის დამუშავება,—ყველაფერი ეს შესაძლებლად ხდის შემდგომი ნაბიჯების გადადგმას მმართვა-გამგეობის ფუნქციების დეცენტრალიზაციის საქმეში. შემდგომი ნაბიჯების გადადგმამ იმ მიმართულებით, რომ საკავშირო ცენტრალური და რესპუბლიკანური ორგანოები განიტვირთონ არა მარტო ოპერატიული წვრილმანი საქმისაგან, არამედ განსაზღვრულ ნაწილში ოპერატიული ფუნქციებისაგანაც. გეგმიანი მუშაობის ნამდვილად გაუმჯობესებისათვის, რამაც უნდა უზრუნველჰყოს რეალური და დროული გეგმების დამუშავება, საჭიროა საზოგადო, პირადი და მასიური ინიციატივისა და თვითმოქმედების შეფარდება მტკიცე დისციპლინასთან ცენტრალური ორგანოების გეგმების და დირექტივების შესრულების საქმეში.

აპარატის სისტემატიურად გადაკეთება უნდა სწარმოებდეს იმ ხაზით, რომ მოხდეს ოპერატიული ფუნქციების დეცენტრალიზაცია და ამავე დროს უზრუნველყოფილ იქნას ხელმძღვანელობის ცენტრალიზაცია და გეგმიანობა ძირითად საკითხებში იმ ხაზით, რომ შეიქმნას პირობები, რომლებიც უზრუნველჰყოფენ როგორც მტკიცე დროული გეგმების დამუშავებას, ისე მათ სრულ შესრულებას. ამის მიხედვით, კერძოდ, საკავშირო მუშათა და გლეხთა ინსპექციამ სახალხო კომისარიატმა, უნდა გადასინჯოს მუშაობის უფრო ურთიერთდამოკიდებულების სისტემა სხვადასხვა საკავშირო სახ. კომისარიატებს შორის, მოკავშირე რესპუბლიკების სახ. კომისარიატებსა და კავშირის სახ. კომისარიატებს შორის, სახალხო კომისარიატებსა და მომწესრიგებელ ორგანოებს შორის, სახალხო და ცენტრალურ ორგანოებს შორის, საგეგმო და მმართველ ორგანოებს შორის.

2. მრეწველობის მმართვა-გამგეობის სისტემის გასაუმჯობესებლად წარმოებულ მუშაობაში უნდა გამოვიდეთ იქიდან, რომ უზრუნველვყოთ:

ა) სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოს გადაქცევა არა მარტო საგეგმო-ეკონომიურ ხელმძღვანელ ორგანოდ, როგორიც იგი უმთავრესად არის დღემდე, არამედ ნამდვილ ტეხნიკურად ხელმძღვანელ ორგანოდაც, რომელიც დაემყარება როგორც ამერიკისა და ევროპის, ისე საბჭოთა მეცნიერებისა და ტეხნიკის მიღწევებს.

ბ) ფაბრიკებისა და ქარხნების და ცალკე ცეხების სამეურნეო ინიციატივის გაძლიერება, ამავე დროს ტრესტის როლის გაძლიერება საწარმოთა ტეხნიკური რეკონსტრუქციის ხელმძღვანელობის საქმეში ტრესტების საწარმოთა ჯგუფების ისეთი გადასინჯვით, რომელიც უზრუნველჰყოფს საწარმოთა გაერთიანების პრინციპის განხორციელებას, უპირველეს ყოვლისა, სპეციალიზაციის ნიშნის მიხედვით.

გ) მრეწველობის შინაური რესურსების სრული მობილიზაციის შესაძლებლობა,

დ) პარტიის დირექტივების განხორციელება საწარმოთა ერთპიროვნული მმართვა-გამგეობის დამყარების შესახებ, ამავე დროს საწარმოო თათბირების და დროებითი საკონტროლო კომისიების მუშაობის შეუჩერებლად გაშლა-გაფართოება; მათი პრაქტიკული წინადადებანი, რამდენადაც ისინი სწორად იქნებიან ცნობილნი და მიღებული ადმინისტრაციის მიერ, გადაუხრელად უნდა განხორციელდეს ყოველგვარი დაყოვნების გარეშე. წარმოების მმართველობის სისტემა უნდა განისაზღვროს ლენინის შემდეგი მოთხოვნებით:„რაც უფრო გადაჭრით უნდა დავიცვათ ეხლა ულმობელი მტკიცე ხელისუფლების საჭიროება, ცალკე პირთა დიქტატურის საჭიროება მუშაობის განსაზღვრული პროცესების შესასრულებლად წმინდა აღმასრულებელი ფუნქციების განსაზღვრულ მომენტებში, მით უფრო მრავალფეროვანი უნდა იყოს ქვევიდან კონტროლის ფორმები და მეთოდები, რათა აღვკვეთოთ საბჭოთა ხელისუფლების დამახინჯების ყოველგვარი შესაძლებლობა, რათა განმეორებით და დაუღალავად ამოვგლიჯოთ ბიუროკრატიზმის ღვარძლიანი ბალახი“ (ლენინი „საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები“).

გ) მშენებლობის დროული და სრული ტეხნიკურ-ეკონომიური მომზადება.

ე) მრეწველობის მეთაურთა შემადგენლობის სიმტკიცე და ლიკვიდაცია სამეურნეო მუშაკების ერთი ადგილიდან მეორეზე ხშირად გადაყვანისა, რაც ფართოდ არის გავრცელებული და რაც ძალიან აბრკოლებს მათი სწავლების შესაძლებლობას და ტეხნიკური კვალიფიკაციის დონის აწევას.

3. საქონლის გამტარებელი ქსელის გაუმჯობესებისა და რაციონალიზაციის მუშაობაში უნდა გამოვიდეთ საქონლის ბრუნვის ხარჯების შემდგომი გადაჭრით შემცირებისაგან, რამდენადაც ეს საჭიროა და შესაძლებელი.

რადგან სავაჭრო აპარატის მონოპოლიური მდგომარეობა სხვადასხვა საქონლის დარგში სავაჭრო-კოოპერატიული სისტემის უკიდურესი ცენტრალიზმის დროს ჰქმნის აპარატის ცალკე ნაწილების ბიუროკრატიული დახავსების საფრთხეს, ამიტომ საქონლის გამტარებელი ქსელის რაციონალიზაცია უნდა გავატაროთ იმგვარად, რომ მოხდეს ოპერატიული ფუნქციების დეცენტრალიზაცია, უნდა გაუმჯობესდეს სავაჭრო სისტემის სამანევრო უნარი, ნამდვილად შემცირდეს გადამცემი საფეხურები ფაბრიკიდან სამრეწველო საქონლის მომხმარებლამდე და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის მწარმოებლიდან მომხმარებლამდე, გაძლიერდეს მოსახლეობის სამომხმარებლო მოთხოვნილებათა აღრიცხვა სამრეწველო და სავაჭრო აპარატის მიერ, გაუმჯობესდეს მომხმარებლის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, როგორც ქვედა საფეხურის სავაჭრო ორგანოების ქსელის სწრაფი გაფართოებით, ისე ტეხნიკური მუშაობის გაუმჯობესებით.

4. გაგრძელდეს მუშაობა იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს სახალხო მეურნეობისათვის ფინანსების და კრედიტების მიწოდების, საგადასახადო დაბეგვრის და სამეურნეო, კოოპერატიულ და საკრედიტო დაწესებულებათა შორის საფინანსო-საანგარიშო ურთიერთობის სისტემა, რათა შემოღებულ იქნას ანგარიშების გასწორება ნაღდი ფულის გარეშე და გადაჭრით შემცირდეს საანგარიშო ინსტანციები მრეწველობის სხვადასხვა დარგებს შორის და მრეწველობასა და კოოპერაციას შორის, აგრეთვე ფართოდ განხორციელდეს ნაღდი ფულის გარეშე ანგარიშის გასწორების ცდა იმ ფულის გადახდის დროს, რომელიც მოსახლეობამ უნდა შეიტანოს სახელმწიფო, კომუნალურ და საზოგადო ორგანიზაციებში.

5. უზრუნველყოფილ იქნას მმართვა-გამგეობის ტეხნიკის დარგში არსებულ მიღწევათა რაც შეიძლება სწრაფად შეთვისება ჩვენი აპარატის მიერ: აღრიცხვის მექანიზაციის გამოყენების გავრცელება მახლობელ წლებში ყველა დიდ სამეურნეო დაწესებულებაზე (რის ცდებმა ტრანსპორტზე, მატყლის პირველ ტრესტში, საკავშირო საფეიქრო სინდიკატში და სახელმწ. ელექტრო-ტრესტის ქარხნებში უკვე მოგვცეს დადებითი შედეგები); საბუღალტერო, ოპერატიული და სტატისტიკური აღრიცხვის მთლიანობის დამყარება; ანგარიშწარმოების სისტემის შემოღება პირვანდელი აღრიცხვის ცნობების მიხედვით, გეგმების ფორმებთან შეფარდებით; დაწესებულებათა სტრუქტურის გაუმჯობესება იმ მიმართულებით, რომ დაწესდეს მათი ცალკე ფუნქციების სისწორით განსაზღვრა; უსარგებლო საშუალო ინსტანციების ლიკვიდაცია და პასუხისმგებელი აღმასრულებლების სისტემის დაწესება (კერძოდ, იმ პრაქტიკის შემოღება, რომ აღმასრულებელი მის მიერ შესრულებული მუშაობის შესახებ უშუალოდ უკეთებდეს მოხსენებას იმ ორგანოს ან პირს, რომლისთვისაც არის დანიშნული ეს მუშაობა, და იმ ვალდებულების დაწესება, რომ აღმასრულებელი ყველა მის მიერ დამზადებულ მოხსენებასა და ქაღალდს აუცილებლად აწერდეს ხელს, მიუხედავად იმისა, თუ სად იგზავნება ეს ქაღალდები); საქმის წარმოების გამარტივებული სისტემის ყველგან შემოღების დაჩქარება; მმართვა-გამგეობის ტეხნიკის დარგში მომუშავე ძველი სამეცნიერო დაწესებულებებისა და რაციონალიზატორული ცენტრების განმტკიცება და ახლების შექმნა; საბჭოთა დაწესებულებებში სპეციალური რაციონალიზატორული ბიუროების შექმნის გამოცდილების გავრცელება; რაციონალიზატორების კადრების შექმნა.

ტეხნიკის მთელი ეს გაუმჯობესება სრულებითაც არ შეადგენს თვითმიზანს; მისი საშუალებით ჩვენ უნდა მივაღწიოთ აპარატის ისეთ გამარტივებას, რომელიც უზრუნველჰყოფს მასების აქტიურ მონაწილეობას მმართველობაში.

6. წარმოების ყველა დარგში სამეცნიერო-რაციონალიზატორული მეთოდების შემდგომი დანერგვის გარეშე, მმართველობის დაგეგმვის გარეშე მეტად გაძნელდება ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგომი ამოცანების ნამდვილად შესრულება.

რადგან საგეგმო მუშაობა რთულდება, ძნელდება და იზრდება მისი პასუხისმგებლობა რეკონსტრუქციის პერიოდში, ამიტომ უნდა მივაღწიოთ ჩვენი სამეურნეო დაგეგმვის მეცნიერული ხასიათის და ყოველმხრივი მეცნიერული დასაბუთების გაძლიერებას. ამის მიხედვით, სახელმწიფო საგეგმო კომისია სახალხო-სამეურნეო გეგმების შედგენისათვის წარმოებულ მუშაობაში უნდა დაემყაროს მსოფლიო მეცნიერებისა და ტეხნიკის უახლეს მიღწევათა ფართოდ გაცნობას, საბჭოთა კავშირის იმ სამეცნიერო-საგამომკვლეო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მთელ სისტემას, რომელთა მუშაობაც თავისი ხასიათით და ვადებით უნდა დაუკავშირდეს გეგმიანი მუშაობის ამოცანებს.

სამეცნიერო-რაციონალიზატორული მუშაობის გამოცდილება როგორც მუშათა და გლეხთა ინსპექციის ხაზით, ისე სახ. მეურნ. უმაღლ. საბჭოს ხაზით გვიჩვენებს, თუ რა დიდ შესაძლებლობებს ჰქმნის პროდუქციის გადიდებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის წარმოებული სამეცნიერო-საგამომკვლეო მუშაობის შედეგების და რაციონალიზატორული ღონისძიებების განხორციელება. როგორც მუშათა და გლეხთა ინსპექციამ, ისე ყველა ხელმძღვანელმა სამეურნეო ორგანომ ბევრად უფრო დიდი მასშტაბით, ვიდრე დღემდე, გააძლიეროს თავიანთი მუშაობის სამეცნიერო საფუძველი. ამისათვის კერძოდ საჭიროა: სპეციალური რაციონალიზატორული ჯგუფების, ბიუროების, კანტორების და ინსტიტუტების გაშლილი ქსელის შექმნა, უცხოეთის სპეციალისტების შემდგომი ჩაბმა, ტეხნიკური ლიტერატურის გამოშვების გადიდება, სპეციალისტ-რაციონალიზატორების კადრების მომზადება, სამეურნეო მუშაკების კადრების ტეხნიკური კვალიფიკაციის ამაღლება და სხვ.

7. გაძლიერდეს ბრძოლა მომჭირნეობის რეჟიმისათვის და ყოველგვარი ზედნადები და არასაწარმოო ხარჯის შემცირებისათვის, რაც უნდა ჩატარდეს გაზრდილი სოციალისტური ეკონომიკის მოთხოვნილებებთან მმართვა-გამგეობის სისტემის შეფარდებით, აგრეთვე მმართვა-გამგეობის ნამდვილად მოწინავე ტეხნიკის შეთვისებით. კონფერენცია ამასთან გამოდის იქიდან, რომ ერთ-ერთ მთავარ პირობას სოციალისტური მშენებლობის ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის წარმოადგენს ვაჭრობისა და მრეწველობის ზედნადები ხარჯების და ადმინისტრატიული ხარჯების შემდგომი გადაჭრით შემცირება, რაც უნდა გადაიქცეს ერთ-ერთ არსებით წყაროდ ჩვენი ქვეყნის განვითარების ტემპის დასაჩქარებლად კაპიტალისტურ განვითარებასთან შედარებით,

კონფერენცია ყველა სამეურნეო ორგანოს და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ ბრძოლა მომჭირნეობის რეჟიმისათვის სრულებითაც არ შეიძლება განისაზღვროს მარტო აპარატის შემოკლებით, იგი ამავე დროს მოითხოვს მაქსიმალური ძალ-ღონის დახარჯვას იმისათვის, რომ ნამდვილად განხორციელდეს რაციონალიზაცია, სავსებით გამოყენებულ იქნას არსებული მოწყობილობანი და მოხდეს მათი მობილიზაცია, გადიდდეს საწარმოო კაპიტალური ხარჯების ეფექტიობა, შემცირდეს თვითღირებულება და მრეწველობისა და ტრანსპორტისათვის მასალის მიწოდება მოეწყოს ისეთი ნიადაგზე, რომელიც შეუძლებელს გახდის ზედმეტი მარაგის დაგროვებას, რაც უდიდეს მატერიალურ რესურსებს მკვდარ კაპიტალად აქცევს (მაგალითად, ტრანსპორტზე, სადაც ორთქლმავლების და ვაგონების გამოყენების ძირითადი მაჩვენებლები საკმაოდ დაბალია, ამ მაჩვენებლების გადიდება იმ დონემდე, რომელიც თუნდაც რამდენადმე მიუახლოვდება იაპონიის დონეს, სადაც ორთქლმავლები სასარგებლო მუშაობაში არიან 16 საათს დღეღამეში, ხოლო ჩვენში—6—9 საათს,—მრავალი ასი მილიონი მანეთის მომჭირნეობის შესაძლებლობას ჰქმნის).

8. სპეციალურად იქნას შესწავლილი დარაიონების შედეგები, უპირველეს ყოვლისა, მუშათა და მშრომელ გლეხთა მასებთან სახელმწიფო მმართვა-გამგეობის აპარატის დაახლოვების თვალსაზრისით. რამდენადაც საკვანძო პუნქტი, სადაც ხორციელდება პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების დირექტივა, არის რაიონი, იმდენად იქ უნდა იქნას გადატანილი სახელმწიფო აპარატის გასაუმჯობესებლად და გამოსასწორებლად წარმოებული მუშაობის სიმძიმის ცენტრი.

ამის მიხედვით უნდა გადაისინჯოს სათემო საბჭოთა აპარატის სტრუქტურა იმ თვალსაზრისით, რომ სარაიონო ცენტრები უზრუნველყოფილ იქნან შემოწმებული კომუნისტების, ორგანიზატორების და სპეციალისტების რაც შეიძლება მეტი რაოდენობით.

აპარატის სტრუქტურის გამარტივებისა და გაუმჯობესების საქმეში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სოციალური დაზღვევის, ჯანმრთელობის დაცვის, სასამართლოს, კოოპერაციის, შრომის ბირჟის ორგანოებს და სხვ., რომლებიც უშუალოდ ემსახურებიან ფართო მასებს; ამასთან უზრუნველყოფილ უნდა იქნას მათი იმგვარად აგება და მუშაობის ისეთი წესი, რომელიც შეჰქმნის მშრომელთა მოთხოვნილებების მაქსიმალურად სწრაფად და დაუბრკოლებლად დაკმაყოფილების გარანტიას.

9. კონფერენცია, თანახმად ლენინის არაერთი მითითებისა, წინადადებას იძლევა, რომ მახლობელ წელსვე მუშათა და გლეხთა ინსპექციის განსაკუთრებული მეთვალყურეობით მოეწყოს 2—3 ტრესტის, 5—10 ოლქის და 10—15 რაიონის სანიმუშო მუშაობა. კონფერენცია წინადადებას აძლევს ცეკას—ორი თვის განმავლობაში უზრუნველჰყოს საბჭოთა მუშაობის დარგები ნამდვილად საუკეთესო და ყველაზე უფრო შემოწმებული და კეთილსინდისიერი ორგანიზატორებით და ხელმძღვანელებით. ამასთან საუკეთესო ნიმუშები ყველასათვის სავალდებულო მაგალითად გადაიქცეს.

10. რამდენადაც ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგომი სამეურნეო, პოლიტიკური და კულტურული ამოცანების გადაწყვეტა მოითხოვს მილიონ მშრომელთა უშუალო და შეგნებულ მონაწილეობას, იმდენად მათი გადაწყვეტილებანი უფრო და უფრო უნდა გამოვიყენოთ პრაქტიკულად და უნდა გამოვცადოთ მუშათა ინიციატივისა და თვითმოქმედების სხვადასხვაგვარი ფორმები (მუშათა ინიციატივით დაწყებული სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი გავრცელება როგორც მშენებლობის, წარმოების გაუმჯობესების და თვითღირებულების შემცირების, ისე მმართველობის სისტემის და სტრუქტურის გაუმჯობესების და გამარტივების საქმეში, გამომძახებანი, მუშათა ბრიგადების გაგზავნა სოფლად, კონკურსები და მუშათა გამომგონებლობა), ამასთან, არსებული მიღწევები ფართოდ უნდა გაშუქდეს პრესაში, უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მთელმა ჩვენმა ქვეყანამ იცოდეს საუკეთესო ორგანოების, სოციალიზმის საქმის ყველაზე ერთგული, ყველაზე გაბედული და კეთილსინდისიერი მუშაკების მუშაობა; ფართოდ იქნას შემოღებული პრემიების მიცემა ყველა სასარგებლო წინადადებებისათვის, რომელიც ხელს შეუწყობს წარმოების თვითღირებულების შემცირებას, აპარატის გამარტივებას და გაუმჯობესებას.

IV. მასიური კონტროლის ორგანიზაცია

მუშათა და გლეხთა ინსპექციას, როგორც ერთ-ერთ მთავარ ბერკეტს იმ ბრძოლაში, რომელსაც პარტია და საბჭოთა ხელისუფლება აწარმოებენ მთელი აპარატის ნამდვილად გაუმჯობესებისათვის, მის წინაშე მდგომი ამოცანები შეუძლია შეასრულოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განუწყვეტლივ გაფართოვდება ნამდვილი მშრომელთა ფართო მასების ჩაბმა ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში, თუ მუშათა და გლეხთა ინსპექცია უფრო და უფრო მეტად გახდება იმ მუშათა და გლეხთა ორგანიზატორი, რომლებიც სახელმწიფო აპარატის მუშაობის კონტროლს განახორციელებენ, თუ იგი უფრო და უფრო მეტად გადაიქცევა უპარტიოთა მიერ პარტიულების მუშაობის შემმოწმებელ ორგანიზაციად, თუ მისი საშუალებით უპარტიო მუშები და გლეხები შეისწავლიან იმ უფლებების განხორციელებას, რომლებსაც მათ ანიჭებს საბჭოთა რესპუბლიკა. ყოველგვარი სხვა „ბრძოლას ბიუროკრატიზმთან“, რომელიც არ ემყარება მუშათა კლასის აქტიობასა და თვითმოქმედებას და რომელიც სცდილობს თვით მუშათა და გლეხთა კონტროლი შესცვალოს მხოლოდ ამა თუ იმ აპარატის, თუნდაც ყველაზე კეთილსინდისიერი აპარატის, მუშაობით, არავითარო სერიოზული შედეგები არ მოჰყვება სახელმწიფო აპარატის ნამდვილად გაუმჯობესების და ძირიანად გარდაქმნის საქმეში

გამოდის რა აქედან, კონფერენცია:

1. წინადადებას აძლევს ცენტრ. საკონტრ. კომისიას და მუშათა და გლეხთა ინსპექციას—უფრო მეტად გააფართოვონ მუშათა ჩაბმა მუშ. და გლ. ინსპექციის მუშაობაში, გაავრცელონ გამოცდილებით შემოწმებული მუშების ჩაბმის მეთოდების პრაქტიკა და გამოუყენონ მუშათა ინიციატივით, ქვევიდან წამოყენებული ახალი მეთოდები (მუშათა და გლეხთა ინსპექციის სექციები, პროფკავშირთა, განსაკუთრებით საწარმოო თათბირების, მუშათა დროებითი საკონტროლო კომისიების და ეკონომ-თათბირების მონაწილეობა მუშ. და გლ. ინსპექციის მუშაობაში, მუშათა მიერ არჩეული პირების შეყვანა მუშ. და გლ. ინსპექციის საჩივართა ბიუროში, მუშკორთა მიზიდვა, გამოკვლევის დასკვნების განხილვა ქარხნებსა და დაწესებულებებში მუშათა და მოსამსახურეთა ფართო მონაწილეობით, ხელისშემწყობი სპეციალური ჯგუფების შექმნა, რომლებიც ფაბქარხკომებმა და ადგილკომებმა უნდა მოაწყონ წარმოებებსა და დაწესებულებებში, მოხალისეთა, კომკავშირის მსუბუქი კავალერიის მიზიდვა, ბიუროკრატიზმში დამნაშავეთა საქმის განხილვა მუშა-მსაჯულების მიერ მუშათა კრებებზე და სხვ.).

2. წინადადებას აძლევს ადგილობრივ პარტორგანოებს და საბჭოებს—ყველა ქალაქის საბჭოსთან და ყველა დიდი სოფლის სასოფლო და სათემო-საბჭოსთან შექმნან მუშათა და გლეხთა ინსპექციის სექციები. სასოფლო საბჭოებში ეს სექციები უნდა შესდგებოდნენ პირველ რიგში მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხთაგან.

3. რადგან ცუდად სრულდება მრავალჯერ განმეორებული მითითება მუშათა და გლეხთა ინსპექციაში მუშაობისათვის ნამდვილად საუკეთესო მუშების გამოყოფის შესახებ და რათა შესრულებულ იქნას ლენინის მითითება იმის შესახებ, რომ მუშათა და გლეხთა ინსპექციაში თავი მოეყაროს საუკეთესო მუშაკებს, „რომლებიც კი მოიპოვებიან ჩვენს სოციალურ წყობილებაში“ (ტომი 18, ნაწილი მეორე, გვ. 18), კონფერენცია წინადადებას აძლევს ცეკას მახლობელი 3 თვის განმავლობაში თავისი მეთვალყურეობით ჩაატაროს მუშაკთა სპეციალური მობილიზაცია მუშათა და გლეხთა ინსპექციის სათემო ორგანოებში მუშაობისათვის. ამავე დროს, მუშ. და გლ. ინსპექციამ უნდა გააძლიეროს იმ მუშათა დაწინაურება თავის აპარატში მუდმივ სამუშაოზე, რომლებმაც გამოიჩინეს ნამდვილი უნარი ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში; მუშ. და გლ. ინსპექციამ ასეთი მუშებისაგან უნდა აღზარდოს სხვა ორგანოებში დასაწინაურებელი კადრები.

V. პარტიის შიგნით და პარტიის აპარატში ბიუროკრატიზმის ელემენტებთან ბრძოლის ამოცანები

კონფერენცია მთელი პარტიის და პარტიის ყოველი წევრის ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ საჭიროა მეტად გადამჭრელი, დაუნდობელი და მტკიცე ბრძოლა ბიუროკრატიზმის ელემენტებთან თვით პარტიის შიგნით და პარტიული აპარატის შიგნით, ბიუროკრატიზმის ელემენტებთან, რომელთა წარმოშობასაც იწვევს პარტიული და საბჭოთა აპარატების გადანასკვნა, პარტიის წევრთა უდიდესი რაოდენობის გადაყვანა ადმინისტრატიულ სამუშაოზე, აგრეთვე ის, რომ სახელმწიფო აპარატში მომუშავე კომუნისტების საშუალებით პარტიაზე გავლენას ახდენენ ბურჟუაზიული ინტელიგენციის და ჩინოვნიკური ელემენტები. ამის გამო თვით პარტიის შიგნით და პარტიულ აპარატში იმ ბიუროკრატიულ ელემენტებთან ბრძოლის მიზნით, რომლებიც აბრკოლებენ ბიუროკრატიზმთან ბრძოლას საბჭოთა აპარატში, კონფერენცია ადგენს:

1. გადაუხრელად გაგრძელდეს მომავალში ცეკას მიერ დაწყებული ფასიანი პარტიული აპარატის შემოკლება მისი შეცვლით სათანადო ნაწილებში პარტიული აქტივის უფასო მუშაობით და პარტიული აქტივის ფართოდ ჩაბმა პარტიული კომიტეტების აპარატში უშუალო მუშაობისათვის, ამასთან ეს უნდა განხორციელდეს მეტად თამამად და თანმიმდევრობით, პირველ რიგში, მუშათა ცენტრებში.

2. საკონტროლო კომისიებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ შინაპარტიული დემოკრატიის დარღვევას, უხათუოდ უნდა მისცენ პასუხისგებაში ის პარტიული ორგანოები და ის თანამდებობის პირნი, რომლებიც ხელს უშლიან შინაპარტიული დემოკრატიის პრინციპების განხორციელებას. (კრებებზე ხმის მიცემის და აზრის გამოთქმის თავისუფლების შეზღუდვა, არჩევნების დროს ისეთი შეზღუდვის გამოყენება, რომელიც გათვალისწინებული არ არის წესდებით, პარტიის წევრთა საარჩევნო უფლებების ფარული და აშკარა დარღვევა და კომიტეტის ბიუროს ყოველი მდივნის გადაყენება).

3. ყოველგვარი საშუალებით გაუმჯობესდეს როგორც საბჭოთა, ისე კომკავშირთა, პროფკავშირთა და კოოპერატიული ორგანოების ხელმძღვანელობა პარტიული ორგანოების მხრივ, გადაჭრით იქნას წარმოებული ბრძოლა იმის წინააღმდეგ, რომ პროლეტარული საზოგადოებრივობა შეიცვალოს ადმინისტრატიული მბრძანებლობით და წვრილმანი ოპეკით პარტკომიტეტების მხრივ. რამდენადაც საბჭოები, პროფკავშირები და კოოპერაცია წარმოადგენენ გადამწყვეტ აპარატს პარტიის დასაკავშირებლად მშრომელთა ფართო მასებთან, იმდენად პარტიული ორგანიზაციები ყოველი ძალ-ღონით უნდა შეეცადონ მათი მუშაობის გაუმჯობესებას, გადაჭრით უნდა ებრძოლონ პროფკავშირთა, საბჭოთა და კოოპერატიული დემოკრატიის დარღვევას, განსაკუთრებით ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნების ხაზით, ამავე დროს, სათანადო ფრაქციების საშუალებით, გადაჭრით უნდა იქნან გადაყენებულნი ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელობიდან ბიუროკრატიული ელემენტები, რომლებმაც დაჰკარგეს ალღო და მასებთან კავშირი, და უნდა მოხდეს სათანადო ორგანოების გადარჩევა.

მიუხედავად იმისა, რომ პარტიამ უდიდესი მუშაობა ჩაატარა მასების აქტიობის ასამაღლებლად და საბჭოების გასაცხოველებლად, საბჭოების, პროფკავშირების და კოოპერაციის, როგორც ნამდვილი კოლექტიური ორგანოების, გაშლა-გაფართოება ჯერ კიდევ არ არის საკმაო. ამ ორგანოების მაგივრობის გაწევა სათანადო ზედაფენის მიერ (საბჭოს პრეზიდიუმი, ხოლო სოფლად ძალიან ხშირად მხოლოდ საბჭოს თავმჯდომარე ან მდივანი, კოოპერაციის გამგეობა ან გამგეობის თავმჯდომარე და სათანადო პროფესიონალური კავშირის პრეზიდიუმი) ჯერ კიდევ ფართოდ არის გავრცელებული, განსაკუთრებით სოფლად. ამიტომ პარტიის მთავარ ამოცანას საბჭოთა, პროფკავშირთა და კოოპერატიული ორგანიზაციების მიმართ შეადგენს მათი მუშაობის იმგვარად მოწყობა, რომ უზრუნველყოფილ იქნას მშრომელთა ფართო მასების ნამდვილად ჩაბმა სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში, რაც ხელს შეუწყობს მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლის განმტკიცებას.

4. იმ პირთათვის, რომლებიც ათავებენ უმაღლეს კომუნისტურ სასწავლებლებს, დაწესდეს სავალდებულო, არანაკლებ ორი წლის, სტაჟი რაიონებში პრაქტიკული მუშაობისა. ამ სტაჟის გავლა ჩაითვალოს სახელმწიფო და პარტიული აპარატის ზედა საფეხურებში მუშაობაზე დაწინაურების პირობად.

5. საბჭოთა უჯრედები უნდა გადაიქცნენ აქტიურ მებრძოლებად სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესების და ბიუროკრატიზმის ყოველგვარი მოვლენის მოსპობის საქმეში; საბჭოთა უჯრედებმა სახელმწიფო აპარატში მომუშავე პარტიული ამხანაგები უნდა დარაზმონ პარტიულობის ნიადაგზე და იმ ნიადაგზე, რომ მკაცრი წინააღმდეგობა გაუწიონ ჩინოვნიკური ელემენტების გამხრწნელ ზეგავლენას პარტიის წევრებზე.

კონფერენცია ცეკას, ცენტრ. საკონტ. კომისიას და მუშათა და გლეხთა ინსპექციას წინადადებას აძლევს—მოიწვიონ საბჭ. უჯრედების სპეციალური თათბირი ამ დარგში წარმოებული მუშაობის გამოცდილების აღსარიცხავად და მისი შემდგომი განმტკიცებისათვის პრაქტიკული ზომების დასამუშავებლად.

6. მე-15 ყრილობის დროიდან პარტიამ უეჭველად დიდ წარმატებებს მიაღწია მის მიერ დასმული ამოცანის—თვითკრიტიკის ძლიერი ტალღის ქვევიდან აგორების—განხორციელების საქმეში. ბიუროკრატიზმთან ბრძოლის პრაქტიკული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ პარტიის ლოზუნგი—თვითკრიტიკა „პიროვნებათა მიუხედავად“, კრიტიკა ქვევიდან ზევით და ზევიდან ქვევით, ხდება იმ ბრძოლის გადამჭრელ მეთოდად, რომელიც სწარმოებს ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ, აპარატის გასაუმჯობესებლად და ამ აპარატის გასაწმენდად ჩვენი ქვეყნის კულაკურ-კაპიტალისტურ ელემენტებთან შეზრდილი ელემენტებისაგან.

კონფერენცია განსაკუთრებით უსვამს ხაზს მუშათა მასების ინიციატივით წამოყენებული თვითკრიტიკის ისეთ ფორმების დიდ მნიშვნელობას, როგორიც არის მაგალითად, ფაბრიკებისა და ქარხნების სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც ეხლა ხდება და ყველა პარტიული ორგანიზაციის ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ ქვევიდან ზევით კონტროლისა და თვითკრიტიკის შემდგომი განვითარება, თვითკრიტიკის უფრო და უფრო გაღრმავება და მისი მიმართვა მთელი საზოგადოებრივობის ძირითადი საკითხებისაკენ, პირველ რიგში კი ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებისაკენ—მთავარ საწინდარს წარმოადგენს იმისათვის, რომ პარტიის და საბჭოების ბრძოლა ბიუროკრატიზმთან ნამდვილად წარმატებით დამთავრდეს.

მოსკოვი.
(გადმოცემულია ტელეგრაფით)

გაზაფხულის თესვისათვის

კომკავშირი თესვის კამპანიაში

ქუთაისი.

5 აპრილს ქ. ქუთაისის კომკავშირის რამოდენიმე უჯრედი გაემგზავრენ პატრიკეთის კომუნის დასახმარებლად. მონაწილეობას ამ საქმეში იღებდა სულ 300—კაცამდე.

7 აპრილისათვის განზრახული იყო გაეწმინდა მიწველი არხი. მაგრამ წვიმის გამო საქმე გადადებული იქნა. არხი გაიწმინდება ამინდის გამოკეთებისთანავე.

ხონის ინდუსტრიალურ ტეხნიკუმთან არსებული უჯრედის მიერ მოწყობილმა ჯგუფმა დაიწყო მუშაობა სასოფლო სამეურნეო იარაღების შესაკეთებლად. ჯერ-ჯერობით ჯგუფის მიერ ადგილზე შეკეთებულია სას. სამეურნეო იარაღები, გუბის, კუხის და ღ.-ქვიტირის თემებში. დანარჩენ თემებში მუშაობა ეხლა მიმდინარეობს.

მანქანა-იარაღების შეკეთებას გლეხობა დიდი აღფრთოვანებით ეგებებოდა. აღმასკომების წინ მოედანი სულ გაივსო სასოფლო-სამეურნეო იარაღებით.

ჯგუფის მიერ პირველ რიგში შეკეთებული იქნა არტელების, კოლექტივების და კომუნების მანქანა-იარაღები. შემდეგ კი იარაღები ყველა ღარიბი გლეხობისა, რომლებმაც კი ის იშოვნეს.

ხონის ორგანიზაციის მიერვე გაწმენდილ იქნა ხონის თითქმის ყველა არხები.

ადგილებზე ასეთსავე მუშაობას ეწევიან უჯრედები.

გრ. ჩიხლაძე.

დუშეთის თემი.

საგაზაფხულო თესვისათვის მზადებას დუშეთის თემის კომკავშირის ორგანიზაცია თებერვლიდან შეუდგა. მარტის პირველ რიცხვებში ჩატარდა გლეხთა ახალგაზრდობის სკოლების მასწავლებელთა, აგრონომთა და კომკავშირის უჯრედთა მდივნების სათემო თათბირი, რომელზედაც განხილული და დამუშავებული იქნა საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხები. მოწვეულ იქნა აგრეთვე მეურნე კომკავშირელთა თათბირი, თემკომის პლენუმი და სხვ. კომკავშირი, გამომუშავებული გეგმით შეუდგა მონაწილეობას თესვის კამპანიის ჩატარებაში. თემში გამოიცა კედლის გაზეთების სპეციალური №-ბი, რომელშიაც ფართოდ იქნა გაშუქებული თესვის საკითხები, გლეხთა სასოფლო კრებებზე, სამკითხველოებში და სასოფლო წითელ კუთხეებში სისტემატიურად ტარდება კომკავშირელთა მოხსენებები თესვის კამპანიასთან დაკავშირებულ საკითხებზე. კომკავშირის ორგანიზაციას დიდი მუშაობა დასჭირდა იმისათვის, რომ გაეფანტა გლეხობაში გავრცელებული ხმები, თითქოს ვინც მეტს დასთესავს და გააუმჯობესებს მეურნეობას, მას ხელისუფლება მომეტებულ გადასახადს შეაწერდა და მოსავალსაც ჩამოართმევდა. თემში ფართოდ იქნა ჩატარებული მუშაობა გლეხობისათვის თესვის კამპანიის მიზნებისა და ამოცანების გასაცნობად. გარდა სიტყვიერი აგიტაციისა, კომკავშირი შეუდგა პრაქტიკულ მუშაობასაც. კომკავშირის უჯრედებმა კოლექტიურად დაამუშავეს დღიური მიწა. კომკავშირის თემკომმა შეიძინა გასანაწილებლად სათესლედ შვიდი ფუთი სიმინდი და 11 ფუთი ქერი. კომკავშირის ინიციატივით თემის ერთ-ერთ სოფელში ამჟამად არსდება კომუნა. სოფ. ბაზალეთის უჯრედი შეუდგა ფრინველების მომშენებელი კოლექტივის დაარსებას. ქვრივ-ობლებს, წითელარმიელთა ოჯახებს კომკავშირი ეხმარება ნათესებისათვის მიწის დამუშავებით.

ლ—ძე.

მუშები ეხმარებიან გლეხებს

ხაშური

სად. ხაშურის მუშა-მოსამსახურეთა გაერთიანებულ კრებაზე 9 აპრილს გაკეთებული იქნა ვრცელი მოხსენება გაზაფხულის თესვის კამპანიის მნიშვნელობის შესახებ.

მუშებმა გამოიტანეს დადგენილება მხურვალე მონაწილეობა მიიღონ თესვის კამპანიაში და აღმოუჩინონ გლეხობას შესაფერი დახმარება. ამ მიზნით ამავე კრებაზე, გამოიყო სამი მუშათა სარემონტო ბრიგადა სასოფლო-სამეურნეო იარაღების შესაკეთებლად.

ბრიგადები უკვე შეუდგნენ მუშაობას. მათ მიერ შეკეთებული იქნა ხაშურის საკრედიტო ამხანაგობის პურის სათესი მანქანა, რომელიც სრულიად უვარგისი იყო სამუშაოთ, სამი სიმინდის სათესი მანქანა და ერთიც ტრაქტორი. ამ მუშაობის დამთავრების შემდეგ, ბრიგადები გაემგზავრებიან მახლობელ სოფლებში ღარიბ გლეხებისათვის დახმარების აღმოსაჩენად. მუშები ამ საქმეს სრულიად უსასყიდლოთ ასრულებენ.

პროფკავშირელი.

სას.-სამ. მანქანების და იარაღების შემოტანა

„ზაკსელსოიუზ“-ის ცნობებით, სასოფლო-სამეურნეო მანქანების და იარაღის შემოტანა ამ.-კავკასიაში ნორმალურად მიმდინარეობს. მოუწესრიგებელია იარაღის და მანქანების ადგილებზე გადაგზავნის საქმე, რაც უმთავრესად სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სუსტი მუშაობით აიხსნება. თებერვალში „ზაკსელსოიუზ“-მა მიიღო 402.000 მანეთის სასოფლო-სამეურნეო მანქანა და იარაღი, ხოლო მარტში—1.023.000 მან. ორგანიზაციებმა მარტის განმავლობაში შეიძინეს 736.000 მანეთის სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი (ადს).

თესვის ჩამტარებელ ცენტრალურ კომისიის ცნობით, თბილისში გამოგზავნილია სხვადასხვა ფირმების და სისტემების 1.100 გუთანი, რომლებიც გამოწერილია თესვის კამპანიის საჭიროებისათვის. გუთნების მომარაგების გეგმა შესრულებულია გადამეტებით. ფარცხების მომარაგების გეგმა „სოფლის კავშირის“ მიერ შესრულებულია 80 პროცენტით. მიღებულია შეკვეთილ კულტივატორების ნაწილი. ყველა პუნქტები უზრუნველყოფილი იქნება კულტივატორებით 100 პროცენტით. ტრაქტორები უკვე გაგზავნილია ადგილებზე. ახლო ხანში მიღებული იქნება ფორძონის ტრაქტორების გუთნები. სათესი მანქანები და ტრიერები უკვე გაგზავნილია ადგილებზე საჭირო რაოდენობით.

მუშაობა გაცხოველდა

სოხუმი, 13 აპრილი. [illegible] მთელ სოხუმის მაზრაში [illegible] განაწილდა ბოსტნის თესლი (600 მანეთისა). განაწილდა აგრეთვე 62 ტონა კარტოფილის თესლი. კარტოფილის თესლის მოთხოვნილება დაკმაყოფილებულ იქნა 50 პროცენტით. გასაქირავებელი პუნქტი სოხუმის მაზრაში გაიხსნება ყველა საკრედიტო ამხანაგობასთან. სამი გასაქირავებელი პუნქტი უკვე მუშაობს. გუთნის გამოყენებისთვის გლეხს ახდევინებენ 25 კაპ. დღეში. ამჟამად აქ გაცხოველებული ხვნაა. სიმინდის თესვა დაიწყება 15 აპრილს. ატამმა და ალუჩამ ყვავილი გამოიღო. ყვავილის გამოღება არახელსაყრელ პირობებში ხდება. სიცივემ და წვიმამ შეიძლება ცუდად იმოქმედოს მოსავალზე. ნაწილობრივ დაიწყო მანდარინის პლანტაციებისა და ხილის ბაღების წამლობა. საადგილ-მამულო განყოფილებას განზრახვა აქვს მოაწყოს მანდარინის პლანტაციების მასიური საჩვენებელი წამლობა. დაიწყო 35.000 ძირი ნამყენი ვაზის დარგვა (ადს).

გრძელვადიანი კრედიტი

ოჩემჩირე, 13 აპრილი. ოჩემჩირეს სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობამ აფხაზეთის სას.-სამეურნეო ბანკისაგან მიიღო გრძელვადიანი კრედიტი — 7.700 მანეთი. მუშა-საქონლის შესაძენად. ამ თანხიდან კოლმეურნეობებს და ინდივიდუალურ მეურნეობებს (ღარიბებს) მიეცათ 1.700 მანეთი. სესხის მიცემა გრძელდება. (ადს).

გუთნების განაწილება

ოჩემჩირე, 13 აპრილი. ოჩემჩირეს სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობამ აფხაზეთის სას.-სამეურნეო კავშირისაგან მიიღო სასოფლო-სამეურნეო იარაღი — 123 გუთანი, აქედან საშუალო გლეხებს მიეცათ 43 გუთანი, ღარიბებსა და კოლმეურნეობებს — 80 გუთანი. (ადს).

მავნებლებთან ბრძოლა

მავნებლებთან საბრძოლველად მიმდინარე გაზაფხულის თესვის კამპანიის დროს დაიხარჯება 70.332 მანეთი. აქედან 20.332 მანეთი გადაეცა მიწსახკომის მცენარეთა დაცვის განყოფილებას დაუბრუნებელ სესხის სახით. მოკლევადიანი სესხი მავნებლებთან საბრძოლველად 50.000 მანეთის რაოდენობით „სოფლის კავშირის“ მიერ გამოყენებული იქნება ბამბის, თამბაქოს და ბაღ-ბახჩების მავნებლებთან ბრძოლის გასაძლიერებლად.

კ ე ნ ა ფ ი

დასავლეთ საქართველოში [illegible] დაითესება ზუგდიდის მაზრაში — 230 ჰექტარზე, ოზურგეთის — 150, სენაკის — 50 ჰექტარზე. კენაფის ნათესის კონტრაქტაცია გავრცელდება 150 ჰექტარზე (ადს).

ა. ლ. კ. კ. ემზადება სოციალ. შეჯიბრებისათვის

(კომკავშირის თბილისის კომიტეტის პლენუმზე)

გუშინ საღამოს, სას. მეურნეობის მუშაკთა კლუბის დარბაზში გაიხსნა საქართველოს ა.ლ.კ.კ. თბილისის კომიტეტის პლენუმი, რომელსაც ესწრებიან აგრეთვე სამეურნეო და პროფესიონალური ორგანიზაციების წარმომადგენელნი. პლენუმის დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები: მოხსენება სოციალისტური შეჯიბრების ჩატარების შესახებ, საბჭოების არჩევნებში ახალგაზრდობის მონაწილეობის შედეგები, ს.ა.ლ.კ.კ. თბილისის კომიტეტის მუშაობის გეგმის განხილვა და მიმდინარე საკითხები. დღის წესრიგის პირველ საკითხზე სხდომამ მოისმინა ამხ. იმხანოვის მოხსენება.

„მძიმე ინდუსტრიის განვითარების და სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის ამოცანები,—ამბობს მომხსენებელი, მოითხოვს მუშათა კლასის და კერძოდ მშრომელი ახალგაზრდობის ძალთა მაქსიმალურად დაჭიმვას. სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესასრულებლად საჭიროა შრომის ნაყოფიერების აწევა, თვითღირებულების შემცირება, შრომის დისციპლინის განმტკიცება, პროდუქციის გაუმჯობესება და ყოველგვარი იმ ღონისძიებების მიღება, რომელიც, ხელს შეუწყობს პარტიის დირექტივის განხორციელებას ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის შესახებ.

ამიტომ საკავშირო კომკავშირის ცეკას დადგენილებას სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ უდიდესი საზოგადოებრივი და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. ამჟამად კომკავშირის ორგანიზაციის მთავარ მუშაობას უნდა წარმოადგენდეს მშრომელი მასების დარაზმვა შეჯიბრების წარმატებით ჩასატარებლად. საქართველოს ა.ლ.კ.კ. თბილისის კომიტეტის დადგენილებით სოციალისტური შეჯიბრებისათვის თბილისში მოსამზადებელი მუშაობა უნდა ჩატარდეს 5 მაისამდე. შეჯიბრება კი უნდა დაიწყოს 5 მაისიდან და დამთავრდეს ოქტომბრის პირველისათვის. რაიონულმა კომიტეტმა ადგილობრივი პირობების მიხედვით უნდა გამოიმუშაონ ცალკე გეგმა აღნიშნული მუშაობის ჩასატარებლად“.

მოხსენების ირგვლივ გაიმართა კამათი

ამხ. პეცოვი (ს.მ.უ.ს.)—კომკავშირის ორგანიზაციაი დღემდე ნაკლებად მონაწილეობდნენ წარმოების რაციონალიზაციის საქმეში, თუმცა უნდა აღინიშნოს ცალკე შემთხვევები, როდესაც კომკავშირელების წინადადებებს სამეურნეო მუშაკები არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ. დღეს ეს ნაკლი უნდა გამოვასწოროთ

ამხ. ბარნაბიშვილი.—სოციალისტური შეჯიბრების ჩატარება მეტად რთული და სერიოზული საქმეა. ის მოითხოვს ხანგრძლივ მუშაობას კომკავშირის მხრივ. სამწუხაროდ უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ პროფორგანიზაციების წარმომადგენლები და სამეურნეო მუშაკები ნაკლებად ესწრებიან ასეთ სერიოზული საკითხის ხანხილვას. სხდომის ყურადღება უმთავრესად უნდა მიექცეს იმას, თუ როგორ ჩავატაროთ ეს მუშაობა პრაქტიკულად. ჩემის აზრით საჭიროა დაარსდეს ცალკე ჯგუფები კომკავშირელთაგან თვითეული საკითხის ირგვლივ. მაგ. შრომის დისციპლინის საკითხის, თვითღირებულების შემცირების და სხვ. ეს ჯგუფები უთუოდ დიდ როლს ითამაშებენ დასახულ ამოცანის განხორციელებაში.

ამხ. გოდაბრელიძე.—პროფკავშირის ორგანიზაცია საწარმოო თათბირების მუშაობას მოანდომებს იმ საკითხების დამუშავებას, რომელსაც მიზნად ისახავს სოციალისტური შეჯიბრება. საჭიროა იმ ჯგუფებთან ერთად, რომელიც აქ იყო აღნიშნული დაარსდეს საკონტროლო კომისიები ცალკე საკითხებზე.

კამათში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე ამხ. ქელბაქიანმა, ლეკვეიშვილმა, დავლიანიძემ, ფანიევმა, ჯანვერდაშვილმა და ამხ. აზარაშვილმა. მომხსენებლის საბოლოო სიტყვის შემდეგ პლენუმის მიერ მიღებული რეზოლიუციაში სხვათაშორის ნათქვამია, რომ გამოწვეულ იქნეს სოციალისტური შეჯიბრების ჩასატარებლად ბაქოს, ერევნის, ბათომის, ქიათურის და ტყიბულის ორგანიზაციები.

პლენუმის მეორე სხდომა შესდგება დღეს დილის 10 საათზე.

ბრძოლა წყალდიდობასთან

თბილისის მაზრაში

თემსაბჭოები ყურადღებას არ აქცევენ წყალდიდობასთან ბრძოლის საქმეს

გუშინ, ამხ. ფ. ავაქოვის თავმჯდომარეობით თბ. აღმასკომში შესდგა თბილისსა და მის მაზრაში წყალდიდობასთან მებრძოლ სამეულის სხდომა, რომელზედაც თბილისის მაზრაში მოსალოდნელ წყალდიდობის შესახებ მოხსენება გააკეთა წყალთა სამმართველოს წარმომადგენელმა ამხ. ბურლაშვილმა.

მომხსენებელმა განაცხადა, რომ თბილისის მაზრაში მუშაობა წყალდიდობის საწინააღმდეგო წინასწარი ზომების მისაღებათ, სუსტად მიმდინარეობს.

თემსაბჭოები არავითარ ზომებს არ ღებულობენ და არც რაიმე დახმარებას უწევენ წყალთა ოლქის სამმართველოს მუშაკებს წყალდიდობასთან ბრძოლის საქმეში, ადგილობრივ ორგანოების უყურადღებობას, უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ გლეხები წელს თვითდაბეგვრის საშუალებით არ ამაგრებენ მდინარეების ნაპირებს და არხებს.

წყალდიდობის მხრივ განსაკუთრებით სერიოზული საფრთხე ელის სოფ. ციხისძირს, დიღომის ბაღებს, ქსანის არხს, თიანეთს, ერწოს და ყაზბეგს. ამ უკანასკნელ 3 რაიონში ჯერ სრულებით არაფერი არ არის გაკეთებული წყალდიდობისაგან თავის დასაცავად.

სამეულმა, მოისმინა რა მოხსენება, შეიმუშავა პრაქტიკული ღონისძიებები მაზრაში წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად.

სამეულმა შუამდგომლობა აღძრა წყალდიდობასთან მებრძოლ ცენტრ. კომისიის წინაშე, რათა სოფ. ციხის-ძირის დასაცავად, წყალდიდობისაგან გადადებული იქნეს საჭირო თანხა.

გავაუმჯობესოთ სამუშაო პირობები

ვებრძოლოთ შრომის კანონების დარღვევას

შრომის კანონების დარღვევამ რკინის გზებზე ფართო ხასიათი მიიღო. ზოგიერთი საწარმოო თათბირი ყურადღებას არ აქცევს სამუშაო პირობების გაუმჯობესებას საწარმოებში, შრომის კანონების დაცვით შევძლებთ შრომის დისციპლინის განმტკიცებას და წარმოების აღორძინებას.

ვებრძოლოთ შრ. კანონების დარღვევას

წარმოებაში შრომის დისციპლინის განმტკიცება, შრომის ნაყოფიერების ზრდა და საერთოდ წარმოების გაჯანსაღება - გაფართოება დიდათ არის დამოკიდებული სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე და შრომის კანონებისა და კოლექტიურ ხელშეკრულებების დაურღვევლად განხორციელებაზე. როგორც გამოირკვა, საწარმოო თათბირების მუშაობის შემოწმებიდან, ბევრ ალაგას შრომის ნაყოფიერების დაცემის და პროდუქციის თვითღირებულების ზრდის მიზეზი ყოფილა ცუდი სამუშაო პირობები და შრომის კანონების დარღვევა. თვით ის ფაქტი, რომ ზოგიერთი საწარმოო თათბირი არავითარ ყურადღებას არ აქცევს შრომის დაცვის საკითხებს მოწმობს იმას, რომ საწარმოო პროგრამის შეუსრულებლობა ბევრ ადგილას უმთავრესად გამოწვეული ყოფილა ცუდი სამუშაო პირობებით.

საწარმოო თათბირები მარტო ახალ გამოგონებებს და წარმოების დიდ მნიშვნელოვან საკითხებს კი არ უნდა არჩევდნენ, არამედ ამ საკითხებთან ერთად, საწარმოო თათბირებზე განსაკუთრებული ყურადღება უნდა ექციოდეს იმ წვრილმან, მაგრამ საყურადღებო საკითხებს, როგორიც არის შრომის კანონების დარღვევა, კოლექტიური ხელშეკრულების შეუსრულებლობა, სამუშაო ხელსაწყო იარაღის მომარაგება და საერთოდ შრომის პირობების გაუმჯობესება.

სავაგონო პარკის მუშა - ხელოსანთა ერთ ნაწილს მუშაობა უხდება ცის ქვეშ, სადაც გარდა იმისა, რომ წვიმის დროს შეუძლებელი ხდება მუშაობა, რის გამოც ფერხდება წარმოება, ზიანდება და ნადგურდება დამზადებული მასალა და სამუშაო ხელსაწყო იარაღი. ადგილობრივ საწარმოო თათბირს ამის შესახებ ხმაც არ ამოუღია. მართალია საერთო კრებაზე იყო დასმული ეს საკითხი, მაგრამ ეს გარემოება სრულებითაც არ ნიშნავს, იმას, რომ საწარმოო თათბირმა არ განიხილოს საკითხი წარმოების გაუმჯობესების შესახებ, მით უმეტეს, რომ საერთო კრების დადგენილება ადმინისტრაციას ჯერაც არ შეუსრულებია.

სად. სანდარის მუშებს აუტანელ პირობებში უხდებათ მუშაობა. ისინი მთელი 24 საათის განმავლობაში იმყოფებიან სადგურში. არც დასვენება და არც შრომის კანონით გათვალისწინებული სხვა შეღავათები მათთვის არ არსებობს. ცხოვრობენ სადგურშივე და არავითარ ცვლას მათ არ უგზავნიან. ასეთ პირობებში მომუშავე მუშების მუშაობა რასაკვირველია, რომ არ იქნება ინტენსიური. არც ადმინისტრაცია და არც პროფკავშირი ამის შესახებ არაფერს ამბობს.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ხშირად შრომის კანონების დარღვევას ხელს უწყობენ თვით ადგილობრივი პროფორგანოები, რომლებიც სასტიკ ბრძოლას უნდა აწარმოებდნენ შრომის დაცვის კანონების დარღვევასთან და სამუშაო პირობების გაუარესებასთან. პროფკავშირებმა ამ გარემოებას ყურადღება უნდა მიაქციონ.

მხოლოდ სამუშაო პირობების გაუმჯობესებით შევძლებთ განვამტკიცოთ შრომის დისციპლინა და გავაუმჯობესოთ ჩვენი წარმოება.

ვ.

რა გვიშლის ხელს მუშაობაში
(სად. შორაპანი)

შორაპანში შავი ქვის გადამტვირთავად მუშაობს 201 კაცი. მუშებს აუტანელ პირობებში უხდებათ მუშაობა. მათ არა აქვთ ხეირიანი დასასვენებელი ბინა, არ ეძლევათ სპეც ტანსაცმელი და სხვა. ბინის გასათბობად ამტვრევენ საწოლებს, ვაგონის ფიცრებს, სწვავენ სასარგებლო მასალას და სხ.

განყოფილების გამგე ამ გარემოებას სრულიად არ აქცევს ყურადღებას და არ ზრუნავს მუშების მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. ეს კი ძალიან მოქმედობს შრომის ნაყოფიერების ზრდაზე.

ბ. გ—შვილი.

სამუშაო პირობები აუტანელია
(სავაგონო პარკი)

სავაგონო პარკის მუშა - ხელოსნებს მეტად ცუდ პირობებში უხდებათ მუშაობა, ნაწილი მუშა - ხელოსნებისა მუშაობს ღია ცის ქვეშ, სადაც როგორც ცუდ ამინდში, ისე მზიან დღესაც შეუძლებელია ნაყოფიერი მუშაობა. წვიმის დროს მუშები იძულებული ხდებიან შესწყვიტონ მუშაობა და თავი შეაფარონ სადმე. ასეთივე მდგომარეობაა მზიან დღესაც. მუშები ხშირად ანებებენ თავს მუშაობას და სხედან ჩრდილში. ეს გარემოება აფერხებს შრომის ნაყოფიერების ზრდას და ხელს უშლის წარმოების აღორძინებას.

ამის შესახებ მუშებმა ბევრჯერ წამოაყენეს საკითხი საერთო კრებებზე და მოითხოვეს სამუშაო ალაგის გადახურვა. საერთო კრებამაც გამოიტანა ამის შესახებ დადგენილება, მაგრამ სამუშაო ადგილი ჯერ კიდევ არ არის გადახურული. ადმინისტრაცია რატომღაც აჭიანურებს მის გადახურვას. ასეთ პირობებში განა შეიძლება ვილაპარაკოთ შრომის ნაყოფიერების აწევაზე.

ძია ვანო.

როგორ ცხოვრობენ სად. სანდარას მუშები

შუა ღამის 2 საათი იყო, რომ ჩავედი სადგურ სანდარაში. რადგანაც სხვაგან წასვლა არ შეიძლებოდა, გადავწყვიტე გათენებამდე სადგურში მოცდა. სადგურის საერთო დარბაზში ისე იყო მგზავრებით სავსე, რომ ფეხზე დგომაც კი შეუძლებელი იყო. შევედი სადგურის მორიგეს ოთახში. აქაც რამდენიმე კაცს გაეშალა ძველი პალტოები და ზოგს მაგიდაზე, ზოგს მოგრძო სკამზე და ზოგიც ყუთის თავზე მისცემოდა ძილს. არ ეძინა მხოლოდ სადგურის მორიგეს.

— შეიძლება ამხანაგო შევჩერდე აქ გათენებამდე? შევეკითხე მორიგეს.

— არა, აქ ადგილი არ არის . ამათ რომ ხედავთ ესენი სადგურის მუშები არიან და უბინაობის გამო, აქ უხდებათ ღამის გათევა. აქაც რომ არ გაუშვა, მაშ რა ქნან!

ჩვენს ლაპარაკზე, რამდენიმე მუშას გამოეღვიძა.

— მე თბილისიდან ვარ მუშა. სანამ შეთენდებოდეს მინდა აქ მოვიცადო.

— თუ კი შესძლებთ ფეხზე დგომას, იყავით.

მეტი რა ჩარა იყო, უნდა დავრჩენილიყავ დილამდე დილიჟანის მოსვლამდე. ჩამოვჯექი, ვიწრო მოგრძო სკამზე, რომლის ერთ მხარეზე დაწოლილიყო ერთი მუშა.

— ჩვენისთანა უყურადღებოდ არც ერთი დარგის მუშა არ იქნება — ამბობს ერთი მათგანი.

— ჩვენთვის არც სამუშაო დროა განსაზღვრული, და არც ხელფასი გვაქვს რიგიანი. არც ცვლას გვიგზავნიან და ასეთ წვალებაში ვატარებთ ღამეებს სადგურში, დაუმატა მეორემ.

— ჩვენს სადგურს, ყოველთვე 6.000 მანეთი აქვს შემოსავალი. მიუხედავად ამისა, ჩვენი პირობების გაუმჯობესებაზე მაინც არავინ ფიქრობს — გამოეხმაურა სადგურის მორიგე.

— რამდენი გაქვთ ამხანაგო ძირითადი ჯამაგირი.

სულ 80—85 მანეთს ვღებულობთ თვეში, მხოლოდ ვმუშაობთ მთელი 24 საათი. არა მგონია, რომ ასეთი შრომის პირობები იყოს სხვა რომელიმე სადგურზე. არც ბინა, არც მოსვენება, არც მუშაობის განსაზღვრა და სხვა. ვინ მოგვაქცევს ყურადღებას? დაასრულა მუშამ.

მართლაც და რას აკეთებს პროფკავშირი. რატომ ყურადღებას არ აქცევს მუშების ასეთ მდგომარეობას?

დ. ფერაძე.

შრ. კანონების დამრღვევი ადგილკომები

შრომის კანონების დარღვევამ რკინის გზაზე, უკანასკნელ ხანებში ფართო და სისტემატიური ხასიათი მიიღო. რკინის გზის ზოგიერთი დარგის ადმინისტრაცია ჯერ კიდევ ვერ შეეგუება საბჭოთა შრომის კანონებს და მისი უხეში დარღვევით, ფეხქვეშ სთელავს მუშათა უფლებებს.

აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციის ასეთ საქციელს, რკინიგზელთა პროფკავშირის ადგილობრივი ორგანოები ხშირად სიჩუმით უპასუხებენ. ისინი არამც თუ ღებულობენ ზომებს შრომის კანონების დასაცავად, არამედ არის შემთხვევა, როცა თითონვე არღვევენ ამ კანონებს და უხეში პასუხით ისტუმრებენ საჩივრელად მისულ პროფკავშირის წევრს. ასეთი მაგალითები საკმაოდ ბევრია ა.-კ. რკინის გზებზე, მაგრამ სალიანდაგო დარგის მე-6 უბნის ადგილობრივ კომიტეტს ამ მხრივ პირველი ადგილი უჭირავს მთელ რკინის გზებზე.

ამ ორი თვის წინად სალიანდაგო დარგის მე-6 უბანში მოხდა მუშა - მოსამსახურეთა შტატის შემცირება. ჩვეულებრივ, შტატის შემცირება ხდება იმ შემთხვევაში, როცა ესა თუ ის თანამდებობა დაწესებულებაში ზედმეტად იქნება ცნობილი, ან მუშა - მოსამსახურეთა საერთო რაოდენობა მეტია საჭიროებაზე. მე-6 უბნის სალიანდაგო დარგში კი ეს ასე არ მოხდა. აქ შტატის შემცირება ადგილკომის მიერ გამოყენებული იქნა კერძო ინტერესებით. შემცირებაში მოაყოლეს მაგარ შტატში მყოფი მეტაბელე - მოანგარიშე ცინცაძე, რომელიც შტატის შემცირების დროს საავადმყოფოში იწვა. მაგრამ საქმე იმშია, რომ ცინცაძის თანამდებობა კი არ გაუქმებულა, არამედ ადგილკომმა მარტო ცინცაძე გააუქმა., მის ადგილზე კი გადმოიყვანა „კრედიტი". მოანგარიშე, შედარებით დაბალი კვალიფიკაციის მქონე თანამშრომელი. საავადმყოფოდან გამოსვლის შემდეგ, ცინცაძე, უბნის უფროსის განკარგულებით აღდგენილი იქნა თავის თანამდებობაზე, ხოლო მეორე დღეს იგივე უფროსი სცემს ბრძანებას, რომ მოქ. ცინცაძე მოხსნილი იქნეს სამსახურიდან დღეიდან მისი გაჯანსაღებისა". ცინცაძე მოხსნილი იქნა სამსახურიდან.

თბილისის საუბნო კომიტეტის მიწერილობით, ადგილკომმა გამოჰყო სპეციალური კომისია, რომელმაც შეამოწმა ცინცაძისა და მის ადგილზე დანიშნული თანამშრომლის ეკონომიური მდგომარეობა, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ კომისიამ ცინცაძის სასარგებლოდ გადასწყვიტა საქმე, ადგილკომმა მაინც არ დაუშვა იგი სამსახურში. ამ საქმეში საუბნო კომიტეტიც ჩაერია, მაგრამ შეუპოვარ ადგილკომზე ვერც ამან იქონია გავლენა. მან ასეთი პასუხით გამოისტუმრა ცინცაძე: „მე პასუხს არ გაძლევ, წადი და სადაც გინდა იქ მიჩივლე"-ო. ადგილკომი არ იძლევა თავს პასუხის გასაცემად. ვფიქრობთ სათანადო ორგანოები, შრომის კანონების დამრღვევ ადგილკომს აგებინებენ პასუხს ასეთ საქციელზე.

მცოდნე.

რად არის განსხვავება?

თბილისში და მის მაზრაში ქართული პურის საცხობები ეკუთვნის მუშათა კოოპერატივებს და ნაწილი კოოპერატიულ ამხანაგობა „რაჭა"-ს, ამ ორი დაწესებულების საცხობთა შორის, პურის ხარისხში და ფასში, არავითარი განსხვავება არ არსებობს. მაგრამ საცხობებში მომუშავე მუშებს კი სულ სხვადასხვა პირობებში უხდებათ მუშაობა.

ამხანაგობა „რაჭა"-ს საცხობებში მომუშავე მუშები არიან დაზღვეულები და კავშირის წევრადაც ირიცხებიან. მუშკოოპის, ქართული პურის საცხობთა მუშა - მოსამსახურენი ამ შეღავათებს მოკლებული არიან. ისინი არც კავშირის წევრად ითვლებიან და არც დაზღვეულები არიან. რად არის ასეთი განსხვავება?.

გოგსაურელი.

სამშაბათს, 16 აპრილს, საღამოს 6 საათზე ჩვენი რედაქციის ბინაზე (კამოს ქ. № 88), შესდგება გაზ. „კომუნისტი"-ს მუშკორთა საერთო კრება. დღის წესრიგში დასმულია ფრიად საყურადღებო საკითხი, ყველა მუშკორის დასწრება აუცილებელია. სასურველია კრებას დაესწრონ აგრეთვე ფაბრიკა-ქარხნებთან არსებულ კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიების წარმომადგენლებიც.

შრომის დისციპლინის დარღვევისათვის დათხოვნილთა სამსახურში ხელახლა მიღების წესები

საკავშირო შრომის სახალხო კომისარიატთან შესდგა სამეურნეო და პროფესიონალური ორგანიზაციების თათბირი, რომელმაც განიხილა შრომის დისციპლინის დარღვევისათვის დათხოვნილთა სამსახურში მიღების საკითხი.

თათბირმა აღიარა, რომ შრომის დისციპლინის დარღვევისათვის სამსახურიდან დათხოვნილთა გაგზავნა სამუშაოზე დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შრომის ბირჟაზე არ მოიპოვება შესაფერი კვალიფიკაციის სხვა მუშაკები. ყოველ შემთხვევაში, შრომის დისციპლინის დარღვევისათვის დათხოვნილი პირები ექვსი თვის განმავლობაში (სამსახურიდან მოხსნის დღიდან) არ შეიძლება გაგზავნილ იქნენ იმ საწარმოში, ან დაწესებულებაში, სადაც ისინი დაითხოვეს. ყველა საწარმოებმა და დაწესებულებებმა შრომის დისციპლინის დარღვევისათვის დათხოვნილ მუშა - მოსამსახურეებს უნდა მისცენ ცნობა დათხოვნის მიზეზების შესახებ. ეს ცნობები უნდა წარუდგინოს შრომის ბირჟას სახელმძღვანელოდ სამუშაოზე გაგზავნას დროს. ცნობები რჩება შრომის ბირჟაში და არ უნდა გადაეცეს იმ წარმოება - დაწესებულებას, სადაც დათხოვნილი იგზავნება სამუშაოთ. სამსახურიდან დათხოვნის მიზეზების შესახებ ცნობის წარუდგენლად შრომის ბირჟაში უმუშევარს არ გზავნიან სამუშაოზე.

ჭიათურა

შრომის დაცვის პირობები

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

შრომის დაცვის საქმეს ჭიათურის სამრეწველო რაიონში მიქცეული აქვს განსაკუთრებული ყურადღება.

როგორც შრომის ინსპექცია, ისე ქარხანა-მაღაროების ადმინისტრაცია ყოველგვარ ზომებს ღებულობს, რათა გატარებული იქნეს ცხოვრებაში შრომის კანონმდებლობის ყველა მოთხოვნილებები.

შორაპნის მაზრის შრომის ინსპექტორის ცნობით, შავი ქვის ტრესტის ადმინისტრაცია დაუყოვნებლივ ატარებს ცხოვრებაში ყველა იმ მოთხოვნილებებს, შრომის დაცვის დარგში, რომლებიც ეხება ამა თუ იმ დეფექტებს.

ჭიათურის ქარხანა - მაღაროებში, შედარებით კონცესიონერის დროსთან, საგრძნობლად შემცირდა უბედურ შემთხვევების რიცხვი, რაც აიხსნება იმით, რომ მიღებულია ყოველგვარი ზომები უბედურ შემთხვევების თავიდან ასაცილებლად. ამასთანავე ინჟინერ-ტეხნიკოსები გრძნობენ თავის პასუხისმგებლობას და ცდილობენ შექმნან კარგი პირობები მუშაობისათვის.

სტატისტიკური ცნობების თანახმად, კონცესიონერის დროს 6 თვის განმავლობაში ადგილი ჰქონდა 86 უბედურ შემთხვევას. ამავე ხანში მუშების საერთო რიცხვი არ აღემატებოდა 450 კაცს.

ეხლა კი 6 თვის განმავლობაში იყო 85 უბედური შემთხვევა, ამავე დროს მუშების რიცხვი გაიზარდა ერთი ათად.

ქარხანა - მაღაროებში ადგილი ჰქონდა სიკვდილიანობის ორ შემთხვევას. ერთი მუშა დაიღუპა მაღაროში ჭერის ჩამონგრევის გამო, (უფ. სვანიშვილის მაღაროებში), მეორე მუშა კი დაიღუპა უცაბედათ, თავისივე გაუფრთხილებლობის გამო.

შრომის დაცვის დეფექტებიდან უნდა აღინიშნოს ზედმეტი მუშაობის წარმოება ქარხანა - მაღაროებში. არის შემთხვევები, როდესაც ადმინისტრაცია სტოვებს მუშებს ქარხანა - მაღაროებში და ამუშავებს მათ მიმდინარე რემონტზე.

შრომის ინსპექციამ გააფრთხილა ადმინისტრაცია და მისცა წინადადება ყოველ ცალკე შემთხვევაში მიიღოს ნებართვა შრომის ინსპექციისაგან.

ორი ურჩი ადმინისტრატორი, რომლებიც, არ დაემორჩილნენ შრომის ინსპექციის განკარგულებას, მიცემულია პასუხისგებაში.

ჯერ - ჯერობით არ არის მოგვარებული შრომის დაცვის საკითხი იმ მუშებს შორის, რომლებიც დაბანდებულნი არიან გზების შეკეთებაზე და ქვის მტვრევაზე. ეს მუშები გაფანტულნი არიან სხვადასხვა რაიონებში და დროზე ვერ ღებულობენ სპეც-ტანსაცმელს და საჭირო ხელსაწყოებს.

შრომის ინსპექტორის მიერ მოწვეული იყო თათბირი ხსენებულ მუშების სამუშაო პირობების გამოსარკვევად. თათბირის დადგენილებები და შრომის ინსპექციის წინადადებები არ არის გატარებული ცხოვრებაში.

რაც შეეხება სპეც-ტანსაცმელის საკითხს, ამ მხრივ ყველა მუშები დაკმაყოფილებულია იმ ტანსაცმელით, რომელიც გათვალისწინებულია კოლექტიური ხელშეკრულების მიერ. მუშებს არ მოუდიათ მხოლოდ ფეხსაცმელი, რადგან სათანადო ორგანოებმა დროზე ვერ შეასრულეს ტრესტის დაკვეთა.

ტეხნიკური უშიშროების დარგში ზედამხედველობა მინდობილი აქვს ქუთაისის ტეხნიკურ ინსპექტორს, რაც არ არის მიზანშეწონილი, რადგან ჭიათურის ქარხანა — მაღაროებში საჭიროა ყოველდღიური ზედამხედველობა. ამიტომ აუცილებელია, რომ ჭიათურის შრომის ინსპექციას მიეცეს ერთი ტეხნიკური ინსპექტორი.

ე. ხუციშვილი.

ჭიათურა.
12 აპრილი.

ჭიათურის ქრონიკა

80.000 მანეთი შრომის პირობების გასაუმჯობესებლად

ჭიათურის შავი ქვის ტრესტმა გადასდო 80.000 მანეთი ქარხანა - მაღაროებში შრომის პირობების გასაუმჯობესებლად.

შემოხსენებული თანხა მთლიანად მოხმარდება დასასვენებელ და ტანსაცმელის საშრობ ოთახების აგებას და მუშაობის ტეხნიკური პირობების გაუმჯობესებას.

ახალი ქარხნის ამუშავება

ამ დღეებში კაპიტალური რემონტის შემდეგ ამუშავდება მადანის ახალი სარეცხი ქარხანა (უფ. ოგანეზოვის).

ელექტრო - მანქანების მიღება

შავი ქვის ტრესტმა ჰამბურგიდან (გერმანია) მიიღო ორი ელექტრო - მანქანა თითო 600 ძალის.

უბედური შემთხვევა

ამ დღეებში მღვიმევის რაიონში ადგილი ჰქონდა შემდეგ უბედურ შემთხვევას: ტრაქტორი, რომელიც ეკუთვნის ტრესტს, გადიოდა ბოგირზე. ბოგირი ჩაინგრა და ტრაქტორი ჩავარდა წყალში. ტრაქტორი უმნიშვნელოდ არის დაზიანებული. ჩავარდნის დროს დაშავდა შოფერი, რომელიც სასწრაფოდ მოათავსეს საავადმყოფოში.

შეცდომის გასწორება

წერილში „ზოგიერთი ადგილკომი ხელს უშლის წარმოების მუშაობას" („კომუნისტი", № 76 — 5 აპრილი) მოყვანილია ცნობა თაბაგრების რაიონში მეტაბელის და უფროსი მუშის მოხსნის შესახებ, ნათქვამია აგრეთვე, რომ პროფკავშირებმა მოითხოვეს მათი აღდგენა. აქ დაშვებულია შემდეგი შეცდომა: მეტაბელის და უფროსი მუშის მოხსნა თაბაგრების რაიონში მართალია, მაგრამ კავშირებს არ მოუთხოვიათ მათი აღდგენა სამსახურში. ხსენებული ცნობა შეეხება არა თაბაგრების რაიონს, არამედ ყოფ. ჩილინგარიანის სამუშეორებს, სადაც კავშირებმა მოითხოვეს, რომ აღედგინათ სამსახურში დამნაშავე პირები.

მზადება პირველი მაისისათვის

დღესასწაულის ჩამტარებელ ცენტრ. კომისიის სხდომა

გუშინ, დილით საქ. პროფსაბჭოში შესდგა პირველი მაისის დღესასწაულის ჩამტარებელ ცენტრალურ კომისიის სხდომა. კომისიამ დაამტკიცა დემონსტრაციის გეგმა და დაავალა საორგანიზაციო ქვე - კომისიას შეიმუშაოს დემონსტრაციის გეგმის მეორე ვარიანტი. მუშა - მოსამსახურეთა დემონსტრაციის გარდა, განზრახულია მოეწყოს წითელი არმიის ნაწილების აღლუმი (ვაკეში). 2 მაისს მოეწყობა მაისობა. ყოველი კავშირი ცალკე აწყობს მაისობას. მაისობის ჩატარება განზრახულია ხუდადოვის ბაღში, მცხეთაში და № პოლკის ყაზარმებში. მოეწყობა აგრეთვე მასიური სეირნობა ქალაქ გარეთ.

სხდომამ დაამტკიცა აგრეთვე კარნავალის გეგმა. კარნავალი გაიმართება 1 მაისს. კარნავალი შესდგება რამოდენიმე განყოფილებისაგან: საერთაშორისო ბურჟუაზიის და, სოციალ - რეფორმისტების ბრძოლა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. საბჭოთა საქართველო 5 წლის შემდეგ, თვითკრიტიკა, ყოფა - ცხოვრება (ლოთობა), შრომის ნაყოფიერების აწევა, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია და კოლექტივიზაცია, საბჭოთა კავშირის ხალხთა სოლიდარობა, წითელი არმიის მშენებლობა და სხვა.

დღესასწაულის მხატვრული ნაწილის ჩამოყალიბება მინდობილი აქვს ამხ. ქშონძერს. კარნავალის მოსაწყობად გამოყოფილია სამხატვრო კომისია, რომელშიაც შედიან მხატ. დ. კაკაბაძე, რეჟ. კობახიძე, კლუბების სამხატვრო წრეების მუშაკები და სხვა.

20 აპრილიდან 1 მაისამდე ყველა მუშათა კლუბებში და წითელ კუთხეებში ჩატარებული იქნება მოსამზადებელი მუშაობა დღესასწაულისათვის (მოეწყობა საინსტრუქციო მოხსენებები, ლექციები და სხვა).

პოლიტგანის ორგანოების მონაწილეობა პირველი მაისის დღესასწაულში

საქ. პოლიტგანის მთავარ მმართველობამ გამოიმუშავა პირველი მაისის დღესასწაულში პოლიტგანათლების ორგანოების მონაწილეობის გეგმა. გეგმის მიხედვით 20 აპრილიდან 1 მაისამდე კლუბებში, გლეხთა, სახლებში, სკოლებში, სახ. სახლებში, სამკითხველოებში, ქალთა და წითელ კუთხეებში ჩატარებული უნდა იქნეს მოხსენება-საუბრები პირველი მაისის დღესასწაულთან დაკავშირებულ საკითხებზე და კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების მორიგ ამოცანებზე. (ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, კულტურული რევოლიუცია და სხვა).

1 მაისს ქალაქად უნდა მოეწყოს დემონსტრაციები მუშა-მოსამსახურეების, წითელი არმიის ნაწილების, მოსწავლეთა, პიონერ ორგანიზაციების და ახლობელ სოფლის გლეხობის მონაწილეობით. სოფლებში უნდა გაიმართოს მიტინგები, მასიური სახალხო თამაშობანი და სხვ. სამკითხველოებში, სახ. სახლებში და სკოლებში უნდა მოეწყოს მხატვრული დადგმები, წარმოდგენები (რევოლიუციონური შინაარსის დეკლამაცია, ცოცხალი გაზეთები, ინსცენიროვკები და სხვ.) კედლის გაზეთის მორიგი ნომრის გამოშვება დაკავშირებული უნდა იქნეს პირველ მაისთან და მასში უნდა გაშუქდეს უმთავრესად პირველ მაისის დღესასწაულთან და კომინტერნის 10 წლის თავთან დაკავშირებული საკითხები. სამკითხველოებმა, წითელმა და ქალთა კუთხეებმა უნდა მოაწყონ ჟურნალ - გაზეთების ხმა - მაღლა კითხვა 1-ლ მაისის და კომინტერნის ათი წლის თავთან დაკავშირებულ საკითხებზე. ამ მუშაობის ჩასატარებლად გამოყენებული უნდა იქნეს გლეხკაცობის ყველა თავშესაკრები ადგილები, (კოლექტივები, გლეხკომი, საკრედიტო ამხანაგობა, წისქვილი, გლეხობის მიერ სამსჯელოდ არჩეული ადგილები და სხვ.). ბიბლიოთეკებმა უნდა მოაწყონ პირველ მაისთან და კომინტერნის ათი წლის თავთან დაკავშირებულ წიგნების გამოფენა. მოძრავმა და კლუბის კინოებმა უნდა მოაწყონ ანტირელიგიური ხასიათის, ძველი და ახალი ყოფა - ცხოვრების დამახასიათებელ და საბჭოთა ხელისუფლების მიღწევების მაჩვენებელ კინო - სურათების დემონსტრაცია. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს რადიო - სადგურების ამუშავებას. უნდა მოეწყოს მოხსენებათა და საუბრების გადაცემა რადიოთი. კოლექტიურ მეურნეობებში მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს აღდგომის საწინააღმდეგო, პირველი მაისის და კომინტერნის 10 წლის თავის ჩატარების კამპანიებს. მახლობელი პოლიტგან - ორგანოებმა იქ უნდა გაგზავნონ მოძრავი ბიბლიოთეკები, ჩაატარონ საუბრები და მოხსენებები, გამართონ წარმოდგენები, მოაწყონ გლეხობის ექსკურსიები და სხვ.

მთლიან პოლიტ - სკოლებში, მაღალ ტიპის, მცირე მცოდნეთა და სალიკვიდაციო სკოლებში მეცადინეობის სამი საათი უნდა დაეთმოს პირველი მაისის დღესასწაულთან დაკავშირებულ საკითხების გაშუქებას.

სად სწარმოებს ავანსების გაცემა „შინაურულად"

სალაროების მოულოდნელი რევიზია

საქ. სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს ინიციატივით, გუშინ, საღამოს მოწვეულ იქნა გამოცდილი ბუხჰალტერებისა და მოლარეების კომისია 25 კაცის შემადგენლობით. კომისია დაიყო რამდენიმე ქვე-კომისიათ, რომლებსაც დაევალა ჩამოიარონ ზოგიერთი მსხვილი სახელმწიფო და სამეურნეო ორგანიზაციების სალაროები და მოახდინონ მათი მოულოდნელი რევიზია.

რევიზიების მიზანია გამორკვევა იმისა, თუ სად ან რომელი მოლარე აწარმოებს ავანსების გაცემას შინაურულად, ფულის გასესხებას, რამდენი თანხა უნდა იყოს სალაროში და რამდენი არის ფაქტიურად, აკლია თუ არა სალაროს, რა გასამართლებელი საბუთები აქვს მოლარეს და სხვა. ცნობილია, რომ ზოგიერთი მოლარეები კვირა-უქმეების წინა დღეებში მახლობელ ნაცნობებს და მეგობრებს აძლევენ სესხათ ფულს.

გუშინ მოულოდნელი რევიზია ჩატარებული იქნა შემდეგ დაწესებულებებში: სახელმწიფო ბანკში, თბ. კომუნალური ბანკში, „საქართველოს ჩაი"-ში, საქ. აბრეშუმის ტრესტში, საქონლის ბირჟაში, სახელმწიფო ბანკის საგენტოში, (ყოფ. ხაზინა), რკინის გზის სამმართველოს სალაროებში, მუშკოოპში და სხვ.

ცნობები კომისიების მიერ აღმოჩენილ დეფექტების შესახებ გამოქვეყნებული იქნება ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში.

ქალთა არტელი

ოზურგეთი, 13 აპრილი. ოზურგეთის მაზრაში (გურიანთის თემში) მოეწყო მიწის დამმუშავებელი არტელი, რომელშიაც შედის 20 ღარიბი ქალი. არტელს მიეცემა 3 ჰექტარი მიწა. (ადს).

საკურორტო სეზონის წინ

მთავარ საკურორტო სამმართველოს ცნობით, საზაფხულო საკურორტო სეზონი გაიხსნება: 1 მაისიდან წყალტუბოში, 17 ივნისიდან —ბორჯომსა, აბასთუმანსა, წაღვერსა, პატარა ცემსა და ლიბანში, ბახმაროსა და შოვში სეზონი გაიხსნება 1 ივლისიდან.

ოთახების გაქირავება ყველა კურორტებზე უკვე სწარმოებს. ყოველგვარი ცნობების, მიღება შეიძლება საკურორტო სამმართველოში.

წელს ბორჯომში გაიხსნება სანატორიუმი პანსიონატით, სადაც შეღავათიან პირობებში მიღებული იქნებიან ის მუშა-მოსამსახურეები, რომლებიც წელს კურორტებზე არ გაიგზავნებიან სოცდაზღვევის ორგანოების ხარჯით.

აგრეთვე ამ სეზონისათვის პატარა ცემში ეწყობა ბავშვთა სანატორიუმი. სეზონის გახსნისათვის აბასთუმანში დამთავრდება წყალსადენისა და კანალიზაციის გაყვანა.

ბორჯომში დაიწყო 200 ოთახიან სასტუმროს აგება, რისთვისაც საკურორტო სამმართველოს გადადებული აქვს 700.000 მანეთი.

ამჟამად ყველა კურორტებზე სწარმოებს სანატორიუმებისა და ბინების შეკეთება-გასუფთავება.

საკურორტო სამმართველოს მიღებული აქვს ზომები ყველა კურორტის სურსათ-სანოვაგით უზრუნველსაყოფად.

მუშების გაგზავნა დასასვენებელ სახლებში

დასასვენებელ სახლებში გაიგზავნება 6.000 კაცი, — გაგზავნა დაიწყება 1-ლ მაისიდან. სახლები უზრუნველყოფილი იქნება სურსათ-სანოვაგით.

სოცდაზღვეულთათვის მთავარ კომიტეტის ცნობით წელს დასასვენებელი სახლები იარსებებს წაღვერში, ბორჯომში, სურამში, ქობულეთში, წყალტუბოში და შუამთაში. გარდა ამისა ბორჯომში გაიხსნება სანატორიუმის ტიპის დასასვენებელი სახლი.

წყალტუბოში დასასვენებელი სახლისათვის შენდება სპეციალური შენობა, სახლთან ეწყობა ბაღი, სავარჯიშო მოედანი და სხვ. სახლის სავსებით მოწყობა ჯდება 136.000 მან.

ყველა დასასვენებელ სახლებში გაიხსნება სამკითხველო - ბიბლიოთეკა, იწარმოებს ტანვარჯიშობა, ლექციების კითხვა ჯანმრთელობაზე. მახლობელ რაიონებში შესანიშნავ ადგილების დასათვალიერებლად და ადგილობრივ მცხოვრებთა ყოფა-ცხოვრებასთან გასაცნობათ მოეწყობა დასასვენებლათ ჩამოსულ მუშა-მოსამსახურეთა ექსკურსიები. სახლებში ხანგამოშვებით გაიმართება საღამო-კონცერტები, მოეწყობა კინო - სურათის ჩვენება და სხვ.

უკვე მიღებულია ყოველგვარი ზომები დასასვენებელ სახლების უზრუნველსაყოფად სურსათ - სანოვაგით.

დასასვენებელ სახლებში გამოყოფილია: წაღვერში — 450 ადგილი, ბორჯომში—65 ადგილი, სურამში, — 92, ქობულეთში —104, წყალტუბოში—92, შუამთაში—92 და ბორჯომის სანატორიუმში, 52 ადგილი. ყველა სახლებში გაიგზავნება არანაკლებ 6.000 კაცისა.

მუშა - მოსამსახურეთა გაგზავნა დასასვენებელ სახლებში დაიწყება 1 მაისიდან.

10.000 მან. მეფრინველეობის განსავითარებლად

—**ოზურგეთი,** 13 აპრილი. ოზურგეთის სასოფლო - სამეურნეო ბანკმა „სოფლის კავშირისაგან" მეფრინველეობის განსავითარებლად მიიღო გრძელვადიანი სესხი 10.000 მანეთი. (ადს)

ექიმთა პროფესიონალურ ყრილობისათვის

15 აპრილისათვის თბილისში მოწვეულია საქართველოს ექიმთა ყრილობა — რიცხვით მეხუთე. მეოთხე ყრილობის შემდეგ, გავიდა ერთი წელი და ოთხი თვე. დღის წესრიგში სდგას ფრიად მნიშვნელოვანი საკითხები.

ყრილობა მოისმენს საექიმო სექციის მუშაობის ანგარიშს და შეაფასებს მას. აწონ-დაწონილი იქნება, თუ რა გააკეთა და რა ვერ გააკეთა სექციამ, რა იყო ხელის შემშლელი მიზეზი სექციის მუშაობაში და სხვა. ამ საქმეში ყრილობა კარგად უნდა გაერკვეს.

ჩვენს კორპორაციას აურაცხელი საჭირბოროტო საკითხები აქვს გადასაწყვეტი თავისი ეკონომიური და კულტურული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ასეთია ხელფასის საკითხი, ექიმის როლი მასიურ კონტროლში, ჩვენი დაწესებულებების რაციონალიზაციის საქმის სათანადოთ დაყენება, ექიმის კულტურული და ყოფა - ცხოვრების პირობების კეთილ - მოწყობისათვის სათანადო ზომების გამონახვა, კვალიფიკაციის აწევა, ექიმის უფლების დაცვა და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ თითქმის 8 წელზე მეტია, რაც საქართველოს მედსანშრომის კავშირთან არსებობს ჩვენი საექიმო სექცია, ეს საკითხები არ არიან სათანადოდ მოწესრიგებული. 1929 წლის 15 იანვრამდე კავშირში არ მოიპოვება არც ერთი ოქმი, არც ძველი და არც უკანასკნელი სექციებისა. არც ადგილების მიერ გამოგზავნილი საბუთები სჩანს. სად იყვნენ ყოფილი სექციები, სად იყვნენ კავშირის ხელმძღვანელები; ნუ თუ ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც არ დაინტერესდნენ სექციის არსებობით და მუშაობით?

კავშირში არსებობს სამი მთავარი სექცია: ექიმთა, ფარმაცევტიული და ბეითლების. ა.-წ. იანვრამდე არც ერთ სექციას არ ქონდა თავისი სამუშაო ადგილი (მაგიდა). იანვარში სამმა სექციამ დიდი ვაი-ვაგლახით შესძლო ერთ უბრალო მაგიდის შოვნა; პატარა ოთახში. შეუძლებელია სექციამ იმუშაოს ჰაერში, გზაზე, დერეფანში. იანვრამდე სექციას არ ყავდა განთავისუფლებული პ.-მ. მუშაკი, როგორც ასეთი, მას არც ეხლა ყავს. მუშაობს ორი ამხანაგი, მეტად მძიმე პირობებში. შემდგარ ყრილობების მთელი რიგი დადგენილებები ცხოვრებაში არ ყოფილა გატარებული სხვადასხვა სიძნელეების გამო. სამწუხაროდ, ეს სიძნელენი უმეტეს შემთხვევაში თვით კავშირის კედლებში უნდა ვეძიოთ.

ყრილობა მოისმენს ჯანმრთელობის კომისარიატის 5 წლიან საპერსპექტივო გეგმიანი მუშაობის შესახებ მოხსენებას. ამ ფრიად სერიოზულ საკითხს ჩვენს ჯანმრთელობის დარგში დიდი ყურადღება უნდა მიექცეს. ადგილებმა უნდა გამოხატონ ფართედ თავისი საჭიროებანი, და ყრილობამ თავისი სიტყვა უნდა სთქვას.

დიდი მნიშვნელობა აქვს ახალი ბიუროს არჩევნებსაც. უნდა ავირჩიოთ ამხანაგები მათი უნარიანობის მიხედვით.

ყოველგვარი ხელის შემშლელი პირობები მუშაობაში სექციის წინასწარ უნდა ჩამოვაშოროთ. ამ მხრივ ექიმების საზოგადოებრივმა ძალებმა თავისი გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულონ.

ექ. გ. მჟავანაძე.

საქ. პროფსაბჭოში

პროფსაბჭოს პლენუმი

პროფსაბჭოს პლენუმი, რომელიც მოწვეული იყო 15 აპრილისათვის, შესდგება 16 აპრილს, საღამოს 6 საათზე.

ტრამვაის უფასო ბილეთები ფაბ.-საქ. სკოლის მოწაფეებს

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა წინადადება მისცა სატარიფო - ეკონომიურ განყოფილებას აღძრას ტრამვაის დირექციის წინაშე შუამდგომლობა 80 უფასო სამგზავრო ბილეთის გადადების შესახებ საფაბრიკო - საქარხნო სკოლის მოწაფეებისათვის.

კლუბის აგება სვანეთში

პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა ნება დართო სვანეთის სოფლქო ადგილკომს ჩაატაროს მუშა - მოსამსახურეთა შორის ფულის ერთდროული შეგროვება (ერთი დღის ხელფასის რაოდენობით) კლუბის ასაგებად.

ს. პ. ც. ს. კულტგანყოფილებას დაევალა დაინტერესებულ კავშირებთან ერთად გამონახოს თანხები კლუბის ასაგებად სვანეთში.

მუშათა კლუბების დავალიანება

ვინაიდან იმ დოტაციის ნახევარზე მეტი, რომელიც კლუბებს ეძლევა კულტგანმანათლებელ მუშაობის საწარმოებლად, უნდება კომუნალური ხარჯების დაფარვას, რაც ხელს უშლის საკლუბო მუშაობას, და კლუბების ეხლანდელი ფინანსიური მდგომარეობა საშუალებას არ აძლევს მათ დაფარონ კომუნალური სამსახურის ძველი დავალიანება, საქ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა, სთხოვოს თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმს ჩამოწერილი იქნეს მუშათა კლუბებიდან კომუნალური სამსახურის ძველი დავალიანება და მომავალში დაწესებული იქნეს მათთვის შეღავათიანი ტარიფი (თვითღირებულების ფასებში).

წყალსადენი ცხინვალში

ცხინვალი, 13 აპრილი. ზაფხულში ცხინვალში დაიწყება მუშაობა წყალსადენის გამოსაყვანად. გამოკვლევა დამთავრდა. ეზიდებიან მასალას. (ადს).

თამბაქოს დამზადება

ა.-კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ცნობებით, თამბაქოს დამზადება საქართველოში ნორმალურად მიმდინარეობს. სეზონის დაწყებიდან 1-ლ აპრილამდე დამზადდა 5.288.000 მანეთად ღირებული 4.233 ტონა თამბაქო. აქედან აფხაზეთში დამზადდა 3.636 ტონა. (ადს)

ხელოვნება

ქუთაის-ბათომის სახ. თეატრი კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით

„კაკალ გულში" შალვა დადიანის, მხატვარი ბ. ოცხელი.

ვინ არ იცის დღეს, თუ როგორ გადამწყვეტ ბრძოლას აწარმოებს პარტია და საბჭოთა ხელისუფლება ბიუროკრატიზმის ელემენტების წინააღმდეგ ჩვენს სახელმწიფო და სამეურნეო აპარატში. ეს ბრძოლა, რომელშიაც აქტიურად ებმებიან მშრომელთა ფართო მასები, თვითკრიტიკის ლოზუნგის გაშლის საფუძველზე სწარმოებს.

ცხადია, ხელოვნებას და კერძოთ თეატრს, როგორც გარეშე სინამდვილეზე ზემოქმედების ერთ-ერთ მძლავრ იარაღს, ფრიად საპატიო ადგილი შეუძლია დაიჭიროს იმ ძალთა საერთო სისტემაში, რომლებიც იბრძვიან ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის დასამყარებლად. მიმდინარე მომენტში, განსაკუთრებით ისეთი ხასიათის პიესებია საჭირო, რომლებიც ყოფა-ცხოვრების თემებს შეეხებიან და ჩვენი სინამდვილის ნაკლოვანებებს ამხელენ. შ. დადიანის პიესაც—„კაკალ გულში", რომელიც ქუთაის-ბათომის სახ. თეატრმა მორიგ წარმოდგენად წაიღო, ყოფა-ცხოვრებითი ხასიათისაა. მასში ჩვენი სინამდვილის მეტად მტკივნეული საკითხებია წამოჭრილი. ავტორმა სცადა მოეცა ერთ-ერთი საბჭ. დაწესებულების ავ-კარგი, სადაც გამეფებულია ბიუროკრატიზმი და პროტექციონიზმი. ეს უეჭველად კარგი სიმპტომია შ. დადიანის მხრივ, როცა იგი ხელს ჰკიდებს ახალი, თანამედროვე მასალის მხატვრულ დამუშავებას. მართლაც გამოყვანილია მთელი გალერეა ბიუროკრატიული ტიპებისა.

თეატრს თავის მხრით დიდი მუშაობა ჩაუტარებია, რომ ეს სახეები დასრულებული ყოფილიყო სცენიურად. მოხდენილი დეკორაციები და მსახიობთა კარგი თამაში, შესაფერ ეფექტს ახდენს მაყურებელზე. მაგრამ აშკარად უნდა ითქვას, რომ ავტორის თემა (ბიუროკრატიული ქაოსი საბჭოთა დაწესებულებაში) ბოლომდე ვერ დაუძლევია. სწორედ ამიტომ პიესა უფრო ფარსის შთაბეჭდილებას სტოვებს, ვიდრე ნამდვილი კომედიის და ამ მხრივ ემზგავსება „დეზერტირებს".

ჩვენ ვლაპარაკობთ იმის შესახებ, რომ პიესაში არ არის დაცული „ზომა". მართალია ბიუროკრატიზმს ჯერ კიდევ მტკიცედ აქვს ფესვები გადგმული ჩვენს სინამდვილეში და იგი მხილებული უნდა იქნეს მთელი სისასტიკით, მაგრამ „სახელმწიფო აპარატის ბიუროკრატიზმთან ბრძოლის მიყვანა იქამდე, რომ გავაქარწყლოთ სახელმწიფო აპარატი, სახელი გავუტეხოთ სახელმწიფო აპარატს" დიდი შეცდომაა. ჩვენ არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენი აპარატი—საბჭოთა აპარატია. პიესის კონცეპციიდან არ სჩანს სათანადოთ, რომ ავტორის ზემოთმოყვანილი ჭეშმარიტი დებულება კარგად ჰქონდეს შეთვისებული. მართალია თეატრს უცდია ბიუროკრატიული მექანიზმისათვის დაეპირისპირებია დადებითი ძალა „მსუბუქი კავალერიის" და „ჭალარას" სახით და ამით ნაწილობრივ გამოუსწორებია პიესის ნაკლი, მაგრამ პიესის ძირითად გეზს იგი ვერ სცვლის. დადებით ძალთა ბრძოლა არ არის ჩაქსოვილი პიესის ორგანიულ განვითარებაში. იგი უფრო მექანიკურად არის დაკავშირებული. ამიტომ კომედიის მაგიერ—ფარსი მივიღეთ. მომქმედ პირთა რეპლიკები—უფრო „ობივატელებზე" გათვალისწინებული დარჩა, ნაწილობრივ ყოველივე ეს მსახიობთა კარგი თამაშით იჩრდილებოდა. განსაკუთრებით კარგი იყო „განყოფილებების გამგეები": **ჟღარჟღალიანი** (გოჩალავა) და **გოშელაური** (ისინარხ პარისკიდი). მშვენივრად ჩაატარეს აგრეთვე თავიანთი როლები უმ. **ჩხეიძემ** (კვეჟენაძე) და **ლამბაშიძემ** (ირაკლი) ქალებს შორის განირჩეოდა—ც. წუწუნავა (მაკა). პიესის უკანასკნელი აქტის ბოლო—ძირ

დება

…რლინი, 14 აპრილი. გაიმართა …მანიის კომპარტიის წარმომადგენ…სა და ბერლინის 200.000 პროლე…ის მიერ არჩეულ დელეგატებს შო…თათბირის მიზანი იყო საჭირო …ების განხილვა პირველი მაისის …სათვის მოსამზადებლად. ყველა …ლეგატი ხაზს უსვამდა, რომ **წარმოე…ა, რომლებმაც ისინი გამოგზავნეს, …ცედ გადასწყვიტეს ებრძოლონ სო…ფაშისტურ მეთოდებს და მოაწ…ძლიერი საპირველმაისო მსვლე…** …ა. არჩეულია საპირველმაისო კო…ტი. მიღებულია მიმართვა ბერლი…წრისუშებისადმი (ადს).

…ციონური ფრთის …ა

…ნეს მხოლოდ ერთი სია — **რევო…იონური ფრთის სია.** რევოლიუ…რი ფრთის კანდიდატები არჩე…ენ სხვა სიების უქონლობის გა…ამვაის ქარხკომის არჩევნებში …) რევოლიუციონურმა ფრთამ …ქოვალე გამარჯვება მოიპოვა. მის… **მიიღო 2.150 ხმა — 9 მანდატი,** …ფანულმა პროფკავშირმა — 6 …ი (ადს).

…ქრონდა
გაგრაში
12,2 გრ…
…ში 5,1
…ში 4.6
დიდში 1
ბათომში
(სიცივე),

…ატურა"

…ესურამ განათლების მინისტრს …წერილით, რომელშიაც უარს …თავის ფუნქციების შესრუ…სანამ უნივერსიტეტი აღდგე…იქნება თავის პრეროგატივებ…

მ…

გუშინ…
დონეს…
შუადღის…
სანტიმეტ…
ტიმეტრი…

ფინაალმდეგ

…ადება

…ლის მომწერის მსურველი".

ა.-კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს სპეციალისტების აზრით, მიმდინარე გაზაფხულის განმავლობაში არ უნდა ველოდეთ მტკვარის მნიშვნელოვან ადიდებას. ვინაიდან ისეთი ამინდები დადგა, რომ მთაში დამდნარი თოვლის წყალი მდინარეს თანდათანობით გააქვს და არაა მოსალოდნელი, რომ სწრაფად დაიწყოს თოვლმა დნობა.

საქ. სახელგამში

- სახელგამმა გახსნა წიგნის ახალი მაღაზია ქ. ოზურგეთში.
- სახელგამის შეკვეთით საქ. სახკინმრეწვმა გადაიღო სურათი ბავშთა ცხოვრებიდან და საბავშო წიგნების შესახებ.
- სახელგამმა უკვე დასდო გენერალური ხელშეკრულება ცეკავშირთან წიგნების გავრცელების შესახებ. ამჟამად იხსნება წიგნებით ვაჭრობის კურსები, რომელიც მოამზადებს სათანადო მუშაკებს.
- სახელგამის წარმომადგენლები შეუდგნენ პროვინციაში იაფი წიგნის გავრცელების კამპანიის ჩატარებას. ორი თანამშრომელი უკვე გაემგზავრა დასავლეთ საქართველოში.
- სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობაზე სახელგამმა მოაწყო წიგნის კიოსკი, საიდანაც ყრილობის დელეგატებს წიგნები ეძლევა სათანადო ფასდაკლებით.
- ქუთაისის წითელარმიელთა სახლში, სახელგამმა გახსნა კიოსკი, საიდანაც წითელ არმიელებს და უფრ. შემადგენლობას ფასდაკლებით ეძლევა წიგნები.
- სახელგამმა გამოსცა და იყიდება ყველა მაღაზიებში გუგულის პიესები: „კომისარი მოსკოვიდან" (კომედია 4 მოქმ.), „შეთქმულება" (აგიტ-პიესა 3 მოქმედებად), „ასე იყო") (წარსულის ქრონიკა), პიესები — კრებული (განსვენებული კეტრაძე) — სატირა 2 სურათად, სტატისტიკა — სატირა 5 სურათად, ალიმენტი — ხუმრობა 1 მოქმედებად, ოთხი ორდერი — სატირა 4 სურათად, ქალი პროტექციით, სატირა 1 მოქმედებად, თვითკრიტიკა — სატირა 2 მოქმედებად, შეშინებული ანთიმოზი — კომედია 2 მოქმედებად).

ცხვრების დალუპვა

გურჯაანი, 13 აპრილი. მკაცრი ზამთრის გამო შირაქში მეცხვარეები ძალიან დაზარალდნენ. განსაკუთრებით დაზარალდა შირვანის რაიონი. იორის ნაპირებზე მხოლოდ 4 მეცხვარეს დაეხოცა 400-მდე ცხვარი და 1.000-მდე ბატკანი, ე. ი. საერთო რაოდენობის თითქმის 50 პროცენტი.

მეცხვარეთა საზოგადოებამ „მწყემს"-მა შირაქში გაგზავნა რწმუნებული საერთო ზარალის გამოსარკვევად (ადს).

ქუთაისი

შრომის დისციპლინის ასამაღლებლად

ქუთაისი, 11 აპრილი. ქუთაისის სამრეწველო წარმოებებში, პროფესიონალური ორგანიზაციების და საწარმოო უჯრედების აქტიური მონაწილეობით, დაიწყო კამპანია პრაქტიკულ ღონისძიებათა შემუშავებისათვის შრომის დისციპლინის ასამაღლებლად.

შრომის დისციპლინის საკითხების შესწავლის დროს ბევრ სამრეწველო წარმოებაში აღმოჩენილ იქნა მრავალი ავადმყოფური მოვლენა. მაუდის ფაბრიკაში უკანასკნელ დროს საგრძნობლად გაიზარდა სამუშაოს გაცდენის შემთხვევები. შარშან სამუშაოს გაცდენა შეადგენდა 0,9 პროცენტს, წელს 1 პროცენტს. ადგილი აქვს მანქანებისადმი (დაზგები) დაუდევრად მოპყრობას. ლოთობა ხელფასის მიღების და დასვენების დღეს იწვევს სამუშაოზე დაგვიანებას მეორე დღეს. ცეხების ხელმძღვანელები დირექციის ნებადაურთველად ათავისუფლებდნენ მუშებს სამუშაოდან რამდენიმე საათით, ხოლო ტეხნიკური პერსონალი უყურადღებოდ ეკიდებოდა ასეთ ფაქტებს. ექიმებიც ხელს უწყობდნენ სიმულიაციას და სავსებით ჯანსაღებს აძლევდნენ ავადმყოფობის ბიულეტენებს.

კედლის გაზეთები წარმოებებში არ აშუქებენ შრომის დისციპლინის საკითხებს. კამპანიასთან დაკავშირებით ზოგიერთ წარმოებაში მოხდა მუშათა კრებები, რომლებზედაც განხილულ იქნა შრომის დისციპლინის საკითხები. მიღებულ რეზოლიუციაში მუშები აცხადებენ, რომ მთელი ძალ-ღონით შეეცდებიან აღადგინონ შრომის დისციპლინა (ადს).

შემნახველ სალაროების კამპანიის მსვლელობა

ქუთაისი, 12 აპრილი. შემნახველ სალაროების კამპანია ფართოვდება. 5 კვირის განმავლობაში ქუთაისის მაზრაში 1.007 ახალმა მეანაბარემ შემნახველ სალაროებში შეიტანა 49.828 მანეთი, აქედან ქუთაისში 336 მეანაბარემ შეიტანა 22.657 მანეთი.

ქუთაისის ყველა სამრეწველო საწარმოში მოეწყო კომკავშირელთა ბრიგადები ახალ მეანაბარეთა მისაზიდად. სკოლებში შემნახველი წიგნაკების დიდი მოთხოვნილებაა, რის გამოც სახ. ბანკის ქუთაისის განყოფილებასთან არსებულმა შემნახველმა სალარომ თბილისის ცენტრ. შემნახველ სალაროს სთხოვა — გაუგზავნოს შემნახველი წიგნაკების ახალი პარტია. (ადს).

ქუთაისის აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკა

ქუთაისი, 12 აპრილი. აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკის პროდუქცია ყოველ თვეობით იზრდება. იანვარში ფაბრიკამ დაამზადა 176 კილოგრამი აბრეშუმის ძაფი, თებერვალში—1.506 კილოგრამი, მარტში — 3.567 კილოგრამი. ფაბრიკა ამ ჟამად ყოველდღიურად ამზადებს 195 კილოგრამს. ფაბრიკაში 1.200 მუშაა, მათ შორის 437 ქალი. (ადს).

ქრონიკა

დაწესებულებებში მუშაობის დაწყების დრო

1 მაისიდან თბილისის ყველა სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ დაწესებულებებში მუშაობა დაიწყება დილის 8 საათზე.

გადასვლა 7 საათის სამუშაო დღეზე

შრომის სახალხო კომისარიატის ცნობით მუშათა საერთაშორისო დღის—1 მაისის აღსანიშნავად პირველი მაისიდან 7 საათის სამუშაო დღეზე გადაყვანილი იქნება საქ. პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა და თბილისის ლითონის ჩამომსხმელი ქარხანა.

თათბირი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ

ორშაბათს, 15 აპრილს, დილის 10 საათზე ამიერ-კავკ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის შენობაში გაიხსნება ამიერ-კავკ. თათბირი მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ.

ადგილობრივი მეურნეობის გამოკვლევის გეგმა

ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიამ დაამტკიცა ამიერ-კავკ. რესპუბლიკების დიდი ქალაქების (თბილისი, ბაქო, ერევანი, ბათომი და ნახიჩევანი) ადგილობრივი მეურნეობისა და ბიუჯეტის გამოკვლევის გეგმა და პროგრამა. გამოკვლევის მიზანია დაამუშაოს ღონისძიებანი ფინანსიური მეურნეობის რაციონალიზაციისათვის და ქალაქების ბიუჯეტების განმტკიცებისათვის. გამოკვლევის დამთავრება განზრახულია 1929 წლის 1 ოქტომბრამდე. (ადს).

ტირიფონის არხი

ტირიფონის არხის გაყვანა თითქმის დამთავრებულია. მისი ნაწილობრივი ამუშავება მოხდება მიმდინარე წლის ივლისში. პირველ ხანებში არხი მორწყავს 6000 ჰექტარ მიწას.

სახლების მდგომარეობის გამოკვლევა

როგორც აღნიშნული გვქონდა, ზოგიერთი საბინაო კოოპერატიული ამხანაგობები არ უვლიან სახლებს, რის გამო სახლები ზიანდება. თბ. აღმასკომის პრეზიდიუმმა დაარსა სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა მოახდინოს საბინაო-კოოპერატიულ ამხ-ბების განკარგულებაში მყოფ სახლების გამოკვლევა და იმ ამხანაგობათა წინააღმდეგ, რომელთა სახლები მოუვლელი აღმოჩნდება, მიიღოს შესაფერი ზომები.

ბინები მუშებისათვის

ვინაიდან ბინების სიმცირის გამო მუშების ნაწილი ისევ ცუდ ბინებში ცხოვრობს, ხოლო ზოგიერთები სრულებით უბინაოთაა დარჩენილი, თბ. აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა მიიღოს ენერგიული ზომები მათთვის ბინების აღმოსაჩენად. ამ მიზნით გადაწყვეტილია დახუროს სასტუმრო „განჯა", „ახალციხე", „საშტრედია" და „ოდესა" და სხვ., რომლებიც წარმოადგენენ გარყვნილების ბუდეს და არავითარ სამსახურს არ უწევენ მშრომელთ. დახურული სასტუმროები შეკეთების შემდეგ გამოყენებულნი იქნებიან მუშათა საცხოვრებელ ბინებად.

თბილისის აღმასკომში

- ტრამვაის ქ.-სადგურ.-ქ. ტრამვაის სქემა [illegible] გამოსაცდელად აღმასკომმა დაარსა კომისია ინჟ. კაპელერის, [illegible] შუკლინის შემადგენლობით.
- ქალაქის ახალი ადმინისტრატიული დარაიონება დაიწყება 15 აპრილიდან.

განათლების კომისარიატში

- გამოკვლევა. განათლების კომისარიატმა გადასწყვიტა 20 აპრილიდან გამოიკვლიოს ქუთაისისა და მის მაზრის სკოლების მდგომარეობა.
- თათბირი. გან. სახ. კომისარიატი 16 აპრილს 1—5 საცდელ-საჩვენებელ შრ. სკოლის დარბაზში იწვევს თბ. შრ. სკოლების გამგეთა და მათი მოადგილეთა თათბირს, რომელზედაც განხილული იქნება ჯგუფიდ ჯგუფში მოწაფეთა გადაყვანის და კურსის დამთავრების საკითხი.

სხვადასხვა

- თბილისის მაუდის ფაბრიკა ნაწილობრივ ამუშავებული იქნება ზაფხულში.
- რაჭა-ლეჩხუმის სამაზრო საავადმყოფოს გასაფართოებლად ჯანმრთელობის კომისარიატმა გადასდო 1500 მანეთი.
- ნოხების მრეწველობა. ამიერ-კავკასიაში ხალიჩა-ნოხების მრეწველობის გასაძლიერებლად ა.-კ. მთავრობამ გადასდო 200.000 მან.
- 15 აპრილს შრომის სახ. კომისარიატში შესდგება სპეციალური თათბირი სატყეო მრეწველობის მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.
- ოთხშაბათს, 17 აპრილს, ხელოვანთა სასახლეში (მაჩაბლის ქ. № 13) შესდგება საქართველოს მებრძოლ დიალექტიკოს - მატერიალისტების საზ-ბის ღია სხდომა. დღის წესრიგშია: მეხანისტებთან პოლემიკის შედეგები.
- ექიმთა კონფერენცია. დღეს, შუადღის სრულ 12 საათზე პროპედევტიულ - ქირურგიულ კლინიკაში (რკინის გზის საავადმყოფო) შესდგება უნივერსიტეტის ქირურგიული კლინიკების ექიმთა კონფერენცია.
- განათლების მუშაკთა სახლში. დღეს, საღ. 7 საათზე, განათლების მუშაკთა სახლში შესდგება ანტირელიგიური საღამო წითელარმიელებთან ერთად.
- რედაქციამ მიიღო სახელგამის ახალი გამოცემანი: პროფ. ფარმაკოვსკის — მანქანათმცოდნეობა. სახელმძღვანელო უმაღლეს და საშუალო ტეხნიკურ სკოლებისათვის. წიგნი დასურათებულია. დაბეჭდილია სა უკეთესო ქაღალდზე და ჩასმულია ყდაში. თარგმნილია ვლ. კაკაბაძის მიერ. ფასი 5 მან. 60 კაპ., გარტვიგის — რელიგიის წინააღმდეგ (კ. მარქსი და იესო ქრისტე) ფ.— 25 კ., „ახალი მწერლობა" — სერიიდან სასკოლო ბიბლიოთეკა (ა. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი და ნ. ბარათაშვილი) ფასი 25 კ., ს. ეული — ლექსები (სერ.—„სასკოლო ბიბლიოთეკა") ფასი 15 კაპ.

ახალი სამეცნიერო კადრები

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიურ ფაკულტეტზე მოხდა კურსდამთავრებულთა გამოშვება. სულ ფაკულტეტი დაამთავრა 17 კაცმა. მათ შორის სალიტერატურო დარგი დაასრულეს: გიორგი აბაშიძემ, ოლღა ბედიაშვილმა, სავლე ბრეგაძემ, შალვა გუმბერიძემ, ნიკოლოზ კანდელაკმა, ვალენტინე კეშელავამ, რაისა სანიკიძემ, სოლომონ ყუბანეიშვილმა, ჯაბა ჩაჩავამ და მარიამ ჭუბაბრიამ. საისტორიო დარგი — ქეთევან კიკნაძემ, დარია სვანიშვილმა, მარგარიტა ფანჯავიძემ და გაბრიელ ჩაჩანიძემ. ფილოსოფიური დარგი დაამთავრა ელენე ბერიშვილმა და საბუნებისმეტყველო დარგი — ელენე ამირაშვილმა და დავით ბახტაძემ.

სასამართლო

უჩალის დახვრეტა

ზაქარია ზურაბისძე მებაღიშვილმა, რომლის დახვრეტა, როგორც ვსწერდით, დაადასტურა საქართველოს უზენაეს სასამართლოს პრეზიდიუმმა, შეწყნარება სთხოვა საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს.

მებაღიშვილის თხოვნა განიხილა სრულიად საქართველოს საბჭოთა მეხუთე ყრილობის პრეზიდიუმმა. ყრილობის პრეზიდიუმმა უშე

„სოფლის კავშირის" ფულით დამზადებული ვაშლის ნაწილს ეს ვაჟბატონები ჰყიდიან თბილისში. 1000 ფუთი იგზავნება ხარკოვში, ათას ფუთზე ცოტა მეტი ლენინგრადში კერძო ბაზარზე გასასყიდად.

ლენინგრადში ამხანაგობის ხარჯზე მივლინებულ იქნა ჯერ ერთი თანამშრომელი **ხაბელაშვილი,** შემდეგ მეორე—„სპეცი" ტრომპალოვი. გავიდა რამდენიმე დღე, თავმჯდომა

…თი რევოლიუციის ორგანიზატორის ლენ…, მსოფლიო პროლეტარიატის ლენინურ შტაბს!

1-ლ…ისს საბჭოთა კავშირის პროლეტარები თავიანთ სოლიდარობას უცხადებენ საერთაშორისო პროლეტარიატს და ჩაგრულ კოლონიებს. გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარულ რევოლიუციას!

ბურჟუაზიული მთავრობების ხელში კელოგის პაქტი ორპირული ნიღაბია ახალ ომების მოსამზადებლად. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, ახადეთ ეს ნიღაბი, დაირაზმენით მებრძოლ რიგებად ბურჟუაზიის დასამხობად!

მხოლოდ საერთაშორისო ბურჟუაზია მოუღებს ბოლოს შეიარაღების ზრდას და ომებს. გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას მთელს მსოფლიოში.

საბჭოთა კავშირის ყოველი ახალი წარმატება ლახვარია საერთაშორისო ბურჟუაზიისათვის. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს — საერთაშორისო პროლეტარიატის სამშობლოს!

საპირველმაისო სალამი წითელ არმიას, წითელ ფლოტს, საბჭ. საზღვრების მუდმივ დარაჯებს, მსოფლიო რევოლიუციის შეიარაღებულ რაზმს.

1-ლი მაისის დღეს ახალგაზრდა წითელარმიელნი ფიცსა სდებენ მთელი ქვეყნის მშრომელთა წინაშე, რომ მედგრად დაიცავენ საბჭოთა კავშირს, მსოფლიო რევოლიუციის დასაყრდენს. წითელი არმია მშვიდობიანობის დარაჯია, იგი დაიცავს ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვარს.

ინდუსტრიალიზაცია ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის საფუძველია. არც ერთი ნაბიჯით არ დავიხევთ უკან ინდუსტრიალიზაციის აღებული ტემპიდან.

საბჭოთა კავშირი მთელი ქვეყნის ჩაგრული ერების განთავისუფლების დროშაა. გაუმარჯოს ერების ძმურ კავშირს!

ვიბრძოლოთ ინდუსტრიალიზაციისათვის, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის! გავშალოთ სოციალისტური შეტევა ქალაქსა და სოფელში!

ბურჟუაზიულ ქვეყნებში იზრდება მტაცებლური ექსპლოატაცია მუშებისა. საბჭოთა კავშირში მუშები შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადადიან. გაუმარჯოს შვიდი საათის სამუშაო დღეს—ოქტომბრის მონაპოვარს!

ფაბრიკების, ქარხნების, მაღაროებისა და სახელოსნოების შეჯიბრება მძლავრი იარაღია მასების სოციალისტურად აღზრდისა და მეურნეობის მართვა-გამგეობაში მუშების მილიონობით ჩაბმისა.

„საბჭოთა ორგანიზაცია, რომელიც ბურ

…გადააბრუნებს, არა მარტო მიწებს საბჭოთა კავშირში, არამედ ძველ ჩვეულებებსაც, სოფლის ცხოვრების მთელ ძველ წყობას და შეჰქმნის კოლექტიური შრომის ახალ წყობილებას.

კომუნისტი სოფელში კოლექტიური მეურნეობის ინიციატორი და ორგანიზატორია.

კომკავშირელებო, გაილაშქრეთ მოსავლიანობისათვის, კოლექტივიზაციისათვის.

წინ მსხვილი კოლექტიური მეურნეობისაკენ. „ორჯერ და სამჯერ შემსუბუქდებოდა ადამიანის შრომა, რომ მოხდეს წვრილი დაქუცმაცებული გლეხური მეურნეობიდან საზოგადოებრივ მეურნეობაზე გადასვლა". (ლენინი)

მოვაწყოთ რაიონების, თემებისა და სოფლების შეჯიბრება კოოპერაციაში ჩაბმის, კოლექტივიზაციის გავრცელების, ნათესი სივრცის გაფართოვებისა და მოსავლიანობის გადიდების საქმეში.

კოლექტიურ მეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობა უტყუარი გზაა ღარიბი გლეხობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, საშუალო გლეხობასთან კავშირის განსამტკიცებლად და კულაკის ექსპლოატაციისაგან სოფლის გასანთავისუფლებლად.

ავსწიოთ ჩვენი საბჭოთა მეურნეობები, გავშალოთ ახალი სასოფლო-სამეურნეო სოციალისტური ფაბრიკების მშენებლობა.

ღარიბთა შეკავშირებით, ღარიბი და საშუალო გლეხების შემჭიდროვებით გავაძლიეროთ მუშათა კლასის ხელმძღვანელობით შეტევა კულაკზე.

ჩვენი ლოზუნგია: ღარიბ გლეხობაზე დაყრდნობა, მტკიცე კავშირი საშუალო გლეხთან, დაუნდობელი ბრძოლა კულაკთან.

„ჩვენ გვაქვს უებარი საშუალება იმისათვის, რომ ხელის ერთი მოქნევით გავაათკეცოთ ჩვენი სახელმწიფო აპარატი. ეს უებარი საქმეა მშრომელთა ჩაბმა, ღარიბი გლეხობის ჩაბმა სახელმწიფო მართვა-გამგეობის ყოველდღიურ მუშაობაში". (ლენინი).

ბიუროკრატიზმი აფერხებს მშენებლობას საბჭოთა ქვეყანაში. მშენებელთა ახალი კადრების გამოყვანა მასებიდან—აი საიმედო საშუალება ბიუროკრატიზმთან საბრძოლველად.

მუშებო და მუშა-ქალებო, ფართოდ გამოიყენეთ თვითკრიტიკის მძლავრი იარაღი ბიუროკრატებისაგან და გახრწნილი ელემენტებისაგან სახელმწიფო აპარატის გასაწმენდათ!

მუშათა თვითკრიტიკის მახვილი მივმართოთ გახრწნისა და ბიუროკრატიზმის იარების წინააღმდეგ სახელმწიფო აპარატში.

კლასობრივი მტრის შემოტევას ვუპასუხოთ

სოდ განვითარდებოდა, რადგან გუნდები თითქმის თანაბარ ძალას წარმოადგენენ.

მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. თბილისელები ამ დღეს ძალზე სუსტად თამაშობდნენ, რამაც საშუალება მისცა სტუმრებს, თავიდანვე ხელთ ეგდოთ თამაშის ინიციატივა. მოსკოველების სასახელოდ უნდა, ითქვას, რომ ისინი მეტად შეთანხმებულად თამაშობენ, რაც ნაკლებ ახასიათებს ჩვენს ფეხბურთელებს.

შეჯიბრება დამთავრდა 3:0 მოსკოვის „დინამო"-ს სასარგებლოდ (ერთი ბურთი, თვითონ თბილისელებმა შეაგდეს თავის ჭიშკარში).

დღეს, 14 აპრილს, „დინამო"-ს სტადიონზე უნდა შემდგარიყო მოსკოვის „დინამო"-ს და საქართველოს ნაკრები გუნდის („დინამო") შეჯიბრება, მაგრამ მის ნაცვლად გაიმართება მატჩი — რევანში მოსკოვის „დინამო"-სა და თბილისის „დინამო"-ს შორის.

შეჯიბრება დაიწყება ნაშუადღევის 1 საათზე.

ჭადრაკი

თბილისის ჩემპიონატი

დღეს 14 აპრილს ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში გათამაშებული იქნება შეჯიბრების უკანასკნელი ტური, რომელიც საბოლოოდ გამოარკვევს პირველობის საკითხს. თამაშობენ: კასპარიანი—საროკინი, ვეიზერი—ნენაროკოვი ტალვიკი—გოგლიძე, სმაროდსკი — ლევიტასი, ასოვსკი—შიშოვი, წერეთელი—თარაიანი და მირზაევი—დანიელოვი თავისუფალია მალუნცევი- დასაწყისი სრულ 6 საათზე.

…ლოს ექიმი ოსიპიანი და სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომელი. საექიმო შემოწმებით გამოირკვა, რომ ბავშს ძილის დროს კისერი მოქცევია საწოლის რკინებში, რასაც გამოუწვევია მისი დაღრჩობა.

მკვლელობა

9 აპრილს საღამოს შუამთის ბოლოზე (კახეთის მაზრა) ყაჩაღმა რამან სუმბათაძემ მოჰკლა სოფ. ვარდისუბნის მცხოვრები კომუნისტი ალექსი გელაშვილი.

მკვლელის შესაპყრობათ მიღებულია ზომები.

სახლის ჩამონგრევა

გუშინ დილით, ძნელაძის ქუჩაზე ჩამოინგრა სახლი № 1. ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა.

ჯიბგირის დაპატიმრება

მოქ. სიკა ბოჭორაძის თათრის მოედანზე ვიღაც ბოროტმოქმედმა ჯიბიდან ამოაცალა 110 მანეთი. ამ საქმეზე მილიციამ დააპატიმრა შალვა ეფრემის-ძე ალინიშვილი, რომელსაც აღმოაჩნდა მოპარული ფული.

თავის მოწამვლა

იოდით თავი მოიწამლა სონია ლაზარეს ასულმა ამანათაშვილმა (მცხ. ფოთის ქ. № 14), რომელიც სიკვდილს გადაარჩინეს.

ქურდობა

ბოქლომის აგლეჯის საშუალებით გაქურდეს ეკატერინე ავალიანის ბინა (მოსკ. ქ. № 14), წაიღეს 225 მანეთის ნივთები, გრიგოლ დოჭვირის ბინიდან (1-ლი სამილიციო უბანი) მოიპარეს 200 მანეთის ნივთები; — მორგებული გასაღების საშუალებით გაქურდეს სახელგამის სალარო, წაიღეს ორი ვერცხლის საათი; — ტევატროვსკომშაკოვს ტრამვაის ვაგონში ჯიბიდან ამოაცალეს 294 მანეთი და სხვადასხვა საბუთები; — შალვა კალენიკეს-ძე ჩხეიძეს ოპერის თეატრში მოპარეს პალტო; — გაქურდეს მალაქია კობახიძის ბინა (მნათობის ქ.), წაიღეს 200 მანეთის ტანსაცმელი.

15 აპრილს, საღამოს სრულ 6 საათზე თბილისის აღმასკომის წითელ დარბაზში გაიხსნება ს. ა. ლ. კ. კ. ცეკას მე-3 პლენუმი.

პლენუმს უნდა დაესწრონ ცეკას წევრები და კანდიდატები და აგრეთვე რაიკომების წევრები დაუგვიანებლად

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

15 აპრილს, საღამოს 6 საათზე, სახ. უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტზე შესდგება კომუჯრედის დახურული კრება. კრებას უნდა დაესწრონ კომკავშირელებიც.

ორშაბათს, 15 აპრილს, შუადღის 12 საათზე ცეკას აგიტპროპ-ბეჭდვითი განყოფილებაში შესდგება თათბირი, რომელსაც უსათუოდ უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები:

მიქაძე, (პროფსაბჭო), ჩხარტიშვილი (საქ. პოლიტეხნიკური ინსტიტუტი), ჭყონია („კომუნისტი"), ზედია, (თბ. კომიტეტი), დემეტრაძე (ს. ა. ლ. კ. კ. ცეკა), ლიხარულიძე („მუშა"), ბელი („ზარია ვოსტოკა"), პატარაია (ქართ. დივიზია), პიტერსკი („რაბოჩაია პრავდა"), კერესელიძე (ს. ა. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტი), კრეიტანი (საქ. პროლეტ. მწერალთა ასოციაცია), ვოლსკი („ახალგაზრდა კომუნისტი"), იანწვგულიძე („მოლოდოი ლენინეც"), იანკოვსკი (ამხ. სტალინის სახელობის ქარხანა) მგელაძე (თემქა), როზენფელდი (საქ. პროფსაბჭოს კულტ - განყოფილება), ფრინდლიან (ჟურნალი „ბოლშევიტსკაია სმენა"), ამირაგოვი, ვარლამოვი და ჩელუნავა (სახკინმრეწვი).

26 კომუნარის სახელობის რაიკომი იუწყება, რომ 15 აპრილს, საღამოს სრულ 6 საათზე, რაიკომის შენობაში (მე-2 სართული) მოწვეულია აგიტპროპ - ორგანიზატორების და პარტიის და კომკავშირის უჯრედთა კომისიების გაფართოებული თათბირი. თათბირს უნდა დაესწრონ ყველა პროფკავშირების, კულტკომისიების, და, კლუბების და წითელი კუთხეების წარმომადგენლები, მუშკორები და კედლის გაზეთების რედაქტორები.

საქ. კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის 26 კომუნარის სახელობის რაიკომი იუწყება, რომ 14 აპრილს, დილის 10 საათზე, რაიკომის შენობაში შესდგება რაიკომის მიმღები კომისიის სხდომა.

ქვემოთ ჩამოთვლილი ამხანაგების დასწრება სავალდებულოა:

ნიკოლოზ კრავცოვი, სედრაკ ავეტისიანი, შამირ ამირაგოვი, არჩილ ნოზაძე, ნაზარალ შარიკაშვილი, სიმონ გოჩიტაშვილი, გიორგი ცხვედაძე, ვასილ ბეჟაშვილი, შალვა კალანდაძე, მარო ბერიძე, დიომიდე თოფურია, ანა ტანდიევი, თამარა თეიმურაზოვა, სტეფანე სტეფანოვი, მარტიროს ავეტისიან, გევორქ გრიგორიან, მიხეილ ნიკარიძე, მიხეილ ფალავანდიშვილი, მიხეილ მუსერიძე, ნიკანდ ქორაია, მარო თოროზაშვილი, ანა ბერიშვილი, იოსებ ელიზბარიშვილი, ესრაფ მურადოვ, ანტონ ხაჩატუროვი, იოსებ აზმაიფარაშვილი, ვასილ აფხაზაშვილი, ერემია ნაზაროვი, ზარასფაშვილი, აკოფ დანელოვი, მამედ ალიოღლი, გიორგი შარიფაშვილი, ვასილ კუპუხიძე, ალი-კული-ოღლი და ფარდეისკი.

ორშაბათს, საღამოს 6 საათზე, 26 კომუნარის რაიკომის შენობაში შესდგება უჯრედების მდივნების, აგიტპროპ - მომუშავეების და კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიების თათბირი. დასწრება სავალდებულოა.

სახ. უნივ. სოც.-ეკ. ფაკულტ. არსებული ახ. ლ. კ. კ. მეორე უჯრედის ბიურო აცხადებს, რომ ორშაბათს, 15 აპრილს, დღის სრულ 4 საათზე მოწვეულია ამავე უჯრედის დახურული კრება. წევრ - კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

სახ. უნივ. სოც-ეკ. ფაკულტ. არსებული ახ. ლ. კ. კ. მეორე უჯრედის ბიურო აცხადებს, რომ დღეს, 14 აპრილს, სრულ 12 საათზე, მოწვეულია ამავე უჯრედის ბიუროს სხდომა აქტივთან ერთად.

სოც-ეკონ. ფაკულტეტ. ა. ლ. კ. კ. 1-ლი უჯრედის ბიუროს სხდომა აქტივთან ერთად შესდგება დღეს, 14 აპრილს; 12 საათზე ბიუროს წევრ-კანდიდატთა გარდა უნდა დაესწრონ აგრეთვე დაინტერესებული ამხანაგები აქტივიდან.

სახ. უნ-ტის ა. ლ. კ. კ. ბიუროკოლექტივი აცხადებს, რომ დღეს, 14 აპრილს, 12 საათზე მოწვეულია კ. კავშირის მე-11 სარაიონო და მე-16 სამაზრო კონფერენციების დელეგატთა თათბირი აქტივთან ერთად. ყოფილი დელეგატების დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

სახ. უნ. ა. ლ. კ. კ. აგროფაკულტეტის მე-5 უჯრედის ბიურო აცხადებს, რომ დღეს 14 აპრილს, საღამოს 6 საათზე მთავარ შენობაში მოწვეულია ბიუროს კრება — აქტივთან ერთად; ბიუროს წევრ - კანდიდატებისათვის დასწრება სავალდებულოა. აგრეთვე უნდა დაესწრონ უჯრედებზე მიმაგრებული ამხ. და აკად. წრეების ბიუროს წევრები.

სოც-ეკონ. ფაკულტეტის ა. ლ. კ. კ. 1-ელი უჯრედის მორიგი კრება შესდგება ხვალ, 15 აპრილს, საღამოს სრულ 7 საათზე, წევრ - კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლად.

სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპარტიის ბიურო - კოლექტივი აცხადებს, რომ ორშაბათს, 15 აპრილს, დღის პირველ საათზე მოწვეულია ალმასბიუროს კომფრაქციის სხდომა. ფრაქციის წევრთ ევალებათ დაუგვიანებლივ დასწრება.

სახ. უნ-ტის ა. ლ. კ. კ. ბიურო - კოლექტივი აცხადებს, რომ ხვალ, 15 აპრილს, შესდგება აგროფაკის მე-3 და მე-4 კურსის პარტიის და კომკავშირის წევრ-კანდიდატთა კრება, სახ. უნ-ის შენობაში, სრულ 7 საათზე.

სახ. უნ. ოდონტოლოგიური ინსტ. ალ. კ. კ. უჯრედის ბიუროს გაერთიანებული სხდომა აქტივთან ერთად შესდგება დღეს, 14 აპრილს, 12 საათზე პოლიტ-მეცადინეობის შემდევ (აუდიტ. № 7).

ბიუროს წევრებს გარდა აუცილებლად უნდა გაიოცხადდენ ის ამხანაგები, ვისაც შემოტანილი აქვთ კომკავშირში მისაღები განცხადებები და აგრეთვე მიმაგრებული ამხანაგები: ი. ქოჩიაშვილი და ბ. კავთელაძე.

ორშაბათს, 15 აპრილს, 2 საათზე შესდგება ამავე უჯრედის მორიგი კრება (აუდიტორია № 4).

სახ. უნივერსიტეტის პედ. ფაკ. ა. ლ. კ. კ. მე-3 და მე-4 კურსის (მეოთხე უჯრედის) **ბიუროს სხდომა** ამავე უჯრედის აქტივთან ერთად შესდგება დღეს, 14 აპრილს, დილის 12 საათზე.

სახ. უნივერსიტეტის პარტ. და კომკავშირის ბიურო-კოლექტივი აცხადებს, რომ მიმდინარე პოლიტწრეების მეცადინეობა შესდგება დღეს, (14 აპრილს, 10 საათზე).

დასწრება ყველა წევრებისათვის სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

სახ. უნ. პედაგოგ. ფაკ. 1-ლ და მე-2 კურსთან არსებული ა. ლ. კ. უჯრედის ბიურო აცხადებს, რომ დღეს, 14 აპრილს, დილის 12 საათზე მოწვეულია ამავე უჯრედის ბიუროს სხდომა აქტივთან ერთად. დასწრება ბიუროს წევრ-კანდიდატთა და უჯრედის აქტივთა აუცილებელია.

საქართველოს ტეხნიკური საზოგადოების ელექტრო- ტეხნიკური სექცია აუწყებს საზოგადოების წევრებს

ინჟენერ **მიხეილ დიმიტრის-ძე კასრაძის**

და

ტეხნიკოს **კონსტანტინე გიორგის-ძე ჩხეიძის**

ტრაგიკულად დაღუპვას აბჰესში. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს 12 საათზე „თელასი"-ს ადგილკომის წითელ კუთხეში (პუშკინის ქ. № 2 თამამშევის ყ. ქარვასლა). 1390

სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტის ტეხნიკური სექცია ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას მათი საყვარელ ამხანაგის და ყოფილი თანამშრომლის—აბჰესის **მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზის უფროსის**

ინჟ. **მიხეილ დიმიტრის-ძე კასრაძის**

ტრაგიკულად დაღუპვას აბჰესში. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს 14 აპრილს დღის 12 საათზე „თელასი"-ს ადგილკომის წითელ კუთხეში (თავისუფლების მოედანი ყოფ. თამამშევის ქარვასლა). 1375

და მანია დიმიტრის ასული და სიძე შალვა გაბრიელის-ძე გულისაშვილები გულისტკივილით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს დაუვიწყარი და საყვარელ ერთადერთი ძმის—ახალგაზრდა ინჟენერის

მიშა კასრაძის

ტრაგიკულად დაღუპვას 9 აპრილს აბჰესში სამსახურის მოვალეობის შესრულების დროს. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 1381

მინადორა დიმიტრის ასული და კორნელი სამსონის-ძე კეკელიძეები გულისტკივილით აცნობებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს ერთადერთი ძმისა და ცოლისძმის, ახალგაზრდა ინჟენერის

მიშა დიმიტრის-ძე კასრაძის

ტრაგიკულად დაღუპვას 9 აპრილს აბჰესში მოვალეობის შესრულებისას. დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 1381

მამიდა მაკრინე ჩაგუნავა შვილებით: კოლა, შალვა, გენო, შურა, სიძეებით: კონსტანტინე კასრაძე, გაბო თავართქილაძე და შვილიშვილით ელოთი მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, მათთვის ძვირფასი ახალგაზრდა ინჟენერის

მიშა კასრაძის

ტრაგიკულად დაღუპვას სამსახურის ასრულების დროს აბჰესში. 1374

მართა და შაქრო ბიჭაშვილი, შვილებით მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას მათთვის ძვირფასს ბიძაშვილის

ინჟ. **მიშიკო კასრაძის**

ტრაგიკულად დაღუპვას აბჰესში. 1370

სამუდამოთ გულმოკლულნი მართა, ელო და ლიზიკო მაჩაბლები აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ ძვირფას და საყვარელ ბიძაშვილის ახალგაზრდა

ინჟენერ **მიშიკოს**

ტრაგიკულათ დაღუპვას. 1368

დარია დათეშიძე შვილებით: ნინო, თამარ, გიორგი და ქეთევან მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი ახალგაზრდა

ინჟენერ **მიშა კასრაძის**

ტრაგიკულად დაღუპვას აბჰესში. 1372

ბიძინა გაბრიელის-ძე და დედა მისი ეკატერინე გრიგოლის ასული გულისაშვილები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ 9 აპრილს აბჰესში სამსახურის მოვალეობის შესრულების დროს ტრაგიკულად დაიღუპა მათი ოჯახის მეგობარი, საყვარელი და დაუვიწყარი ახალგაზრდა ინჟენერი

მიშა კასრაძე

1381

ალექსანდრე კალმახელიძე, სოლომონ ელბაქიძე, ვანო ისაკაძე, გრიშა ბურდილაძე, ალექსანდრე არაბიძე და ვალოდია ჯაფარიძე ღრმა მწუხარებით აუწყებენ ძვირფასი მეგობრის ინჟენერ

ასრაძის

ულად დაღუპვას. 1383

არ. ცაბაძე, ი. ბახტაძე, ლ. ხუციშვილი, მ. ბოკუჩავა, ლ. ახალშენიშვილი, შ. ჯიქია, პ. შანიძე, ვ. ჯაველიძე, ა. ელიავა და ს. მესხი უღრმეს მწუხარებით იუწყებიან

ინჟენერ **მიხეილ დიმიტრის-ძე კასრაძის**

და

ტეხნიკოს **კონსტანტინე გიორგის-ძე ჩხეიძის**

ტრაგიკულ დაღუპვას. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს 12 საათზე „თელასი"-ს ადგილკომში. 1392

უზომოდ დამწუხრებული უახლოესი მეგობრები: ა. მიქაბერიძე, ვ. მამალაძე, ე. ჩიქოვანი, მ. ხევსურიანი, ა. ცაბაძე, ი. თოფჩიშვილი, პ. ჯიქია, შ. ხეჩინაშვილი, გ. დათეშიძე, ბ. მდივანი, ი. მაჭავარიანი და ე. ხახუტაშვილი აუწყებენ მეგობართ და ამხანაგებს მათთვის ძვირფასს მეგობრის

ინჟ. **მიხეილ დიმიტრის-ძე კასრაძის**

ტრაგიკულ დაღუპვას. სამოქ. პანაშვიდი დღეს 12 ს. „თელასი"-ს ადგილკომში. 1391

ღრმად დამწუხრებული მეგობრები: ნელი და მარგო ჯავახიშვილები, მარო ბერიძე, მანია თარგამაძე, მათიკო მანველიძე, ნინა ლონლაძე, ელინა ღვთისავრიშვილი და ქეთინო გაგუა აუწყებენ საზოგადოებას მათი უძვირფასესი მეგობრის

მიშა კასრაძის

ტრაგიკულად დაღუპვას. ნ. 2529

დამწუხრებული მეგობრები: ელიზბარ ჩხიკვაძე, ლადო აბაშიძე, ვასო გაბრიჭიძე, ტიტე ახმეტელაშვილი, ირაკლი ღამბაშიძე, გიორგი წერეთელი, გენო ედილაშვილი, სანდრო გოთუა, ვლადიმერ ბელქანია და დიმიტრი მაღალაშვილი აუწყებენ საზოგადოებას საყვარელ მეგობრის

ინჟ. **მიხეილ კასრაძის**

ტრაგიკულად დაღუპვას აბჰესში. სამოქალაქო პანაშვიდი დანიშნულია დღეს 14 აპრილს, დღის 12 საათზე „თელასი"-ს ადგილკომის წითელ კუთხეში (თავისუფლების მოედანი ყოფ. თამამშევის ქარვასლა). 1376

ამხანაგები: ბარძიმ კარბელაშვილი, ელიზბარ შარაშენიძე, სტანისლავ კოჩუტი და ალექსანდრე ცომაია აუწყებენ საზოგადოებას ძვირფას ამხანაგ,

ინჟენერ **მიხეილ კასრაძის**

ტრაგიკულად დაღუპვას აბჰესში. 1384

მეუღლე ვარლამი; შვილები: ოთარი და მაყვალა; ძმა კონსტანტინე მეუღლე თამარათი და შვილი გივით; სიძე ვალიკო იმნაძე მეუღლე ოლიათი ღრმა მწუხარებით იუწყებიან

ვერა ერასტის ას. სანაძე-ედიბერიძისა

გარდაცვალებას. გამოსვენება რკ. გზის საავად. პროზექტურიდან. დაკრძალვა 16 აპრილს 3 საათზე. კუკიის სასაფლაოზე. 1382

ღრმათ დამწუხრებულნი მშობლები: ერისტო და მართა, ძმები: ილია და ჟორჟიკა სანაძეები; დები—აგრაფინა, ოლია და მარგო; სიძეები კოლა მაჭარაძე, იასონ ჩხენკელი და გრიგორ სალაძე აუწყებენ ნაცნობ-ნათესავებს მათი უძვირფასესი

ვერა სანაძე-ედიბერიძის

გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდება სამშაბათს, 16 აპრილს, სრულ 3 საათზე. გამოსვენება თბილისის რკინის გზის საავადმყოფოდან კუკიის სასაფლაოზე. 1385

თბილისის რკ. გზ. საავადმყოფოს სამეანო-გინეკოლოგიური განყოფილების გამგე, ექიმები, ბებიები და მომვლელი ქალები მწუხარებით იუწყებიან მათი თანამშრომელ ბებია

ვერა ერასტოს ასული სანაძე-ედიბერიძის

გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი კვირას, 14 აპრილს, საღამოს 6 საათზე საავადმყოფოში. გამოსვენება რკ. გზ. საავადმყოფოს პროზექტურიდან სამშაბათს, 16 აპრილს, დღის 3 საათზე. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 1373

ქუთაისის ხის დამამუშავებელთა პროფკავშირის გამგეობა და რაჭის სამაზრო აღმასკომის ქუთაისის სახერხ ქარხნის მუშა-მოსამსახურენი ღრმა მწუხარებით იუწყებიან მათთვის დაუვიწყარ, ძველი მუშაკის

ალექსანდრე ყარამანის-ძე კახაიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 16 აპრილს ქალ. ქუთაისში. ნ. 2533

ხის დამამუშავებელი საწარმო კოოპერატიული ნადი „მრეწველი" გულითადი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას

ალექსანდრე ყარამანის ძე კახაიას

უდროოდ გარდაცვალებას. (შ)

ნინო და ანდრო საყვარელიძეები გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს

სოფო ქარცივაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, აპრილის 14-ს რესპუბლიკის მთავარი საავადმყოფოს პროზექტურიდან ვერის ახალ სასაფლაოზე 1 საათზე. 1388

ივანე ელიშუხის-ძე, ანა იაკობის ასული და ელენე ივანეს ასული ფიცანაძეები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს მათი ძვირფასი

სოფო ქარცივაძის

გარდაცვალებას. 1388

ნინო, ფასო, კაკო, სიმონიკო და სულიკო ბერეჟიანი გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნაცნობ-მეგობართ ძვირფასი

სოფო ქარცივაძის

უდროოდ გარდაცვალებას. 1369

ნიკოლოზ და თამარ ქარცივაძე და მათი შვილები: გოგი და ბიბი უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნაცნობ-მეგობართ, რომ აპრილის 11-ს ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ძვირფასი

სოფო ქარცივაძე

გამოსვენება რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოს პროზექტურიდან (ყოფ. მიხეილის) კვირას, აპრილის 14-ს დღის 1 საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე. 1369

ბიცოლა ანა ქარცივაძისა, ბიძაშვილები: ნინო ბერეჟიანი, იოსებ, ალექსი, აკაკი, სიმონი, მარო, ოლიმპიადა, თეკლე, რძლები: ეკატერინე და ოლია ქარცივაძეები მწუხარებით აცნობებენ საზოგადოებას, რომ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი

სოფო ქარცივაძე

7136

თბილისის მე-14 შრომის სკოლის პედაგოგიური საბჭო მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას საყვარელი ამხანაგის, მასწავლებელ

სოფო ქარცივაძის

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს 1 საათზე, ყ. მიხეილის საავადმყოფოდან. 1378

თბილისის მე-14 შრომის სკოლის მოწაფეობა დიდი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას თავის ძვირფასი და საყვარელი მასწავლებლის

სოფო ქარცივაძის

უდროოდ გარდაცვალებას. 1377

მე-14 შრომის სკოლის ადგილკომი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა დამსახურებული მასწავლებელი

სოფო ქარცივაძე

დაკრძალვა 14 აპრილს, ვერის ახალ სასაფლაოზე. 1371

თბილისის მე-14 შრომის სკოლის დამხმარე საბჭო დიდი მწუხარებით აუწყებს აღნიშნულ სკოლის მოწაფეთა მშობლებს და სხვებს ძვირფას ადამიანის და მასწავლებლის

სოფო ქარცივაძის

უდროოდ გარდაცვალებას. 1379

უღრმესად დამწუხრებული დედა სოფიო (გოგოლა) და ძმა ალექსანდრე (ალიოშა) ბოკერია აცხადებს საზოგადოებისა, მეგობრებისა და ნათესავების საყურადღებოთ, რომ კვირას, 14 აპრილს, 3 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი

მიშა (მიხეილ) სამსონის-ძე ბოკერიას

ხსოვნის აღსანიშნავად. 1386

დედა ელისაბედ ყიფიანი-სულხანიშვილი შვილებით: დიმიტრი—მეუღლით, ქეთევან პატარაია და დოდო აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 14 აპრილს, 1 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ძვირფას

ბიანკა სავანელის

ხსოვნის აღსანიშნავად. ნ. 2534

დამწუხრებულნი მეუღლე ენუქ ჩორგოლაშვილი, დედა ლიზა, დაი ნინა, სიძე ილო ნიკოლაიშვილი მწუხარებით აუწყებენ ნაცნობებს ძვირფასი

ლუბა (ბილიხოძე) ჩორგოლაშვილის

უდროოთ გარდაცვალებას. გამოსვენება სამშაბათს, ყოფ. ალექსანდრეს საავადმყოფოდან 4 საათზე. შ)

უბედური დედა გაიანე, გულდამწვარი დები ლიზა, ნატაშა, ტასო და ნინო კასრაძეები, სიძე ვასო ციცკიშვილი და დისწულები სუზიკა და გულიკო აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ 9 აპრილს აბჰესში უდროოდ და ტრაგიკულად დაიღუპა სამსახურის შესრულების დროს მათი ერთადერთი ნუგეში ახალგაზრდა ინჟენერი

ფაქტიური შესრულების შემოწმება იქცევა მთელი იმ მუშაობის უმნიშვნელოვანეს ნაწილად, რომელიც სწარმოებს სახელმწიფო აპარატის გასაუმჯობესებლად. ამასთან შეფარდებით, კონფერენცია ადგენს:

1. საბჭოთა აპარატის ძირითად უმნიშვნელოვანეს ნაკლს წარმოადგენს ის, რომ დღემდე პარტიული დირექტივები და საბჭოთა დადგენილებანი ცუდად სრულდება და ხშირად მახინჯდება კიდეც. ცენტრალური საკონტროლო კომისიებისა და მუშგლეხინების მუშაობის გამოცდილებამ მთლიანად დაამტკიცა იმის სისწორე, რომ სისტემატიური კონტროლი მთავრობის კანონებისა და განკარგულებებისა და პარტიული დირექტივების შესრულებაზე წარმოადგენს ბიუროკრატიზმთან და საქმის გაჭიანურებასთან ბრძოლის ერთ - ერთ უმნიშვნელოვანეს საშუალებას. სისტემატიური შემოწმება იმის, თუ რამდენად სრულდება და დაცულია რევოლიუციონური კანონიერება, უნდა გადაიქცეს ყველა პარტიულ და საბჭოთა ორგანოს უმნიშვნელოვანეს ამოცანად. ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ და მუშგლეხინმა, როგორც ეს გათვალისწინებულია მუშაობის გეგმით, შესრულების შემოწმება თანდათან უფრო უნდა გადააქციოს თავისი მუშაობის ცენტრად, რათა ამრიგად უზრუნველჰყონ არა თუ პარტიული დირექტივებისა და მთავრობის დადგენილებების სწრაფი და სწორი შესრულება და იმ მიზეზების აღმოფხვრა, რომელნიც იწვევენ დირექტივების შეუსრულებლობას, არამედ პრაქტიკული გამოცდილების მიხედვით თვით დირექტივების სისწორის შემოწმებაც.

ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები ვალდებულნი არიან განუხრელად შეასრულონ პარტიისა და მთავრობის დირექტივები და განკარგულებები, ამავე დროს ისინი ცენტრალური ორგანოების წინაშე უნდა აყენებდნენ საკითხს იმ ცვლილებათა შესახებ, რომელთა საჭიროებაც ირკვევა ადგილობრივი გამოცდილებით. მხოლოდ ასეთი ურთი-ერთ კონტროლი—ადგილების პრაქტიკის კონტროლი ცენტრის განკარგულებებზე და ცენტრის ხელმძღვანელობის კონტროლი ადგილების პრაქტიკაზე — არა თუ შესაძლებელს გახდის იმას, რომ განხორციელდეს ცენტრალური დაწესებულებების წინადადებათა და დადგენილებათა განუხრელად შესრულება, არამედ საჭირო შესწორებებსაც შეიტანს ამ წინადადებებსა და დადგენილებებში, ადგილობრივი გამოცდილების მიხედვით.

მთელ ამ მუშაობაში უნდა ვემყარებოდეთ ლენინის შემდეგ მითითებას: „ადამიანების

ობის მუშაობის გაუმჯობესებისათვის და შესრულების შემოწმების ნამდვილი შესაძლებლობის უზრუნველყოფისათვის.

გადაჭრით უნდა მოეღოს ბოლო დღემდე ფართოდ გავრცელებულ იმ მდგომარეობას, რომ იმის ნაცვლად, რომ სათანადო ორგანოებმა, ხოლო ამ ორგანოების შიგნით პასუხისმგებელმა შემსრულებლებმა, საკითხები გადასჭრან თავიანთ უფლებათა და მოვალეობათა ფარგლებში, — ამ საკითხებს სწყვეტენ მრავალრიცხოვანი უპასუხისმგებლო, როგორც საუწყებათაშორისო, ისე შინასაუწყებო კომისიები. მართვა - გამგეობის საკითხების გადაჭრის ასეთი მეთოდი არა თუ არ წარმოადგენს მუშათა ფართო მასების მართვა - გამგეობაში ჩაბმის საშუალებას, არამედ კიდევაც აბრკოლებს ამას, რადგან სახელმწიფო აპარატის მუშაკთა ურთიერთ დაზღვევის საშუალებით ხელს უწყობს მათ სრულ უპასუხისმგებლობას, შეუძლებელს ხდის აპარატზე ფართო მასების კონტროლის განხორციელებას და შესრულების რაიმე ნამდვილ შემოწმებას. საჭიროა „ულმობელი ბრძოლა გაურკვევლობისა და ბუნდოვანობის წინააღმდეგ იმ საკითხში, თუ ვის რა აქვს დავალებული, საჭიროა ბრძოლა აქედან გამომდინარე სრულ უპასუხისმგებლობასთან". (ლენინი, დადგენილება მოადგილეთა მუშაობის შესახებ, — კრებული „სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესების შესახებ", გვ. 78).

3. მუშათა ფართო მასების ჩაბმა შესრულების შემოწმების საქმეში და, ამრიგად მუშათა და გლეხთა ახალი ფენებისათვის სახელმწიფო მართვა - გამგეობის საქმის შესწავლა წარმოადგენს იმის პირობას, რომ შესრულების შემოწმება თანდათან უფრო გადაიქცეს საბჭოთა აპარატის გაუმჯობესების ნამდვილ მეთოდად. ამიტომ საჭიროა:

ა) საწარმოებში არსებული დროებითი საკონტროლო კომისიების მაგალითის მიხედვით, რომელთა გამოცდილებამ სავსებით გაამართლა მათი დანიშნულება, დაიწყოს დროებითი საკონტროლო კომისიების მოწყობა დაწესებულებებში და დაჩქარდეს პროფკავშირთა მე-8 ყრილობის იმ დადგენილების განხორციელება, რომელიც ეხება მუშათა დროებითი საკონტროლო კომისიების შექმნას ტრესტებში. კომისიებს უშუალოდ უნდა ირჩევდნენ საფაბრიკო - საქარხნო საწარმოებში და სათანადო ქალაქების საბჭოები. კომისიების მთავარ ამოცანებს უნდა წარმოადგენდეს საბჭოთა კანონებისა და პარტიული დირექტივების შესრულების შემოწმება, ამასთან დაკავშირებით, ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურების კონკრე-

მეურნეობის სისტემა

მშენებლობის

იმ ამოცანების შესრულება, რომლები
საბჭოთა ქვეყნის წინაშე დგანან ინდუსტრი
ლიზაციის დაჩქარებული ტემპის გატარები
და სოფლის მეურნეობის სოციალისტური
გარდაქმნის საქმეში, მოითხოვს სახელმწიფ
მმართველობის მთელი აპარატის სისტემ
ტიურად გარდაქმნას იმგვარად, რომ იგი შე
ფარდდეს ჩვენი მეურნეობის სისტემას
სოციალისტური მშენებლობის ამოცანებ
ამის გამო კონფერენცია ადგენს:
1. პრაქტიკული მუშაობით შემოწმებულ
კადრების უეჭველი ზრდა უკანასკნელ წლ
ში, ჩვენი ქვეყნის დარაიონება, რომელიც
ლა თავდება, სახალხო მეურნეობის მმართვ
ლობის დარგში დაგროვილი გამოცდილ
სახალხო მეურნეობის განვითარების ხუ
წლიანი გეგმის დამუშავება,—ყველაფერი
შესაძლებლად ხდის შემდგომი ნაბიჯების
დადგმას მმართვა-გამგეობის ფუნქციების
ცენტრალიზაციის საქმეში. შემდგომი ნაბი
ბის გადადგმას იმ მიმართულებით, რომ საკ
შირო ცენტრალური და რესპუბლიკანური ო
განოები განტვირთონ არა მარტო აუარე
ლი წვრილმანი საქმისაგან, არამედ განსა
რულ ნაწილში ოპერატიული ფუნქციებ
განაც. გეგმიანი მუშაობის ნამდვილად გ
ჯობესებისათვის, რამაც უნდა უზრუნ
ჰყოს რეალური და დროული გეგმების დ
შავება, საჭიროა საზოგადო, პირადი დ
სიური ინიციატივისა და თვითმოქმედები
ფარდება მტკიცე დისციპლინასთან ცენ
ლური ორგანოების გეგმების დადგრეჭ
ბის შესრულების საქმეში.
აპარატის სისტემატიურად გადაკეთებ
და სწარმოებდეს იმ ხაზით, რომ
ოპერატიული ფუნქციების დეცენტრა
ცია და ამავე დროს უზრუნველყოფილ
ხელმძღვანელობის ცენტრალიზაცია დ
მიანობა ძირითად საკითხებში იმ ხაზით
შეიქმნას პირობები, რომლებიც უზრუ
ჰყოფენ როგორც მტკიცე დროული გ
დამუშავებას, ისე მათ სრულ შესრუ
ამის მიხედვით, კერძოდ, საკავშირო
და გლეხთა ინსპექციას სახალხო
რიატმა უნდა გადაიჭნჯოს მუშაობის
დაურთიერთდამოკიდებულების სისტე
დასხვა საკავშირო სახ. კომისარიატებ
მოკავშირე რესპუბლიკების სახ. კ
ტებსა და კავშირის სახ. კომისარიატ
რის, სახალხო კომისარიატებსა და მ

ოლტზე რეჟ. ლ. ესაკია
16 აპრილიდან ახალგაზრდობა იმარჯვებს
მსოფლიო ფილმი **ახალი ბაბილონი**
აპრილიდან მინიონში—მე-2 კვირა
ახალი ბაბილონი
სოლეიში ახალგაზრდობა იმარჯვებს
„პოლიციელნი"
15 აპრილიდან ახალგაზრდობა იმარჯვებს
ორი ობოლი რეჟ. გრიფიტის დადგმა
15 აპრილიდან ახალგაზრდობა იმარჯვებს
აცრემლებული თვალები
აპრილიდან ნანა ე. ზოლას მოთხ. მიხედვ.
სიგნალი ზღვიდან
15 აპრილიდან გრაფი მონტე-კრისტო 1 და 2 სერ.
შეჯიბრების უნებლიე მონაწილე
16 აპრილიდან მეშვიდე ცაზე
ში დღის სეანსი დასაწყისი 11 ს. 30 წ.
0—13

ჭდება და გამოვა მაისში
ფიზიკა
II ნაწ. შინაარსი: რხევითი ძრაობანი და ბგე, სინათლე, ელექტრული და მაგნეტური მოვლენები. ლია ზედმიწევნით უნივერსიტეტში შესასვლელ ახალი მიხედვით (1929 წლის). პირველი ნაწილი უკვე იყიდება. ელგამის მაღაზიებში. მიიღება ხელის მოწერა მეორე ისმომწერთათვის წიგნი ეღირება 3 მანეთი. ორივე ნა შეიძლება დაკვეთა ფოსტით. ვინც გამოიწერს ათ მეტს, გადაგზავნა გამომცემლის ხარჯზე. მისამართი: თბილისი, ყაზბეგის ქ. № 9 ფარცხალაძე.

ბუხჰალტრის, ბუხ. თანაშემწის და მოანგარიშის სტაჟზე
ვამზადებთ სპეციალურად მომხ. კოოპერატივებისათვის, საბინაო-საკრედიტო ამხანაგობებისათვის, ფაბრიკა-ქარხნებისათვის, სახ. კომისარიატებისათვის და აქციონერთა საზოგადოებისათვის. პრაქტიკული მუშაობა სწარმოებს დაწესებულებებში:
დაწვრილებითი ცნობები:
1. ქალ. 1 სამრ. კოოპ. კურსებზე, კამოს ქ. 52
2. წიგნის მაღ. „განათლების", ლენინის ქ. 6
3. ზაქ. ინწკირველთან, პლეხანოვის პრ. 36.
3—2 1223

ქალ. თბილისში არსდება შინამრეწველ-ხელოსანთა მეორე საკრედიტო
კოოპერატიული ამხ-ბა
წევრთა ჩაწერა სწარმოებს „შინამრეწვკრედიტ"-ში (სიონის ქ. № 13) ამხ. შახ-ბუდაგოვთან. ჩაწერის დროს აუცილებელია შეტანა შესასვლელი გადასახადისა 3 მან. რაოდენობით
დამფუძნებელ კრების მოწვევის დღე გამოცხადებული იქნება დამატებით.
სარეწკოოპკავშირი
1354

ГРУЗГОСТОРГ
(Магазин № 4)
ПРОДАЕТ КЕР.-КАЛИН
ФОНАРИ Сила света 1000 свечей
со всеми накл. расх. час. горения до ПЯТИ коп.
Где нет электричества
НЕЗАМЕНИМЫ
2—1 ნ. 2519

ნ. გ. კანტოროვიჩისა
მიღებულია საზღვარგარეთიდან ახალი საშუალებები თმების სამკურნალოთ და ფერის მჭამელას, მუწუკების, ჭორფლის, ტალის, მეჭეჭის და სხვ. გასაქრობათ. ვაძლევ საქმიო რჩევა-დარიგებას პირის კანის მოვლისა და თვითმასაჟის შესახებ საზვარ-გარეთის მეთოდების მიხედვით ფრეილინის ქ. № 1. პაციენტები მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. ა·1

ქ. ქუთაისი
ექიმი
ი. ხ. შველიძე
კანის და ვენერიული სნეულებანი (სიფილისი, შეშხაპუნება „914", ტრიპერის და მისი შედეგების მკურნალობა)
მიღება: დილის 8—9 საათამდე
საღამ. 7 ნახ.—9 საათ.
ქალები და ბავშვები დღისით 2—4 საათამდი
მისამართი: პუშკინის ქუჩ. № 14

ექიმი
ს. ი. ანდრეევისა
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება სპეციალურად ძვლების, ჯირკვლების, ტუბერკულოზის მკურნალობა
მიღება 5—7 საათამდე. ელბაქიძის დაღმართი (ყოფ. ვერის) № 29
ელსმენი—11—78.

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე.
ტლფ. 10—14 412 25—1

ექიმი—ვენეროლოგი
ნინო მირიანაშვილი
იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს (ქალებს და ბავშვებს)
საღამოს 5—7 საათამდე მოსკოვის ქუჩ. № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან, ტელ. 14—23. 25—1

ექიმი
გიორგი ნიკოლოზის-ძე
ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი. სქესობრივი უძლურების მკურნალობა.
ავადმყოფთა მიღება დილით 9—12 საათ. და საღამოს 5 8 საათ.
კლარა ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქ., № 3. 25—1

ექიმი
ქ. ს. ფონ-ირტელი
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ(ტრიპერი)ავადმყოფობას, სიფილსს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე. ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.
პლეხანოვისპროსპ. № 10

ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. ნ. 10. 25—1

ექიმი
გ. მ. ფხალაძე
მარტის ქუჩ. № 6 (ყოფ. ბოგოსლოვის) გადასახვევი ოლღას ქუჩიდან.
ვენერიული და კანის სნეულებანი.
მიღება: დილის 7—8 ნახ. / საღამ. ქალ. 5-6 კაც. 6-

ექ. დ. ლ. თევზაძე
ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებანი და ლოგოპედია—ხმის და მეტყველებისა
აქვე სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-თერაპიული მეთოდებით მკურნალობა
ჰონქაძის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩისა)
მიღება: დილით 12—1 საათ. / საღამოს 7—8 საათ.
გარდა კვირა დღეებისა.
ტელ. №25—73 25—1 1240

ექიმი
ა დ კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12, საღ. 7—8 საათამდე
ტელეფ.—12—67. ნ. 20 25—1

ლოგოპედი
ა. ა. კაიშაური
ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა
ასწორებს
ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, იფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს
იღებს: საღამოს, 5—7 საათ. კლარა ცეტკინის ქ., (ყოფ. ელისაბედის) № 132. ტელ. 26—01.

ქ. ქუთაისი
ექიმი
თ. ვ. აკოფაშვილი
შინაგანი სნეულება — სპეციალურად ფილტვების ავადმყოფობა. ბროსეს ქ. № 7 (მესამე საბჭოთა აფთიაქის გვერდით).
1272—25—

ექიმი
ი. ი. ქეიშვილი
სიფილისი (შეშხ. „914" გერმანული პრეპ.) ვენერიული (მწვავე და ქრონიკ. ტრიპერი) და კანის ავადმყოფობანი
მიღება: დილ. 7—9 საათ. / ნაშუადღ. 4—5 საათ. / საღ. 7—8 ნახ. საათ.
კამოს ქ. № 72 (ყოფ. დიდი-მთავრის ქუჩა) ქალ. მეორე საავადმყოფოს მახლობლად
1274—25—1

ექიმი
პ. ი. ჯალალოვი
(კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა
მამაკაცთა მიღება: დილით—8—9 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. ნ. 25—19.

ექიმი
დ. ი. ჯაფარიძე
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება:
ყურის, ცხვირის, ყელის სნეულებანი და მათი ქირურგია
მიღება 5—7 საათ. საღამოს
მისამართი: ჯულაშვილის ქუჩა (ყოფილი რტიშჩევის) № 14
ტელეფონი 20—10
25-1 1302

დაიკარგა: ხანგრძლივ შ. ებ. მყოფი წითელ არმიელის წიგნაკი № 1240 აკაკი ბარკალაიას სახელზე, ჩ. გ. 1364

იყიდება
როიალი
მიულბახის № 3900
ბაიაზეთის ქ. № 15
მეორე სართული

ჭრა-კერვის გაკვეთილები
ქართულ და რუსულ ენებზე
ბოლგარსკაია
კალინინის ქუჩ., № 83, მოწაფეების ჩაწერა საღამოს 4 საათიდან 7 საათ.
24—11 94

ქუთაისის სამაზრო ალმასკომის მმაჩის ბიურო თანახმად ს. ს. ცენტრალური აღმასრულებ. კომიტეტის და ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წლის 13 მარტის № 12 ცირკულიარისა აცხადებს, რომ ქუთაისის მაზრის ორპირის თემის სოფ. კურსებში მცხოვრები მოქ. ლევან სპირდონისძე მელია თავის სახელს, მამის სახელს და გვარს ე. ი. „ლევან სპირდონის ძე მელია" იცვლის გიორგი პეტრესძე შეგოვარზე და თუ ვისმეს აქვს ამის საწინააღმდეგო დღიდან გამოცხადებისა ორი თვის განმავლობაში შეუძლიან მიმართოს ზემოაღნიშნულ დაწესებულებას.

ქუთაისის სამაზრო მმაჩის ბიუროს გამგე: კაჭკაჭაშვილი.
ნ. 2535

დაიკარგა: პენსიის წიგნაკი № 3589 ანა ჟორჟიკაიას სახელზე, ჩ. გ. 1364

დაიკარგა: კავშირის საწევრო წიგნაკი № 13174 აკაკი ოჩიგავას სახელზე, ჩ. გ. 1366

დაიკარგა: კინო - მრეწველობის კავშირის წიგნაკი № 149807 ოლღა ნასიძეს სახელზე, ჩ. გ. 1380

დაიკარგა: მედსანშრომის კავშირის წიგნაკი № 17 ალექსი თვარაძის სახელზე, ჩ. გ. 1387

დაიკარგა: მუშკოოპის წიგნაკი № 41690 ლეონ ნაზარეტიანის სახელზე, ჩ. გ. 1389

დაიკარგა: პატენტი № 621, გაცემული ქუთაისის მესამე უბნის გადასახადთა ინსპექტორისაგან 1928 წ. 8 ოქტომბერს იაკობ ისრაილის ძის შალელაშვილის სახელზე ჩ. გ.
ნ. 253

1928—29 წლის სეზონი
ორშაბათიდან, 15 აპრილიდან კინო-თეატრებში
პალასი-სოლეი-არფასტო
სამშაბათიდან 16 აპრილიდან განთიადში
ახალგაზრდობა
იმარჯვებს
სცენარი გ. მდივანის, ვ. შკლოვსკის თემის მიხედვით
დადგმა რეჟისორ მიხ. გელოვანის, ოპერატ. ალ. დიღმელოვი
მთავარ როლებში: თამარ თვალავაძე, ა. ხინთიბიძე,
ს. ფალავანდიშვილი, კ. მაჭარაძე, ლ. ხოტივარი.

კინო **მინიონში**
მეორე კვირა
ახალი ბაბილონი
რეჟისორები
გ. კოზინცევი და
ლ. ტრაუბერგი

ორშაბათიდან
15
აპრილიდან

კინო **აპოლოში**
ნანა
ე. ზოლას რომან. მიხედვით
მთავარ როლებში:
კატერინა გესლინგი,
ვერნერ კრაუსი

გაზ. „კომუნისტი"

ხელისმომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა **დაბეჯითებით სთხოვს** ხელისმომწერლებს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა მისამართებში ცვლილებების შეტანა ან სრულიად გამოცვლა, პროვინციის ხელისმომწერლებმა გამოგზავნონ ის მისამართი, რომლითაც გაზეთს იღებენ. ხოლო თბილისელებმა აუცილებლად წარმოადგინონ ის **ქვითარი (ან ქვითარის №-რი)**, რომელიც მიღებული აქვთ „კომუნისტი"-ს კანტორიდან ხელის მოწერის დროს.

წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარი კორესპონდენცია, მისამართებთან დაკავშირებული, უყურადღებოთ იქნება დატოვებული.

ხარჯების დასაფარავად, მისამართების შეცვლის მსურველები მოვალენი არიან წარმოადგინონ კანტორაში 25 კაპ.

0—7 მთავარი კანტორა.

ტყეთა ეკონომიური გამოკვლევის საწარმოებლად
საჭიროა
გამოცდილი პრაქტიკული სტაჟის მქონე
ტაქსატორები
პირობების გაგება შეიძლება ა. კ. რკ. გზ. სატყეო განყოფილებაში საბჭოთა ქ. № 70 1393

ტირაჟი—41.457

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩა № 64

მთავლიტი № 904.